



იუპიო მიშიმა

# ნიღბის აღსარება

დინჯუნეს  
გიგლიშვილი



## წინასიტყვაობა

მშვენიერება საშიში და საშინელი რამაა! საშიში იმიტომ, რომ ამოუცნობია და მისი ამოცნობაც შეუძლებელია, რადგან ღმერთმა მხოლოდ გამოცანები გვიბოძა. აქ ნაპირები ერთდება, ყველანაირი წინააღმდეგობა მშვიდად თანაარსებობს. ჩემო ძმაო, გაუნათლებელი კი ვარ, მაგრამ ამაზე ბევრი მიფიქრია. საშინლად ბევრი საიდუმლოა! ზედმეტად ბევრი გამოცანა ადამიანს თრგუნავს. როგორც გინდა, ისე გამოიცანი და მშრალიც ამოდი წყლიდან. მშვენიერება! ვერაფრით ვინელებ, რომ გულკეთილი, გონიერი ადამიანი მადონას იდეალით იწყებს და სოდომით ამთავრებს. უფრო შემადრწუნებელია ის, ვისაც სოდომის იდეალი აქვს სულში და არც მადონას უარყოფს; ამის გამო გული ედაგება, ჰოი, ისე ედაგება, როგორც ყმაწვილობის უმანკო ხანაში. ფართოა კაცის გული, მეტისმეტად ფართო. მე ცოტა შევაფიქროებდი. ეშმაკმა უწყის, ეს რა უბედურებაა! რაც გონებას ესირცხვილება, გულს ელამაზება. და რა, სოდომშია მშვენიერება?! ისე კი, ვისაც რა სტკივა, იმას ლაპარაკობს.

ფიოდორ დოსტოევსკი, „ძმები კარამაზოვები“

## პირველი თავი

დიდხანს ვამტკიცებდი თავგამოდებით, რომ საკუთარი დაბადების სცენა ნანახი მქონდა. როდესაც ამას ვამბობდი, უფროსები იცინოდნენ. ბოლოს დაფიქრდებოდნენ, ხომ არ დაგვცინის ეს ფერმკრთალი, არაბავშვური გამომეტყველების ბავშვიო, და, ცოტა არ იყოს, ზიზღნარევი მზერით შემომხედავდნენ ხოლმე.

თუ ამაზე საუბარს არც ისე ახლობელთან წამოვიწყებდი, ბრიყვი არ ეგონოთო, აღელვებული ბებიაჩემი მუქარით სავსე ხმით გამაწყვეტინებდა და წადი, იქით ითამაშეო, მეტყოდა.

უფროსები, რომლებიც ამაზე იცინოდნენ, ყოველთვის ცდილობდნენ, მეცნიერულად დაემტკიცებინათ ჩემთვის, რომ ვცდებოდი. მაგალითად, ამბობდნენ, რომ იმ დროს ჩვილს თვალები ჯერ ახელილი არ აქვს. ახელილიც რომ ჰქონდეს, რაიმეს დამახსოვრების უნარი ვერ ექნებაო. ბავშვის გონება რომ ადვილად ჩასწვდომოდა, უფრო მარტივად მიხსნიდნენ, ენის მოჩლექით მიმეორებდნენ ერთსა და იმავეს, მე კი გული მაინც ეჭვით მქონდა სავსე. უცებ დაფიქრდებოდნენ, პატარა ბავშვის ფანდს ხომ არ წამოვეგეთო, ბავშვია და არ დავუკვირდითო, არადა, წყალი არ გაუვა, მახეში გვაბამს, რომ მერე „იმაზე“ გვკითხოსო; ბავშვური, უმანკო ხმით არ იკითხოსო: „როგორ დავიბადე? რატომ გავჩნდი?“... უცებ ჩუმდებოდნენ და მსუბუქი ღიმილით შემომყურებდნენ, თან, რატომღაც, გულნატკენებიც ჩანდნენ.

ალბათ, ასე ზედმეტი ფიქრის გამო ეგონათ. მე კი სულაც არ ვაპირებდი „იმაზე“ რაიმეს კითხვას. ძალიან მეშინოდა უფროსების განაწყენების და არც მათი მახეში გაბმა მსურდა.

რამდენიც უნდა ემტკიცებინათ, რამდენიც უნდა დაეცინათ, მაინც ყოველთვის მჯეროდა, რომ საკუთარი დაბადება ვნახე.

იქნებ ვინმე იქ მყოფის მონაყოლი ჩამრჩა მეხსიერებაში, ან იქნებ ჩემი ჯიუტიწარმოსახვის გამო მწამდა ასე. ერთი რამ კი, საკუთარი თვალთ ნანახით, ცოცხლად მიდგას თვალწინ - ჩვილის პირველი განბანისთვის გამოსაყენებელი სათლის კიდე. ახალთახალი ფიცრებისგან შეკრული სათლიდან ვიყურებოდი, რომლის კიდეზეც ნაზად კიაფობდა მზის სხივი. მხოლოდ ის ადგილი ბრწყინავდა - თითქოს ოქროსი ყოფილიყო. ყოველ შერხევაზე წყლის ენები თითქოს სხივის ალოკვას ლამობდნენ, მაგრამ იქამდე ვერა და ვერ აღწევდნენ. სათლის კიდესთან მოსული წყალი, ანარეკლისა თუ იმის გამო, რომ ერთიანად მზის შუქს გაენათებინა, ნაზად კრთოდა და ისე მოჩანდა, თითქოს ჩემ გარშემო პატარა მანათობელი ტალღები თავებით ერთმანეთს ელამუნებოდნენ.

ამ მოგონებას უფროსები იმით უარყოფდნენ, რომ დღისით არ დავბადებულვარ. საღამოს 9 საათზე გავჩენილვარ. ასე რომ, ვერანაირი მზის სხივი ვერ იქნებოდა იმ დროს. დამცინოდნენ, ალბათ ელექტრობის შუქი იყო, მაგრამ მე მაინც მჯეროდა, რომ თუნდაც შუალამე ყოფილიყო, სხივი ნამდვილად კიაფობდა სათლის კიდეზე.

ასე ჩამრჩა მეხსიერებაში საკუთარი დაბადებისას დანახული მორიალე სხივი, რომელიც წყლის ყოველ შერხევაზე სათლის

კიდესთან კრთოდა.

დიდი მიწისძვრის(კანტოს დიდი მიწისძვრა 1923 წელს მოხდა). ორი წლის თავზე დავიბადე. ათი წლით ადრე კი ბაბუაჩემმა, რომელიც ერთ-ერთი კოლონიის მმართველი იყო, სკანდალის თავიდან ასარიდებლად, ხელქვეითის ცოდვები თავის თავზე აიღო და სამსახურიდან წამოვიდა (გადამეტებული ნათქვამი არ გეგონოთ, ისეთი სულელური ნდობა, როგორც ბაბუაჩემს ადამიანების მიმართ ჰქონდა, ცხოვრებაში არ მინახავს). მას შემდეგ ჩვენი ოჯახის საქმე, თითქოს დამრეც ფერდობზე მოგორავსო, დიდი სისწრაფით, გუგუნითა და ზრიალით დაეშვა ქვემოთ-ქვემოთ.

უზარმაზარ ვალებს, გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევას, გაყიდულ სახლს და კარ-მიდამოს - ამდენ სიდუხძირეს ოჯახის წევრების მძიმე ხასიათებით ნასაზრდოები ავადმყოფური პატივმოყვარეობაც ემატებოდა.

ამიტომაც იყო, რომ ქალაქის არცთუ კარგ ნაწილში, ნაქირავებ სახლში დავიბადე. სახლს რკინის ყიშკარი, წინა ეზო და სამლოცველოსავით დიდი, დასავლური სტილის მისაღები ოთახი ჰქონდა. გორაკიდან თუ გადმოხედავდი, ორსართულიანი ჩანდა, ქვემოდან თუ ახედავდი - სამსართულიანი. ჩაჟამებული, უაზროდ პომპეზური სახლი იყო, ბნელი ოთახებითა და ექვსი შინამოსამსახურით. სულ ათი კაცი სახლობდა ამ ძველი კომოდივით ძრიალა სახლში.

ბაბუაჩემის „საქმოსნობა“ და ბებიაჩემის ავადმყოფობა და მავნე ჩვევები ჩვენი ოჯახის უბედურებების სათავე იყო. ბაბუაჩემთან ხშირად მოდიოდნენ საექვო მეგობრები, რაღაც საქემები მოჰქონდათ და საექვო პროექტებში ეპატიჟებოდნენ. ოქროს

კომპეზიციური მეოცნებე ბაბუაც ხშირად ეგებოდა ანკესზე და სულ სადღაც ცხრა მთას იქით დაიარებოდა. ძველი გვარის ოჯახიდან გამოსულ ბებიაჩემს ბაბუაჩემი მთელი არსებით სძულდა. ის მტკიცე ნებისყოფის მქონე, პოეტური სულის ადამიანი იყო. ტვინის ნერვის ქრონიკული ტკივილი ბოლოს უღებდა და დეპრესიაში აგდებდა, თუმცა ამავედროულად ინტელექტსაც უზრდიდა. ნეტავ ვინმე თუ ხვდებოდა, რომ სიგიჟის ეს შეტევები, რომლებმაც სიკვდილამდე მიიყვანა, ბაბუაჩემის ახალგაზრდობის შეცოდებების დანატოვარი იყო?

აი, ასეთ ოჯახში მიიყვანა მამამ სიფრიფანა, ულამაზესი პატარძალი - დედაჩემი.

ტაიშოს მეთოთხმეტე წლის(1925 წ.). 14 იანვრის დილას დედას მშობიარობის ტკივილები დაეწყო, საღამოს 9 საათზე კი 2,5კგ.-მდე ჩვილი - მე გავჩნდი. მეშვიდე ღამეს ჩითის შიდა მოსაცმელი, ნაზი, კრემისფერი აბრეშუმის სამოსი და იშვიათი ნაქარგით მორთული კომონო ჩამაცვეს. ბაბუაჩემმა მთელი ოჯახის წინაშე დაწერა ჩემი სახელი ძვირფას ქალაქზე, „სამი საგანძურის“ თავზე მოათავსა და ტოკონომში(ერთგვარი ნიშა ტრადიციულ იაპონურ სახლში). დადო.

თმა დიდხანს დამრჩა ოქროსფერი. ზეითუნის ზეთს მისვამდენ, სანამ არ გამიმუქდა. დედაჩემი და მამაჩემი მეორე სართულზე ცხოვრობდნენ. მეორე სართულზე ჩვილის ყოლა ძალიან ძნელი და საშიშიაო და ამ საბაბით, დაბადებიდან ორმოცდამეცხრე დღეს, ბებიაჩემი დედას გამომგლიჯა. გავიზარდე ჩახუთულ ოთახში, რომელშიც მოხუცისა და ავადმყოფობის სუნი იდგა. მთელ დღეებს იქ ვატარებდი, ბებიაჩემის ხველითა და ავადმყოფობით გაჟღენთილ ოთახში.

ერთი წლისაც არ ვიყავი, რომ კიბეზე დავგორდი და შუბლი ვიტკინე. ბებია თეატრში წასულიყო. ჩემმა მშობლებმა დრო იხელთეს და მამაჩემის ბიძაშვილებთან ერთად ერთობოდნენ. დედაჩემი მეორე სართულზე რაღაცის ასაღებად ავიდა და მეც ავეტორდიალე, კიმონოს კალთაზე ხელი გამეშვა და კიბეზე ჩამოვგორდი.

მაშინვე კაბუკის თეატრში დარეკეს. ბებიაჩემი შემოსასვლელში შემოვიდა თუ არა, ჯოხს დაეყრდნო და მამაჩემს მშვიდად მიაჩერდა. მერე დამარცვლით, აულელვებლად ჰკითხა:

- უკვე მოკვდა?

- არა!

მაშინ ბებია, როგორც ქურუმი ტაძარში, ისე შემოვიდა სახლში - იმგვარივე თავდაჯერებით.

ოთხი წლის ვხდებოდი. ახალი წლის იმ დილას რაღაც ყავისფერი ამოვალებინე. ოჯახის ექიმს დაუძახეს. ვერ გადარჩებაო. ქაფურისა და გლუკოზის ნემსები მიკეთეს. ორ საათზე მეტი ხნით წელზემთ მთლიანად გავშეშდი. აღარც პულსი მესინჯებოდა. ხალხი უკვე ჩემს გვამს დაჰყურებდა. სუდარა და საყვარელი სათამაშოები მომიტანეს, მთელი ოჯახი მოგროვდა. ერთ საათში უეცრად მოვშარდე.

გადარჩებაო, თქვა დედაჩემის უფროსმა ძმამ, რომელიც ექიმი იყო. გადარჩება, მოშარდვა გულის მუშაობის უტყუარი საბუთიაო. ცოტა ხანში ისევ გამეპარა. ბოლოს და ბოლოს, ჩემს ღაწვებს სიცოცხლის ფერი შეეპარა და მკვდრეთით აღვდექი.

ეს დაავადება - თვითინტოქსიკაცია - ჩემი სენი გახდა. თვეში ერთხელ ხან მძიმე და ხან მსუბუქი ფორმით მეწვეოდა ხოლმე. არაერთხელ დამდგარა კრიტიკული მომენტი. მორიგი შეტევის მოახლოებისას უკვე ვხვდებოდი, სიკვდილს ვუხლოვდებოდი თუ ვშორდებოდი.

ჩემი პირველი მოგონება - ნამდვილი მოგონება, რომელიც მეტისმეტი სიცხადით მტანჯავს - სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის.

ვიღაცის ხელი მეჭირა, სადღაც მივყავდი. არ მახსოვს, ვინ იყო: დედა, მომვლელი, მოახლე თუ ბებია. არც სეზონი მახსოვს. აღმართზე სახლები საღამოს მკრთალი მზის სხივებში გახვეულიყო. უცნობს ამ სახლებისკენ ავყავდი. ზემოდან ვიღაც ჩამოდიოდა. ქალმა მაგრად მომქაჩა და მას გზა დაუთმო. ეს მოგონება ყოველი გახსენებისას სულ უფრო ძლიერდება და ყოველ ჯერზე ახალ მნიშვნელობას იძენს. აი, ამ ბუნდოვან სცენაში დაღმართზე მომავალ ფიგურას მეტისმეტად ნათლად და გარკვევით ვხედავ. სწორედ ესაა ის პირველი მოგონება, რომელიც მთელი ცხოვრება მტანჯავს.

დაღმართზე ერთი ბიჭი მოდიოდა. ფეკალიებით სავსე კასრი მხრებზე გაედო, ჭუჭყიანი პირსახოცი კი შუბლზე ჰაჩიმაკად(ნაჭერი, რომელსაც შუბლზე იკრავენ ოფლისაგან თვალების დასაცავად. )შემოეკრა. ლამაზი ლოყები შეფაკლოდა, თვალები უბრწყინავდა. მძიმედ მოაბიჯებდა. მუქი ლურჯი მოტკეცილი სამუშაო შარვალი და სამუშაო ტაბი(იაპონური წინდები, თითებთან ორად გაყოფილი.) ეცვა - ღამის ფეკალიების შემგროვებელი იყო. ოთხი წლისა, ამ სანახაობას თვალს ვერ ვაშორებდი. ვერ ვხვდებოდი, რომ ეს იყო პირველი გამოცხადება, რაღაც საოცარი, ბნელი ძალა, რომელიც მეძახდა. ფეკალიების შემგროვებლისადმი გაჩენილი პირველი გრძნობებიც ალეგორიულია. ფეკალია ხომ



მიწის სიმბოლოა. აშკარაა, რომ ფესვების დედა, მიწა მეძახდა თავისი შავბნელი სიყვარულით.

თითქოს წინასწარ ვიგრძენი, რომ ამ სამყაროში მწველზე მწველი სურვილი არსებობს. თვალწინ მედგა ის ბინძური ბიძი და სურვილი მკლავდა, რომ მისნაირი გავმხდარიყავი. „ის მინდა, გამოვიდე“, „ის მინდა, გავხდე“. ამ სურვილის ორი მიზეზი მახსენდება. ერთი იყო მუქი ლურჯი მოტკეცილი შარვალი, მეორე კი – პროფესია. შარვალი მის წელქვემოთა კონტურს გამოკვეთდა. კარგად მახსოვს, როგორ მოქნილად მოემართებოდა ჩემკენ. ვერ გადმოვცემ, როგორი აღფრთოვანებით ვუყურებდი ამ შარვალს, ისე რომ მიზეზიც კი არ მესმოდა.

მისი პროფესია. როდესაც სხვა ბიჭები უკვე სარდლობაზე ოცნებობდნენ, მე ფეკალიების შემგროვებელი მინდოდა, გავმხდარიყავი. უდავოდ მუქი ლურჯი შარვლის ბრალი იყო, თუმცა მხოლოდ შარვალიც არ იქნებოდა მიზეზი. ეს სურვილი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და საკუთარ განსხვავებულობაზე მიმანიშნებდა.

იყო რაღაც სევდიანი ამ პროფესიაში, რაც ჩემს ლტოლვას იწვევდა. ვგრძნობდი „ტრაგიკულობას“, მთელი თავისი დრამატიზმით. ეს პროფესია თითქოს გთხოვდა: „იყავი ის, ვინც ხარ“ - უდარდებლობის, საფრთხესთან სიახლოვის, ამაოებისა და სიცოცხლის წყურვილის ბრწყინვალე ნარევი გახლდათ. გრძნობათა ასეთმა ნაკადმა ოთხი წლის ბავშვი ერთიანად დამატყვევა. ალბათ ფეკალიების შემგროვებლის პროფესია რაღაც სხვაში ამერია. შესაძლოა, სხვა პროფესიაზე მიყვებოდნენ და მე, ბიჭის სამოსით მოხიბლულმა, უნებურად მასთან დავაკავშირე. სხვა ახსნას ვერ ვპოულობ.

სულ მალე გრძნობები უკვე ჰანადენში(მატარებელი, რომელსაც დღესასწაულზე ყვავილებით რთავდნენ.) მძღოლებისა და მეტროს კონტროლიორების მიმართ გამიჩნდა. ჩემთვის უცხო იყო მათი სამყარო, იქიდან სამუდამოდ გარიყული ვიყავი. ამიტომაც მეჩვენებოდა მათი ცხოვრება საოცრად „ტრაგიკულად“. განა ასე არ იყო კონტროლიორის შემთხვევაში? მეტროსადგურებში გამეფებული რეზინისა და პიტნის სუნნი, მის ოქროსფერდილებიან ლურჯ ფორმასთან ერთად, ჩემში „ტრაგიკულობის“ განცდას იწვევდა. ასეთ სუნში მყოფი ადამიანის ცხოვრება როგორ არ უნდა ყოფილიყო ტრაგიკული! იმხანად ტრაგიკულობას ასე განვსაზღვრავდი: ის ჩემგან მოშორებულ ადგილას, ჩემთვის უცხო ადამიანების თავს გადამხდარ ამბებს უკავშირდებოდა. ვოცნებობდი, მეც ამ გარიყული სამყაროს ნაწილი ვყოფილიყავი, სულ ამ ხალხსა და მათ ცხოვრებაზე ვფიქრობდი და ვდარდობდი. ეს ტრაგიკულობის განცდა, არც მეტი, არც ნაკლები, მომავალი გარიყულობის წინათგრძნობა იყო.

კიდევ ერთი ადრეული მოგონება მაქვს.

ხუთი წლის ასაკში წერა-კითხვა უკვე ვიცოდი. ესე იგი, იმ ნახატებიან წიგნს რომ ვათვალთვლებდი და ვერ ვკითხულობდი, ოთხი წლისა ვიყავი. ნახატებიანი წიგნებიდან მხოლოდ ერთი მიყვარდა და იმ წიგნშიც მხოლოდ ერთი გვერდი იყო, რომელსაც მუდმივად ჩავკირკიტებდი. შემეძლო ამ ნახატისთვის ძალიან დიდხანს მეყურებინა და ასე გადამეგორებინა შუადღის მოსაწყენი საათები, თუმცა როგორც კი ვინმე უფროსი მოვიდოდა, რატომღაც, დანაშაულის გრძნობა მიპყრობდა და წიგნს მაშინვე სხვა გვერდზე ვშლიდი. ამიტომაც, მომვლელებისა და მოახლეების ყურადღება საკმაოდ შემაწუხებელი გახდა. მინდოდა, მთელი დღე იმ ნახატისთვის მეყურებინა. როგორც კი იმ გვერდზე გადავშლიდი, გულისცემა მიჩქარდებოდა, სხვა გვერდებზე კი ვერაფერს

ვგრძნობდი.

ეს იყო თეთრ ცხენზე ამხედრებული ჟანა დ"არკი, ხელში ხმლით. ცხენს ნესტოები სიბრაზისაგან დაჰბეროდა და ძლიერი წინა ფეხებით ბუღს აყენებდა. ჟანა დ"არკის ვერცხლისფერ აბჯარზე ლამაზი გერბი იყო გამოსახული. მუზარადიდან ლამაზი სახე მოუჩანდა, მოშიშვლებული ხმალი შთამბეჭდავად აღემართა ცისკენ - პირდაპირ სიკვდილისკენ თუ რაღაც სხვა უბედურებისკენ მიემართებოდა. მჯეროდა, რომ შემდეგ გვერდზე უკვე მოკლულს ვნახავდი. მეგონა, თუ სწრაფად გადავშლიდი, მომდევნო გვერდზე მის გვამს დავინახავდი. მინდოდა, ნახატებიან წიგნს, ამოუცნობი ძალით, შემდეგი წამის ჩვენება შეძლებოდა.

ერთხელაც მომვლელმა შემთხვევით ამ გვერდზე გადაშალა წიგნი და ჩუმ-ჩუმად მოთვალთვალეს მკითხა:

– პატარა ბატონო, ამ ნახატის ისტორია იცი?

– არ ვიცი.

– კაცს ჰგავს, არა? არადა, ქალია. კაცივით ჩაიცვა და სამშობლოს გულისთვის ომში წავიდა.

– ქალი?

თითქოს ფეხქვეშ მინა გამომეცალა. კაცი მეგონა და ქალი აღმოჩნდა! როგორ შეიძლებოდა, რომ ეს ლამაზი რაინდი ქალი ყოფილიყო?! (მამაკაცის სამოსში გამოწყობილი ქალის მიმართ დღესაც აუხსნელ, ძლიერ ზიზოს ვგრძნობ). ეს ის ვერაგული სამაგიერო იყო, რომელიც რაინდის სიკვდილზე ტკბილად მეოცნებემ მივიღე. მართლაც ძალიან ჰგავდა „რეალობის პირველ

სამაგიეროს“, რომელიც ცხოვრებამ გადამიხადა. წლების შემდეგ ლამაზი რაინდის სიკვდილის ხოტბა ოსკარ უაილდის ამ სტრიქონებში ამოვიკითხე:

„ლერწამსა და ლელქაშში განისვენებს მოკლული,

ის ლამაზი რაინდი...“

ამის შემდეგ ის წიგნი აღარ დამითვალთვალა. ხელშიც კი აღარ ამიღია.

ჰუისმანსი თავის რომანში „იქ“ წერს ჟილ დე რეს შესახებ, რომელიც შარლ VII-მ თავად დანიშნა ჟანა დ'არკის მცველად: იგი მალევე გახდა ფრიად ნატიფი ბოროტებისა და დახვეწილი დანაშაულების ჩამდენიო. მისტიციზმით მის გატაცებას იმით ხსნის, რომ ჟანა დ'არკის ძნელად დასაჯერებელ სასწაულებს პირადად შეესწრო. აი, ჩემზე კი სულ საპირისპირო გავლენა მოახდინა ორლენელმა ქალწულმა.

კიდევ ერთი მოგონება.

ოფლის სუნი. ოფლის სუნი, რომელიც წინ მიბიძგებს, აღმაფრთოვანებს და სრულად მმართავს.

ყურს თუ დავუგდებ, ძალიან სუსტი, თითქოს მუქარანარევი ხმა მესმის. ცოტა ხანში საყვირიც უერთდება და წკრიალა, მაგრამ საოცრად სევდიანი სიმღერის ხმაც ახლოვდება. ჩქარა, ჩქარა!-მეთქი, მოახლეს ხელს ვკიდებ და მივათრევ. ის კი ხელში მიყვანს და ჭიშკრისკენ მივყავარ.

სწავლებიდან დაბრუნებული ჯარია. ასეთ დროს ბავშვების

მოყვარული ერთ-ერთი ჯარისკაცი ცარიელ მასრებს მჩუქნიდა ხოლმე. ბებია მსგავსი საჩუქრების მიღებას მიკრძალავდა - საშიშიაო, ამიტომ ამ გრძნობას აკრძალული ხილის ხელში ჩაგდებათ გამოწვეული სიხარულიც ემატებოდა. ჯარისკაცების ყელიანი ფეხსაცმელების ხმა, ჭუჭყიანი უნიფორმები, მხრებზე გადებული იარაღების ტყე - რომელი ბავშვისთვის არ იქნებოდა მეტად მიმზიდველი?! მაგრამ მე სულ სხვა რამ მხიბლავდა: ნაჩუქარ მასრებზე მეტად მათი ოფლის სუნი მიზიდავდა.

ჯარისკაცების ოფლის სუნი, ტბის სიოსავით, სანაპიროს ოქროსფერი ჰაერივით, ნესტოებში მრჩებოდა და მათრობდა. ჩემი ყნოსვითი მოგონებებიდან ეს ალბათ სულ პირველია. სუნი, რა თქმა უნდა, სექსუალურ შეგრძნებებს პირდაპირ არ უკავშირდებოდა. მათი ჯარისკაცული ცხოვრება, პროფესიის ტრაგიკულობა, სიკვდილთან სიახლოვე, შორეული ქვეყნები, რომელთა ნახვაც მოუწევდათ აი, ეს მხიბლავდა, ეს იწვევდა დაუოკებელ ლტოლვას, რამაც, საბოლოოდ, მთელი ჩემი ცხოვრება განსაზღვრა.

აი, ეს საუცხოო სურათები, საუცხოო ზმანებებია ის, რასაც ცხოვრებაში პირველად გადავეყარე. თვალწინ ყოველთვის სრულყოფილი სახით წარმომიდგებიან - ერთი დეტალიც კი არ აკლია რომელიმეს. წლების შემდეგაც კი ჩემი ყოველი ცნობიერი ქმედება აქედან იღებს სათავეს.

ბავშვობიდან მოყოლებული, სიცოცხლის ჩემეული აღქმა წინასწარ განსაზღვრულობის ავგუსტინესეულ იდეას თანხვდებოდა. ამ კონცეფციიდან ერთხელაც არ გადამიხვევია.

ყოველთვის მტანჯავდნენ უსაფუძვლო ეჭვები, რომლებიც დღემდე აგრძელებენ ჩემს წამებას. თუ ამ ეჭვებსა და ყოყმანს ცდუნებად მოვიაზრებთ, მაინც შეიძლება ითქვას, რომ

დეტერმინიზმისთვის არ მიღალატია. სანამ წაკითხვას შევძლებდი, მანამდე მომაწოდეს მშფოთვარე ცხოვრება, როგორც ჩამოწერილი მენიუ. ისლა დამრჩენოდა, ხელსახოცი გამეშალა და მაგიდას მივჭჯდომოდი. ახლაც, ასეთ ექსცენტრულ წიგნს რომ ვწერ, იმ მენიუში მაქვს ნანახი, წყალი არ გაუვა.

ბავშვობა - ეს ის სცენაა, სადაც დრო და სივრცე აბურდულა, ერთმანეთს შერევია. მაგალითად, ჩემთვის თანაბარი მნიშვნელობის მოვლენები იყო: ვულკანის ამოფრქვევა, სამხედრო აჯანყება, უფროსების მოყოლილი სხვადასხვა ქვეყნის ახალი ამბები, ჩემ თვალწინ მომხდარი ჩხუბები, ბებიაჩემის შეტევები და წარმოსახვით სამყაროში თავს გადახდენილი ზღაპრული ამბები. არ ვთვლიდი, რომ ეს სამყარო კუბიკებით აგებულ შენობაზე უფრო რთული იყო. „საზოგადოება“, რომელში ცხოვრებაც ადრე თუ გვიან მომიწევდა, ნამდვილად არ მიმაჩნდა ჩემი ზღაპრების სამყაროზე უფრო ბრწყინვალედ და თავბრუდამხვევად. ასე, გაუცნობიერებლად გაჩნდა ის, რაც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ განმსაზღვრელად იქცა. და რადგანაც მას თავიდანვე ვებრძოდი, ჩემს ყველა ფანტაზიას სასოწარკვეთის ელფერი დაკრავდა. ფანტაზიები უცნაურად დასრულებული იყო და მძაფრ სურვილს წააგავდა.

ლამით, როდესაც ლოგინში ვიწექი, ჩამოწოლილ უკუნეთში მბრწყინავი ქალაქი ჩნდებოდა. ყველაფერი ჩუმი ბრწყინვალეებითა და საიდუმლოთი იყო აღსავსე. იქ მყოფ ადამიანებს, ყველას იდუმალეზა აღბეჭდოდა სახეზე. შინ შუადამით ბრუნდებოდნენ. სიტყვებსა და მანერებში დიდი, რაღაც მასონური იდუმალეზა შემორჩენოდათ. მეტიც, თითქოს რცხვენოდათ კიდეც პირდაპირ სახეში შემოხედვა. თითქოს მათ სახეებს თუ შეეხებოდი, მიხვდებოდი, რომელი საღებავები გამოიყენა ლამის ქალაქმა მათ შესაღებად - ზუსტად ისე, სადღესასწაულო ნიღაბს რომ შეეხები და

ვერცხლისფერი მტვერი გრჩება თითებზე.

ლამის ფარდა ჩემ თვალწინ გაიხსნა. სცენაზე შიოკიოკუსაი ტენკაცუ იდგა (მაშინ შინჯუკუს თეატრში გამოდიოდა. წლების შემდეგ ბევრად უფრო გრანდიოზული წარმოდგენა იმავე სცენაზე ილუზიონისტ დანტეს შესრულებით ვნახე, მაგრამ ვერც მან და ვერც ჰაგენბეკის ცირკმა მსოფლიო გამოფენაზე ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ჩემზე, როგორც ტენკაცუმ).

მისი ფუმფუმა სხეული აპოკალიფსის დიდი მეძავის კოსტიუმში იყო გამოწყობილი. სცენაზე თავისუფლად დააბიჯებდა. გაძევებული დიდგვაროვნების მედიდური დიდსულოვნება, სევდიანი მიმზიდველობა, გმირული თავდაჭერა, იაფფასიანი სამოსის კაშკაშა ფერები, მთხრობელი ქალებისთვის სახასიათო სქელი გრიმი, ფეხის თითებამდე უმარილით დაფარული სხეული, ხელოვნური ქვებით მორთული ლამაზი სამაჯურები - ეს ყველაფერი თავისებურ მელანქოლიურ ჰარმონიას ქმნიდა. ცალკეული დეტალები დისჰარმონიის ჩრდილს კი აყენებდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამასაც ჰარმონიულობის განცდასთან მივყავდით.

მომინდა, ტენკაცუ გავმხდარიყავი, თუმცა ვხვდებოდი, რომ ჰანადენშის მძლოლობა და ტენკაცუობა ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდებოდა. თვალშისაცემი განსხვავება კი ის იყო, რომ ამ უკანასკნელზე საერთოდ ვერ იტყოდი, ტრაგიკულიაო. ტენკაცუობის სურვილი ჩემში სევდასაც იწვევდა და სინდისის ქენჯნასაც - ამ გამაღიზიანებელი გრძნობებით ვცხოვრობდი. ერთ დღესაც, აჩქარებული პულსითა და ორვოფობით, დედაჩემის ოთახში შევიპარე და ტანსაცმლის კარადა გამოვაღე.

დედაჩემის კომონოებიდან ყველაზე მდიდრული და ფერადი ამოვარჩიე. წელზე თურქი ფაშასავით შემოვირტყე

აღისფერვარდებიანი ობი(კომონოს ქამარი.), თავზე კი აბრეშუმის ფუროშიკი(შესაფუთი ქსოვილი, რომელიც გამოიყენებოდა ტანსაცმლისთვის, საჩუქრებისთვის, სხვადასხვა ნივთისთვის.) შემოვიხვიე. სარკეში რომ ჩავიხედე, ამ იმპროვიზებულმა თავსაბურავმა „განძის კუნძულის“ მეკობრეები მომაგონა და სახე გიჟური სიხარულით ამელეწა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა მემუშავა საკუთარ თავზე. თავით ფეხებამდე, ყოველი ჩემი ქმედებით, იდუმალების შემქმნელს უნდა დავმსგავსებოდი. ჯიბის სარკე ობიში ჩავიდე, სახეზე ცოტა უმარილი შევიყარე. შემდეგ ცილინდრული ვერცხლისფერი ფარანი, ძველებური ლითონის კალამი და ყველაფერი, რაც კი მზრწყინავი მომხვდა თვალში, ხელში დავიძირე.

აი, ასეთ ფორმაში, ძალიან სერიოზული სახით, ბებიაჩემის მისაღებში შევვარდი. გიჟურ სიხარულს ვეღარ ვიკავებდი:

- ტენკაცუ ვარ, ტენკაცუ!

ვყვიროდი და ვბზრიალებდი. ოთახში ავადმყოფი ბებია, დედა, ვილაც სტუმარი და მოახლე იყვნენ. თუმცა მე ვერავის ვხედავდი. სრულიად აღმაფრთოვანებდა ის, რომ ჩემს ტენკაცუს მაყურებლები ჰყავდა. საკუთარი თავის გარდა, ვეღარაფერს ვამჩნევდი. მაგრამ უეცრად დედაჩემს შევხედე - ფერი დაეკარგა და დაბნეული სახით იჯდა. როგორც კი ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა, მაშინვე თავი შეაბრუნა.

ყველაფერს მივხვდი. თვალებზე ცრემლები მომადგა.

რას მივხვდი იმ დროს? ან რამ მაიძულა, მივმხვდარიყავი? ნუთუ ეს მინიშნება იყო ჩემი ცხოვრების მთავარი პრობლემის დასაწყისზე? „ცოდვის წინმსწრები სინანული“? თუ გაკვეთილი იყო



ჩემთვის, იმის საჩვენებლად, როგორი საცოდავი მარტოსული ვიყავი სიყვარულის თვალში? თუ, პირიქით, იმას მაჩვენებდა, რომ სიყვარულის მიღება არ შემეძლო?

მოახლემ ხელი ჩამავლო, გვერდით ოთახში გამათრია და, როგორც ქათამს აპუტავენ ბუმბულს, ისე შემომმაგლიჯა ტანსაცმელი.

მასკარადით გატაცება კინემატოგრაფის შემოსვლასთან ერთად უფრო გამიძლიერდა და დაახლოებით ცხრა წლამდე გამიგრძელდა.

ერთხელ ჩვენს მომსახურე ბიჭთან ერთად მუსიკალური ფილმის, „ფრა დიავოლოს“ სანახავად წავედი. დიავოლოს როლის შემსრულებლის, სამეფო კარის მოხელის კოსტიუმი დაუვიწყარი იყო. სახელოებში გრძელი თასმები ჰქონდა გაყრილი, მოფრიალე ბოლოებით.

– ასეთი რაღაც მინდა, მეცვას! ნეტავ ასეთი პარიკი დამახურა თავზე! - ეს რომ ვთქვი, მოსამსახურე ბიჭმა დამცინავად ჩაიფხუკუნა. არადა, ვიცოდი, მოახლეების ოთახში თვითონაც ხშირად ბაძავდა იაეგაკი-ჰიმეს და მოახლეებს აცინებდა.

ტენკაცუს შემდეგ საშინლად გამიტაცა კლეოპატრამ. ერთ თოვლიან დოღოეზემი ხვენწა-მუდარის შემდეგ, ახლობელმა ექიმმა მის შესახებ გადაღებული ფილმის სანახავად წამიყვანა. რადგანაც წლის ბოლო იყო, დარბაზში ცოტა ხალხი დაგვხვდა. ექიმმა ფეხები წინა სკამების ხარისაზე შემოაწყო და დაიძინა. მარტო დარჩენილი, მთლიანად მომნუსხა ეგვიპტის დედოფალმა, რომელიც უამრავ მონას ტახტრევნით შეჰყავდა რომში. მომხიბლა მისმა ქუთუთოებმა, ბოლომდე რომ შეეღება თვალის ჩრდილებით, რაც ერთიორად სევდიან გამომეტყველებას აძლევდა. სრულიად გამიტაცა კლეოპატრას არაამქვეყნიურმა სამოსმა და სპარსული

ხალიჩიდან წამომდგარმა, ქარვისფერმა, ნახევრად შიშველმა სხეულმა.

ამჯერად ბებიისა და მშობლებისგან მალულად, უმცროსი და-ძმის წინაშე ვიცვამდი იმ სამოსს, კლეოპატრად რომ გადამაქცევდა (ეს ყველაფერი უკვე ცოდვასა და განცხრომას ჰგავდა). რას ველოდი ქალის სამოსის ჩაცმისგან? მოგვიანებით მსგავსი გატაცება ჰელიოგაბალუსში აღმოვაჩინე - რომის იმპერატორში, მონარქ-დეკადენტში, რომელმაც თავისი ზეობის ხანაში რომის უძველესი ღმერთები დაამხო.

ჩემი ცხოვრების ორი შესავალი უკვე მოგიყევით. შეგახსენებთ: პირველი იყო ფეკალიების შემგროვებელი, ორლენელი ქალწული და ჯარისკაცების ოფლის სუნი, მეორე კი - შიოკიოკუსაი ტენკაცუ და კლეოპატრა.

ახლა კი მესამე, აუცილებლად მოსაყოლი შესავალი.

ბავშვობაში ზღაპრების ყველა წიგნს ვკითხულობდი, რაც კი ხელში მხვდებოდა. არასდროს მომწონდა პრინცესები. მხოლოდ პრინცები მიყვარდა, განსაკუთრებით კი ის პრინცები, რომლებსაც კლავდნენ ან სასიკვდილოდ იყვნენ განწირულნი. ყველაზე ვგიჟდებოდი, ვისაც სიკვდილი ელოდა. ჯერ არ მესმოდა, რატომ ჩამივარდა გულში ანდერსენის ზღაპრებიდან მაინცდამაინც „ვარდისფერი ელფი“ - ზღაპარი ლამაზ ყმაწვილზე, რომელიც შეყვარებულის ნაჩუქარ ვარდს კოცნიდა და ამ დროს ბოროტმა გმირმა დანა გაუყარა და თავი მოაჭრა. ასევე გაუგებარი იყო, უაილდის უამრავი ზღაპრიდან „მეთევზე და ქალთევზა“ რატომ მომწონდა ყველაზე მეტად. განსაკუთრებით ის მხიბლავდა, მეთევზის გვამს, რომელსაც ქალთევზა ჰყავს ჩახუტებული, ზღვა ნაპირზე რომ გამორიყავს.

რა თქმა უნდა, ბავშვური რაღაცებიც მომწონდა. ანდერსენის „ბულბულიც“ ძალიან მიყვარდა, კომიქსების კითხვაც მახარებდა. მაგრამ გული მაინც სიკვდილისკენ, ღამისა და სისხლისკენ მიმიწევდა.

„მოკლული პრინცების“ ზმანებები მუდამ თან მდევდა. აბა, ვინ ამიხსნიდა, თუ რატომ მიტაცებდა ასე ძლიერ პრინცები, მოტკეცილი ტრიკოებით? ან რატომ მსიამოვნებდა მათი სასტიკი სიკვდილის წარმოდგენა? ერთი უნგრული ზღაპარი მახსენდება. ძალიან დიდხანს მატყვევებდა ამ ზღაპრის ფერადი, მეტად რეალისტური ილუსტრაციები.

ერთ-ერთ ილუსტრაციაზე პრინცს შავი ტრიკო და მკერდზე ოქროსფერნაქარგიანი ვარდისფერი ბლუზა ეცვა, ალისფერსარჩულიანი, მუქი ლურჯი მოსასხამი წამოესხა, წელზე კი მომწვანო-ოქროსფერი ქამარი შემოერთყა. მომწვანო-ოქროსფერი მუზარადი, მუქი ალისფერი ხმალი, მწვანე ტყავის საისრე - აი, ეს იყო მისი შეიარაღება. თეთრი ტყავის ხელთათმანით შემოსილ მარცხენა ხელში მშვილდი ეჭირა, მარჯვენა ხელი კი ბებერი ხის ტოტებზე ჩამოედო. უდავოდ შთამბეჭდავი, ტკივილით სავსე გამომეტყველებით, მის ჩასაყლაპად პირდაღებულ შემზარავ გველეშაპს ხახაში ჩაჰყურებდა. ამ გამომეტყველებაში სიკვდილისთვის მზაობა იგრძნობოდა. პრინცს გველეშაპთან ბრძოლა რომ მოეგო, აღტაცება ნამდვილად შემისუსტდებოდა. საბედნიეროდ, სიკვდილისთვის იყო განწირული.

სამწუხაროდ, სიკვდილი დასასრული არ აღმოჩნდა. იმისათვის, რომ და გადაერჩინა და მზეთუნახავზე დაქორწინებულიყო, შვიდჯერ უნდა გამოეცადა სიკვდილი. პირში დამალული ჯადოსნური აღმასის წყალობით, პრინცი შვიდივეჯერ გაცოცხლდა და

ბედნიერად გააგრძელა ცხოვრება. ჩემს საყვარელ ნახატზე პირველი გამოცდა იყო ასახული: „გველეშაპი პრინცს ჭამს“. მომდევნო სიკვდილი ასეთი იყო: „უზარმაზარი ობობა პრინცს იჭერს, მის სხეულს შხამიანი წვენით ავსებს და ჭამს“. ამის შემდეგ პრინცი წყალში იხრჩობოდა, ცეცხლში იწვოდა, კრაზანები და გველები კბენდნენ, ბასრი ხმლებით სავსე ორმოში ვარდებოდა და ქვების წვიმაში ხვდებოდა.

დაწვრილებით იყო აღწერილი, როგორ ჭამდა გველეშაპი პრინცს:

„გველეშაპმა პრინცი მაშინვე ხრამუნით ჩაღეჭა. პრინცს წარმოუდგენლად სტკიოდა, გველეშაპი რომ აქუცმაცებდა. ვერ უძლებდა ტკივილს, მაგრამ მაინც გაართვა თავი ამ გამოცდას. ნაკუწებად ქცეული, მოულოდნელად გამთელდა და მოხდენილად გადმოხტა გველეშაპის პირიდან. სხეულზე ერთი ნაკაწრიც კი არ ჰქონდა. გველეშაპი იქვე უსულოდ დაეცა და მოკვდა“.

ეს ადგილი ასჯერ მაინც წავიკითხე. „სხეულზე ერთი ნაკაწრიც კი არ ჰქონდა“ - ეს წინადადება დიდ შეცდომად მიმაჩნდა. მისი კითხვისას მეგონა, რომ ავტორმა მიღალატა, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა.

ერთხელაც ასეთი რამ აღმოვაჩინე: რამდენიმე სიტყვას ხელს ვაფარებდი და ამ მონაკვეთს ისე ვკითხულობდი. ასე თუ ვიზამდი, ზღაპარი იდეალური ხდებოდა:

„გველეშაპმა პრინცი მაშინვე ხრამუნით ჩაღეჭა. პრინცს წარმოუდგენლად სტკიოდა, გველეშაპი რომ აქუცმაცებდა. ვერ უძლებდა ტკივილს. იქვე უსულოდ დაეცა და მოკვდა“.

ასეთი ცენზურა უფროსებისთვის აბსურდი იქნებოდა. თავად

მოზარდი, ამპარტავანი ცენზორისთვისაც კი ნათელი იყო „გველემაპი აქუცმაცებდა“-სა და „უსულოდ დაეცა და მოკვდა“-ს შეუთავსებლობა. მაგრამ ვერც ერთ წინადადებას ვერ შეველიე.

მსიამოვნებდა, როცა საკუთრ თავს ბრძოლის ველზე დაცემულად ან, უბრალოდ, მოკლულად წარმოვიდგენდი. და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, საშინლად მეშინოდა სიკვდილის. მოახლეს ვაწვალეზი, ვატირეზი. მას კი მეორე დღეს, ღიმილიანი სახით, თითქოს არც არაფერი მომხდარაო, საუზმე შემოჰქონდა. ამ ღიმილს სხვადასხვა მნიშვნელობას ვაძლევდი. სხვა რა უნდა ყოფილიყო, თუ არა გამარჯვებულის ეშმაკური ღიმილი? ვშიშობდი, სამაგიეროს გადახდის მიზნით, ჩემი მოწამვლა აქვს ჩაფიქრებული-მეთქი. შიშისგან გული მიფრიალებდა - მისოს სუკში ნამდვილად შხამი გაურია-მეთქი. ასეთ დღეებში მისოს სუკს პირს არ ვაკარებდი. რამდენჯერ ყოფილა, რომ საუზმე მომითავებია, წამოვმხტარვარ და მოახლეს სახეში მივშტერებივარ. თითქოს ვეუბნებოდი: „ხედავ?“ მეგონა, მაგიდაზე დატოვებული, გაცივებული, მტვერდაყრილი მისოს სუკისკენ ისე იყურებოდა, თითქოს დარდისაგან აღარ იყო, თითქოს წამოდგომაც კი აღარ შეეძლო, რადგან ჩემი მოწამვლის გეგმა ჩავუფუშე.

ბებია, სუსტი ჯანმრთელობის გამო, მეზობლის ბიჭებთან თამაშს მიკრძალავდა. იმაზეც ზრუნავდა, რომ მათგან ცუდი რაღაცები არ მესწავლა. თამაში მხოლოდ მოახლეებთან, მომვლელებთან და მეზობლის სამ გოგოსთან შემეძლო. სულ ოდნავი ხმაური, კარის მიჯახუნება, სათამაშო საყვირის ხმა, სუმო და ხმამაღალი შეძახილები ბებიას მარჯვენა მუხლში ტკივილს იწვევდა, ჰოდა, ჩვენც მხოლოდ გოგოების ჩუმ თამაშებს ვთამაშობდით. ამიტომაც შემეძვარდა მარტო ყოფნა, წიგნების კითხვა, კუბიკების აწყობა, ოცნება, ხატვა. როდესაც ჩემი უმცროსი და-ძმა გაჩნდა (რომლებიც ჩემსავით ბებიასთვის არ გადაუციათ გასაზრდელად), მამამ იზრუნა

იმაზე, რომ მათ ბავშვურად ლაღად ეთამაშათ. დიდად არ შემშურებია მათი თავისუფლებისა და თავაშვებულობისა.

სხვაგვარად იყო საქმე, როდესაც ბიძაშვილებთან სტუმრად მივდიოდი. მაშინ კი მომეთხოვებოდა, „ნამდვილი ბიჭივით“ მოვექცეულიყავი. ერთ-ერთ ბიძაშვილთან სტუმრობისას, რომელსაც, პირობითად, სუგიკოს ვუწოდებ, ღირსშესანიშნავი რამ მოხდა. მაშინ ექვსი წლის ვიყავი და უკვე დაწყებით კლასში ვსწავლობდი. დეიდების ქებამ - როგორ გაზრდილხარ, რა დიდი ხარ უკვეო! - ბებიაჩემს გული მოუღბო და სადილობისას გამონაკლისი დაუშვა. გახშირებული თვითინტოქსიკაციის შიშით, მანამდე ლურჯფარფლიანი თევზის ჭამას მიკრძალავდა. მხოლოდ თეთრხორციანი პალტუსი, კამბალა და კაპარჭინა გამესინჯა. კარტოფილს დაჭყლეტილსა და საწურში გატარებულს მაჭმევდა. სოიოს ტკბილეული მეკრძალებოდა, ვჭამდი მხოლოდ თხელ ორცხობილებს, ვაფლებსა და მსგავს ხმელ ნამცხვრებს. ხილიდან თხლად დაჭრილი ვაშლი და ძალიან ცოტა მანდარინი მეჭმეოდა. პირველი ლურჯფარფლიანი თევზი - ყვითელკუდა - დიდი სიამოვნებით შევჭამე. გარდა იმისა, რომ ეს გემო თავს დიდად მაგრძნობინებდა, ერთ გულისწამლებ შიშსაც მიმატებდა: გაზრდისა და უფროსად ქცევის შიშს. ახლაც, ყოველ ჯერზე, როცა ყვითელკუდას ვჭამ, დიდობის ტვირთი მწარე გემოს მიტოვებს ენის წვერზე.

სუგიკო ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე გოგონა იყო. როდესაც მათთან ვრჩებოდი, ღამით ერთ ოთახში, გვერდიგვერდ გვაძინებდნენ. თავს ბალიშზე დადებდა თუ არა, თითქოს რაღაც მარტივი მექანიზმი აქვსო, ეგრევე იძინებდა, რაც ჩემში შურსა და აღტაცებას იწვევდა. მე ხომ ბევრს ვწვავლობდი ჩაძინებაზე. მის სახლში უფრო თავისუფლად ვიყავი. იქ ჩემი წართმევის მოსურნეები - ჩემი მშობლები - არ იყვნენ, ჰოდა, ბებიაც მშვიდად

გრძნობდა თავს და მეც თავისუფლად მათამაშებდა. რადგან შინ არ ვიყავით, აუცილებელი აღარ იყო, რომ სულ მის თვალწინ ვყოფილიყავი.

თუმცა ასე გაზრდილ ბავშვს მაინც არ შემეძლო თავისუფლებით ბოლომდე ტკბობა. ავადმყოფობის შემდეგ ფეხზე ახლად წამომდგარივით, უხილავი ვალდებულებებით შებოჭილი ვიყავი და თავს უხერხულად ვგრძნობდი. იმ ავადმყოფს ვგავდი, ისევ საწოლში კოტრიალი რომ ენატრება. ამ სახლში კი ჩვეულებრივი ბიჭივით მოქცევა მომეთხოვებოდა. ჰოდა, ფარული თეატრალური წარმოდგენაც იწყებოდა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ როდესაც ხალხის წინ ვთამაშობდი, მათ ეს ჩემი ნამდვილი სახე ეგონათ; ხოლო როდესაც ბუნებრივად ვიქცეოდი, ამას თამაშად მიიჩნევდნენ.

ერთ-ერთი ასეთი, არცთუ სასურველი წარმოდგენის დროს ვუთხარი სუგიკოსა და მეორე ბიძაშვილს:

– მოდით, ომობანა ვითამაშოთ!

ომობანა მაინცდამაინც შესაფერი თამაში არ იყო. არც მეტოქე ამორძალეებს გამოუხატავთ დიდი აღფრთოვანება. გოგონებს იმიტომ შევთავაზე ომობანა, რომ თავს ვალდებულად ვთვლიდი, მათი გულის მოგება არ მეცადა და მეტ-ნაკლებად გამეწვალეებინა, როგორც ნამდვილ ბიქს.

ბინდჩამოწოლილ ეზოში უხალისოდ, ზერელედ ვთამაშობდით. ბუჩქებს ამოფარებული სუგიკო ავტომატის მსგავს ხმას გამოსცემდა:

– ტა-ტა-ტა-ტა!

უკვე დროა, დავასრულო-მეთქი, გავიფიქრე და სახლში შევვარდი. გოგონები ტა-ტა-ტა-ტა-ს ძახილით უკან მომდევდნენ. გულზე ხელი მივიდე და მისაღებ ოთახში ქანცგაწყვეტილი გავიშხლართე.

- რა მოგივიდა? - გაფითრებული სახეებით მომცვივდნენ.

- ბრძოლაში მოვკვდი, - გაუნძრევლად ვუპასუხე. თვალიც არ გამიხელია.

საკუთარი დაგრეხილი სხეული რომ წარმოვიდგინე, სიხარულმა ამიტაცა. ძალიან მესიამოვნა იმაზე ფიქრი, რომ მესროლეს და ვკვდებოდი. ასე მეგონა, ტყვია მართლაც რომ მომხვედროდა, ტკივილს ვერ ვიგრძნობდი.

ბავშვობის წლები...

ერთი სცენა ახლაც თვალწინ მიდგას. ეს სცენა მთელი ბავშვობის სიმბოლო მგონია. როცა დავინახე, ვიგრძენი, როგორ დამტოვა ბავშვობის წლებმა და დასამშვიდობებლად ხელი დამიქნია. ჩემი შინაგანი დრო გარეთ გამოვიდა და ამ სცენის წინ გაჩერდა. გმირები, მოძრაობები, ხმები ზუსტად გაიმეორა. რომ დაასრულა, თვალსა და ხელს შუა თავდაპირველი სცენა გაქრა და ხელთ მხოლოდ მისი ასლი შემრჩა. ერთი სიტყვით, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ახლა ჩემი ბავშვობის წლების ფიტული მიპყრია. ყველას უნდა ჰქონდეს ბავშვობის წლების ერთი ასეთი შემთხვევა. თუმცა ხშირად ისე უბრალოდ გამოიყურება, შემთხვევასაც ვერ უწოდებ და შეიძლება ყურადღება არც მიაქციო.

ჩემი სცენა კი ასეთი იყო:



ერთხელ ზაფხულის დღესასწაულის მონაწილეები ჭიშკარში შემოცვივდნენ.

ბებია ორგანიზატორს მოლაპარაკებია და იმასაც ისე მოუწყვია, რომ სადღესასწაულო პროცესიას, ფეხებმტკივანი მოხუცისა და მისი სუსტი შვილიშვილის გულის გასახარად, ჩვენს ქუჩაზე, ჩვენი სახლის წინ ჩაევლო. ჩვეულებრივ, მოზეიმეები ამ ქუჩას გვერდს უვლიდნენ, მაგრამ ორგანიზატორის მოწადინებით, პროცესიამ გეზი იცვალა და წესად აქცია ჩვენს ქუჩაზე გავლა.

ოჯახის წევრებთან ერთად ჭიშკრის ნინ ვიდექი. ორნამენტებიანი რკინის ჭიშკარი ფართოდ იყო გამოღებული, ქვით მოპირკეთებული ეზო სუფთა წყლით მოერეცხათ. დოლის გუგუნი ახლოვდებოდა.

მერე სიმღერაც შემომესმა - სევდიანზე სევდიანი მელოდია. ქაოსური დღესასწაულის, ამ ცრუ აურზაურის ჭეშმარიტი არსი სწორედ ამ სიმღერაში იგრძნობოდა. ის თითქოს სრულად გადმოსცემდა ადამიანისა და მარადისობის შეხვედრის ვულგარულობას - იმ სევდას, რაც უზნეობისა და ღვთისმოსაობის აღრევას მოაქვს. შერეული ხმებიდან ნელ-ნელა ვაცალკევებდი ნინ მიმავალი ბერის კვერთხის რკინის რგოლების ხმას, დოლის ყრუ გუგუნს, ტახტრევის მზიდავების შეძახილებს. გული ამოვარდნაზე მქონდა და სუნთქვა მეკვროდა (მას შემდეგაა, რომ ძლიერი მოლოდინის დროს სიხარულს კი არ ვგრძნობ, ვიტანჯები). შინტოისტ მსახურს, რომელსაც კვერთხი ეჭირა, მელიის ნიღაბი ეკეთა. იდუმალი მხეცის ოქროსფერმა თვალებმა გამაშეშა და ერთიანად მომნუსხა. გვერდზე მდგომის კალთას ჩავაფრინდი. მსვლელობა აღტაცებასთან ერთად შიშსაც მგვრიდა. გაქცევა მომინდა. სწორედ მაშინ გამიჩნდა ეს დამოკიდებულება, რომლითაც ცხოვრებას ვუპირისპირდები ხოლმე: როდესაც რაღაცას ძალიან ველოდები,

ოცნებებში ერთავ და ვკაზმავ, საბოლოოდ, სხვა გზას არ ვიტოვებ და გავრბივარ.

ბოლოს შემოწირულობის ყუთი ჩამოატარეს, რომელსაც შიმენავა(თოკი, რომელსაც ადგილის შემოსასაზღვრად იყენებენ, ბოროტებისგან დამცავი თილისმა.) ჰქონდა შემოხვეული. მას ბავშვების მხიარული ჯგუფი მოსდევდა. ბოლოს კი შავ-ოქროსფერი, დიდი, საზეიმო ტახტრევანი მოგვიახლოვდა. შორიდანვე მოჩანდა მის თავზე დამაგრებული ზღაპრული ოქროს ფენიქსი, რომელიც ტალღებზე მოფარფატე ფრინველივით ირხეოდა. ამის დანახვისას ყველას უცნაური მღელვარება დაგვეტყო. ტახტრევანი ზანტად ირწეოდა, მის გარშემო ჰაერი ტროპიკულივით ჩახუთულიყო. ისე მოჩანდა, თითქოს ის ახალგაზრდების შიშველ მხრებს ბოროტი განზრახვით აწვებოდა. თეთრ-წითელი სქელი თოკის იქით, შავად გალაქული სახელურებისა და ოქროსფრად შეღებილი, დაგმანული კარის მიღმა, ოთხი შაკუს(სიგრძის საზომი ერთეული, 30,3 სმ.) სიდიდის წყვილიანი გამეფებულიყო. ამ ადრეული ზაფხულის უღრუბლო შუადღეს ზევით-ქვევით და მარჯვნივ-მარცხნივ მოძრავი ეს ოთხკუთხედი ცარიელი სიბნელე მართავდა.

ტახტრევანი ზუსტად ჩვენ თვალწინ აღმოჩნდა. ერთნაირ საზაფხულო კიბონოებში გამოწყობილი, ნახევრად შიშველი ყმაწვილები ისე მოძრაობდნენ, თითქოს თავად ტახტრევანი იყო მთვრალი. ფეხი ერეოდათ და თითქოს ცხვირწინაც კი ვერაფერს ხედავდნენ. ერთ ახალგაზრდას უზარმაზარი მარაო ეჭირა ხელში და დანარჩენებს შეძახილებით ამხნევებდა. დროგამომშვებით ტახტრევანი ცალ მხარეს ძალიან იხრებოდა. მაშინ გიჟური შეძახილებით ასწორებდნენ ხოლმე.

არ ვიცი, რა ძალა ზემოქმედებდა მათზე.

ერთ წამს ამ მოცეკვავე პროცესიას ვუყურებდით, მეორე წამს კი, თითქოს უფროსებმა რაღაც იგრძნესო, ვიღაცის ხელმა უკან გამათრია.

– ფრთხილად! – დაიყვირა ვიღაცამ. ამის შემდეგ რა მოხდა, ვეღარ გავიგე. ვიღაცის ხელი მეჭირა და ბაღში გავრბოდით. მერე სახლში შევცვივდით და ჩავიკეტეთ.

მეორე სართულზე ამათრიეს. აივანზე გავედით და სუნთქვაშეკრულები ვუყურებდით ჩვენს წინა ეზოში შემოვარდნილ ბრბოს, რომელსაც შავი ტახტრევანი მოჰქონდა.

წლების შემდეგაც სულ ვფიქრობ, რა ძალამ აიძულათ, ასე მოქცეულიყვნენ? როგორ გადაწყვიტა რამდენიმე ათეულმა ახალგაზრდამ ასე უცებ ჩვენს ეზოში შემოვარდნა?

ნარგავები გადაგვითელეს. ნამდვილი ზეიმი მოაწყვეს. მობეზრებული წინა ეზო სულ სხვა სამყაროდ აქციეს. ტახტრევნით შემოიარეს მთელი ბაღი და ყოველი ბუჩქი გაანადგურეს. ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა. ხმები ერთმანეთს ფარავდა. ჩემს ყურს ხან სრული დუმილი, ხან კი გამაყრუებელი გრუხუნი სწვდებოდა. ფერების შემთხვევაშიც ასე იყო: ოქროსფერი, წითელი, იისფერი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი და თეთრი სწრაფად ენაცვლებოდა ერთმანეთს და ხან მხოლოდ ოქროსფრად ჩანდა ყველა ფერი, ხან – წითლად.

ერთი რამ კი ნათელი იყო – ის, რამაც მტანჭველი და თან გასაოცარი გრძნობით აღმავსო: ტახტრევნის მზიდავებს გარყვნილ, ბედნიერ სახეებზე სიცოცხლით თრობა აღბეჭდოდათ.

## მეორე თავი

მთელი წელი იყო, იმ ბავშვივით ვიტანჯებოდი, რომელსაც უცნაური სათამაშო ჩაუვარდა ხელში. თორმეტი წლის ვიყავი.

ეს სათამაშო ყოველ ჯერზე, როდესაც მოცულობაში იზრდებოდა, მიმანიშნებდა, რომ სწორად გამოყენების შემთხვევაში საინტერესო თამაშს მპირდებოდა. თუმცა გამოყენების მეთოდები არსად ეწერა და როდესაც ჩემთან თამაშის სურვილს გამოთქვამდა, ძალიან ვიბნეოდი. ზოგჯერ ისე მამცირებდა, ისეთი აღზნებული იყო, მისი დაზიანება, მისთვის ძრილობის მიყენება მინდებოდა. თუმცა საბოლოოდ მაინც ამ ტკბილ საიდუმლოს - ჯიუტსათამაშოს ვნებდებოდი და უმოქმედოდ ველოდი, რა მოხდებოდა.

ბოლოს გადავწყვიტე, სათამაშოსთვის უფრო უემოციოდ, გულგრილად დამეგდო ყური. აღმოვაჩინე, რომ მას გარკვეული გემოვნება ჰქონდა, რაღაც-რაღაცებს უპირატესობას ანიჭებდა და ერთგვარ მექანიზმს წარმოადგენდა. მისი გემოვნება არა მხოლოდ ბავშვობის მოგონებებს უკავშირდებოდა, არამედ ზაფხულში ზღვაზე ნანახ შიშველ ახალგაზრდებსა და მეიჯის ბალის აუზის მოცურავეებსაც, ბიძაშვილის შავგვრემან საქმროსა თუ სათავგადასავლო რომანების მამაც გმირებსაც. მანამდე მსგავსი რაღაცებით ჩემი გატაცება მხოლოდ პოეტური მეგონა.

ჩემი სათამაშო მაშინვე თავს წამოყოფდა ხოლმე, როგორც კი სიკვდილს, სისხლს ან დაკუნთულ სხეულს წარმოვიდგენდი. ჩვენთან ერთი ბიჭი მსახურობდა და ის ჩუმი მათხოვებდა ხოლმე

ილუსტრირებულ ჟურნალებს, რომლებშიც სათავგადასავლო მოთხრობები იბეჭდებოდა. ჟურნალებში ნახავდით სისხლიან დუელებს, მუცელგაფატრულ ახალგაზრდა სამურაებს, დაჭრილ, კბილებმოდრეციან ჯარისკაცებს, რომლებსაც სამხედროფორმიან მკერდზე ხელი მიეჭირათ, იქიდან კი სისხლი მოედინებოდა... იქვე იყო გასუქებული, დაკუნთული სუმოს მოჭიდავეების ფოტოები და ა. შ. მსგავსი რაღაცების ყურებისას ჩემი სათამაშო თავს მაშინვე ცნობისმოყვარედ წამოყოფდა ხოლმე (თუ ზედსართავი „ცნობისმოყვარე“ უადგილოა, შეგვიძლია ვთქვათ: „სიყვარულით“ ან „ვნებიანად“).

ამ ყველაფერს რომ მივხვდი, უკვე გაცნობიერებულად, წინასწარი განზრახვით დავიწყე სიამოვნების მიღება. არჩევანიც და რიგითობაც განვსაზღვრე. თუ ჩავთვლიდი, რომ ჟურნალის სურათი დამაკმაყოფილებელი არ იყო, ფერადი ფანქრებით მის ასლს ვხატავდი და მას დამაკმაყოფილებელ სახეს ვაძლევდი. ასე დავხატე ცირკში მომუშავე, მუხლებზე დავარდნილი ახალგაზრდა, რომელიც მკერდში იყო დაჭრილი. თოკზე მოსიარულე აკრობატს თავის ქალა გაპობილი ჰქონდა, სახე კი სანახევროდ სისხლს დაეფარა. სკოლაში ყოფნისას სულ მეშინოდა, რომ წიგნების კარადის უჯრაში შენახულ ჩემს სასტიკ ნახატებს აღმოაჩენდნენ. შიშით გაკვეთილსაც კი ველარ ვუსმენდი. ნახატების ნაჩქარევად გადაგდებაც არ შემეძლო, რადგან სათამაშო მათ ძალიან მისჩვეოდა.

ამგვარად ვატარებდი ცარიელ დღეებსა თუ თვეებს და ჩემი სათამაშოს არათუ პირველადი, მეორადი დანიშნულებაც კი (რომელსაც „მავნე ჩვევას“ ვუწოდებ) არ ვიცოდი.

ჩემ გარშემო სხვადასხვაგვარი ცვლილებები მოხდა. იმ სახლიდან გადავედით, რომელშიც დავიბადე და ერთმა ოჯახმა ორ

შენობაში დავიწყეთ ცხოვრება, თუმცა კი ერთმანეთს ნახევარი კვარტალიც არ გვაშორებდა. ერთ სახლში მე, ბებია და ბაბუა ვცხოვრობდით, მეორეში კი - დედა, მამა და ჩემი და-ძმა. ამასობაში მამა სამთავრობო მივლინებით ევროპაში წავიდა - იქაური ქვეყნები მოიარა და უკან დაბრუნდა. მალევე დედ-მამას სხვაგან გადასვლა მოუწია. მამაჩემმა შემთხვევით ისარგებლა და ჩემი დაბრუნების თაობაზე დაგვიანებული გადაწყვეტილება მიიღო. ჩემი და ბებიაჩემის განშორების სცენას „თანამედროვე ტრაგედია“ უწოდა. საბოლოოდ, ჩემს მშობლებთან ერთად, ახალ სახლში გადავედი. ბებია-ბაბუის სახლამდე მატარებლის რამდენიმე გაჩერება იყო, ასევე - ტრამვაის ხაზიც. ბებიას ჩემი ფოტო ჰქონდა ჩახუტებული და მთელ დღეებს ტირილში ატარებდა. მათთან კვირაში ერთხელ უნდა დავრჩენილიყავი და თურაიმე მიზეზის გამო ვერ მოვახერხებდი, მაშინვე ისტერიკა ეწყებოდა. თორმეტი წლისას გიჟური გრძნობით შეპყრობილი სამოცი წლის „შეყვარებული“ მყავდა.

მამა სამსახურიდან ოსაკაში გადაიყვანეს. იქ უკვე მარტო წავიდა.

ერთ დღეს, მსუბუქი გაცივების გამო, სკოლაში არ გამიშვეს. ამით ვისარგებლე, მამაჩემის ჩამოტანილი ალბომებიდან რამდენიმე ამოვარჩიე, ჩემს ოთახში შევიკეტე და გულმოდგინედ დავიწყე თვალიერება. განსაკუთრებით მომხიბლა იტალიის მუზეუმების ბუკლეტებმა და ბერძნული ქანდაკებების ფოტოებმა. ცნობილ ნახატებსა და შიშველ ფიგურებზე მეტად სწორედ ეს შავ-თეთრი ფოტოები მომეწონა. ამას მარტივი ახსნა მოვუძებნე: ძალიან რეალურად გამოიყურებოდნენ და ალბათ ამიტომაც მომწონდა.

ამგვარი ალბომები იმ დღეს პირველად ვნახე. ბავშვებს ჭუჭყიანი ხელებით რომ არ დაესვარათ, ძუნწი მამაჩემი მათ საგულდაგულოდ

მალავდა კარადის სიღრმეში (ალბათ კიდევ იმიტომაც, რომ ნახატებზე გამოსახული შიშველი ქალები არ მენახა. ოჰ, როგორ ცდებოდა!). ისე, თვითონაც არ ველოდი, რომ ალბომებში უფრო მეტს ვნახავდი, ვიდრე ჩემს ილუსტრირებულ ჟურნალებში. ერთ-ერთი ალბომის თვალყურებას ვამთავრებდი, გადავფურცლე და უცებ, კუთხეში, თითქოს მე მელოდაო, ერთი რეპროდუქცია გამოჩნდა.

ეს იყო გენუაში, პალაცო როსოში გამოფენილი გვიდო რენის „წმინდა სებასტიანი“.

ტიციანისებურად ჩაბნელებულ ტყეში, საღამოს ცის მკრთალ შუქში, ცოტათი გადახრილ ხეზე საოცრად ლამაზი, შიშველი ყმაწვილია მიბმული. ხელები მალლა აწეული და გადაჯვარედინებული აქვს. მაჯები იმ თოკით შეუკრავთ, რომლითაც ხეზეა მიბმული. სხვაგან თოკები არ ჩანს. ყმაწვილის შიშველ სხეულს მხოლოდ წელქვემოთ შემოხვეული, რბილი, თეთრი ქსოვილი ფარავს.

მივხვდი, რომ ქრისტიანი მოწამე გამოესახათ. თუმცა რენესანსის ეპოქის მიწურულის ეკლექტური სკოლის წარმომადგენლის, ესთეტი მხატვრის მიერ დახატული სებასტიანი წარმართობის სურნელს აფრქვევდა. ანტინოეს სადარ ამ სხეულს, რატომღაც, სხვა წმინდანების მსგავსად, ტანჯვისა და სიბერის კვალი არ ატყვია. აქ მხოლოდ სიყმაწვილე, სინათლე, სილამაზე და სიამოვნებაა.

მუქ ფონზე თეთრი, შეუდარებელი სხეული პირდაპირ ანათებს. პრეტორიანელის ძლიერი მკლავები, მშვილდის მოზიდვასა თუ ხმლის ქნევას ჩვეული, ახლა უჩვეულო კუთხეს ქმნის - ზუსტად თავს ზემოთ, მაჯებში გადაჯვარედინებული დაუბამთ. სებასტიანს თავი გვერდზე გადაუხრია და ფართოდ გახელილი თვალები

მშვიდად აღუპყრია ზეციური დიდებისაკენ. მის გამოწეულ მკერდში, დაჭიმულ მუცელში, ოდნავ მოგრეხილ თეძოებში ტკივილის ნაცვლად მელანქოლიური ტკბობა იგრძნობა - ის, რასაც მუსიკის მოსმენისას ვგრძნობთ ხოლმე. მარცხენა ილიასა და მარჯვენა ფერდში ღრმად ჩასობილი ისრები რომ არა, იფიქრებდით, რომელი ათლეტია, რომელიც საღამოს ბინდში დასასვენებლად ბაღში ხეს მიყრდნობიაო.

ისრები მის დაჭიმულ, სურნელოვან, ნორჩ ხორცშია შესობილი. თითქოს სხეული, უძლიერესი ტკივილისა და სიამოვნების ალით, შიგნიდან იწვისო. თუმცა, სხვა ნახატებისგან განსხვავებით, სადაც სებასტიანის წამებაა ასახული, აქ არც სისხლს ვხედავთ და არც - უამრავ ისარს. მხოლოდ ორი ისარია, რომელთა ნაზი ჩრდილიც ისე ეცემა შიშველ სხეულზე, როგორც ანტიკურ მარმარილოს კიბეზე - ხის ტოტების ჩრდილი.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უკვე მოგვიანებით გაკეთებული დასკვნები და დაკვირვებებია.

როგორც კი ამ ნახატს დავხედე, იმწამსვე მთელი ჩემი არსება ცოდვიანმა სიხარულმა მოიცვა. სისხლი ამიდულდა და შინაგანი ორგანოები სიბრაზით ამეწვა. გაზრდილი და გასასკდომად გამზადებული ჩემი ერთი ნაწილი, არნახული სიძლიერით, ჩემგან მოქმედებას ელოდა, უცოდინრობას მსაყვედურობდა და გაბრაზებული ხვნიშოდა. და ხელმაც ისეთი მოძრაობები დაიწყო, რომლებიც აქამდე არც კი იცოდა, არავის უსწავლებია. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ჩემს შიგნიდან რაღაც ბნელი, დამპყრობელი ძალა ამოიმართა. გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ მან დამაბრმავებელი თრობით ამოხეთქა.

ცოტა დრო რომ გავიდა, მაგიდას თვალი მოვაცილე და



საცოდავად მიმოვიხედე. ფანჯრის მიღმა მდგომი ნეკერჩხლის ჩრდილი სამელნეზე, სახელმძღვანელოებზე, ლექსიკონებზე, რვეულებსა და ალბომებზე ეცემოდა. ყველგან თეთრი, მღვრიე შხეფები იყო: სახელმძღვანელოს ოქროსფერ სათაურზე, სამელნის კიდეზე, ლექსიკონის კუთხეზე. ზოგი წვეთი ნელა მიიზღაზნებოდა, ზოგი კი მკრთალად ანათებდა მკვდარი თევზის თვალებივით... საბედნიეროდ, ის ალბომი, ხელის სწრაფი რეაქციის წყალობით, დასვრას გადაურჩა.

ეს ჩემი პირველი ეაკულაცია იყო - „მაგნე ჩვევის“ დასაწყისი, მოუხერხებელი და ყოველმხრივ მოულოდნელი.

საინტერესო დამთხვევად მეჩვენება ის, რომ მაგნუს ჰირშფელდი ჰომოსექსუალების საყვარელ ნახატებსა და ქანდაკებებს შორს პირველ ადგილს „წმინდა სებასტიანს“ ანიძებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰომოსექსუალებში, განსაკუთრებით კი მათში, ვინც ასეთად დაიბადა, უამრავია ისეთი შემთხვევა, როდესაც გარყვნილებისა და სადიზმის იმპულსები განუყოფლად ებმის ერთმანეთს.

გადმოცემის მიხედვით, წმინდა სებასტიანი მესამე საუკუნის შუა ხანებში დაიბადა, რომის პრეტორიანელ მცველთა კაპიტანი გახდა, 30 წლის ასაკში კი ხანმოკლე სიცოცხლე მოწამეობრივად დაასრულა. ის იმპერატორ დიოკლეტიანეს ზეობისას, ჩვ.წ.აღ-ით 288 წელს გარდაიცვალა. დიოკლეტიანე დაბალი ფენიდან გამოსული, მრავალტანჯული კაცი იყო, ხალხის პატივისცემა კი შედარებით რბილი მმართველობის გამო დაიმსახურა. აი, მის თანამმართველს, იმპერატორ მაქსიმილიანს კი სძულდა ქრისტიანობა. მან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა აფრიკელ ახალგაზრდას, მაქსიმილიანუსს, რომელმაც, მშვიდობის ქრიტიანულ იდეაზე დაყრდნობით, სამხედრო სამსახურს თავი

აარიდა. ასმეთაურ მარცელიუსის სიკვდილით დასჯის მიზეზიც ასეთივე რელიგიური თავდადება იყო. ამგვარ ისტორიულ ფონზე წმინდა სებასტიანის მოწამეობა უკვე გასაგები ხდება.

მცველთა კაპიტანმა, სებასტიანმა ჩუმად მიიღო ქრისტიანობა. როდესაც გამომჟღავნდა, რომ დაპატიმრებულ ქრისტიანებს ჩუმ-ჩუმად ანუგეშებდა და თავად ქალაქის მმართველიც კი ქრისტიანობაზე მოექცია, დიოკლეთიანემ მას სიკვდილი მიუსაჯა. უთვალავი ისრით განგმირული სებასტიანი მიატოვეს. მის დასამარხად მისულმა ღვთისმოსავმა ქვრივმა შეამჩნია, რომ სხეული ჯერ კიდევ თბილი იყო, უმკურნალა და გააცოცხლა. თუმცა მალევე სებასტიანი ისევ წინ აღუდგა იმპერატორს და მისი ღმერთები გალანძლა. ამჯერად ხელკეტებით ცემაში ამოხადეს სული.

წმინდანის აღდგომის ეს ლეგენდა სასწაულებისადმი სწრაფვას, სასწაულების მოთხოვნილებას უნდა უკავშირდებოდეს. უამრავი ისრით მიყენებულ ჭრილობებს რომელი სხეული გაუძლებდა!

იმის საჩვენებლად, თუ რამდენად იყო ამ ნახატისადმი გაჩენილი მძაფრი გრძნობები ჩემივე ბუნების ნაწილი, პროზად დაწერილ, დაუსრულებელ ლექსს გაგაცნობთ, რომელიც კარგა ხნის შემდეგ დავწერე.

წმინდა სებასტიანი (ლექსი პროზად)

ერთხელ საკლასო ოთახის ფანჯრიდან არც ისე მაღალი ხე შევამჩნიე, რომელიც ქარისაგან ირწეოდა. როდესაც ვუყურებდი, გული ამიფრთხილდა. საოცრად ლამაზი ხე იყო. როგორც შანდალს, აქეთ-იქით სიმეტრიულად ჰქონდა გაწვდილი სიმწვანით დამძიმებული ტოტები. ამ სიმწვანიდან შავი აბანოზის ტანი

კვარცხლბეკივით მოჩანდა. ხე სრულყოფილ სინატიფესა და ბუნების გრაციოზულ უდარდებლობას ავლენდა. ისე იდგა, თითქოს საკუთარი თავის შემოქმედი თავადვე ყოფილიყო. ნათელ მდუმარებას ინარჩუნებდა და ამასთანავე ნამდვილი ხელოვნების ნიმუშს მოგაგონებდათ. უფრო მუსიკალურ ნაწარმოებს. გერმანელი სახელოვანი კომპოზიტორის კამერულ მუსიკას. ის წმინდა მუსიკა იყო, კედელზე დასაკიდი გობელენივით, სიმკაცრითა და მონატრებით სავსე, სასიამოვნო რელიგიური მუსიკა...

თავში გამიელვა აზრმა, რომ ხის ფორმისა და მუსიკის მსგავსებას ჩემთვის რაღაც მნიშვნელობა ჰქონდა, რომ როდესაც ეს ორი ერთმანეთს დავუკავშირე, ამით უფრო ღრმა აზრი შევძინე. რა გასაკვირია, რომ ერთ აუწერელმა შთაბეჭდილებამ ჩემში, ლირიკული განწყობის მაგივრად, მწუხარებით აღსავსე თრობა გამოიწვია - რაღაც ისეთი, მუსიკისა და რელიგიის შერწყმისას რომ წარმოიშობა. უცებ გულში ვიკითხე: „ეს ის ხე ხომ არ არის?“

„ის ხე ხომ არ არის, ახალგაზრდა წმინდანი ხელებით რომ იყო მიბმული და მის ტანზე წვიმის შემდეგ დარჩენილი წვეთებივით რომ მოედინებოდა წმინდანის სისხლი? სიკვდილის ჟამს ტანჯვით აღსავსე სხეული რომ ეკვროდა და იკრუნჩხებოდა (ვშიშობ, ეს ამქვეყნიური განცხრომისა და ტანჯვის უკანასკნელი კვალი იყო), ის რომაული ხე ხომ არ არის?“

მოწამეების ცხოვრებათა ქრონიკების მიხედვით, დიოკლეტიანეს ტახტზე ასვლიდან წლების შემდეგ, როდესაც ის უკვე ჩიტის ფრენასავით შეუზღუდავ ძალაუფლებაზე ოცნებობდა, საიმპერატორო დაცვის მეთაური ძალიან ჰგავდა სახელოვანთქმულ აღმოსავლელ მონას, რომელიც ყოფილ იმპერატორ ადრიანეს უყვარდა. მას გრაციოზული სხეული და შეთქმულის მრავლისმთქმელი, თუმცა კი ზღვასავით გულგრილი მზერა ჰქონდა.

აკრძალულ ღმერთს აღიარებდა - გაუგეს დანაშაული და შეიპყრეს. ლამაზი და ქედმაღალი იყო. მის მუზარადს თეთრი შროშანი ამშვენებდა - ყოველ დილით ქალაქელი გოგოები რთავდნენ. სამხედრო წვრთნებს შორის, შესვენებისას, თავს რომ ხრიდა, მის მამაკაცურ თმაში გაბლანდული ეს შროშანი გედის ყელს ემსგავსებოდა.

არავინ იცოდა, სად დაიბადა ან საიდან მოვიდა, მაგრამ გული უგრძობდათ, რომ ეს ახალგაზრდა, მონის იერთა და პრინცის ნაკვთებით, იქ დიდხანს არ გაჩერდებოდა - თავისი გზა ჰქონდა. ხვდებოდნენ, რომ ენდიმიონით ბატკნების მწყემსი იყო; რომ მას სხვა სამოვრებზე უფრო მუქი მწვანე სამოვარი უნდა ეპოვა თავისი ცხვრებისთვის.

რამდენიმე გოგონა დარწმუნებული იყო, რომ ის ზღვიდან მოვიდა, რადგან მისი მკერდიდან ზღვის ხმაური მოისმოდა; რადგან მისი თვალების სიღრმეში ჰორიზონტის ხაზი მოჩანდა ზღვის საიდუმლო საჩუქრად - მხოლოდ იმ სანაპიროზე დაბადებულის თვალებში რომ მოჩანს, ვინც ზღვას ვერ ელევა; რადგან მისი სუნთქვა ზაფხულის ზღვის სიოსავით ცხელი იყო და სანაპიროზე გამორიყული წყალმცენარეების სუნი ასდიოდა.

სებასტიანის, მცველთა ახალგაზრდა კაპიტნის გამოცხადებული სილამაზე განა სიკვდილისათვის არ იყო შექმნილი? განა ეს არ იყო მიზეზი, რომაელმა მკერდსავსე გოგონებმა, რომელთა შეგრძნებებიც სისხლიანი ხორცითა და ძვლებში გასული საუკეთესო ღვინით იყო ნაკვები, მაშინვე რომ იგრძნეს სებასტიანისთვის ჯერ კიდევ უცნობი, უიღბლო ბედისწერის ამბავი? განა ამიტომაც არ უყვარდათ? მის თეთრ ხორცში ხომ სისხლი ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად მიედინებოდა, როდესაც ამ ხორცს დაფლეთდნენ, იქიდან მძვინვარედ რომ გადმოთქრიალებულიყო.

ნუთუვერ გაიგეს გოგოებმა სისხლის ეს მხურვალე ვედრება?

ეს არ არის უიღბლობა. ნამდვილად არ იყო უიღბლობა. ეს ქედმაღლური უბედურება იყო. უფრო კი ბრწყინვალე ბედისწერას ვუწოდებდი.

შესაძლოა, მაგალითად, უტკბესი კოცნის დროს მისი წარბები სიკვდილისწინა ტანჯვას შეეძმუხნა.

თავადაც მხოლოდ ბუნდოვანი წინათგრძნობა ჰქონდა, რომ გასავლელ გზაზე მოწამეობრივი სიკვდილი ელოდა. გრძნობდა, რომ ჩვეულებრივი ხალხისგან სწორედ ტრაგიკული აღსასრული გამოარჩევდა.

და აი, ის დილაც. სამხედრო საქმეებით დატვირთულმა სებასტიანმა ალიონზე გაიღვიძა და წამოხტა. განთიადისას ერთი სიზმარი ნახა. ვითომ ბედკრული კაჭკაჭები მკერდზე ასხდნენ და მოფრთხილად ფრთებით პირს უფარავდნენ. სიზმარი ჯერ კიდევ შერჩენოდა სასთუმალს. მისი ღარიბული საწოლი, რომელშიც ყოველდამე წვებოდა და რომელსაც გამორიყული წყალმცენარეების სუნი ასდიოდა, მას ზღვის სიზმრებში იტყუებდა. ჭრიალა აბჯრით, ფანჯარასთან იდგა და მეორე მხარეს იყურებოდა – ტყით გარშემორტყმული ტაძრის თავზე, ცაში მაზაროთის ვარსკვლავთა გუნდის გაუჩინარებას ადევნებდა თვალს.

როდესაც ამ დიდებულ წარმართულ ტაძარს უყურებდა, სახეზე ჩვეული, ტკივილწარევი ზიზღით სავსე გამომეტყველება გადაეფინა. ერთადერთი ღმერთის სახელი ადიდა და წმინდა წერილიდან ორი-სამი შთამბეჭდავი ნაწყვეტი წაიღიღინა. სუსტი ხმა უმაღვე გამრავლდა და ექოდ დაუბრუნდა, ალბათ ტაძრის, მისი მრგვალი სვეტების მხრიდან, ვარსკვლავიან ცას რომ ებჯინებოდნენ. ეს

დიდებული ბგერები გმინვასავით მოესმა. ისეთი ხმა იყო, თითქოს ვარსკვლავიანი ციდან დაგროვილი ნალექი გრიალით დაემზავა. გაიღიმა. თვალები დახარა და დაინახა გოგონები, ჩვეულებისამებრ, სისხამ დილით სალოცავად ფარულად რომ მოდიოდნენ. ხელში ყველას ჯერ კიდევ მძინარე თეთრი შროშანი ეჭირა...

ზამთარი იდგა. მერვე კლასში ვიყავი. გრძელ შარვლებსა და შენობით მიმართვას უკვე მივჩვეოდით (დაწყებით კლასებში მასწავლებელმა გვიბრძანა, როდესაც ერთმანეთს მიმართავთ, „სან“ დაამატეთო. ასევე, შუა ზაფხულში მუხლამდე წინდები უნდა ჩაგვეცვა. როდესაც გრძელი შარვლის ჩაცმის ნება დაგვრთეს, ყველაზე მეტად ის გაგვიხარდა, რომ ვიწრო წინდების ბარძაყებზე დამაგრება აღარ მოგვიწევდა). საერთო საცხოვრებლის ცხოვრებას უკვე ყველა მისჩვეოდა, ისევე, როგორც მასწავლებლების გასულელებას, სკოლის საჩაიეში ერთმანეთის გამასპინძლებას, სკოლის ტყეში სირბილსა და „ჯუნგლობანას“ თამაშს. მეც ყველაფერს შევეჩვიე, საერთო საცხოვრებლის გარდა. არადა, მეშვიდე-მერვე კლასში ეს სავალდებულო იყო. ჩემმა მზუნველმა მშობლებმა ჩემი ავადმყოფობა მოიმიზეხეს და გამონაკლისი დააშვებინეს. ვხვდებოდი, რომ ისევ და ისევ „ცუდი გავლენის“ არიდება იყო მთავარი მიზეზი.

სახლიდან სკოლაში ცოტანი დავდიოდით. მერვე კლასის ბოლო სემესტრში ამ მცირერიცხოვან ჯგუფს კიდევ ერთი შემოემატა - ბიჭი, სახელად ომი, რომელიც ხულიგნობის გამო საერთო საცხოვრებლიდან გააგდეს. მანამდე ყურადღებას საერთოდ არ ვაქცევდი. როგორც კი „უწესო“ საქციელის გამო გარიყეს, მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ თვალს ვედარ ვაშორებდი.

- ჰა-ჰა! - ხითხითით მოირბინა ჩემთან ერთმა მეგობარმა.

მსუქანა ლოყებზე ფოსოები მოუჩანდა. მივხვდი, რაღაც საიდუმლო შეეტყო.

– მაგარი ამბავი უნდა გითხრა!

გამათბობელს მოვშორდი და ჩემს კეთილ მეგობარს დერეფანში გავყევი. იმ ფანჯარასთან მივედით, საიდანაც მშვილდოსნობის დარბაზი მოჩანდა, რომელშიც ქარი დაბოგინობდა. საიდუმლო საუბრებისთვის, ძირითადად, ეგ ადგილი გვექონდა.

- იცი, ომიმ... - დაიწყო და უცებ გაწითლდა.

ერთხელ, მეხუთე კლასში, საუბარი „იმაზე“ რომ ჩამოვარდა, ამ ბიჭმა უცებ გაგვაჩუმა - ტყუილია ეგ ყველაფერი! მე ზუსტად ვიცი და იმიტომ! ერთხელ კიდევ ჩვენი მეგობრის მამას დამბლა დაეცა, ეს კი მეუბნებოდა, გადამდებია ეგ დაავადება და შვილს არც მივუახლოვდეთო.

- რა ჯანადაბა ქნა ომიმ? - მიუხედავად იმისა, რომ სახლში, ჩვეულებრივ, ზრდილობიანად ვლაპარაკობდი, როგორც კი სკოლაში მივიდოდი, მაშინვე უხეშად ვიწყებდი მეტყველებას.

- ომის „ის“ უქნია! „ის“ რა... მართალს გეუბნები!

ადვილი შესაძლებელი იყო. კლასში ორჯერ თუ სამჯერ ჩარჩენილიყო, აღნაგობითაც გამოირჩეოდა, სახის ნაკვთებითაც - ჩვენგან განსხვავებით, ერთგვარი პრივილეგირებული სიყმაწვილის კვალი ეტყობოდა. უმიზეზოდ დაცინვა უყვარდა. არაფერი იყო ისეთი, რასაც აბუჩად არ იგდებდა. ყველას ზიზღით უყურებდა: საუკეთესო მოსწავლეებს იმის გამო, რომ საუკეთესო მოსწავლეები იყვნენ; მასწავლებლებს იმიტომ, რომ მასწავლებლები იყვნენ;

პოლიციელებს იმიტომ, რომ პოლიციელები იყვნენ; სტუდენტებს იმიტომ, რომ სტუდენტები იყვნენ; კომპანიის თანამშრომლებს იმიტომ, რომ კომპანიის თანამშრომლები იყვნენ. ვერაფერს გააწყობდი, ყველას დასცინოდა.

- მართლა? - რატომღაც, თვალწინ დამიდგა ომის მოხერხებული ხელები, სამხედრო სწავლების დროს შაშხანას რომ წმენდდნენ. გამახსენდა მისი მოხდენილი ფიგურა ოცმეთაურის ფორმაში. აქვე უნდა ითქვას, რომ ტანვარჯიშის მასწავლებელსა და სამხედრო ინსტრუქტორს ომი უყვარდათ და თბილად ექცეოდნენ.

- აბა! აბა! - ჩემმა მეგობარმა, მხოლოდ მერვეკლასელი რომ გაიგებს, ისე ავხორცულად ჩაიხითხითა. - მაგ ტიპს „ისიც“ ძალიან დიდი ჰქონია. აი, „ურცხვობანას“ რომ ვითამაშებთ, შეეხე და ნახავ. მარტო ეგრე გაიგებ, მართალია თუ არა.

„ურცხვობანა“ ჩვენი სკოლის მეშვიდე-მერვეკლასელებში ყველაზე გავრცელებული თამაში იყო. ერთი შეხედვით, უბრალო გართობა ავადმყოფობას უფრო ჰგავდა. დღისით-მზისით, ყველას თვალწინ ვთამაშობდით. ვთქვათ, ვიღაც ჩაფიქრებული იდგა თავისთვის. ამ დროს რომელიმე მოსწავლე მიეპარებოდა და ხელს „იქ“ წაავლებდა. თუ კარგად მოუჭერდა ხელს, გამარჯვებულიც ის იყო - შორს გარბოდა და ხმამაღლა გაიძახოდა:

- რამხელა აქვს! რამხელა აქვს!

არ ვიცი, რა გვიბიძგებდა ამ თამაშისკენ. ალბათ სახალისო იყო იმის ყურება, ილღიებში წიგნებამოჩრილს ყველაფერი ძირს რომ უცვივდებოდა და ორივე ხელით ერთ ადგილს იფარავდა. დაზარალებულის სასაცილოდ დაბნეული სახეც კარგი სანახავი იყო. თუმცა სინამდვილეში თამაშის წამომწყებნი სიცილის



მეშვეობით სირცხვილისგან თავისუფლდებოდნენ, დაზარალებულის აწითლებულ დაწვებში საერთო სირცხვილს ხედავდნენ. მათ საკუთარ მორცხვობა აწუხებდათ და ამის გადასაფარად კიდევ უფრო ხმამაღლა იცინოდნენ.

დაზარალებულები საპასუხოდ ყვიროდნენ:

– ოჰ, რა გარყვნილი ხარ!

მერე ყველა ერთხმად იწყებდა ყვირილს:

– ოჰ, რა გარყვნილი ხარ!

ომი ყველაზე ძლიერი მოთამაშე იყო. მსხვერპლს უსწრაფესად ესხმოდა თავს და ძირითადად - წარმატებით. ისიც კი გავიფიქრე, ყველა მოუთმენლად ხომ არ ელის მის თავდასხმას-მეთქი.

სამაგიეროს გადასახდელადაც ხშირ-ხშირად ატყდებოდნენ თავს დაზარალებულები. თუმცა წარმატებას ვერც ერთმა მიაღწია. ომი ყოველთვის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დადიოდა, მაგრამ როგორც კი ალყაში მოაქცევდნენ, მაშინვე ცალი ხელით ჯიბეში და ცალით გარედან ორმაგ დამცავ ფარს აკეთებდა.

მეგობრის ნათქვამის წყალობით, აზრები შხამიანი სარეველებივით გამიმრავლდა. აქამდე „ურცხვობანას“ თამაშს დანარჩენებივით გულუბრყვილოდ ვუერთდებოდი. მისმა სიტყვებმა კი გაუცნობიერებლად ჩახშობილი „მავნე ჩვევა“ - ჩემი მარტოსული ცხოვრების ნაწილი და ეს თამაში - საჭარო ცხოვრების ნაწილი ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა. მისი სიტყვები „შეეხე და ნახავ“ დანარჩენი გულუბრყვილო მეგობრებისთვის გაუგებარი, დამატებითი მნიშვნელობით დაიტვირთა.

ამის შემდეგ „ურცხოვანაში“ აღარ ვმონაწილეობდი. ომიზე თავდასხმის მეშინოდა, უფრო მეტად კი იმის შიში მქონდა, რომ თავად დამესხმებოდა თავს. როცა თამაშის განწყობა ჩნდებოდა (ამბოხისა თუ აჯანყების მსგავსად, თამაშის წამოსაწყებად მცირე ბიძგიც საკმარისია ხოლმე), გუნდს თავს ვარიდებდი და ომის შორიდან ვაშტერდებოდი.

ამასობაში ჩვენზე მისი გავლენა ისე იზრდებოდა, რომ ამას საერთოდ ვერ ვაცნობიერებდით.

თუნდაც წინდების ამბავი ავიღოთ. იმ დროს სამხედრო სწავლება ჩვენს სკოლაშიც სავალდებულო გახლდათ. ხელახლა გაიხსენეს გენერალ ენოკის ანდერძი: „დამოუკიდებლად, წრფელი გულით, ვაჟკაცურად და მხნედ!“ ამის გამო იყო, რომ ჭყეტელა შარფები და წინდები გვეკრძალებოდა. შარფები საერთოდაც აკრძალული იყო. პერანგები თეთრი უნდა გვცმოდა, წინდები - შავი ან მუქი ფერის მაინც. მხოლოდ ომის არ მოუკლია თეთრი აბრეშუმის შარფები და ფერადი წინდები.

ამ აკრძალვების პირველ მოწინააღმდეგეს არაჩვეულებრივი ოსტატობით შეეძლო თავისი ცუდი საქციელის ამბოხად გადაქცევა. ძალიან კარგად ესმოდა, რომ მეამბოხეობა ბიძების სისუსტე იყო. მწყობრში ჩადგომისას ომი მასწავლებლის წინ (ეს პროვინციელი უნტეროფიცერი მის მიმდევარს უფრო ჰგავდა) დემონსტრაციულად ნელა შემოიხვევდა თეთრ შარფს და მერე ოქროსფერლიებიანი ქურთუკის საყელოს ნაპოლეონისებურად წამოიწევდა ხოლმე.

და რადგანაც ბრბოს ამბოხი საცოდავი მიბაძვით შემოიფარგლება, საფრთხეს თავი ავარიდეთ და ამბოხის ტკბილი გემო ენის წვერითლა ვიგრძენით - ომისგან მხოლოდ ფერადი წინდების გადმოღება შევძელით.

დილით, გაკვეთილების დაწყებამდე, ხმაურიან კლასში პირდაპირ მერხებზე ვსხდებოდით და ისე ვსაუბრობდით. თუ ახალი, ფერადი, ნაქარგიანი წინდები გეცვა, მაშინ შარვლის ტოტებს ლამაზად აიკეცავდი და ისე ჯდებოდი. დაკვირვებული თვალის პატრონები უთუოდ აღფრთოვანების შემახილებით დაგაჯილდოებდნენ.

- ვახ, რა მაგარი წინდებია!

„მაგარზე“ უკეთესი კომპლიმენტი არ ვიცოდით. ამის თქმისას - სულერთია, თავად ვამბობდით თუ ჩვენ გვეუბნებოდნენ - ყველას თვალწინ გვედგა ომის ქედმაღლური გამოხედვა. ის კი მხოლოდ მწყობრში ჩადგომისას თუ გამოჩნდებოდა ხოლმე. კლასში მანამდე არასდროს ჩნდებოდა.

ერთ თოვლიან დილას სკოლაში ადრიანად წავედი. წინა დღეს მეგობარმა დამირეკა და მითხრა, ხვალ დილით თოვლში ომობანას ვითმაშებთო. იმ ღამით ვერაფრით დავიძინე და გათენდა თუ არა, წამოვხტი და არც ვიცოდი, რა დრო იყო, სკოლაში ისე გავიქეცი.

მიწაზე დადებული თოვლი ფეხსაცმელს ძლივს ფარავდა. მზე ჯერ არ ამოსულიყო, თოვლს კი პეიზაჟი სულაც არ გაელამაზებინა - ბინდბუნდში მთელი ქალაქი მწუხარედ მოჩანდა. თოვლი დასვრილი ბინტივით ეფინა ქალაქის ჭრილობებს. არადა, ქალაქის სილამაზე ხომ მისი ჭრილობების სილამაზეა.

სკოლის გაჩერებას მივუახლოვდი თუ არა, მატარებლის ფანჯრიდან, ქარხნების უბნის იქით, ამომავალი მზე დავინახე. ყველაფერი უმაღვე ბედნიერებითა და სინათლით აივსო. უბადრუკად ამომვერილი საკვამურებისა და აწეულ-დაწეული მუქი

სახურავების რიგები მზის სხივებით განათდა და თოვლის საფარველქვეშ ხმაურიანი სიცილით შეიძრა. ასეთ თოვლიან სცენაზე ყველაზე ხშირად თამაშდება ტრაგიკული მოვლენები: რევოლუცია ან ამბოხება. ხალხის ფერმკრთალი სახეებიც, რომლებზეც თოვლი თავის ანარეკლს ტოვებდა, თითქოს თანამზრახველებისას მოჰგავდა.

სკოლის წინ, გაჩერებაზე ჩამოვედი. იქვე, შენობის სახურავიდან დამდნარი, წყლად ქცეული თოვლი მოწვეთავდა. გავიფიქრე, ეს მზის შუქი მოედინება-მეთქი. მზის სხივები ტალახიანი ფეხსაცმელებით დასვრილი ბეტონისაკენ კვილით მოექანებოდნენ და დაცემისას უმაღვე კვდებოდნენ. ერთ სხივს გზა აებნა და ჩემს კეფაზე დაეშვა.

სკოლის ჭიშკართან ჯერ ნაკვალევიც არ იყო. გასახდელიც ჩაკეტილი დამხვდა. პირველ სართულზე მერვეკლასელების საკლასო ოთახის ფანჯარა გამოვალე და ტყეში თოვლს გავხედე. სკოლის უკანა ჭიშკრიდან ტყის ფერდობისკენ გზა მიდიოდა. თოვლს, ზუსტად იმ გზიდან ფანჯარამდე, ვილაცის დიდი ნაფეხურები ეტყობოდა. ნაკვალევი ფანჯარასთან უხვევდა და მარცხენა მხარეს, სამეცნიერო შენობის უკან ქრებოდა.

კიდევ ვილაც მოსულიყო. როგორც ჩანს, უკანა ჭიშკრიდან შემოვიდა, ფანჯრიდან შემოიქჷყიტა და რადგან არავინ დახვდა, სამეცნიერო შენობისაკენ წავიდა.

უკანა ჭიშკრიდან სკოლაში, ომის გარდა, არავინ დადიოდა. ბოლო დროს ჭორაობდნენ, ომი ვილაც ქალის სახლიდან დადისო. თუმცა ის, სანამ მწყობრში არ ჩავდგებოდით, მანამდე არ ჩანდა ხოლმე. ამიტომაც თავიდან ომი სათვალავში არ ჩამიგდია, მაგრამ ახლა, ამხელა ნაკვალევს რომ ვუყურებდი, სხვა არავინ

მახსენდებოდა.

ფანჯრიდან გადავიწიე, თვალები დავძაბე და ნაფეხურების ადგილას მიწის ფერს დავაკვირდი. მყარი ნაფეხურები იყო. ვერ ვიტყვი, რა ძალა მიზიდავდა მათკენ. უცებ მომინდა, რომ თავდაღმა გადავმბტარიყავი და სახით ამ ნაკვალევში ჩავმარხულიყავი. მაგრამ მოდუნებული რეფლექსები უცებ ჩემს დასაცავად ამოქმედდა. ჩანთა მაგიდაზე დავდე და ფანჯრის რაფაზე ნელა ავძვერი. უნიფორმის წინა შესაკრავები ქვის რაფას ეხახუნებოდა და სუსტ ნეკნებზე მაჭერდა. რალაცნაირი ტკბილ-მწარე ტკივილი ვიგრძენი. ფანჯარაზე გადავძვერი და თოვლში ჩავხტი. ტკივილმა ისევ დამიარა და თრთოლით სავსე გრძნობით ავივსე. ფეხსაცმელები ჩუმად ჩავდგი ნაფეხურებში.

ზუსტად ჩემი ფეხის ზომა აღმოჩნდა, თუმცა კი უფრო დიდად მოჩანდა. არც მიფიქრია, რომ შეიძლებოდა ნაფეხურების პატრონს ჩემნაირი მაღალყელიანი ფეხსაცმელი სცმოდა, რომელიც იმ დროს მოდაში იყო. კარგად დავაკვირდი და გავიფიქრე, რომ ეს ნაკვალევი ომისას არ ჰგავდა. მას თუ გავყვებოდი, იმედს, სავარაუდოდ, გამიცრუებდა, მაგრამ მაინც იყო რალაც, რაც იქით მექაჩებოდა. ომი ჩემი მოლოდინის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. უფრო მეტად შურისძიების წყურვილი მკლავდა - უცნობმა დამნაშავემ ხომ გაბედა და ჩემზე ადრე მოვიდა, თავისი ნაფეხურები თოვლზე ჩემამდე დატოვა.

ნაკვალევს სუნთქვაშეკრული გავყევი. ფეხს მხოლოდ ნაფეხურებში ვადგამდი. მათში ხან შავი მიწა პრიალებდა, ხან გამხმარი ბალახი მოჩანდა, ხან კი - გამაგრებული ჭუჭყიანი თოვლი ან ფილაქანი. ცოტა ხანში აღმოვაჩინე, რომ ზუსტად ომისნაირი დიდი ნაბიჯებით, ომისებურად მივაბიჯებდი.

სამეცნიერო შენობის უკანა მხარის ჩრდილს გავცდი და დიდი სპორტული დარბაზის წინ, შემალლებულ ადგილას გავჩერდი. ყველაფერი ბრჭყვიალა თოვლში გახვეულიყო: სამასმეტრიანი სარბენი ბილიკის ოვალის და სპორტული მოედანიც. მათ შორის საზღვარი აღარ ჩანდა. მოედნის ერთ კუთხეში ორი გიგანტური ძელქვა ერთმანეთს გადახვეოდა. მათი წაგრძელებული ჩრდილები დიდებულ არასრულყოფილებასა და სიცოცხლის ხალისზე მიმანიშნებლად გაწოლილიყვნენ და თოვლიან პეიზაჟს სულ სხვა მნიშვნელობას სძენდნენ. ზამთრის ლურჯი ცის ქვეშ ძელქვები, თოვლის ანარეკლისა და გვერდიდან მომდგარი მზის შუქის გამო, პლასტმასისას ჰგავდნენ. მათი გამხმარი კენწეროებიდან და ტოტებიდან დროდადრო ოქროსფერი მტვერით ცურდებოდა თოვლი. სპორტული დარბაზის წინ ჩამწკრივებულ საერთო საცხოვრებლის შენობებსა და გვერდით მდებარე კორომს ჯერ არ გამოეღვიძათ. სრულ სიჩუმეში თოვლის დავარდნის სუსტი ხმა და ფართოდ გაშლილი მისი ექო ისმოდა.

სივრცის ამგვარმა სიკაშკაშემ წამით დამაბრმავა. თოვლიანი პეიზაჟი თითქოს ახალთახალ ნანგრევებს ჰგავდა. ასეთი უსაზღვრო ნათება და ციალი ძველებური ციხესიმაგრეების ნანგრევებზე იცის ხოლმე. ერთ კუთხეში, ხუთმეტრიან სარბენ ბილიკზე, თოვლში უზარმაზარი ასოები ეხატა. ყველაზე ახლოს დიდი წრე - ო იყო. მის გვერდით მ და მსხვილი | დაეწერათ.

ომი ყოფილა. ნაკვალევს ჯერ ო-სთან მივყავდი, მერე - მ-სთან, ბოლოს კი - I-სთან, რომელიც დასრულებული არ იყო. ომი ქურთუკის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა, თავისი თეთრი შარფით. ქვევით იყურებოდა და თოვლს ფეხსაცმლით ხაზავდა. მისი ჩრდილი თოვლზე ძელქვების ჩრდილის გვერდით ქედმალღურად გაწოლილიყო.

ლოყებანწითლებულმა, თოვლი ხელთათმანებით მოვაგროვე და გუნდა ვესროლე. ვერ მოვარტყი. ომიმ I-ის წერა რომ დაასრულა, მოულოდნელად ჩემკენ გამოიხედა.

- ეჰეი!

მეშინოდა, რომ ჩემს დანახვაზე ცუდ გუნებაზე დადგებოდა, მაგრამ შევეყვირე თუ არა, უცნაური ვნებით შეგულიანებული, გორაკიდან ციცაბო ფერდობზე დავეშვი. ჩემდა გასაკვირად, მისი ძლიერი, მეგობრული ყვირილი მომესმა:

- ეჰეი! ასოებს არ დააბიჯო!

დღევანდელი ომი ნამდვილად არ ჰგავდა ჩვეულებრივს. ჩვეულებრივი ომი საშინაო დავალებებს არ ასრულებდა, სახელმძღვანელოებს სკოლის გასახდელში ტოვებდა, სკოლაში ქურთუკის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მოდიოდა, მოხდენილად იხდიდა ქურთუკს და ზუსტად მწყობრში ჩადგომის ბოლო წამებში გვიერთდებოდა. ახლა კი დილაადრიან მოსულიყო და მარტოს ძლივს გაჰყავდა დრო, თან თავისი მოუხეშავი, თუმცა კი მეგობრული ღიმილით მომეგება! მე, რომელსაც, ჩვეულებრივ, ცინგლიან ბავშვად მთვლიდა! როგორ ველოდებოდი ამ ღიმილიან სახეს, ნორჩი თეთრი კბილების მწკრივს!

მაგრამ როგორც კი მივუახლოვდი და მისი მომღიმარე სახე კარგად გავარჩიე, ის ვნება ჩამიცხრა, წუთის წინ გულანთებულს „ეჰეი“ რომ დამაძახებინა - რიდმა ერთიანად გამაშეშა. უფრო სწორად, რაღაცას მივხვდი და ამან შემაჩერა. მისი მომღიმარი სახე სისუსტეს მალავდა. გული დიდად არ მტკენია, ჩემ მიერ შექმნილი ომის ხატება კი გვარიანად დაზიანდა.

როგორც კი თოვლზე დიდი ასოებით გამოყვანილი მისი სახელი შევნიშნე, მაშინვე დავინახე მისი მარტოსულობის

კუთხე-კუნჭულებიც - შეიძლება ნახევრად გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც მივხვდი ყველაფერს. იმასაც მივხვდი, რომ თავადაც არ ესმოდა, რა იყო დილაუთენია სკოლაში მისი მოსვლის მთავარი მიზეზი. ახლა თუ ჩემი კერპი ისე დაეცემოდა, რომ თავის მართლებას დაიწყებდა: ასე ადრე თოვლში ომობანას სათამაშოდ მოვედიო, უთუოდ რაღაც მნიშვნელოვანს დაკარგავდი - უფრო მეტს, ვიდრე მისი დაკარგული სიამაყე იქნებოდა. ამიტომაც, აღელვებულმა, თავად წამოვიწყე საუბარი:

- დღეს თოვლში ომობანას ვერ ვითამაშებთ. მეგონა, უფრო მაგრად დადებდა.

- ჰო, - სახე სრულიად გულგრილი გაუხდა, ნაკვთები გაუმკაცრდა და ჩემ მიმართ ზიზღი დაუბრუნდა. ისევ საწყალი ვიყავი. ცდილობდა, ჩემთვის ისე შემოეხედა, როგორც პატარა ბავშვისთვის - ამ მზერაში ისევ და ისევ შეურაცხყოფა გამოსჭვიოდა. ერთი მხრივ, მადლიერი იყო, ასოებზე რომ არაფერი ვკითხე და, მეორე მხრივ, ამ მადლიერების დამღევა სურდა და იტანჯებოდა. სწორედ ეს მხიბლავდა მასში.

- ფუ, ვერ ვიტან, ბავშვური ხელთათმანები რომ აცვიათ!

- უფროსებსაც აცვიათ შალის ხელთათმანები!

- შე საწყალო, ტყავის ხელთათმანები ერთხელაც არ გცმია, არა? აი, ნახე! - უცებ თოვლით დასველებული ტყავის ხელთათმანი გახურებულ ლოყაზე მომისვა. შევხტი, ლოყები სურვილით ამენტო და ეს სურვილი დამღასავით დამაჩნდა. ვიგრძენი, რომ სრულიად გამჭვირვალე მზერით მივჩერებოდი.



იმ წუთიდან ომი შემიყვარდა.

თავს ნებას მივცემ და პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს ჩემი პირველი სიყვარული იყო, რომელიც აშკარად ხორციელ ლტოლვას უკავშირდებოდა.

ზაფხულს ან თუნდაც ზაფხულის დასაწყისს მოუთმენლად ველოდი. ვიცოდი, რომ ეს სეზონი მისი შიშველი სხეულის ნახვის შესაძლებლობას მომცემდა. უფრო სამარცხვინო სურვილიც მქონდა: მისი „ძალიან დიდის“ ნახვა.

ჩემს მეხსიერებაში ორი წყვილი ხელთათმანი ისეა გადაბმული ერთმანეთზე, როგორც სატელეფონო სადენები. ერთი - ეს ტყავის ხელთათმანებია, მეორე კი - სადღესასწაულო თეთრი ხელთათმანები. ოღონდ რომელია ნამდვილი მოგონება და რომელი - ფანტაზია, აღარ ვიცი. ალბათ, მის უხეშ სახეს ტყავის ხელთათმანები უფრო შეეფერება. ან შეიძლება, სწორედ მისი უხეში სახის გამო, თეთრი ხელთათმანები უფრო უხდებოდეს.

უხეში სახე. ასე კი ვამბობ, მაგრამ თვალწინ მიდგება ჩვეულებრივი ბიჭის სახე, მრავალთაგან ერთის. აღნაგობით გამოირჩეოდა, თუმცა ყველაზე მაღალ მოსწავლეზე ბევრად დაბალი იყო. სკოლის უსახური უნიფორმა, საზღვაო ძალების ოფიცრისას რომ წააგავდა, მოზარდი ბიჭების სხეულს კარგად ვერ ერგებოდა. ომის კი ტანსაცმლის ლამაზად ტარების უნარი ჰქონდა. უნიფორმას მხოლოდ ის ირგებდა სრულყოფილად და გარკვეული სექსუალობითაც ავსებდა. მარტო მე არ უნდა ვყოფილიყავი, ვინც შურითა და სიყვარულით, ძალუღალად შესცქეროდა მუქ ლურჯ უნიფორმაში გამოწყობილს.

სახეზე ყოველთვის ემჩნეოდა საკუთარი უპირატესობის შეგრძნების კვალი. ალბათ ეს შეგრძნება მისი სიამაყის შელახვასთან ერთად იზრდებოდა. გამოცდებში ჩაჭრა, სკოლიდან გაგდება... ეს სამწუხარო მოვლენები მისთვის დამსხვრეული იმედების, აუხდენელი სურვილების სიმბოლო იყო. რა იყო მიზეზი? ვფიქრობდი, რომ ეს მის სულში ჩაბუდებულ „ბოროტებას“ გამოეწვია და თან მჯეროდა, რომ ჯერ თავადაც არ იცოდა ამ დიდი შეთქმულების შესახებ.

როგორი იყო, თუ მკითხავთ, გეტყვით, რომ მის სხეულში მჩქეფარე სისხლი იგრძნობოდა. მრგვალ, შავგვრემან სახეზე ამპარტავნულად ამოზრდოდა ყვრიმალეები. კარგი ფორმის, ხორცსავსე ცხვირს ლამაზად გამოყვანილი ტუჩები და მძლავრი ნიკაპი ებმოდა. ეს მისი „ველური სულის“ შესამოსელი იყო. ნეტავ ვინმე თუ მოელოდა, რომ ასეთ ადამიანს შინაგანი მხარეც ექნებოდა? მისგან მხოლოდ იმას ველოდით, რომ ყოფილიყო ნიმუში სრულყოფილებისა, რომელიც ყველას შორეულ წარსულში დაგვეტოვებინა.

არაერთხელ მოსულა უეცრად და ჩემს წიგნებში ჩაუყვრეტია. მე კი ყოველთვის ასაკისთვის შეუფერებელ, ჭკვიანურ წიგნებს ვკითხულობდი. ამ დროს ძირითადად უხერხულად ვიღიმებოდი და წიგნებს ვმაღავდი. იმიტომ არა, რომ მრცხვენოდა. უბრალოდ, მიმძიმდა იმის წარმოდგენა, რომ როდესაც წიგნით დაინტერესდებოდა, თავის ხეპრეობას გამოავლენდა და სრულყოფილების მოლოდინს გამიქარწყლებდა. გული მიკვდებოდა იმის წარმოდგენისას, რომ ამ მეთევზეს იონიის მშობლიური მხარე დავიწყებოდა და საბოლოოდ დაეკარგა.

გაკვეთილებზეც, სპორტულ დარბაზშიც განუწყვეტლივ მას ვათვალიერებდი. ამ ყურებისას აბსოლუტური სრულყოფილების

ფანტომი შევქმენი. ამიტომაცაა, რომ ჩემს მოგონებებში ერთ ნაკლსაც ვერ ვამჩნევ მის გამოსახულებას. არადა, რომანში აუცილებელია გმირის დამახასიათებელი თავისებურებების, ცუდი ჩვევების აღწერა. მათი ჩვენებით გმირი უფრო ცოცხალი ჩანს. მე კი, ომის შემთხვევაში, ასეთ ნაკლს ერთსაც ვერ ვიხსენებ. ამის სანაცვლოდ, უთვალავი სხვა რამ მახსენდება - უსაზღვროდ მრავალფეროვანი, ფაქიზი ნიუანსები. მის წარბებში, შუბლში, თვალებში, ცხვირში, ყურებში, ღაწვებში, ყვრიმალეებში, ტუჩებში, ნიკაპში, კისერში, ყელში, სახის ფერში, მკერდში, ხელებში, ძალაში – აი, ამ ყველაფერში ცხოვრების სრულყოფილების განსაზღვრება აღმოვაჩინე.

სწორედ ამ საფუძველზე შევქმენი გემოვნების სისტემა. მისი მიზეზით იყო, რომ არასდროს შემიყვარებოდა ინტელექტუალი. ამავე მიზეზით, არასდროს მიიქცევდა ჩემს ყურადღებას სათვალისანი ყმაწვილი. ის იყო მიზეზი იმისა, რომ ფიზიკური ძალა, მჩქეფარე სისხლი, გაუთლელიობა, ხელების უხეში მოძრაობა, უდარდელი საუბარი, ინტელექტით გაურყვნელი ველური და მწუხარე სხეული შემიყვარდა.

თუმცა თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩემი უხეში მიდრეკილებები ლოგიკურ შეუძლებლობას გულისხმობდა. ისე კი, არაფერია ხორციელ ვნებებზე უფრო ლოგიკური. როგორც კი ინტელექტის მეშვეობით ერთმანეთს ვუგებდით, ვნება მაშინვე მიქრებოდა. თუ პარტნიორი ინტელექტის ნატამალს მაინც გამოიჩენდა, ეს მაშინვე იწვევდა ჩემი დამოკიდებულების გადაფასებას. სიყვარული ორმხრივი პროცესია და რასაც პარტნიორისგან მოითხოვ, იმავეს უნდა გასცემდე. პარტნიორის უინტელექტობაზე მეოცნებე გული ჩემგან გადაჭრით მოითხოვდა რაციონალიზმის წინააღმდეგ ამბოხსაც. ეს კი სრულიად შეუძლებელი იყო. ვფრთხილობდი ინტელექტისგან შეურყვნელი სხეულის მფლობელებთან:

ხულიგნებთან, მეზღვაურებთან, ჯარისკაცებთან, მეთევზეებთან...  
ვცდილობდი, მათთან არ მესაუბრა. სხვა გზა არ მრჩებოდა, მწველი  
გულგრილობით შორიდან ყურებას უნდა დავჯერებოდი. ალბათ  
ყველაზე ადვილად სადმე ტროპიკებში, ბარბაროსების კუნძულზე  
ვიცხოვრებდი, სადაც ენა არ მეცოდინებოდა. ღრმა ბავშვობაშივე  
გამიჩნდა სურვილი, ბარბაროსების მიწაზე მეცხოვრა, სადაც  
უმოწყალოდ ცხელი ზაფხული იქნებოდა.

დავუბრუნდეთ თეთრ ხელთათმანებს.

ჩვენს სკოლას ასეთი წესი ჰქონდა: ცერემონიების დღეებში  
თეთრი ხელთათმანებით უნდა მივსულიყავით. როგორც კი თეთრ  
ხელთათმანებს ვიცვამ, მელანქოლიურად მბრწყინავი სადაფის  
ღილებითა და ზედა მხარეს ამოქარგული სამი ხაზით, მაშინვე  
თვალწინ მიდგება ცერემონიების ჩასატარებელი პირქუში დარბაზი,  
შინ წამოსვლისას დარიგებული შიოძეს(იაპონური ტკბილეული,  
ღვეზელი ტკბილი ლობიოთი ან ბარდით.) კოლოფები, მოწმენდილი  
ცა და სასიამოვნო ხმები, რომლებიც დღის ბოლოს, რატომღაც,  
აურზაურში გადაიზრდებოდა ხოლმე.

ზამთრის დღესასწაული იყო, ალბათ იმპერიის დაარსების დღე.  
ომი იმ დღესაც უჩვეულოდ ადრე მოვიდა სკოლაში.

მწყობრში ჩადგომამდე დრო კიდევ გვქონდა. სკოლის გვერდით  
ჩამოკიდული სარწეველა მორიდან მეშვიდეკლასელების გაყრა  
ჩვენი, მერვეკლასელების საყვარელი გასართობი გახლდათ.  
მიუხედავად იმისა, რომ სარწეველა მორი ბავშვურ გასართობად  
მიგვაჩნდა და ასეთი თამაშები გვძულდა, სინამდვილეში მაინც არ  
გვეთმობოდა. მეშვიდეკლასელებსაც იმიტომ ვყრიდით, რომ  
თამაშისთვის არასერიოზული სახე მიგვეცა. ისინი შორიდან  
გვიყურებდნენ ხოლმე. ჩვენც მეტ-ნაკლებად ვაცნობიერებდით, რომ

გვიყურებდნენ და ამიტომ უფრო მეტი სიგიჟით ვთამაშობდით. მოგებული ის იყო, ვინც კარგად შეარყევდა მორს და იქიდან გადმოგაგდებდა.

ომი კუთხეში მიმწყვდეული მკვლელივით იდგა, თავდაცვით პოზაში: ორივე ფეხი მყარად ედგა მორზე და მოწინააღმდეგეს თვალს არ აშორებდა. მისი მოძრევი კლასში არავინ იყო. მორზე რამდენიმე ბავშვი ახტა, მან კი ხელის სწრაფი, მოქნილი მოძრაობით ყველა ერთიანად ჩამოყარა მზით განათებულ, გაყინულ მიწაზე. მერე მოკრივესავით ასწია თეთრხელთათმანიანი ხელები და თავაზიანობის განსახიერება გახდა. ზოგიერთებს აღარ ახსოვდათ, ისინიც რომ ჩამოეყარა ომის მორიდან და ტაშს უკრავდნენ.

ჩემი მზერა მის თეთრ ხელთათმანებს არ შორდებოდა. ისინი უშიშრად, გასაოცარი სიზუსტით მოძრაობდნენ. მგლისა თუ რაღაც სხვა მხეცის ტორებს ჰგავდნენ. ზოგჯერ ზამთრის სუსხიან ჰაერს ბუმბულიანი ისრებივით კვეთდნენ და მეტოქეს პირდაპირ გვერდებში ურტყამდნენ. მოწინააღმდეგე ზურგით ეცემოდა მოყინულ მიწაზე. ხანდახან ომი თავადაც შებარბაცდებოდა ხოლმე. ყინვისგან აბრწყვიალებულ, ადვილად ჩამოსაცურებელ მორზე თავის შემაგრებას ცდილობდა და ტანჯვით იჭმუხნებოდა. თუმცა, გრაციოზული თემოების სიძლიერით, მალევე ახერხებდა, წელში გამართულიყო და ისევ კუთხეში მიმწყვდეული მკვლელის პოზა მიეღო.

მორი კი უშფოთველად, ტალღასავით ირწეოდა...

მოულოდნელად მოუსვენრობამ ამიტანა. ადგილს ვერ ვპოულობდი, ისეთმა ამოუცნობმა ღელვამ შემიპყრო. მორიდან გადმოვარდნილივით მეხვეოდა თავბრუ. ეს რაღაც სხვა

თავბრუსხვევა იყო. ალბათ იმაზე ვლელავდი, რომ შინაგანი წონასწორობა ომის თითოეულ სახიფათო მოძრაობაზე მერღვეოდა. ამ დროს ერთმანეთს ორი ძალა უპირისპირდებოდა: ერთი თავდაცვისა იყო, მეორე კი - სურვილის - უფრო ღრმა და ჩემი შინაგანი წონასწორობისთვის უკიდურესად დამანგრეველი. სურვილს ადამიანები ხშირად გაუცნობიერებლად ნებდებიან ხოლმე. მას ისინი მალულად თვითმკვლელობამდეც კი მიჰყავს.

- რა გჭირთ? სულ ლაჩრები მოგროვილხართ! მეტი აღარავინაა? - ომი მორზე იდგა და მსუბუქად ირწეოდა. თეთრხელთათმანიანი ხელებით დოინჯი შემოერთყა. ქუდის მოოქროვილი ნიშანი მზეზე ბრწყინავდა. ასეთი ლამაზი ჯერ არ მენახა.

- მე გამოვალ! - წუთი, როდესაც ამ სიტყვებს ვიტყოდი, მზარდი პულსით ზუსტად გამოვთვალე. ყოველთვის ასე ხდებოდა, როდესაც სურვილებს ვნებდებოდი. ის, რომ იქ მოვიდოდი, მის წინ დავდგებოდი, წინასწარ განსაზღვრულად უფრო მეჩვენებოდა, ვიდრე მოულოდნელ, იმპულსურ ქმედებად. ამიტომაც, წლების შემდეგ ხშირად მეშლებოდა და საკუთარ თავს „ძლიერი ნების კაცად“ ვთვლიდი.

- მიდი, მიდი! ნამდვილად დაამარცხებ! - დაცინვის შეძახილებით გამაცილეს. მორზე ფეხი ავდგი თუ არა, უკვე ვიგრძენი, რომ ხე სადღაც მიცურავდა. დაცინვის შეძახილები უფრო ხმამაღლა გაისმა.

ომიც დამცინავი სახით შემომეგება. რაღაცებს სულელობდა - ისე იქცეოდა, თითქოს ფეხი უცურავდა. ხელთათმანიან თითებს წინ მიფრიალებდა, დამცინოდა და მაბრაზებდა. ეს თითები სახიფათო იარაღის ალესილ წვეტებად მეჩვენებოდა.

ჩემი და მისი თეთრი ხელთათმანები რამდენჯერმე შეეჯახნენ ერთმანეთს. ყოველ ჯერზე, როცა ხელს მკრავდა, ვყანყალებდი. მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდებოდა, თუ ყველას დასაციხს გამხდოდა. შევამჩნიე, ძალის დაზოგვას ცდილობდა, რომ ზედმეტად სწრაფად არ დავემარცხებინე.

– აა, როგორ მეშინია! ისეთი ძლიერი ხარ, დაგნებდი! ცოტაც და გადავვარდები! აი, შეხედე! – ენა გამომიყო და ისე წაბარბაცდა, თითქოს ვარდებოდა.

საშინლად მიმძიმდა ხუმრობით დაღრეჯილი ამ სახის ყურება. თავად ვერც კი ხვდებოდა, რომ საკუთარ სილამაზეს ანადგურებდა. უფრო და უფრო ძლიერად მიტევდა, მაგრამ მე თვალებს ვხრიდი. ამით ისარგებლა და მარჯვენა ხელი მაგრად მკრა. როდესაც ვვარდებოდი, მარჯვენა ხელით, უნებლიეთ, მისი მარჯვენა ხელის თითებს ჩავებლაუჭე. თეთრ ხელთათმანებში მისი თითები კარგად შევიგრძენი და ხელი მოვუჭირე.

ზუსტად ამ დროს ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ჭეშმარიტების წამი იყო. დაღრეჯილობა გაუქრა და საოცრად გულღია იერი დაედო. აღარც ზიზღი ჩანდა, აღარც – მტრობა. უმანკო გამომეტყველება მოზიდული მშვილდ-ისარივით უთრთოდა სახეზე. არ ვიცი, შეიძლება მოვიგონე კიდევ ეს ყველაფერი. მე ხომ თითებზე ვექაჩებოდი, ის კი წონასწორობას კარგავდა – იქნებ ეს გამომეტყველება სულაც ცარიელი, არაფრისმთქმელი იყო. თუმცა ინტუიციით ვიგრძენი, რომ თითებში დავლილმა ჟრუანტელმა, ჩემმა დაჟინებულმა მზერამ მიახვედრა – ომი იგრძნო, რომ ის და მხოლოდ ის მიყვარდა.

ერთდროულად გადმოვცვივდით მორიდან. წამოდგომაში ვიღაც დამეხმარა – ომი იყო. მკლავზე უხეშად მომქაჩა და ტანსაცმლიდან

უსიტყვოდ ჩამომფერთხა მტვერი. იდაყვებსა და ხელთათმანებზე ყინვისგან აბრჭყვიალებული ტალახი აკვროდა.

საყვედურით ავხედე. ხელი გამიყარა და გვერდზე გამიყვანა.

ჩვენს სკოლაში დაწყებითი კლასიდან ყველა ერთად ვსწავლობდით და მხარზე ხელის გადახვევა თუ მკლავის გაყრა ბუნებრივი რამ იყო. ზუსტად ამ დროს მწყობრში დადგომის მაუწყებელი სასტვენის ხმა გაისმა და ყველა იქით გავემურეთ. ჩემი და ომის ჩამოვარდნა დანარჩენებისთვის მობეზრებული თამაშის დასასრული იყო. ჩვენი მკლავგაყრილი სიარულიც განსაკუთრებულ, დიდად საყურადღებო სანახაობად არ ჩანდა.

ჩემთვის კი მის მკლავზე შეხება, ჩვენი ამგვარი სიარული უდიდესი სიხარული იყო. ალბათ იმიტომ, რომ დაბადებიდან სუსტი ვიყავი, ყველანაირ სიხარულს რაღაც ავისმომასწავებელი გრძნობაც ერეოდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად ომის ძლიერ მკლავთან გადაჭდობასა და დაძაბულობას მთელ სხეულში მხოლოდ ბედნიერება შემოჰქონდა. ვფიქრობდი, რომ ასე სამყაროს კიდემდე ვივლიდი.

თუმცა, როგორც კი მწყობრთან მივედი, ომიმ სწრაფად გამიშვა ხელი და მწკრივში ჩადგა. ამის შემდეგ ჩემკენ ერთხელაც არ გამოუხედავს. ცერემონიისას ტალახით დასვრილ ჩემს თეთრ ხელთათმანებსა და ოთხი მოსწავლის იქით მდგარი ომის ტალახიან ხელთათმანებს ჩუმად ვადარებდი.

ომით სასოწარკვეთამდე მისული აღფრთოვანება გონების კრიტიკას ვერ უძლებდა. არც მორალი ერეოდა საქმეში. როგორც კი გონება მსჯელობას დააპირებდა, მე იქ აღარ ვიყავი. რომ არსებობდეს სიყვარული, რომელიც ვერც გაგრძელდება და ვერც



წინ წავა - აი, ზუსტად ეგ გრძნობა იქნებოდა ჩემი. ყოველთვის, როდესაც ომის ვუყურებდი, ეს იყო „პირველი მზერა“ - „პირველყოფილ მზერასაც“ კი ვუწოდებდი. ჩემი არაცნობიერი თოთხმეტი წლის ბიჭის უმანკოებას ძირგამომთხრელი პროცესებისგან განუწყვეტლივ იცავდა.

იყო კი ეს სიყვარული? ერთი შეხედვით, უბინო იერს ინარჩუნებდა, მაგრამ ასეთ სიყვარულში, რომელიც მეორდება და მეორდება, ზნეობრივი გახრწნა და სულიერი დაცემა ერთმანეთს ერწყმის. ამქვეყნად სიყვარულით გამოწვეულ დაცემებს შორის ეს ყველაზე საშინელი დაცემა იყო. გარყვნილი უბიწოება უდავოდ ყველა შესაძლო გახრწნილებაზე მეტად მავნე და მანკიერია.

ეს ცალმხრივი სიყვარული ჩემს ცხოვრებაში პირველი იყო. წრფელ ლტოლვას ჩიტავით ვმაღავდი ფრთებქვეშ. ჭკუას დაუფლების სურვილი კი არ მაკარგვინებდა, არამედ წმინდა წყლის „ცდუნება“.

სკოლაში, განსაკუთრებით მოსაწყენ გაკვეთილებზე, მის პროფილს თვალს ვერ ვაშორებდი. არ ვიცოდი, რომ სიყვარული უნდა მოითხოვო, რომ უფრო მეტია შესაძლებელი, ვიდრე ყურება. სიყვარული ჩემთვის გამოცანების კითხვა-პასუხებში მხოლოდ კითხვების დასმა იყო. ჩემს ანთებულ გულს ვერც კი წარმოედგინა, რომ რაიმე ფორმით შესაძლებელი იყო პასუხის მიღება.

ერთხელ ცოტა გავცივდი და სკოლა გავაცდინე. აღმოჩნდა, რომ მეცხრეკლასელების საგაზაფხულო სემესტრის სამედიცინო შემოწმების დღე გამეცდინა. შემოწმების დღე კიდევ ორ-სამ ბავშვს გაეცდინა. მომდევნო დღეს ისინი ექიმის კაბინეტისკენ მიდიოდნენ და მეც გავყევი. გაზის გამათბობლის ლურჯი ალი ოთახში შემოჭრილ მზის სხივებში ძლივს მოჩანდა. კაბინეტში

სადეზინფექციო საშუალებების სუნი იდგა. არსად იგრძნობოდა მოვარდისფრო, ადუღებული რძესავით ტკბილი სუნი, რომელიც იმ ოთახში დგება, სადაც ტიტლიკანა ბიჭები შეჯგუფებულან და ერთმანეთს ხელს კრავენ. შეცივებულებმა ხმის ამოუღებლად გავიხადეთ პერანგები.

გამხდარი ბიჭი, რომელიც ჩემსავით ხშირად ავადმყოფობდა, სასწორზე შედგა. ღინღლით დაფარულ მის საცოდავ თეთრ ზურგს რომ ვუყურებდი, უეცრად რაღაც გამახსენდა. ის, რაზეც საშინლად ბევრს ვოცნებობდი: ომის შიშველი სხეულის ნახვა! მე, ბრიყვი, როგორ ვერ მივხვდი აქამდე, რომ სამედიცინო შემოწმება ყველაზე კარგი შანსი იყო! ეს შანსი კი ხელიდან გავუშვი და შემდეგ შესაძლებლობამდე, ვინ იცის, რამდენ ხანს მომიწევდა ლოდინი!

ფერი დავკარგე. დამბურძგლა. შეცივების მსგავსი რეაქცია იყო სინანულზე. ორივე წვრილ მკლავზე აცრის ნაიარევი მოვისრისე. ჩემი სახელი დაიძახეს. სასწორი თითქოს აღსასრულის ჟამს მაუწყებდა. როგორც სახრჩობელასკენ, ისე გავემართე.

- 39 და 500! - მოახსენა სანიტარმა სკოლის ექიმს.

- 39 და 500, - გაიმეორა ექიმმა და თავისთვის ჩაილაპარაკა: - ნეტავ 40 კილოს მიაღწევდეს.

ასეთ დამცირებას ვიტანდი ყოველ ჯერზე, როდესაც სამედიცინო შემოწმებას გავდიოდით. თუმცა ახლა ეს სიტყვები, რატომღაც, ძალიან მეგობრულად მომესმა. მშვიდად ვიყავი. ალბათ, იმიტომ, რომ ომი არ იყო ახლოს და ვერ მხედავდა. სულ რაღაც წამში ეს სიმშვიდე სიხარულში გადაიზარდა.

- კარგი, შემდეგი! - სანიტარმა უხეშად მომქაჩა მხარზე და

გვერდზე გამწია. ამჭერად ზიზღნარევი ბრაზიანი მზერით არ გამიცილებია.

ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, როგორ იქნებოდა ჩემი პირველი სიყვარულის დასასრული. და ამ წინათგრძნობით გამოწვეული შფოთვა, ალბათ, ჩემი სიამოვნების მთავარი წყარო იყო.

ადრეული ზაფხულის სანიმუშო დღე იდგა - გენერალური რეპეტიციის დღე. თითქოს სანამ ნამდვილი ზაფხული მოვიდოდა, ერთი დღით ადრე ეს მოსულიყო - აბა, ვნახო, ადამიანებს კარადებში ტანსაცმელი წესრიგში აქვთ თუ არაო. ასეთი შემოწმებისას ხალხი საზაფხულო პერანგებს იცვამდა და ისე გამოდიოდა გარეთ.

ასეთ სიცხეში გავცივდი და ბრონქებიც მაწუხებდა. მე და ჩემი კლასელი, რომელსაც მუცელი სტკიოდა, ექიმის კაბინეტისკენ გავემართეთ. ორივეს გვჭირდებოდა ცნობა, რომელიც ტანვარჯიშის დროს უფლებას მოგვცემდა, არ გვევარჯიშა და მხოლოდ დანარჩენებისთვის გვეყურებინა.

უკან, სპორტული დარბაზისკენ რაც შეგვეძლო ნელა წამოვედით. დაგვიანებისთვის მშვენიერი მიზეზი გვქონდა: ექიმთან ვიყავით. თან ტანვარჯიშის მოსაწყენი გაკვეთილის შემოკლებაც გვინდოდა.

- როგორ ცხელა! - ვთქვი და უნიფორმის ქურთუკი გავიხადე.

- გაცივებული რომ ხარ, შეიძლება? არ გავარჯიშონ მერე!

ისევ ჩავიცვი ქურთუკი.

- მე მუცელი მტკივა და შეიძლება, - ახლა იმან გაიხადა ქურთუკი და თან შემახარბა.

სპორტულ დარბაზში დავინახე, რომ კედლის საკიდზე მხოლოდ ქურთუკები კი არა, პერანგებიც ჩამოეკიდათ. გარეთ ასე, ოცდაათი მოსწავლე მაინც იდგა რკინის ძელთან. ბნელი, პირქუში სპორტული დარბაზის ფონზე, ქვიშა და მოლი, სადაც რკინის ძელი იყო, ისე ანათებდა, თითქოს ყველაფერი იწვისო. სუსტი ჯანმრთელობის გამო, კიდევ ერთხელ დამეუფლა არასრულფასოვნების განცდა. გულმოსული, ხველებ-ხველებით გავემართე რკინის ძელისაკენ.

უნიათო მასწავლებელმა წესიერად არც დახედა ცნობას, ისე გამომართვა.

- აბა, აზიდვები გავაკეთოთ! ომი, მიდი, აჩვენე, როგორც!

გავიგე, ჩემი მეგობრები როგორ ჩურჩულებდნენ მის სახელს. ტანვარჯიშის გაკვეთილზე ომი ხშირად უჩინარდებოდა ხოლმე. არ ვიცი, რას აკეთებდა. ახლაც ზღაზვნით გამოვიდა ამწვანებული ხის მბრწყინავი ფოთლების ჩრდილიდან.

ამის დანახვისას გული ამიფრთხილდა. პერანგი გაეხადა, მხოლოდ უმკლავო თეთრი მაისური ეცვა. მისი მუქი კანი მაისურს უფრო ქათქათას აჩენდა. ისეთი სითეთრე იყო, რომ შორიდან სურნელსაც კი ვგრძნობდი. გამოკვეთილი მკერდი და ძუძუსთავეები თაბაშირისგან გამოძერწილს ჰგავდა.

- აზიდვები, ხო? - მკვახედ, თავდაჯერებით ჰკითხა მასწავლებელს.

- ჰო, ჰო.

მაშინ ომim, როგორც შესანიშნავი აღნაგობის პატრონებს სჩვევიათ, ცოტა ქედმაღლურად, უხალისოდ დააწყო ხელები ქვიშაზე. უფრო ქვემოთა, სველი ქვიშა ხელისგულებზე მიიყარა, რომლებიც ერთმანეთს გაუხახუნა და თავს ზემოთ რკინის ძელს ახედა. ამ მზერაში ცოდვილის გამბედაობა მოჩანდა. წამით მის გულგრილ, ზიზღნარევ მზერაში მაისის ღრუბლები და ლურჯი ცა გაკრთა. ერთი ნახტომით, მთელი სხეულით აიყრა ზევით და მყისვე ჩამოეკიდა რკინის ძელს თავისი ძლიერი მკლავებით, რომლებსაც უდავოდ დაამშვენებდა ღუზის ტატუ.

– აააჰ!

აღტაცების გამომხატველი, მოგუდული შეძახილები გაისმა. ყველა ხვდებოდა, რომ ეს მხოლოდ ომის ძალითა და მოხერხებულობით აღტაცება არ იყო. ეს ახალგაზრდობით, სიცოცხლითა და ყოველმხრივი უპირატესობით აღფრთოვანება გახლდათ. ომის ილღიებიდან გამოჩრილმა უხვა ბალანმა ყველა გაგვაოცა. პირველად ვნახეთ ზაფხულის ბალახით ხშირი თმა, რომელიც მრავლად და თანაც სრულიად გამოუსადეგრად იზრდებოდა ასეთ ადგილას. როგორც ზაფხულის ბალს მოედება ხოლმე სარეველა და ქვის კიბეებიდანაც კი ამოიზრდება, ისე ამოევსო ომის ილღიები თმას და იქიდან მკერდზეც გადადიოდა. ორი შავი ბუჩქი მზის სხივებში პრიალებდა, მათ გარშემო კანი კი თეთრი ქვიშასავით მოჩანდა.

აზიდვისას მკლავები უმაგრდებოდა, მხრების კუნთები ზაფხულის ღრუბლებივით ებერებოდა და ილღიების შავ ბუჩქს უჩრდილავდა. როდესაც მკერდით რკინის ძელს ეხებოდა, ძლივს შესამჩნევად თრთოდა. აზიდვა რამდენჯერმე გაიმეორა.

სიცოცხლის ძალამ, მისმა უაზრო სისავსემ ყველა დაიმორჩილა. სიცოცხლის სიჭარბის გრძნობამ, აგრესიულმა, თვითკმარმა, ამოუხსნელმა, უმიზნო გრძნობამ, უსიამოვნო გულცივობით აღსავსე გრძნობამ ყველა განაცვიფრა. რაღაც ძალა უჩუმრად შეპარულიყო ომის სხეულში, მას ბოლომდე დაუფლებოდა და ახლა გარეთ იღვრებოდა. ყოველ წუთსა და წამს მასზე უპირატესობის მოპოვებას ცდილობდა. ამ შემთხვევაში სიცოცხლის ძალა ავადმყოფობას უფრო ჰგავდა. ველური ძალით შეპყრობილი სხეული, რომელსაც ვერანაირი ინფექცია ვერ შეაშინებდა, ამქვეყნად მხოლოდ გიჟური თავგანწირვისთვის იყო მოვლენილი. მათთვის კი, ვისაც ინფექციების ეშინია, ეს სახეში სილის გაწვნა იყო. ბიძებმა უკან დაიხიეს.

მეც ამავეს ვგრძნობდი, ოღონდ ცოტა განსხვავებულად. როგორც კი ომის ბალანს მოვკარი თვალი (და ეს საკმარისი იყო, გავწითლებულიყავი), მაშინვე ერექცია დამეწყო. საზაფხულო თხელი შარვალი მეცვა და შემეშინდა, ერექციის ამბავი არ გამოაშკარავებულყო. თანაც, გულს მხოლოდ უმწიკვლო სიხარული არ მივსებდა. ვხედავდი იმას, რაზეც ყველაზე მეტად ვოცნებობდი და ამ დროს სრულიად საპირისპირო რამეს ვგრძნობდი.

ეს შური იყო.

ისე დაეშვა ომი ქვიშაზე, თითქოს დიდებული საქმე შეესრულებინა. მხოლოდ ხმა მომესმა, რადგან თვალები დავხუჭე და თავი გავაქნიე. ამგვარად დავირწმუნე თავი, რომ ომი უკვე აღარ მიყვარდა.

ეს შური იყო. ისეთი ძლიერი შური, რომ ომის სიყვარულზეც კი ხელი ამაღებინა.

შეიძლება სწორედ ამის გამო გამიჩნდა მოთხოვნილება, საკუთარი თავი სპარტული წესით გამეწვრთნა (ამ წიგნს რომ ვწერ, ესეც ამ მოთხოვნილების გამოვლინებაა). რადგან ხშირად ვავადმყოფობდი და ჩემდამი ზედმეტ მზრუნველობას იჩენდნენ, ისე გავიზარდე, რომ ადამიანებისთვის თვალებში შეხედვის მრცხვენოდა. ერთი წესი დავუწესე საკუთარ თავს: „უნდა გავძლიერდე!“ წვრთნის ერთ-ერთი ფორმა ასეთი იყო: მატარებლით მგზავრობისას რომელიმე მგზავრს სახეში ბოროტი თვალებით ვაშტერდებოდი. მგზავრებს დიდად არ ეშინოდათ ავადმყოფურად ფერმკრთალი, სუსტი ბავშვის ბოროტი მზერისა, მაგრამ წუხდებოდნენ და თავს აბრუნებდნენ ხოლმე. ძალიან იშვიათად, რომ ასეთივე მზერით შემოეხედათ. თავს რომ შეაბრუნებდნენ, ვთვლიდი, რომ მოვიგე. ასე, თანდათანობით მივალწიე იმას, რომ ადამიანებისთვის თვალებში შეხედვა შევძელი.

რადგან გადაწყვეტილი მქონდა სიყვარულის დათმობა, მართლაც დავთმე და დავივიწყე. თუმცა ეს სისულელე იყო. სიყვარულის ერთ-ერთი გამოხატული ნიშანი - ერექცია გამომრჩა. ერექცია უკვე თავისით მეწვეოდა ხოლმე, მარტო ყოფნისას კი მისი გამოწვევისთვის „მავნე ჩვევას“ მივმართავდი. სექსის შესახებ გარკვეული ცოდნა დამიგროვდა, მაგრამ ჯერჯერობით განსხვავებულობის გრძნობით არ ვიტანჯებოდი.

ვერც იმას ვიტყვი, არანორმალური სურვილები ჩვეულებრივი, ტრადიციული რამ მეგონა-მეთქი. არც იმას ვფიქრობდი, ყველა მეგობარს ზუსტად ჩემნაირი სურვილები აქვს-მეთქი. გასაოცარი ეს იყო: იმდენად გატაცებით მიყვარდა რომანების კითხვა, რომ გამოუცდელი ქალიშვილივით, ქალისა და მამაკაცის სიყვარულზე, ქორწინებასა და მსგავს ამაღლებულ რაღაცებზე ვოცნებობდი. ომისადმი სიყვარული გულგრილად მოვისროლე ამოუხსნელი გამოცანების ნაგავში, ისე რომ ღრმად არც კი ჩავძიებვიარ მის

არსს. ახლა თუ ვწერ ხან „სიყვარულს“ და ხან „ვნებას“, მაშინ ამათ საერთოდ ვერ ვასხვავებდი. არც მიფიქრია, რომ ჩემი გადახრები და ცხოვრების სერიოზული მოვლენები ერთმანეთს დაუკავშირდებოდა.

მიუხედავად ამისა, გული მარტოობას მთხოვდა. თითქოს უმიზეზოდ წარმოშობილი, უცნაური მოუსვენრობა დამეწყო. ბავშვობაში იმის მეშინოდა, რომ გავიზრდებოდი და დიდი გავხდებოდი. ზრდასრულობისკენ მიმავალ გზას კი სულ სხვაგვარი ტკივილი და შფოთვა ახლდა.

სიმაღლეში სტაბილურად ვიზრდებოდი და ამიტომ გრძელი შარვლის შეკეცილ ბოლოებს ყოველ წელს უშვებდნენ. როგორც ყველა სახლში, ჩვენთანაც იყო ერთი ბოძი, სადაც სიმაღლეს ფანქრით ვინიშნავდი. ამას მისაღებ ოთახში მთელი ოჯახის წინაშე ვაკეთებდი ხოლმე და როდესაც ვიზრდებოდი, ყოველ ჯერზე იცინოდნენ - უხაროდათ. მე კი ძალით ვილიმებოდი. იმის წარმოდგენა, რომ უფროსების სიმაღლე გავიზრდებოდი, საშინელ მდგომარეობაში მაგდებდა. შფოთვა, ერთი მხრივ, რეალობის შეგრძნებას მიკარგავდა და ჩემს ოცნებებს ფრთებს ასხამდა, მეორე მხრივ კი, ისევ „მავნე ჩვევასთან“ მივყავდი. შფოთვა ჩემი გამამართლებელი საბუთი იყო.

- ოც წლამდე უეჭველად მოკვდები, - ჩემი სისუსტის შემხედვარე, ასე ერთი მეგობარი მეხუმრა.

- რა საშინელებას ამბობ! - სახე მწარე ღიმილმა დამიმანყა, თუმცა კი ეს წინასწარმეტყველება გასაოცარ სიტკბოდ ჩამელვარა გულში.

- გინდა, დავნაძლევედეთ?



- თუ ჩემს სიკვდილზე დადებ ფსონს, მაშინ სხვა გზა არ მექნება -  
უნდა დაგენაძლეო, რომ ვიცოცხლებ.

- როგორც უნდა დამენაძლეო, მაინც წააგებ. რა დასანანია, -  
ყმაწვილური სისასტიკით გამიმეორა.

დანარჩენი კლასელებიც ჩემსავით იყვნენ. ომისგან  
განსხვავებით, ჩვენს ილლიებში ბალანი ჯერ არ მოჩანდა. რაღაც  
ღინღლი გვქონდა, მეტი არაფერი. მანამდე სხეულის ამ  
ნაწილისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. ომის  
ილლიების დანახვის მერე კი ეს ჩემი იდეაფიქსი გახდა.

აბაზანაში ჩასვლამდე დიდხანს ვიდექი ხოლმე სარკის წინ.  
სარკე ჩემს შიშველ სხეულს უმოწყალოდ ირეკლავდა. მჯეროდა,  
რომ საძაგელი იხვის ჭუკივით, დიდი რომ გავიზრდებოდი, თეთრ  
გედად გადავიქცეოდი. არადა, ჩემი შემთხვევა იმ ზღაპრის ზუსტად  
საწინააღმდეგო იყო. სარკე ირეკლავდა ჩემს ოცნებას, რომ ოდესმე  
ჩემი გულმკერდი და მხარ-ბეძი ომისას დაემსგავსებოდა. როდესაც  
საკუთარ თავს ვაიძულებდი, მეფიქრა, რომ ვიწრო მხრები და სუსტი  
გულმკერდი ისეთივე გამიხდებოდა, როგორც ომისა იყო, ისე  
ვღელავდი, როგორც ყინულის თხელ ფენაზე სიარულისას. რაღაც  
მაზოხისტური რწმენაც მქონდა - რწმენა იმისა, რომ ვერასდროს  
შევძლებდი დაემსგავსებოდი ომის.

გენროკუს ეპოქის ნახატებზე ქალები და მამაკაცები გასაოცარად  
მსგავსადაა გამოსახული. ბერძნულ ქანდაკებებშიც ქალისა და  
მამაკაცის სილამაზის იდეალი თითქმის ერთია. ნუთუ ეს  
სიყვარულის ერთ-ერთი საიდუმლოა? ვინც მხურვალედ გიყვარს,  
ხომ მუდამ გინდა, მას დაემსგავსო? ეს წადილი ადამიანს  
შთაგონებით ავსებს, შეუძლებლის შესაძლებელად გახდომას

ანატრებიანებს, ბოლოს კი ის ტრაგიკულ გაუცხოებამდე მიჰყავს. ცხადია, სიყვარულის ობიექტის ზუსტი ასლი ვერ გახდება, პირიქით, უმცირეს სხვაობასაც კი დიდ მნიშვნელობას ანიძებ და მერე ამ გაუცხოებით კეკლუცობას იწყებ. სამწუხარო ის არის, რომ მსგავსება წუთიერი ილუზიასავით ქრება. ამიტომაც ხდებიან შეყვარებული ქალიშვილები გამბედავები, ხოლო ყმაწვილები - პირიქით, მორცხვები. ასე, ერთმანეთის დამსგავსებისას, სადღაც წამით იკვეთებიან და მერე ისევ აგრძელებენ თავ-თავიანთ გზას.

ის გამაგიჟებელი შური, რომელმაც ომის სიყვარულზე უარი მათქმევინა, მაინც სიყვარული იყო. ჩემს ილღობში ნელა, მორცხვად წამოზრდილი სიშავე შემიყვარდა, ომისნაირი სიშავე.

ზაფხულის არდადეგები დადგა. მიუხედავად იმისა, რომ მოუთმენლად ველოდი, მაინც ანტრაქტს დაემსგავსა, როდესაც არ იცი, დრო რით გაიყვანო. არასასურველი ზეიმი გამოდგა.

ბავშვობაში ტუბერკულოზის მსუბუქი ფორმის გადატანის შემდეგ ექიმმა ინტენსიური ულტრაიისფერი სხივები ამიკრძალა. აკრძალული მქონდა სანაპიროზე, მზის პირდაპირი სხივების ქვეშ ნახევარ საათზე მეტის გატარება. ყოველ ჯერზე, როდესაც ამ აკრძალვას ვარღვევდი, მაღალ სიცხეს მაძლევდა. იმის გამო, რომ ცურვის გაკვეთილებზე სიარული არ შემეძლო, ცურვა დღემდე არ ვიცი. ალბათ ამ უუნარობამ განაპირობა ის, რომ წლების შემდეგ უფრო შეუპოვარი გავხდი და ზღვამ საოცრად გამიტაცა.

იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიცნობდი ზღვის ძნელად მოსარევ ცდუნებას. ჩემთვის შეუფერებელი ზაფხულისა და უმიზეზო გატაცებების სეზონი უფრო მოსაწყენი რომ გამხდარიყო, დედასთან და და-ძმასთან ერთად სანაპიროზე გავატარე.

ერთ დღეს მაღალ კლდეზე მარტო აღმოვჩნდი. ცოტა ხნით ადრე და-ძმასთან ერთად სანაპიროზე პატარა ბრყყვიალა თევზებს ვაგროვებდი. ამ კლდემდე ერთად მოვედით. ნადავლი მაინცდამაინც ბევრი არ იყო. ჩემს პატარა და-ძმას თევზების შეგროვება უკვე მობეზრებოდა. ამ დროს მოსამსახურე მოვიდა და შეწუხებული სახით წაიყვანა ისინი ქოლგას შეფარებულ დედასთან. მე იქ დამტოვეს.

ზაფხულის ნაშუადღევს მზე შეუჩერებლად ეხეთქებოდა ზღვის ზედაპირს. მთელი სანაპირო ერთი დიდი თავბრუსხვევა იყო.

ჰორიზონტზე ზაფხულის დიდებული ღრუბლები ეკიდა, მოწყენილად გადაჭიმული ნახევარი ზღვის თავზე. რაღაცის მაუწყებელ ამ ღრუბლებს თითქოს თაბაშრივით ფერმკრთალი კუნთები ჰქონდათ.

შორს სანაპიროს მხრიდან გასული ორი-სამი იახტა, რამდენიმე პატარა ნავი და მეთევზეების გემი მოჩანდა. მათი მგზავრების გარდა, სულიერს ვერავის ვხედავდი. ყველაფერი მდუმარებაში გახვეულიყო. მხიარული ბრიზი უხილავი მწერივით აფართხალებდა ფრთებს და ყურში უნაზეს საიდუმლოს ჩამჩურჩულებდა. აქვე კიდევ ორი-სამი ისეთი ციცაბო კლდე იყო, როგორზეც მე ვიჯექი. სანაპირო ბრტყელი ქვებით იყო სავსე.

ტალღები მშფოთვარედ ამოიბურცნენ ზღვის ზედაპირზე, მწვანე ბუშტებივით. ზღვაში შეჭრილი დაბალი კლდეები მაღლა ისროდნენ შხეფებს, საშველად გამოწვდილი თეთრი ხელებივით. ზღვის სიღრმეში დანთქმულნი, თითქოს ზღუდის შემოხსნაზე, გათავისუფლებაზე ოცნებობდნენ. ბუშტები კი უმაღლეს კი იტოვებდნენ კლდეებს და იმავე სიჩქარით სანაპირო ზოლისკენ მოსრილებდნენ. უცებ ერთი ბუშტის მწვანე გარსიდან რაღაც

ამოიზარდა. ტალღაც აქაფდა და ნაპირთან ვეება ნაჯახის წაწვეტებული პირით დაემვა. მუქმა გილიოტინამ ტალღას თავი წააცალა და თეთრი სისხლის შხეფები ამოუშვა. ტალღის ტანი ძირს დაეხეთქა, მას კი თავი მოჰყვა, რომლის თვალებშიც აგონიაში მყოფის გუგებში არეკლილი კრიალა ლურჯი ცა - არაამქვეყნიურად ლურჯი ზეცა აირეკლა. ბოლოს გამოხრული ბრტყელი კლდეები გამოჩნდნენ, თეთრ ქაფში რომ იმალებოდნენ და ტალღების ნარჩენებში ბრწყინავდნენ. კლდიდან ვხედავდი, როგორ გახევებულიყვნენ ან ძლივს მოძრაობდნენ კიბორჩხალები ამ დამაბრმავებელ ნათებაში.

მარტოობის გრძნობა მაშინვე ომის მოგონებას შეერია. აი, როგორ: ომის ჩვეულ სიმარტოვეს, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გაჩენილ სიმარტოვეს, რომელსაც ასე ვნატრობდი, ახლა ზედაპირულად მაინც დამსგავსებოდა ჩემი მარტოობა. მინდოდა, მასავით დავმტკბარიყავი ზღვით გადავსებული ამ მარტოობით. ახლა ორივეს როლი მე უნდა მეთამაშა. ამისათვის სულ მცირე საერთო ნიშანი მაინც უნდა მეპოვა. თუ ამას გავაკეთებდი, მაშინ შევძლებდი ომივით მოვქცეულიყავი (თუმცა ის, ალბათ, ამას ვერც ხვდებოდა) და უკვე გაცნობიერებულად დავმტკბარიყავი მარტოობით. უნდა მიმეღწია იმისთვის, რომ ომის დანახვისას გაჩენილი სიამოვნების გრძნობა იმ სიამოვნებად ქცეულიყო, რასაც ის გრძნობდა.

წმინდა სებასტიანით გატაცების გამო ასეთი ჩვევა ჩამომიყალიბდა: ყოველთვის, როდესაც შიშველი ვიყავი, უმიზეზოდ ვწევდი გადაჯვარედინებულ ხელებს თავს ზემოთ. მერე რა, რომ ჩემს სუსტ სხეულს სებასტიანის მშვენიერებამდე ბევრი აკლდა. ახლაც ასე მოვიქეცი. თვალები მაშინვე იღლიებისკენ გამექცა და ამოუცნობმა ვნებამ იფეთქა.

ზაფხულის დადგომისთანავე ჩემი ილღიები შავი ბალნით დაიფარა. ისე არა, როგორც ომის ჰქონდა, მაგრამ ეს უკვე საერთო ნიშანი იყო. ჩემი ვნება აშკარად ომის უკავშირდებოდა, თუმცა ვერც იმას უარყოფ, რომ საკუთარმა ილღიებმა აღმაგზნო. ნესტოებში მოლამუნე ზღვის ბრიზი, ზაფხულის უმოწყალო მზის სხივები, რომლებიც შიშველ ბეჭებსა და გულმკერდს მიწვავდნენ და ის ფაქტი, რომ გარშემო კაციშვილი არ ჭაჭანებდა... ეს ყველაფერი გაერთიანდა და ღია ცის ქვეშ პირველად მივმართე „მავნე ჩვევას“. ობიექტი ჩემივე ილღიები იყო.

სხეული გასაოცარი სევდით ამითრთოლდა. სიმარტოვე მზესავით მწვავდა. ლურჯი შალის საცვალი მუცელზე უსიამოვნოდ მეკვროდა. ნელა დავეშვი სანაპიროზე და ფეხები წყალში ჩავყავი. ზღვის ქაფში ჩემი ფეხები მკვდარ ნიჟარებს ჰგავდა. ნიჟარებითა და ქვებით მოფენილ ფსკერს ვხედავდი. წყალში ჩავიმუხლე. მერე ტალღა ველური ღრიალით გამოეჩანა და მკერდზე შემასკდა. მივენდე მის წადილს, მთლიანად შხეფებში გავეხვიე.

როცა ტალღამ უკან დაიხია, მთელი სიბინძურეც ჩამომრეცხა. აქაფებულმა ზღვამ, სპერმასთან ერთად, ურიცხვი მიკროორგანიზმი, წყალმცენარეების თესლები, ქვირითი და სხვა ცოცხალი არსებები წაიყოლა.

შემოდგომა დადგა და ახალი სემესტრი დაიწყო, მაგრამ ომი არ გამოჩენილა. განცხადებების დაფაზე სკოლიდან მისი გარიცხვის შესახებ გამოკრული ბრძანება ვნახე.

უზურპატორის სიკვდილის შემდეგ ენაამოდგმული მოქალაქეებივით ალაპარაკდნენ ჩემი კლასელები ომის ჩადენილ ბოროტებებზე. ათი იენი ვასესხე და არ დამიბრუნაო, იმპორტული ავტოკალამი სიცილით წამართვაო, მახრჩობდაო... ერთმანეთს

უყვებოდნენ მომხდარსა და გადატანის. მხოლოდ მე არ მომქცეოდა ომი ცუდად. ამის გამო შურით ვსკდებოდი. სასოწარკვეთილს, ცოტათი ის მამშვიდებდა, რომ სკოლიდან გარიცხვის მიზეზის შესახებ სიმართლე არავინ იცოდა. ყველა სკოლას ჰყავს ყველაფრის მცოდნე, მოხერხებული მოსწავლეები, თუმცა ახლა მათაც კი ვერ შეძლეს ხეირიანად რაიმეს გარკვევა. მასწავლებლები კი ჩაიცინებდნენ ხოლმე და ძალიან ცუდი რაღაც მოხდაო, - მხოლოდ ამას გვპასუხობდნენ.

მარტო მე ვიყავი დარწმუნებული, რომ მისი ბოროტების საიდუმლოს ვხვდებოდი. ნამდვილად რაღაც დიდ შეთქმულებაში მონაწილეობდა, ალბათ ისე, რომ თავადაც ვერ აცნობიერებდა ბოლომდე მის არსს. ომის ბედისწერას, მისი ცხოვრების საზრისს მასში მცხოვრები ბოროტი სულის ნება-სურვილი განსაზღვრავდა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობდი.

მაშინ ომის „ბოროტებამ“ სულ სხვა მნიშვნელობა შეიძინა ჩემთვის. მისი გამომწვევი იყო მასშტაბური შეთქმულება, რთული სტრუქტურის მქონე საიდუმლო ორგანიზაცია, დეტალურად დამუშავებული ფარული ტაქტიკით, რაღაც უცნობი ღმერთის სამსახური. ომი ამ ღმერთს ემსახურებოდა, ცდილობდა, სხვები მის რწმენაზე მოექცია, ჩუმად გასცეს და საიდუმლოდ მოკლეს. სადამოს ბინდში, გორაკზე შეფენილი კორომისკენ შიშველი წაიყვანეს. ორივე ხელი მაღლა, ხეზე მიუბეს. პირველი ისარი ფერდში, მეორე კი ილლიაში შეესო.

ჩემს ფიქრებს ბოლო არ ჰქონდა. მისი სხეული, როდესაც ის ძელზე აზიდვებს აკეთებდა, სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა წმინდა სებასტიანისას.

მეათე კლასში ანემია დამემართა. სახე უფრო ფერმკრთალი

გამიხდა, ხელები კი - ბალახისფერი. მაღალ კიბეზე ასვლის შემდეგ ცოტა ხანი უნდა ჩავკუზულიყკვი. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს თეთრი ნისლის ქარბორბალა ჩემს კეფაზე ეშვებოდა, იქ ხვრელის გაკეთებას ცდილობდა და სადაც იყო, გონებას დამაკარგვინებდა.

ექიმთან წამიყვანეს. ექიმმა ანემიის დიაგნოზი დამისვა. ოჯახის ახლობელი, სასიამოვნო კაცი იყო. როდესაც ჩემებმა ჰკითხეს, რანაირი დაავადებაა ეს ანემიაო, უპასუხა: მოდით, წიგნში ჩავიხედოთ და ისე აგიხსნითო. ჩემს გასინჯვას მორჩენილიყო და გვერდზე ვედექი. გადაშლილი წიგნისკენ თვალს ვაპარებდი. ჩემები წინ ისხდნენ და ვერაფერს ხედავდნენ.

- ჰმ, დაავადების მიზეზები... დაავადების გამომწვევი მიზეზებია... ნაწლავის ჭიები. კი, ეს ყველაზე გავრცელებულია. შესაძლოა ჩვენს შემთხვევაშიც ესაა. განავლის ანალიზია საჭირო. ქლოროზი - ესეც არ არის იშვიათი, თუმცა მარტო გოგონებს ემართებათ.

ექიმმა შემდეგი მიზეზი აღარ წაიკითხა, რაღაც გაუგებრად ჩაიბურტყუნა და წიგნი დახურა. თუმცა მე ამ მიზეზის დანახვა და წაკითხვა შევძელი. ეს „მასტურბაცია“ იყო. სირცხვილისგან პულსი ამიჩქარდა. ექიმი ყველაფერს მიხვდა!

დარიშხანის ნემსები დამინიშნა. ამ საწამლავის სისხლმზადმა მოქმედებამ ერთ თვეში მომარჩინა.

მაგრამ ვინ იცოდა, რომ სისხლის ნაკლებობა და სისხლის წყურვილი, ჩემს შემთხვევაში, ერთმანეთს უცნაურად უკავშირდებოდა.

დაბადებიდან სისხლის ნაკლებობამ სისხლის მდინარეებზე

ოცნება დამაწყებინა. და რაც უფრო მეტ სისხლს მაკარგვინებდა ეს  
ოცნება, მით უფრო მიძლიერებდა სისხლის მოთხოვნილებას;  
სხეულს მიფიტავდა, მაგრამ ფანტაზიის უნარს მიწროობდა და  
მივარჯიშებდა. დე სადის ნაწარმოებების შესახებ ჯერ არაფერი  
ვიცოდი, QUi Vადის-ში აღწერილმა კოლიზეუმმა კი დიდი  
შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ფიქრებში საკუთარი  
სიკვდილის თეატრი ავაგე. იქ რომაელი ახალგაზრდა მეზრძოლები  
თავიანთ სიცოცხლეს გასართობად მთავაზობდნენ. სიკვდილი  
სავსე იყო სისხლით, ყველა ცერემონიისა და ფორმალობის  
დაცვით. ამგვარი სიკვდილით დასჯისა და ამ დროს  
გამოსაყენებელი იარაღების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი  
მქონდა. წამების იარაღებისა და სახრჩობელასგან, რომელიც  
უსისხლოდ კლავდა, თავი შორს მეყირა. არც პისტოლეტებსა და  
სხვა ცეცხლსასროლ იარაღებს ვწყალობდი. პირველყოფილთა  
ისარს, ხანჯალს, შუბს ვირჩევდი. ტანჯვის გასახანგრძლივებლად  
მუცლის არეს ვუმიზნებდი. მსხვერპლს დიდხანს, საწყალობლად,  
ტრაგიკულად უნდა ეყვირა, რომ ენით აღუწერელი სიმარტოვე  
შეგეგრძნო. ცხოვრების სიხარულით ვინთებოდი. ვყვიროდი და  
ამით მსხვერპლს ვეხმაურებოდი. ალბათ, პირველყოფილი  
ადამიანიც ასე გამოხატავდა ნადირობის ჟინსა და სიხარულს.

ბერძენი ჯარისკაცების, თეთრკანიანი არაბი მონების, ველურ  
ტომთა პრინცების, სასტუმროს მელიფტეების, ოფიციანტების, ქუჩის  
ხულიგნების, ოფიცრების, ცირკის აკრობატებისა და ასეთი  
ვინმეების სასაკლავო მქონდა მოწყობილი ჩემს ფანტაზიებში. იმ  
ბარბაროსს ვგავდი, რომელმაც არ იცის, როგორ უყვარდეს და  
ამიტომ შეცდომით კლავს სიყვარულის ობიექტს. ძირს  
დავარდნილებს ათრთოლებულ ტუჩებში ვკოცნიდი. რაღაც  
შთაგონებით ასეთი საწამებელი იარაღი გამოვიგონე: რელსების  
ერთ მხარეს გადაჯვარედინებული მორებია, რომლებზეც ადამიანია  
მიბმული, მეორე მხარეს კი სქელ დაფას ათზე მეტი ხანჯალი აქვს



ჩასობილი და რელსებზე მოსრიალებს გადაჯვარედინებულ მორეზე მიბმული ამ ადამიანისკენ. სიკვდილის ქარხანაში ადამიანები ჩარხში არიან ჩაჭედნილები და ეს ჩარხი მუდმივად მოძრაობს. გადმოსულ სისხლს სიტკბოს უმატებენ, ბოთლებში ასხამენ და ჰყიდნიან. ეკ, ვინ მოთვლის, სკოლის მოსწავლის ტვინში შექმნილ კოლიზიუმში უკან ხელებშეკრული რამდენი მსხვერპლი მიიყვანეს.

გზნება უფრო და უფრო მიძლიერდებოდა, ბოლოს კი უბოროტეს ფანტაზიამდე მიმიყვანა, რისი წარმოდგენაც კი შემიძლო.

ფანტაზიის მსხვერპლი ჩემი ერთ-ერთი კლასელი იყო - კარგი მოცურავე და შესანიშნავი აღნაგობის ბიძი.

მიწისქვეშა ოთახში საიდუმლო სერობა გაემართათ. მაგიდის ქათქათა გადასაფარებელზე ელეგანტური შანდლები ბრწყინავდა, თეფშების გვერდით კი ვერცხლის დანა-ჩანგალი ეწყო. იქვე მიხაკების კალათებიც იდგა. უცნაური მხოლოდ ის იყო, რომ სუფრის ცენტრში საკმაოდ დიდი ადგილი ცარიელი დაეტოვებინათ. ალბათ განსაკუთრებულად დიდი თეფშის ჩადგმას აპირებდნენ.

- ჯერ არაა მზად? - მკითხა ერთ-ერთმა სტუმარმა.

ბნელოდა და სახე ვერ გავარჩიე. ხმა, რომელშიც საზეიმო განწყობა შეინიშნებოდა, მოხუცისა უნდა ყოფილიყო. სიბნელის გამო ვერც დანარჩენი სტუმრების სახეებს ვხედავდი. ლამფის შუქი მხოლოდ თეთრ ხელებს ეცემოდა, რომლებსაც ვერცხლის დანა-ჩანგალი ჩაებლუჯათ. ყველანი დაბალ ხმაზე საუბრობდნენ, თითქოს თავისთვის ბურტყუნებნო. დროდადრო სკამის გაწევის ღრჭიალი თუ არღვევდა დუდუნს ამ პირქუშ სუფრაზე.

- მგონი, მალე გამზადდება, - ვუპასუხე. უკან მწვავე დუმილი დამიბრუნდა. დავინახე, რომ ჩემმა პასუხმა ყველა ცუდ ხასიათზე დააყენა.

- თქვენის ნებართვით, ვნახავ და მოვალ, - ავდექი და სამზარეულოს კარი გავაღე. სამზარეულოს ერთ კუთხეში ქვის კიბე იყო, რომელიც ზემოთა სართულზე ადიოდა.

- მზადაა უკვე? - ვკითხე მზარეულს.

- მალე იქნება! - უხალისოდ მიპასუხა თავდახრილმა. მზარეული ბოსტნეულს ჭრიდა. სამზარეულოს მაგიდაზე, დიდი დაფის გარდა, სხვა არაფერი იდო.

ქვის კიბიდან სიცილის ხმა ჩამომესმა. ავიხედე. კიდევ ერთი მზარეული ჩამოდიოდა და თან ჩემი კლასელი, ძლიერი, დაკუნთული ყმაწვილი მოჰყავდა, რომელსაც გრძელი შარვალი და გადაღეღილი ლურჯი პოლოს პერანგი ეცვა.

- აჰ, შენ ხარ? - გულგრილად ვთქვი. კიბეზე ჩამოვიდა თუ არა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა გამომხედა და ანცად ჩაიცინა. უცებ მზარეული უკნიდან ეცა და ყელში სწვდა. ბიჭი გამწარებული ეწინააღმდეგებოდა.

ამ სასტიკ ორთაბრძოლას ვუყურებდი და ვფიქრობდი: „ალბათ ძიუდოს ილეთია... კი, კი, ძიუდოს ილეთია. ოღონდ რა ჰქვია? კი, ეგაა. ყელში მოუჭერ და მართლა კი არ კლავ, გონებას კარგავს მხოლოდ...“ უცებ მზარეულის ძლიერ მკლავებში ბიჭს კისერი მოუდუნდა. მზარეულმა, ვითომც აქ არაფერიაო, ბიჭი ხელში აიყვანა და პირდაპირ სამზარეულოს მაგიდაზე დააწვინა. მეორე მზარეულმა საქმიანად გააძრო მას პოლოს პერანგი, შარვალი

გახდა, მაჯის საათი მოხსნა და თვალსა და ხელს შუა მთლიანად გააშიშვლა. ოდნავ პირგაღებული, ტიტველი ბიძი ზურგზე იწვა. ტუჩებში ვაკოცე, ხანგრძლივად.

- როგორ სჯობს, ზურგზე იწვეს თუ პირქვე? - მკითხა მზარეულმა.

- ზურგზე სჯობს, არა? - ვუპასუხე. - ასე მისი ქარვისფერი გულმკერდი ფარივით მოჩანს.

ამ დროს მეორე მზარეულმა თაროდან ზუსტად ადამიანის ზომის, დასავლური თევში გადმოიღო. უცნაური თევში იყო - კიდებზე ათი პატარა ხვრელი ჰქონდა.

- ოჲჲ

მზარეულებმა გულწასული ყმაწვილი თევშზე გადააწვინეს. მხიარული სტვენა-სტვენით, თევშის პატარა ხვრელებში თოკები გაუყარეს, რომ ის კარგად დაებათ. თვალშისაცემი იყო მათი ხელების სისწრაფე და ოსტატობა. სალათის დიდრონი ფოთლები ლამაზად შემოულაგეს შიშველ სხეულს, გვერდით კი რკინის უზარმაზარი დანა-ჩანგალი დაუდეს.

- ოჰაა! - მზარეულებმა თევში მაღლა ასწიეს. მე კი სასადილო ოთახის კარი შევაღე.

ყველანი კეთილგანწყობილი დუმილით შემომეგებნენ. ლამფებით განათებულ სუფრაზე თევში ცარიელ ადგილას ჩადგეს. ჩემს სკამთან დავბრუნდი და დიდი თევშიდან დანა-ჩანგალი ავიღე.

- საიდან დავიწყოთ?

პასუხი არ გაუციათ. ვიგრძენი, უამრავი ადამიანის სახე როგორ გადმოხრილიყო თეფშისკენ.

– აი, ეს ადგილი კარგი გასაჭრელია, არა? – პირდაპირ გულში ჩავარყვე ჩანგალი. სისხლის შადრევანი სახეში შემომესხა. ნელ-ნელა, მარჯვენა ხელით, მკერდიდან თხელი ნაჭერი ჩამოვათალე.

ანემიამ გამიარა, „მავნე ჩვევა“ კი უფრო გამიძლიერდა. მასწავლებლებს შორის ყველაზე ახალგაზრდას, გეომეტრიის მასწავლებელს თვალს ვერ ვწყვეტდი. მზით გარუჯული სახე და მეთევზესავით საამო ხმა ჰქონდა. ამბობდნენ, ადრე ცურვის მასწავლებლადაც მუშაობდაო. ზამთარი იყო და ცალი ხელი ჯიბეში მედო, მეორით კი დაფიდან რაღაცას ვიწერდი რვეულში. უცებ რვეულიდან თავი ავწიე და მასწავლებელს თვალი გაუცნობიერებლად გავაყოლე. ის, ახალგაზრდული ხმით, რაღაც რთულზე საუბრობდა და თან კათედრაზე ადი-ჩამოდიოდა.

ჩემს ყოველდღიურ ყოფაში ღრმად შემოჭრილიყო გრძნობები და ტანჯვა. გეომეტრიის მასწავლებელი ჩემ თვალწინ ახალგაზრდა ჰერაკლეს შიშველ ფიგურად იქცა. როდესაც მარცხენა ხელით დაფას წმენდდა, მარჯვენა გაწვდილი ხელით კი ცარცით განტოლებებს წერდა, მისი პიჯაკის ნაოჭებში მშვილდმოზიდული ჰერაკლეს კუნთებს ვხედავდი. ბოლოს და ბოლოს, „მავნე ჩვევას“ გაკვეთილზეც მივმართე.

გამოსაფხიზლებლად შესვენებაზე ეზოში გავედი. ამ დროს ახალი ცალმხრივი სიყვარულის ობიექტი მომიახლოვდა, რომელიც ომივით კლასში ჩარჩენილიყო, და მკითხა:

- გუშინ კატაკურას სახლში იყავი მისასამძიმრებლად, არა? როგორ მდგომარეობაში იყო?

კატაკურა, ერთი კეთილი ბიძი, ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მეგობრებისგან გავიგე, რომ მისი უსულო სახე ეშმაკს დამსგავსებოდა და ამიტომაც, მხოლოდ მაშინ მივედი მისასამძიმრებლად, როდესაც დაწვეს.

- არც არანაირში. უკვე კრემირებული იყო, - სხვა გზა არ მქონდა, მშრალად ვუპასუხე. მერე კი უცებ პირფერობა მომინდა: - კიდევ იცი რა? კატაკურას დედა სულ შენ გკითხულობდა, ამის შემდეგ სულ მოწყენილი ვიქნები და ხშირად მესტუმროს ხოლმეო.

- სულელო! - უხეშად მითხრა, მაგრამ მის ხმაში სიტბოც შევნიშნე და გამიკვირდა. სირცხვილისაგან ლოყები აუწითლდა. როგორც თანამზრახველს, ისე მიყურებდა, თვალებში ახალი სხივი ჩასდგომოდა.

- სულელო! - კიდევ ერთხელ გამიმეორა. - შენც მაგრად გაფუჭებულხარ!

უცებ ვერაფერს მივხვდი. ნახევარი წუთი უაზროდ ვიცინოდი. ბოლოს, როგორც იქნა, მოაღწია ჩემამდეც. კატაკურას დედა ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, გამხდარი და ლამაზი ქვრივი იყო!

გული მომეწურა. ჩემი ასეთი მიუხვედრელობა გამოუცდელიობიდან და უცოდინრობიდან კი არ მომდინარეობდა, არამედ იქიდან, რომ ჩემი და მისი ინტერესები აშკარად ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ჩვენ შორის მანძილს მანამდეც ვგრძნობდი, ახლა კი თან გული მწყდებოდა და თან ვბრაზობდი, რომ ყველაფერი ასე გვიან აღმოვაჩინე.

რატომ არ დავფიქრდი, რას გამოიწვევდა ჩემი გამოგონილი მოკითხვა? ეს, უბრალოდ, იმისთვის ჩავიდინე, რომ თანამოსაუბრე მესიამოვნებინა. საკუთარი ბავშვური საქციელის სიმახინჯემ, რომელიც ბავშვის სახეზე შემხმარი ცრემლებივით საძულველი იყო, უიმედობაში ჩამაგდო. რატომ არ შემეძლო ვყოფილიყავი ის, ვინც ვიყავი? უკვე მემილიონჯერ ვუსვამდი საკუთარ თავს ამ შეკითხვას და კითხვის დასმითაც გადავლლილიყვე. საკუთარ უმანკობასა და უბიწოებას დაველაღე. ეს მანადგურებდა. მეგონა, რომ თუ გულისთქმას გავყვებოდი (როგორი სიტყვებია!), ამ სიტუაციიდან გამოძრომას შევძლებდი. ჯერ ვერ ვხვდებოდი, რომ თავად სიცოცხლე მლლიდა და თავს მახეზრებდა, ფანტაზიები კი არა. ცხოვრება უნდა დამეწყო. საიდან ან როგორ? იქნებოდა თუ არა ასე ცხოვრება ნამდვილი - ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჰოდა, მეც დავიწყე, მძიმე ნაბიჯებით გავემართე...

## მესამე თავი

ყველა ამბობს, ადამიანის ცხოვრება სცენააო, მაგრამ არა მგონია, ბევრი იყოს ისეთი, ვინც ჩემსავით უკვე სიყმაწვილის დასასრულს გააცნობიერა, რომ ცხოვრება თამაშია. ეს მტკიცედ მწამდა, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა გულუბრყვილოც გახლდით და გამოუცდელიც. საკუთარ თავს ვეკითხებოდი: ნუთუ ყველა ჩემსავით არ იწყებს ცხოვრებას-მეთქი? და მერე თავადვე ვარწმუნებდი: კი, ნამდვილად ყველა ასე იწყებს-მეთქი. ოპტიმისტურად მწამდა, რომ ადრე თუ გვიან სპექტაკლი დასრულდებოდა და ფარდაც ჩამოეშვებოდა. ჩემი ნაადრევი სიკვდილის ჰიპოთეზაც ამას უკავშირდებოდა. მოგვიანებით კი ეს ოპტიმიზმი, უფრო სწორად კი, ოცნებები სულ სხვა, ბევრად სასტიკი სახით შემომიბრუნდა.

ყოველი შემთხვევისთვის, უნდა დავამატო: რაზეც აქ ვისაუბრებ, „საკუთარი თავის შეცნობის“ პრობლემა არაა. ეს სექსუალური სურვილების თემაა და სხვა არაფერი.

ჩამორჩენილი მოსწავლე კი ვიყავი, ეს უკვე ჩემი არსების ნაწილი იყო, მაგრამ მეც ჩვეულებრივად მიხდოდა კლასიდან კლასში გადასვლა. ამიტომ ასეთ ხერხს მივმართე: ისე, რომ შინაარსიც არ მესმოდა, გამოცდებზე ჩემი კლასელების პასუხებს ჩუმად ვიწერდი და შემდეგ უცოდველი სახით ვაბარებდი. ეს უგუნური და თავხედური მეთოდი ხშირად ძალიან წარმატებულად იყო. და აი, მოსწავლეს უკვე მომდევნო კლასშია! გაკვეთილები რთულდება. ვინც წინა წლის მასალა კარგად აითვისა, მისთვის ეს არაფერია,

მაგრამ ამ მოსწავლისთვის ბევრი რამ სრულიად გაუგებარია. გაკვეთილს უსმენს, მაგრამ არაფერი ესმის. ორი გზა რჩება: ხელის ჩაქნევა ან თავის მოჩვენება, თითქოს ბეჯითია. რომელ გზას ამოირჩევს, ამას მისი სისუსტის ან სიმამაცის ხარისხი გადაწყვეტს. რომელი გზაც უნდა ამოირჩიოს, ორივეს თანაბრად სჭირდება სიმამაცეც და სისუსტეც. ასევე ორივეს სჭირდება მუდმივი პოეტური სწრაფვა სიზარმაცისკენ.

ერთხელ სკოლის კედელთან მოსეირნე კლასელებს შევუერთდი. ერთ-ერთ კლასელზე ჭორაობდნენ, რომელიც იქ არ იმყოფებოდა - ავტობუსის კონდუქტორი ქალი უყვარსო. ბოლოს იმაზე დაიწყეს კამათი, რა ჰქონდა კარგი იმ კონდუქტორს. მოზომილი გულგრილობით შევნიშნე:

- და უნიფორმა? სხეულზე რომ აქვს შემოტმასნილი, ეგ არაა მაგარი?

რა თქმა უნდა, ის კონდუქტორი ყველაზე ნაკლებად მიზიდავდა.

ანალოგიას მივმართე, წმინდა წყლის ანალოგიას. ასაკისთვის შესაფერი ტრაბახიც დამეხმარა. თან ძალიან მინდოდა, მოვლენები დიდური გულგრილობითა და ავხორცული ხედვით შემეფასებინა.

რეაქციამ მოლოდინს გადააჭარბა. ეს ბიჭები კარგად სწავლობდნენ და წესიერი მანერებითაც გამოირჩეოდნენ, თუმცა რამდენიმეს მაინც აღმოხდა:

- ვახ! შენ ყოფილხარ, ვინც ყოფილხარ!

- დიდი გამოცდილება თუ არა გაქვს, ეგეთ რამეს თამამად ვერ იტყვი!



– რა ეშმაკი და ჩუმჩუმელა ყოფილხარ!

ასეთ გულუბრყვილო, აღფრთოვანებით აღსავსე კრიტიკას თუ დავიმსახურებდი, არ მეგონა. ვიფიქრე, ზედმეტი მომივიდა-მეთქი. იგივე აზრი ნაკლებად გამომწვევად რომ გამომეთქვა, ალბათ უფრო სერიოზული გამოვჩნდებოდი. დავფიქრდი და მივხვდი, რომ უფრო მეტი ეშმაკობა და მოხერხებულობა იყო საჭირო.

15-16 წლის ყმაწვილი, რომელსაც თავისი არეული გონების მეტ-ნაკლებად მართვა შეუძლია, ადვილად უშვებს შეცდომას და იჯერებს, რომ სხვებთან შედარებით უფრო მომწიფებულიცაა. ეს კი ასე ნამდვილად არაა. ჩემი შფოთვა, გაურკვეველობა - აი, ამისთვის უნდა მომეველო პირველ რიგში. ვარაუდებითა და ეჭვებით სავსე გონებისთვის უნდა მიმეხედა. შტეფან ცვაიგის განსაზღვრებით, ბოროტი საწყისი ყველა ადამიანშია; ის გათავისუფლებას, „მეს“ გადალახვას ელტვის და ადამიანს უსაზოვრო შფოთვისკენ მიაქანებს. ეს არის „ზუსტად ის, რასაც ბუნება, გამონაკლისის გარეშე, წარსული ქაოსის წიაღიდან მოუსვენარ ნაწილაკებად ტოვებს ჩვენს სულებში“. ამ „მოუსვენარ ნაწილაკებს“ თან მოაქვთ დაძაბულობა, „ზეადამიანურ, ზემგრძნობიარე, უმნიშვნელოვანეს კომპონენტთან მიბრუნების წყურვილი“. იქ, სადაც გონება მხოლოდ მარტივ ახსნა-განმარტებებს იყენებს, ცხადია, ადამიანს ცნობიერება არც დასჭირდება.

ამ კონდუქტორი ქალის მიმართ არანაირ ლტოლვას არ ვგრძნობდი, უბრალოდ, სუფთა ანალოგიას მივმართე, მაგალითი მოხერხებულად შევარჩიე. ვხედავდი, როგორ იმოქმედა ჩემმა სიტყვებმა კლასელებზე: გააკვირვა, სახეები სირცხვილით აუწითლა, უფრო მეტიც, ბუნდოვანი ეროტიკული იმპულსები გაუღვიძა. რა თქმა უნდა, ჩემში უპირატესობის შეგრძნებამ იფეთქა.

თუმცა ახლა ჩემი გასულელების ჯერი დადგა. უპირატესობის განცდა დათვურ სამსახურს მიწევდა. თვითკმაყოფილების განცდა დამეუფლა და ამით შემთვრალმა იმაზე დავიწყე ფიქრი, რომ სხვებს ერთი ნაბიჯით ვუსწრებდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სული ისევ მთვრალი იყო, გონებამ მალევე შეძლო გამოფხიზლება, ყველაფრის გამოთვლა და შეცდომის გამოსწორება.

თავმდაბლობის შემოტევები დამეწყო და „სხვებს ერთი ნაბიჯით ვუსწრებ“ ასე შევცვალე: „არა, მეც ყველასნაირი ვარ“. ამ შეცდომის წყალობით, შემდეგ განზოგადებამდე მივედი: „თუ ასეა, მაშინ ყველანი ყველაფერში ერთნაირები ვართ“ (ამგვარი განზოგადება ჩემმა ჯერ კიდევ გამოუფხიზლებელმა ნაწილმა შესაძლებლად და მისაღებად ჩათვალა). ბოლოს კი თავხედურად დავასკვენი, ყველა ჩემნაირია-მეთქი. გონება, რომელშიც ყველაფერი არეული იყო, მთელი დატვირთვით მუშაობდა და თვითშთაგონებას მაიძულებდა. ეს თვითშთაგონება - აბსურდული, სულელური, აშკარა ტყუილი - იმ დროიდან ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ჩემნაირი შეპყრობილი ადამიანი, ალბათ, მეორე არაა.

მკითხველისთვის ნათელი უნდა იყოს, რატომაც ვისროლე კონდუქტორი ქალის მიმართ ცოტა ავხორცული კომენტარი. მიზეზი მართლაც ძალიან მარტივია, თუმცა კი მაშინ ვერ მივხვდი. მარტივი და ამომწურავი ახსნა ასეთი იქნება: ქალებთან დაკავშირებულ საკითხებში, სხვა ბიჭებისგან განსხვავებით, თანდაყოლილ სიმორცხვეს არ ვგრძნობდი.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილო ცილისწამება, თითქოს დღევანდელი გადმოსახედიდან ვაანალიზებ და აღვწერ ჩემს მაშინდელ „მეს“, მოვიყვან ნაწყვეტს, რომელიც თხუთმეტი წლის ასაკში დავწერე.

მანქანა ძალას იკრებს.

რიოტარო უყოყმანოდ დაუმეგობრდა უცხო ადამიანებს. მხიარულობდა და სწამდა, რომ თუ ყველას ასე მოაჩვენებდა თავს, უმიზეზო მეღანჭოლიასა და აპათიას გასაქანს არ მისცემდა. რწმენის საუკეთესო პირობა - სიბრმავე მას აღზნებულ უძრაობაში ამყოფებდა. სულელურ ხუმრობებსა და უაზრო თამაშებში თუ ჩაერთვებოდა, სულ იმას ფიქრობდა, აი, აღარ ვარ უბედური, აღარ ვარ მოწყენილიო. ამას „დარდის დავიწყება“ შეარქვა.

ჩვეულებრივ, ადამიანი მუდმივად ეკითხება საკუთარ თავს: „ბედნიერი ვარ?“, „მხიარული ვარ?“ შეკითხვებში რეალობა ყველაზე უკეთ ჩანს. მათი დასმა ბედნიერების უტყუარი საბუთია.

რიოტარომ გადაწყვიტა, რომ „ბედნიერი იყო“ და ამაში თავი ღრმად დაირწმუნა.

ხალხმაც დაიჯერა მისი „უტყუარი ბედნიერება“. ყველა მისკენ მიილტვოდა.

ბოლოს და ბოლოს, ის, რაც ბუნდოვანი სიმართლე იყო, ძლიერდება და ტყუილის მანქანად იქცევა. მანქანა კი ძალას იკრებს. ადამიანები ვერც ამჩნევენ, რომ „ყალბი მეების ოთახში“ აღმოჩენილან.

ჩემი მანქანაც ხომ იკრებდა ძალას?

ბავშვობაში ხომ გვჯერა, რომ თუ ეშმაკს გმირად ვაქცევთ, ის ყველაფერს შეგვისრულებს...

ასეა თუ ისე, დრო იყო, რეალურ ცხოვრებაში შემებიჯებინა.

საბაზო ცოდნა, რომლითაც მოგზაურობა უნდა წამომეწყოს, ეყრდნობოდა უამრავ რომანს, სექსის შესახებ დაწერილ ერთ ტომს, მეგობრების წრეში დატრიალებულ პორნოგრაფიულ წიგნებსა და საველე ვარჯიშებისას ყოველ ღამე მოსმენილ, მიამიტურ, უხამს ისტორიებს. ჯერჯერობით სულ ეს იყო. ამ ყველაფერს მწველი ცნობისმოყვარეობაც უნდა დავუმატოთ - ესეც ჩემი ერთგული მეგობარი გახლდათ. „ტყუილის მანქანით“ შეიარაღებულმა, შესაფერისი პოზა მივიღე და ისე გავემართე ცხოვრებაში შესასვლელი ჭიშკრისკენ.

უამრავი რომანი მქონდა დეტალურად შესწავლილი. ვიკვლევდი, როგორ აღიქვამდნენ სამყაროს ჩემი ასაკის ადამიანები, როგორ ესაუბრებოდნენ საკუთარ თავს. ის, რომ საერთო საცხოვრებლის ცხოვრებას მოწყვეტილი ვიყავი, სპორტულ აქტივობებში არ ვმონაწილეობდი, ის ფაქტიც, რომ სკოლაში ბევრი სნობი იყო, რომლებიც „ურცხვობანას“ პერიოდის შემდეგ უხამს საკითხებს აღარც ეხებოდნენ, და ამას დამატებული ჩემი ზედმეტი სიმორცხვე - ეს ყველაფერი სათითაოდ მირთულებდა საქმეს. როგორი იყო „ჩემხელა ბიჭი“ და რას გრძნობდა მარტოსული - ამას თავად უნდა მივმხვდრიყავი. როგორც ჩანდა, სქესობრივი სიმწიფის პერიოდი სხვებსაც დასდგომოდათ. ამ დროს ყმაწვილები განუწყვეტლივ გოგოებზე ფიქრობენ, მუწუკები აყრით, თავი უხურთ და სენტიმენტალურ ლექსებს წერენ ხოლმე. სექსის შესახებ დაწერილი წიგნები გულმოდგინედ გვიხსნიდნენ ონანიზმის მავნებლობას, თუმცა ერთ წიგნში ეწერა, არც ისეთი მავნეა და მშვიდად იყავითო. ამიტომ ყველამ თავდავიწყებით დაიწყო მასტურბაცია. აი, ამ საკითხში მეც ზუსტად მათნაირი ვიყავი! ერთნაირად მოქმედების მიუხედავად კი, ჩემი თვითშთაგონების მექანიზმი არად აგდებდა იმ ფაქტს, რომ ჩვენი „მავნე ჩვევის“ ობიექტები სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ისინი „ქალის“ იეროგლიფზეც კი გასაოცრად იგზნებოდნენ. საკმარისი იყო, წარმოედგინათ, რომ სახე მაშინვე უწითლდებოდათ. მე კი ეს იეროგლიფი ზუსტად ისევე მალეღვებდა, როგორც „ფანქრის“, „ავტომობილის“ ან „ცოცხის“ იეროგლიფები. მეგობრებთან საუბრისას ამგვარი ასოციაციური კავშირების ნაკლებობა თავს ხშირად მახსენებდა ხოლმე - რაღაც ისეთი მემართებოდა, რაც კატაკურას დედის შემთხვევაში მოხდა. აბსურდულ მდგომარეობაში ვვარდებოდი. ყველანი შეთანხმდნენ, რომ მე „პოეტი“ ვიყავი. თვითონ კი სულაც არ ვთვლიდი თავს პოეტად (მოპოეტო ტიპებს ხომ სულ ქალები ეხვევიან). მათი საუბრის მანერა და ქცევები რომ გამემეორებინა, ერთგვარი ხელოვნური უნარი გამოვიმუშავე: ანალოგიების შემჩნევის, ასოციაციური კავშირების გაბმის უნარი.

მაშინ არ ვიცოდი, რომ არა მარტო აღქმით, არამედ გარეგნული ნიშნებითაც მათგან აშკარად განვსხვავდებოდი. როდესაც ისინი შიშველი ქალის ფოტოს დაინახავდნენ, მაშინვე ერექცია ეწყებოდათ. მე კი არაფერიც არ მეწყებოდა. სამაგიეროდ, ისინი სრულიად გულგრილად უყურებდნენ იონიელი შიშველი ყმაწვილის ქანდაკებას, რომელზეც მე ყოველთვის მიდგებოდა. სხვათა შორის, ეს ქანდაკება თავიდანვე დავუკავშირე გარყვნილი სიყვარულისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

მეორე თავში განზრახ ვისაუბრე ამდენი ჩემს ერექციაზე. თვითშთაგონების მექანიზმშიც კარგად ჩანდა ჩემი უმეცრება. არც ერთ რომანში არ ეწერა, მამაკაცს კოცნისაგან ერექცია დაეწყო. ეს ხომ ბუნებრივი რამ იყო, დასაწერად არც ღირდა. ვერც სექსის შესახებ დაწერილ წიგნში ნახავდით რაიმეს კოცნისაგან გამოწვეულ ერექციაზე. წაკითხული მქონდა, რომ ერექცია უშუალოდ სხეულების შერწყმის წინ ან სექსუალური ფანტაზიების დროს ხდებოდა. მეგონა, აღგზნებული ვიქნებოდი თუ არა, დრო რომ მოვიდოდა,

ერექცია უცებ, ზეციური შთაგონებასავით მეწვეოდა. შინაგანი ხმა კი სადღაც გულის სიღრმეში სისინებდა: „არა, მარტო შენ არ დაგემართება ასე“, რაც საკმაოდ მაშფოთებდა. სხვათა შორის, „მავნე ჩვევისას“ ერთხელაც კი არ წარმომიდგენია ქალის სხეული, ქალის ფორმები. საკუთარი თავის გამოცდის მიზნითაც კი არა. ამას არ ვაკეთებდი და მეგონა, რომ ეს სიზარმაცის ბრალი იყო.

ერთი რამ ნამდვილად არ ვიცოდი: ყველა ჩემი მეგობარი ყოველ ღამე სიზმრებში დღისით ქუჩაში ნანახ ქალებს ხედავდა. შიშველი ქალები მათ გარს ეხვეოდნენ.

ყოველ ღამე მათ სიზმრებში ისე ცურავდნენ ქალების ძუძუები, როგორც ლამაზი მედუზები - ღამის ზღვაში. მათი სველი ბაგეებიდან შეუჩერებლად იღვრებოდა სირნოზთა გალობა.

სიზარმაცე? ნუთუსიზარმაცის გამო? სულ ამას ვეკითხებოდი საკუთარ თავს. იმ გულმოდგინებასაც, რასაც ცხოვრებაში ვიჩენდი, დასაბამი სწორედ ამან დაუდო. გულმოდგინება სიზარმაცისგან მიცავდა და თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდი.

პირველ რიგში, გადავწყვიტე, ქალებთან დაკავშირებული ყველა მოგონებისთვის თავი მომეყარა. სამწუხაროდ, ასეთი მოგონება საკმაოდ ცოტა აღმოჩნდა.

ცამეტი-თოთხმეტი წლის ვიქნებოდი. ის დრო იყო, როდესაც მამა სამსახურიდან ოსაკაში გადაიყვანეს. ჩვენ ტოკიოს სადგურიდან გავაცილეთ და სახლში ვბრუნდებოდით. ზოგიერთი ნათესავი ჩვენთან წამოვიდა - დედაჩემსა და ჩემს და-ძმას სტუმრების მთელი მწკრივი მოჰყვებოდა. მათ შორის იყო ჩემი ბიძაშვილი სუმიკოც, ასე, ოცი წლის გასათხოვარი ქალიშვილი.

წინა კბილები ძალიან თეთრი და ცოტათი წინ გამოწეული ჰქონდა. ალბათ თავადაც იცოდა, რომ ორი-სამი წინა კბილი თვალისმომჭრელად უბრწყინავდა და მომხიბვლელობას მატებდა. ამიტომაც სულ იცინოდა. გამოწეული კბილების დისჰარმონიულობა მისი სახისა და სხეულის სინაზეს, სილამაზესა და სიმეტრიულობას ვერაფერს აკლებდა, მხოლოდ წვეთი ტკბილი სანელებელივით ერეოდა, ჰარმონიას აძლიერებდა და მშვენიერებას გემოს სძენდა.

თუ სიტყვა „მიყვარდა“ არ უხდება ამ გრძნობას, მაშინ ჩემი ბიძაშვილი „მომწონდა“. ბავშვობიდან მსიამოვნებდა შორიდან მისი ყურება. საათობით შემეძლო გაუნძრევლად ვმჯდარიყავი და ჩაფიქრებულს მეყურებინა, როგორ ქარგავდა.

დეიდები სხვა ოთახში გავიდნენ. მე და სუმიკო სასტუმრო ოთახში ჩუმად ვისხედით. გაცილების ალიაქოთის მერე თავები ჯერ კიდევ გვიბრუოდა. რატომღაც, საშინლად დავიღალე.

- დავიღალე, - დაამთქნარა და თეთრი, ლამაზი თითები პირზე მიიფარა, თან ორ-სამჯერ მსუბუქად მიირტყა, თითქოს რაღაც ჯადოსნურ რიტუალს ასრულებსო. - არ დაიღალე, კიმიჩან?

არ ვიცი, რატომ დაიფარა სახე ორივე სახელოთი და თავი ჩემს ბარძაყებზე მძიმედ ჩამოდო. მერე სახე მოაბრუნა და ცოტა ხანს ასე დარჩა. ჩემი უნიფორმის შარვალი, რომელიც სუმიკოს ბალიშის მაგივრობას სწევდა, ღირსებით აივსო. მისი სუნამოსა და ფერუმარილის სურნელმა დამაბნია. ვუყურებდი სუმიკოს პროფილს, დაღლილ, ღია თვალებს და არ ვიცოდი, რა მექნა.

ეს იყო და ეს. ყოველთვის მემახსოვრება ჩემს ბარძაყებზე მცირე ხნით დასვენებული ტკბილი სიმძიმე. ხორციელი ლტოლვა კი არა, ამაღელვებელი სიხარული იყო. მძიმე მედლის ტარებით

გამოწვეულს ჰგავდა.

სკოლაში სიარულისას ავტობუსში ხშირად ვხვდებოდი ერთ ფერმკრთალ გოგონას. მისი სიცივე ჩემს ყურადღებას იქცევდა. მოწყენილი, ყველაფრისადმი გულგრილი მზერით ფანჯარაში იყურებოდა ხოლმე. ოდნავ წინ გამოწეული მისი მკაცრი ტუჩები სულ თვალში მხვდებოდა. როდესაც გოგონა ავტობუსში არ იყო, თითქოს რაღაც მაკლდა. იქ მისი ნახვის იმედით ავდიოდი. ალბათ ეს არის სიყვარული-მეთქი, ბოლოს ვიფიქრე.

ზუსტად არ ვიცოდი. ბოლოს და ბოლოს, ისიც კი არ ვიცოდი, სიყვარული და ვნება ერთმანეთს რანაირად უკავშირდებოდა. ომით სატანურ მოხიბვლას, რა თქმა უნდა, სიტყვა „სიყვარულით“ ვერ ავხსნიდი. ავტობუსის გოგოს მიმართ გაჩენილი მსუბუქი გრძნობა კი, რომელიც სიყვარულად ჩავთვალე, ხელს სულაც არ მიშლიდა ხეპრე, თმაგაპრიალებული, ახალგაზრდა მძღოლისკენ თვალის გაპარებაში.

იმდენად უმეცარი ვიყავი, ვერ მივხვდი, რომ ეს ორი რამ ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. როდესაც ახალგაზრდა მძღოლის პროფილს ვუყურებდი, ჩემს მზერაში რაღაც გარდაუვლად საგრძნობი, სულის შემხუთველი, მძიმე და დამთრგუნველი ჩანდა, ხოლო იმ მზერაში, რომლითაც ფერმკრთალ გოგონას შევხედავდი ხოლმე, არაბუნებრიობა, ხელოვნურობა და მოქანცულობა იგრძნობოდა. ამ ორ მზერას შორის კავშირს ვერ ვხედავდი. ასე რომ, ჩემში ორივე მშვიდად ბინადრობდა და ერთმანეთს ხელს არ უშლიდა.

ჩემი ასაკის ყმაწვილისთვის შესაფერი წესიერება, აკურატულობა, ზნეობრიობა მაკლდა. ამგვარი რაღაცები დიდად არ მაინტერესებდა, ჩემი მძაფრი ცნობისმოყვარეობა მათკენ არ



ილტვოდა. ეს ცნობისმოყვარეობა გარესამყაროსადმი ხანგრძლივი სწრაფობით შეპყრობილის სასოწარკვეთილ სწრაფვას ჰგავდა და მჭიდროდ უკავშირდებოდა შეუძლებლის შესაძლებლად ქცევის რწმენას. ნახევრად გაცნობიერებული რწმენა და ნახევრად გაცნობიერებული სასოწარკვეთა ჩემს სურვილებს ქვენა აზრებში ურევდა და ისე აცოცხლებდა.

ჯერ ძალიან ახალგაზრდა კი ვიყავი, მაგრამ არასდროს განმეცადა ნათელი პლატონური სიყვარული. ეს უბედურება იყო? ჩვეულებრივი უბედურება რაღას ნიშნავდა ჩემთვის? ხორციელ ჟინთან დაკავშირებულმა მუდმივმა შფოთვამ ის გამოიწვია, რომ სქესობრივ ლტოლვაზე ფიქრი ერთგვარ აკვიატებად მექცა. საკუთარი თავის დარწმუნებასა და მოტყუებაში დავხელოვნდი. თავს ვაჯერებდი, რომ შეცნობის წყურვილი, რომელიც სინამდვილეში არაფრით განსხვავდებოდა წმინდა ცნობისმოყვარეობისაგან, „სწორედაც მხოლოდ ხორციელი ჟინი იყო“ და რომ საშინლად გარყვნილი სულის პატრონი ვიყავი.

ასე გავითავისე დიდი, გამოცდილი კაცის გამომეტყველება. ისეთი სახე მივიღე, თითქოს ქალები უკვე მომყირჭებოდა.

ამგვარად მექცა კოცნა იდეაფიქსად. დღევანდელი გადმოსახედიდან შემძლია ვთქვა, რომ ჩემთვის კოცნა ერთგვარი სიმბოლური ქმედება იყო და ასევე - ადგილი, სადაც სული დარჩენას მთხოვდა. მაგრამ იმ დროს შეცდომით ვიფიქრე, რომ ეს მოთხოვნილება ცხოველური ვნება იყო. მე კი მრავალფეროვანი ნიღბების მორგებაში უნდა გამეღია ცხოვრება. თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, ჩემი ბუნება რომ უნდა დამემალა, რომელიც ასე მძლავრად მიბიძგებდა სცენაზე გასვლისკენ და როლის შესრულებისკენ. თუმცა ხანდახან იმასაც ვფიქრობდი, შეუძლია კი ადამიანს ასე უღალატოს თავის ნამდვილ ბუნებას-მეთქი? წამით

მაინც უღალატოს-მეთქი?

თუ არ შეუძლია, მაშინ ვერაფრით აიხსნება უცნაური სწრაფვა იმისაკენ, რაც მას ასე ძლიერ არ სურს. თუ ადამიანური ეთიკის იმ მხარეს არ ვიყავი, სადაც არ ისწრაფვი იმისკენ, რაც გსურს, მაშინ ნუთუის გამოდიოდა, რომ გული ამორალური სურვილებით მქონდა სავსე? იყო კი ჩემი სურვილები საცოდაობა? თავს ვიტყუებდი თუ თავიდან ბოლომდე ტრადიციების ტყვე ვიყავი? ამასთან დაკავშირებულ სერიოზულ გამოცდას თავს ვეღარ ავარიდებდი...

ომი დაიწყო თუ არა, მთელ ქვეყანაში ფარისევლური სტოიციზმი გაბატონდა. ამის მაგალითები უფროს კლასებშიც მრავლად იყო. საშუალო კლასებიდან ვოცნებობდით გრძელ თმაზე, რომელიც უფროს კლასებში გვექნებოდა. ოცნება არ აგვიხდა. წარსულს ჩაბარდა ფერადი წინდებიც. მწკრივში დგომა და სამხედრო სწავლება აბსურდში გადაიზარდა. ბევრი სულელური რეფორმაც გატარდა.

ჩვენს სკოლას სიყალბისა და ფორმალიზმისკენ მიდრეკილება ისედაც ახასიათებდა. ამიტომაც ჩვეულებრივად გავაგრძელეთ სასკოლო ცხოვრება. სკოლას ერთი პოლკოვნიკი მოამაგრეს, რომელიც საკმაოდ გულლია კაცი აღმოჩნდა. მისი თანაშემწეები, ყოფილი ზემდეგი, მეტსახელად ზუზუ, რომელსაც ასე ზუ-ს უჩვეულოდ გამოთქმის გამო შევარქვით (რომელიღაც კილოკავზე გამოთქვამდა) და ყეყეჩი ცხვირპაჭუა სკოლის თავისებურებებს კარგად ჩასწვდომოდნენ. სკოლის დირექტორი ფლოტის ადმირალი იყო - ქალური ბუნების მოხუცი, რომელიც საიმპერატორო კარის მფარველობით სარგებლობდა, უსაქმურობდა და ზომიერების პრინციპის დაცვით პოსტს ინარჩუნებდა.

ამასობაში სიგარეტსა და ალკოჰოლს მივეჩვიე. უფრო სწორად,

სიგარეტსაც და ალკოჰოლსაც ვითომ მივეჩვიე. ომმა ყველა უცნაურად სენტიმენტალური გაგვხადა. ვფიქრობდით, რომ ოცი წელი შეგვისრულდებოდა თუ არა, ჩვენი სიცოცხლე მალევე შეწყდებოდა. ცოტა დრო დაგვრჩენოდა. სიცოცხლე უკვე უცნაურად მსუბუქი გვეჩვენებოდა. ზუსტად ოცი წლიდან ოცდახუთ წლამდე მოგვკვდებოდით. ჩვენი ცხოვრება მარილიან ტბას ჰგავდა, რომელშიც მარილი ისე მოიმატებდა, რომ ზურგზე მსუბუქად ამოგვატივტივებდა. შორს არ იყო ის დრო, როცა ფარდა საბოლოოდ დაეშვებოდა - უფრო გულმოდგინედ უნდა მეთამაშა ჩემი ნიღბების სპექტაკლი. თუმცა იმის ძახილით, ხვალ, ხვალ დავიწყებ-მეთქი, ნამდვილ ცხოვრებაში შებიჯების დღეს სულ ვდებდი და ვდებდი. წლების შემდეგაც კი ამ ნაბიჯის ერთი ნიშანიც არ ჩანდა. ეს პერიოდი უნდა ყოფილიყო ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო, არა? ვნერვიულობდი, მაგრამ ხვალინდელი დღის უცნობ ლურჯ ზეცას მაინც იმედით შევყურებდი. მოგზაურობაზე, თავგადასავლებზე ოცნება, შემდგარი ადამიანის პორტრეტი, უცნობი ლამაზი პატარძლის ხატება, დიდების მოლოდინი - ეს ყველაფერი ისე მქონდა ჩალაგებული, როგორც მოგზაურს - გზამკვლევი, პირსახოცი, კბილის ჯაგრისი და კბილის პასტა, გამოსაცვლელი მაისური და წინდები, ჰალსტუხი და საპონი. მიუხედავად ომისა, ჩემთვის ეს ხანა ბავშვური სიხარულით სავსე იყო. სერიოზულად ვფიქრობდა, ტყვია რომც მომხვდეს, არ მეტკინება-მეთქი. სიკვდილის მოლოდინში სიხარულით ვთრთოდი. მეგონა, ყველაფერი მე მეკუთვნოდა. მოგზაურობისას ყველა კუთხე-კუნჭულის მოხილვაზე მეტად ხომ გამგზავრების სამზადისში ყელამდე ჩაფლობა გვითაცებს. თავად მოგზაურობა ბევრს ვერაფერს გვაძლევს, პირიქით, ყველაზე მთავარს ხელიდანაც კი გვაცლის. ამის გამოა ის სრულად ტრივიალური.

რა თქმა უნდა, კოცნის იდეაფიქსი კონკრეტულ ტუჩებს მახსენებდა. ალბათ ჩემი ფანტაზიების უკეთესად წარმოჩენა

მსურდა. როგორც ვთქვი, კოცნისას არც ვნებას და არც რამე სხვას არ ვგრძნობდი, უბრალოდ, ყოველმხრივ ვცდილობდი, თავი დამერწმუნებინა, რომ ეს ვნება იყო. მინდოდა, დამეჯერებინა და აბსურდული წყურვილი ნამდვილ ვნებად მექცია. მძაფრ, შეუძლებელ სურვილს - არ ვყოფილიყკვი ის, ვინც ვიყავი - შეცდომით მივიჩნევდი იმად, რაც სხვებისთვის ბუნებრივი სქესობრივი ლტოლვა იყო.

იმხანად ახალი მეგობარი გავიჩინე, რომელთან სასაუბრო თემა ერთიც კი არ მქონდა. ეს ცანცარა ბიჭი, გვარად ნუკადა, ძირითადად გერმანულის დავალებების შესახებ მეკითხებოდა ხოლმე. როგორც ჩანს, იმიტომ შემარჩია, რომ ადვილად სამეგობრო, დამყოლ ტიპად მოვჩანდი. ითვლებოდა, რომ გერმანულს კარგად ვსწავლობდი - მე ხომ ყველაფერს, სანამ ახალი იყო, ენთუზიაზმით ვუდგებოდი. შესაძლოა ნუკადა მიხვდა, რომ საუკეთესო მოსწავლის იარლიყი (თითქოს სემინარიის სტუდენტი ვყოფილიყავი) მძულდა (მიუხედავად იმისა, რომ ეს იარლიყი ჩემი უსაფრთხოების გარანტი იყო) და ცუდი რეპუტაცია მიტაცებდა. ნუკადასთან მეგობრობაში იყო რაღაც ისეთიც, რაც ჩემს სისუსტეს ერთგვარად ეხებოდა. მისი მოგანგსტერო ყმაწვილებსაც კი შურდათ. ის სულთა სამყაროსთან დამაკავშირებელი მედიუმით შემაბიჯებინებდა ქალების სამყაროში.

ისე, ომი იყო პირველი მედიუმი. თუმცა იმ დროს მეტად თავისებური ვიყავი და ომის ეს უნარი მისი სრულყოფილების გამოვლინებად ჩავთვალე. ნუკადას, როგორც მედიუმის, როლი კი ჩემს ცნობისმოყვარეობას წარმოუდგენელ ცეცხლში ხვევდა. ალბათ იმიტომ, რომ ის საერთოდ არ იყო ლამაზი.

„კონკრეტული ტუჩები“ მისი უფროსი დისა იყო, რომელიც

ერთხელ მათთან სტუმრობისას ვნახე.

ოცდასამი წლის ამ მშვენიერი ქალიშვილისთვის ადვილი იყო, ისე მომქცეოდა, როგორც ბავშვს. როდესაც იმ მამაკაცებს ვუყურებდი, გარს რომ ეხვივნენ, მივხვდი, რომ ერთი თვისეხაც კი არ მქონდა, რითიც ქალების ყურადღებას მივიპყრობდი. ომი ვერასდროს გავხდებოდი. იმაშიც დავრწმუნდი, რომ „ომად გახდომის“ სურვილი სწორედ ომისადმი სიყვარული იყო.

მიუხედავად ყველაფრისა, თავი დავირწმუნე, ნუკადას და შემიყვარდა-მეთქი. ისე დავიწყე მოქცევა, როგორც გულუბრყვილო უფროსკლასელებს სჩვეოდათ. მის სახლთან დავბოდილობდი, იქვე, ახლოს მდებარე წიგნების მაღაზიაში დიდხანს ვრჩებოდი, რათა ხელიდან არ გამეშვა მისთვის თვალის მოკვრის შანსი; ბალიშს ვეხუტებოდი და წარმოვიდგენდი, რომ ქალის მკლავებში ვიყავი; უსასრულოდ ვხატავდი მის ტუჩებს, საკუთარ თავს გიჟივით ველაპარაკებოდი. ამ ყველაფერს რისთვის ვაკეთებდი? ამ ხელოვნურმა ძალისხმევამ გული სულ გამომიფიტა. გამუდმებით ვეუბნებოდი საკუთარ თავს, მიყვარს-მეთქი. გული მატყობდა ძალდატანებას და საშინელი დაღლილობით მეწინააღმდეგებოდა. ამ დაღლილობას საზარელი შხამი შერეოდა. ხანდახან დამადამბლავებელ სიცარიელესაც ვგრძნობდი და მისგან თავის დასაღწევად სხვა სახის ფანტაზიებში ურცხვად ვინაცვლებდი.

უმალვე ვცოცხლდებოდი, საკუთარ თავს ვუბრუნდებოდი, უჩვეულო ფიქრების ცეცხლი მედებოდა. ჩემს გულში ეს ყველაფერი განცალკევებულად რჩებოდა და სულ სხვაგვარად აიხსნებოდა... თავს ვარწმუნებდი, რომ თითქოს ამ მწველ ვნებას ნუკადას დის მიმართ ვგრძნობდი. და კვლავ თავს ვიტყუებდი.

თუ ვინმეს ჩემი მონათხრობი ძალიან განზოგადებულად და აბსტრაქტულად მოეჩვენება, ვუპასუხებ, რომ არც ვაპირებდი

ყველაფრის სიტყვა-სიტყვით აღწერას. გარეშე თვალისათვის ნორმალური ადამიანისგან არაფრით განვსხვავდებოდით. თუ არ ჩავთვლით ჩემს პატარ-პატარა საიდუმლოებებს, ზუსტად ისეთივე სიყმაწვილე მქონდა, როგორც - სხვებს. წარმოიდგინეთ ოც წელს მიტნებული, ზომიერად ცნობისმოყვარე ყმაწვილი, ცხოვრების ზომიერი წყურვილით, ოღონდ თვითანალიზით ზედმეტად გატაცების გამო მეტ-ნაკლებად ჩაკეტილი. რაიმე ისეთს თუ მეტყოდნენ, მაშინვე ვწითლდებოდი. იმგვარი გარეგნობა არ მქონდა, რომ ქალების ყურადღებას გავენებივრებინე. სულ წიგნებში ვიყავი თავჩარგული, ნიშნები მეტ-ნაკლებად კარგი მქონდა. ახლა წარმოიდგინეთ, ასეთ ყმაწვილს როგორ ეყვარება ქალები, როგორი გულანთებული იქნება, როგორ ამოდ დაიტანჯება. ამაზე მარტივად წარმოსადგენი ალბათ არც არაფერია. ამიტომ, ბუნებრივია, ამგვარ რამეებს რომ არ აღგიწერთ. ეს ხანა საკმაოდ უფერული იყო. მეც ზუსტად ასეთი ვიყავი - ერთგულების ფიცი მქონდა მიცემული რეჟისორისთვის, რომელიც სცენაზე ჩემს სიყმაწვილეს დგამდა.

გავიდა ხანი და უფროსი ყმაწვილებით გატაცება ჩემზე ცოტა პატარებით გატაცებამ შეცვალა. რა თქმა უნდა, პატარებში იმ ყმაწვილებს ვგულისხმობ, რომლებიც ომის ასაკისა იყვნენ. სიყვარულის ობიექტის ასეთი ცვლილება სიყვარულის ბუნების ცვლილებას უკავშირდებოდა. ახლებურ გრძნობას უწინდებურად ვმალავდი გულში. სიველურის სიყვარულს ახლა სინაზისა და სინატიფის სიყვარული დაემატა. რაც უფრო ვიზრდებოდი, მით უფრო მეტად ვგრძნობდი მოთხოვნილებას, პატარები დამეცვა და მყვარებოდა.

ჰირშფელდი გარყვნილების კლასიფიკაციისას ორ კატეგორიას გამოყოფს: ანდროფილებს, რომელთაც სრულწლოვნები ხიბლავთ და ეფებოფილებს, რომლებსაც გული 14-18 წლის ყმაწვილებისკენ

მიუწევთ. ძალიან კარგად მესმოდა ეფებოფილების. „ეფებებს“ ძველ საბერძნეთში 18-20 წლის ჭაბუკებს ეძახდნენ, რომლებიც სამხედრო წვრთნებს გადიოდნენ. თავად სიტყვა ზევსისა და ჰერას ქალიშვილის, უკვდავი ჰერაკლეს ცოლის, ჰებეს სახელს უკავშირდება. ქალღმერთი ჰებე ოლიმპოს მთაზე ღმერთებს ნექტარს უსხამდა. ის ახალგაზრდობის სიმბოლოდ იქცა.

ერთი ლამაზი ბიძი იყო, ჩვიდმეტი წლისა, უფროს კლასში ახლად გადასული. თეთრი პირისაზე, ნაზი ტუჩები და მშვენიერი წარბები ჰქონდა. შევიტყვე, რომ გვარად იაკუმო იყო. მისი ლამაზი სახე გულში ჩამივარდა.

თავადაც ვერ ხვდებოდა, ისე ვიღებდი მისგან სასიამოვნო საჩუქრებს. კვირიდან კვირამდე უფროსი კლასების ჯგუფების ხელმძღვანელები რიგრიგობით გასცემდნენ ბრძანებებს - დილის შეკრების, დილის გამამხნეველი ვარჯიშისა და შუადღის წვრთნების (უფროს კლასებში ასე იყო: ნახევარი საათი სამხედრო-საზღვაო წვრთნები გვქონდა, მერე სამუშაო იარაღებს შემოვიწყობდით მხრებზე და სანგრებს ვთხრიდით, ბალახს ვთიბავდით). მორიგეობა ოთხ კვირაში ერთხელ, მთელი კვირით მიწევდა. როდესაც ზაფხული დადგა, დილის გამამხნეველ ვარჯიშზეც და შუადღის წვრთნებზეც ჩვენნაირ მკაცრ სკოლაშიც კი მოითხოვეს მოსწავლეების წელზემთ გაშიშვლება. ჯგუფის ხელმძღვანელი ტრიბუნიდან დილის შეკრების ბრძანებას გასცემდა, შეკრებილებს კი უბრძანებდა, წელზემთ გაიხადეთო. ყველა რომ გაიხდიდა, ტრიბუნიდან ჩამოვიდოდა და ადგილს ფიზკულტურის მასწავლებელს დაუთმობდა. შემდეგ ბოლო რიგებს შეუერთდებოდა, თავადაც გაშიშვლდებოდა და ვარჯიშს იწყებდა. ბოლო ბრძანებას მასწავლებელი გასცემდა. ჯგუფის ხელმძღვანელის მოვალეობები ამით სრულდებოდა. თავიდან ბრძანების გაცემის ისე მეშინოდა, სულ მაცივებდა, მაგრამ მერე

მკაცრი სამხედრო ბრძანებები სწორედ საჩემოდ ჩავთვალე და მოუთმენლად ველოდი ხოლმე ჩემი მორიგეობის კვირას. ასე შესაძლებლობა მეძლეოდა, იაკუმოსთვის მეყურებიანა - ის ჩემს სუსტ შიშველ სხეულს ვერ ხედავდა, მე კი მისი სანახევრო სიშიშვლით ვტკბებოდი.

იაკუმო, ზუსტად ბრძანების წინ, სულ წინა ან მომდევნო რიგში დგებოდა ხოლმე. იაკინთოსის ლაწვები ადვილად უვარდისფრდებოდა. მწყობრისკენ ბოლო წუთს მორბოდა და ამიტომ მუდამ ქოშინი უტყდებოდა. აქოშინებულის ყურება ერთი სიამოვნება იყო. ხანდახან, სუნთქვაშეკრული, ხელის უხეში, სწრაფი მოძრაობით იხსნიდა ქურთუკის ღილებს. შემდეგ თეთრი პერანგის კალთებს შარვლიდან ამოიჩეჩდა ხოლმე. მე ტრიბუნაზე ვიდექი და მის მოშიშვლებულ, გლუვ ტორსს თვალს ვერ ვამორებდი. ვფიქრობდი, არ შევხედავ-მეთქი, მაგრამ თვალი მაინც მისკენ გამირბოდა. გამცრა, როდესაც ერთმა მეგობარმა სასხვათაშორისოდ მკითხა:

- ბრძანების გაცემისას თვალებს სულ ძირს რატომ ხრი? ასეთი სუსტი გული გაქვს?

თუმცა იაკუმოს ვარდისფერ სხეულს ვერც ერთ ჯერზე ვერ მივუახლოვდი.

ზაფხულში ერთი კვირით ყველა უფროსკლასელი ერთ-ერთი ქალაქის საზღვაო ფლოტის სასწავლო დაწესებულებაში წაგვიყვანეს. რადგანაც ცურვა არ ვიცოდი, ცურვის გაკვეთილზე მუცლის ტკივილი მოვიმიზეზე და გადავწყვიტე, დანარჩენებისთვის გვერდიდან მეყურებიანა. მაგრამ კაპიტანმა დაიჟინა, მზის აბაზანები ბევრი ავადმყოფობის მკურნალიაო და ვინც ავად ვიყავით, ყველას გვაიძულა, გაგვეხადა და ნახევრად შიშვლები



მზეზე დავმდგარიყავით. ავადმყოფებს შორის იაკუმოც იდგა. თეთრი მკლავები ნაზად გარუჯულ გულმკერდზე დაეკრიფა და ქათქათა წინა კბილებით ქვედა ტუჩს იკვნეტდა. თვითმარქვია ავადმყოფებმა ერთ-ერთი ხის ჩრდილი ამოვირჩიეთ და იქ შევჭგუფდით. მასთან მიახლოება აღარ გამჭირვებია. მოქნილ წელს თვალთ ვუზომავდი, ვუყურებდი, როგორ აუღ-ჩაუდიოდა მკერდი მშვიდი სუნთქვის დროს. უიტმენის ლექსის ერთი სტრიქონი გამახსენდა:

„ახალგაზრდები ზურგზე წვებიან და თეთრ მუცლებს მზის სხივებს უშვერენ“.

გამოლაპარაკება ვერც ამჯერად გავბედე. საკუთარი სუსტი მხარ-ბეჭისა და წვრილი, ფერმკრთალი მკლავების მრცხვენოდა.

შოვას მეცხრამეტე წელს, ომის დასრულებამდე ერთი წლით ადრე, სექტემბერში, სკოლა, სადაც ბავშვობა და სიყმაწვილე გავატარე, დავამთავრე და ერთ-ერთ უნივერსიტეტში ჩავირიცხე. მამაჩემის ძალდატანებით, სპეციალობად სამართალი ავირჩიე. დიდად არ მიდარდია, რადგან მტკიცედ მწამდა, რომ მალე ჯარში გამიწვევდნენ და ომში დავიღუპებოდი, ჩემი ოჯახი კი რომელიმე დაბომბვას შეეწირებოდა.

იმ დროს ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო: ერთმა უფროსკურსელმა, რომელიც ფრონტზე მიდიოდა, უნიფორმა მათხოვა. როდესაც მე გამიწვევდნენ ჯარში, უნიფორმა მისი ოჯახისთვის უნდა დამებრუნებინა. ჩავიცვი და უნივერსიტეტში წავედი.

მართალია, ყველაზე მეტად დაბომბვების მეშინოდა, მაგრამ თან სიკვდილის ტკბილი მოლოდინიც მავსებდა. ხშირად მითქვამს და გავიმეორებ, რომ მომავალი ჩემთვის მძიმე ტვირთი იყო. ცხოვრება

თავიდანვე ვალდებულების გრძნობით მახრჩობდა. ვხვდებოდი, რომ ამ ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი იყო, მათი შეუსრულებლობის გამო კი ცხოვრება საშინლად მტანჯავდა. თუ ცხოვრება კატასუკაშის(სუმოს ილეთი.) გამიკეთებდა და მოვკვდებოდი, მეგონა, რომ მძიმე ტვირთს მოვიშორებდი. მთელი გრძნობით გავითავისე სიკვდილის დოქტრინა, რომელიც ერთობ მოდური გახლდათ ომის წლებში. თუ ისე მოხდებოდა, რომ „სახელოვანი სიკვდილით“ მოვკვდებოდი (რაც ჩემგან სრულიად წარმოუდგენელი იყო), ამაში უდავოდ დიდი ირონია იქნებოდა და საფლავიდან მწარედ დავცინებდი ცხოვრებას. მე ხომ განგაშის სიგნალის გაგონებისას თავშესაფარში პირველი გავრბოდი.

ფორტეპიანოს ხმა მომესმა. ვიღაც გაუწაფავად უკრავდა. ეს ჩემი მეგობრის სახლში ხდებოდა, რომელსაც მალე სპეციალური დანიშნულების კადეტთა კორპუსში გაიწვევდნენ. კუსანო ერქვა და სკოლიდან შემორჩენილი ერთადერთი მეგობარი იყო, რომელთანაც ამაღლებულ თემებზე მსუბუქად საუბარი შემეძლო. ამიტომაც ვუფრთხილდებოდი. მე ხომ ისეთი ადამიანი ვარ, ვისაც მეგობრობა, პირდაპირ ვიტყვი, არ გამოსდის. ამ ერთადერთი მეგობრობის დანგრევაც კი შემეძლო. რაღაც შინაგანი მაიძულებდა, სასტიკი ვყოფილიყკვი.

– ფორტეპიანოზე ვინც უკრავს, ჰგონია, კარგად გამოსდის? თითქოს ხელები აქეთ-იქით გაურბის.

- ჩემი პატარა დაა. ახლახან დაუბრუნდა მასწავლებელი და ნასწავლს იმეორებს.

საუბარი შევწყვიტეთ და ყური დავუგდეთ. კუსანოს სამხედრო სამსახურის დასაწყისი ახლოვდებოდა და ალბათ მის ყურში ეს გვერდითა ოთახიდან მომავალი ფორტეპიანოს ხმა კი არა,

„ყოველდღიურობასთან“ განშორების ამაღელვებლად ლამაზი ხმა იყო. მასში ერთგვარი ინტიმურობა იმალებოდა, როგორც იმ უგემურ ტკბილეულში, რეცეპტში ყურებით რომ აკეთებ. თავი ვერ შევიკავე და ვკითხე:

- რამდენი წლისაა?

- ჩვიდმეტის. ჩემზე უმცროსია.

რაც უფრო მეტს ვუსმენდი, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ეს იყო ჩვიდმეტი წლის მეოცნეზე ქალიშვილი, თავადაც რომ არ იცის, ისეთი ლამაზი. ფორტეპიანოს ჯერ კიდევ ბავშვური თითებით უკრავდა. მინდოდა, დაუსრულებლად მესმინა ამ გამებისთვის. ნატვრა ამიხდა - დღემდე მესმის ეს ხმა. რამდენჯერ მიცდია, თავი დამერწმუნებინა, რომ ეს მხოლოდ ჰალუცინაცია იყო! რამდენჯერ უცდია ჩემს გონებას, ამ ილუზიისთვის დაეცინა! რამდენჯერ ვცადე, თავის მოტყუებაზე ბევრი მეცინა... ფორტეპიანოს ხმამ ერთიანად შემიპყრო. თუ შესაძლებელია სიტყვა „ბედისწერას“ სარკასტული ელფერი მოვაშოროთ, მაშინ ეს მელოდია სწორედ ჩემი ბედისწერა გახდა.

გამახსენდა, ცოტა ხნით ადრე როგორი უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა სიტყვა „ბედისწერამ“. სკოლის დამთავრების შემდეგ დირექტორმა, მოხუცმა ადმირალმა, თავისი მანქანით წამიყვანა იმპერატორის სასახლეში მაღლობის გადასახდელ ოფიციალურ ცერემონიაზე. აწყლიანებულ თვალებში სევდა დაჰგროვებოდა. წუხდა, რომ სპეციალური დანიშნულების კადეტთა კორპუსში ნებაყოფლობით არ ვეწერებოდი და უბრალო ჯარისკაცად გაწვევას ველოდებოდი. მარწმუნებდა, რომ ჩემი ჯანმრთელობით უბრალო ჯარისკაცის ცხოვრებას ვერ გავუძლებდი.

- ყველაფერი უკვე გადავწყვიტე.

- არ გესმის და ასე იმიტომ ამბობ. მაგრამ ჩაწერის ვადა უკვე გავიდა, ახლა ველარაფერს გავაწყობთ. ეს ყოფილა შენი Destiny!

რატომღაც, სიტყვა „ბედისწერა“ ინგლისურად, ძველმოდური აქცენტით წარმოთქვა.

- ბატონო?

- Destiny! შენი ბედისწერა ყოფილა-მეთქი! - მოხუცებისთვის დამახასიათებელი სიმორცხვითა და გულგრილობით, მონოტონურად გამიმეორა. მათსავით არ სურდა, მეფიქრა, რომ მოხუცის სუსტი გული ჰქონდა.

ქალიშვილი, რომელიც ფორტეპიანოზე უკრავდა, კუსანოს სახლში არასდროს მენახა. კუსანოს პურიტანული ოჯახი სრულიად განსხვავდებოდა ნუკადას ოჯახისაგან. სტუმრების მოსვლისას, მორიდებული ღიმილით, მისი სამივე და იმალებოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა კუსანოს სამხედრო სამსახურის დასაწყისი, მით უფრო ხშირად ვსტუმრობდით ერთმანეთს და დარჩენილ დროს სულ უფრო მეტად ვაფასებდით. ფორტეპიანოს ხმამ ერთიანად გამაქვავა. თითქოს მისი საიდუმლო გავიგეო, ამის შემდეგ ქალიშვილისთვის არც სახეში შეხედვა შემეძლო, არც საუბრის გაბმა. როდესაც ჩვენთვის ჩაი შემოჰქონდა, თვალებს ვხრიდი და მხოლოდ მისი ფეხების მსუბუქ, სწრაფ მოძრაობას ვხედავდი. მოხიბლული ვიყავი მისი ფეხების სილამაზით. შეიძლება იმის ბრალი იყო, რომ ჯერ კიდევ არ მივჩვეოდი ქალს შარვალში, რომელიც ახალი მოდა იყო.

შეიძლება ისე გაიგოთ, თითქოს მისი ფეხები აღმაგზნებდა. არა,

ასე არ იყო. უკვე აღვნიშნე, რომ საპირისპირო სქესის მიმართ ლტოლვას საერთოდ ვერ ვგრძნობდი. ამის დამადასტურებელი საბუთია ის, რომ ქალის შიშველი სხეულის ნახვის სურვილი არასოდეს გამჩენოდა. და მაინც, ქალის შეყვარებაზე სერიოზულად ვფიქრობდი. ამ დროს საშინლად ვიქანცებოდი, „სერიოზული ფიქრები“ მაწუხებდა და მათ თავიდან ვიშორებდი. მერე კი მეგონა, რომ გონიერებამ გაიმარჯვა გრძნობებზე და მიხაროდა, რომ გულცივსა და გამძლეს, ქალებმობეზრებული კაცივით შემეძლო მოქცევა. კმაყოფილება და ტრაბახი ერთმანეთს ერწყმოდა. დავიჯერე, რომ ჩემი გული ტკბილეულის ავტომატივით მუშაობდა: ათ სენს რომ ჩააგდებ და კარამელს ჩამოგიცურებს.

მეგონა, რომ შემეძლო, ქალი ვნების გარეშე მყვარებოდა. კაცობრიობის ისტორიაში ეს ალბათ ყველაზე სულელური ჩანაფიქრი იყო. გაუცნობიერებლად ვესწრაფვოდი იმას, რომ სიყვარულის თეორიაში კოპერნიკი გავმხდარიყავი (მაპატიეთ ასეთი გადამეტებული შედარება). ასევე, გაუცნობიერებლად მწამდა პლატონური სიყვარულის. შეიძლება ეს ყველაფერს ეწინააღმდეგება, რასაც აქამდე ვყვებოდი, მაგრამ გულწრფელად მწამდა ამ წმინდა ღირებულების. თუმცა რისაც მწამდა - ეს ხომ სიწმინდე იყო და არა მისი ობიექტი? ის, რასაც ერთგულება შევფიცე, ხომ უბრალო სიწმინდე იყო? ამ საკითხს მერეც დავუბრუნდები.

თუ ზოგჯერ არ მჯეროდა პლატონური სიყვარულის, ეს უფრო ჩემი გადაღლილი ტვინის ბრალი იყო, რომელიც ყველა გრძნობას ხორციელად მიიჩნევდა. დიდად თავის მოჩვენების ავადმყოფური სურვილი, თავისი ხელოვნურობით, არაქათს მაცლიდა. მოკლედ, მეტისმეტად ვშფოთავდი.

ომის ბოლო წელიწადს ოცი წლის გავხდი. ახალ წლამდე ცოტა

ხნით ადრე უნივერსიტეტიდან ქალაქის მახლობლად მდებარე საავიაციო ქარხანაში გაგვზავნეს. სტუდენტების 80% ქარხნის მუშა გახდა, დანარჩენი 20%-ს კი, სისუსტის გამო, საბუთებთან დაკავშირებული საქმე დაავალეს. მეც მათ რიგებში აღმოვჩნდი. წინა წელს გავლილი სამედიცინო დათვალეობის მიხედვით, ბ-კატეგორია მომენიჭა. დღე-დღეზე ფრონტის ხაზზე გაწვევას ველოდი და ვღელავდი.

მტვრიანი საავიაციო ქარხანა იმხელა იყო, ნახევარი საათი დაგჭირდებოდა, თავიდან ბოლოში რომ გასულიყავი. იქ ათასზე მეტი მუშა მუშაობდა და ცხოვრობდა. მეც ერთ-ერთი მათგანი, ნომერი 4409 ვიყავი. დროებითი თანამშრომლის ნომერიც მქონდა - 953. ამ უზარმაზარ ქარხანაში კაპიტალბრუნვაზე არ ფიქრობდნენ. ის იდუმალ საწარმოო ხარჯებსა და უზარმაზარ სიცარიელეზე იდგა. ალბათ ამის გამო იყო, რომ ყოველ დილით იდუმალ ფიცს გვადებინებდნენ. ასეთი უცნაური ქარხანა არსად მინახავს. თანამედროვე მეცნიერების მიოწევები, მართვის სისტემები, უამრავი გამორჩეული გონების ნაფიქრი - ეს ყველაფერი ერთადერთ რამეს ეძღვნებოდა: სიკვდილს. ქარხანაში თვითმკვლელი რაზმებისთვის ზერო-ტიპის გამანადგურებლები იქმნებოდა, რაც თავისთავად წარმოშობდა ისეთ გარემოს, სადაც თითქოს რაღაც ბნელ რელიგიას გრუხუნით, ღმუილით, ღრიალითა და ყვირილით ემსახურებოდნენ. რელიგიური ფანატიზმის გარეშე ასეთი გრანდიოზული ორგანიზაცია როგორ იმუშავებდა, ვერ წარმომედგინა. დირექტორებს სწორედ ღვთისმსახურთა შესაფერად გასივებოდათ მუცლები.

დროგამოშვებით განგაშის სირენების ხმა ისმოდა, თითქოს ამ ბნელი რელიგიის შავი მესააო. ოფისში ჩოჩქოლი ატყდებოდა: „რა ხდება? რა ხდება?“ პროვინციული კილოთი დაიწყებდნენ ერთმანეთის გამოკითხვას. ჩვენს ოფისში რადიო არ იყო.

მმართველის მდივანი მოდიოდა და გვატყობინებდა, მტრის რამდენიმე თვითმფრინავიაო. მეგაფონიდან კი გვაცნობებდნენ, რომ მოსწავლე გოგონებისა და პატარა ბავშვების ევაკუაცია იწყებოდა. მაშველები წითელ ბარათებს არიგებდნენ, რომლებზეც ეწერა: „სისხლის შეჩერების საათი: --- წუთი: --- ამ ბარათებზე შესაბამის დროს აღნიშნავდნენ და დაჭრილებს გულზე დაამაგრებდნენ. განგაშის სიგნალიდან ათ წუთში მეგაფონში „ყველას ევაკუაციას“ აცხადებდნენ. ოფისის თანამშრომლები, ხელში მნიშვნელოვანი საბუთებით, მიწისქვეშა სეიფებისკენ მივიჩქაროდით. როცა ამ საბუთებს სეიფებში დავაბინავებდით, ზევით ავდიოდით, მოედანს გადავჭრიდით და რკინის ჩაფხუტებსა თუ დამცავ კაპიუმონებში გამოწყობილ ხალხს ვუერთდებოდით. ხალხი სწრაფად მიიწევდა მთავარი ჭიშკრისკენ, რომლის იქითაც გადაყვითლებული ტრიალი მინდორი იყო. შვიდას-რვაას მეტრში, ფიჭვებით დაფარულ გორაკზე უამრავი ორმო ამოეთხარათ - დაბომბვის დროს თავის დასაცავად. მივდოდით მტვრის ბუღში, ორ ნაკადად, მდუმარეები და გაღიზიანებულები. მივდიოდით იქით, სადაც არ იყო „სიკვდილი“; იქით, სადაც მას დავემალეობდით, თუნდაც პატარა წითელმიწა ორმოში.

ერთ-ერთ იშვიათ დასვენების დღეს, სახლში ყოფნისას, ღამის თერთმეტ საათზე გაწვევის ბარათი მივიღე. 15 თებერვალს მიბარებდნენ გამწვევ პუნქტში.

ჩემნაირი სუსტი აღნაგობის ვაჟი დიდ ქალაქში იშვიათობა არ იყო, სოფელში კი ამგვარი სისუსტე თვალშისაცემი იქნებოდა. ჰოდა, მამაჩემმა კინკის რაიონის ერთ-ერთი პრეფექტურის სოფელში ჩამწერა. სოფლელ ბიჭებს ბრინჯის ტომრის ათჯერ აწევა თავისუფლად შეძლოთ, მე კი ერთხელაც ვერ ავწიე მკერდამდე, რითიც სამედიცინო შემმოწმებლების დაცინვა დავიმსახურე. შედეგად მეორეხარისხოვან წვეულებში მოვხვდი. ამის გამო ხეპრე,

გაუთლელი სოფლებების დანაყოფში უნდა მემსახურა. დედა ტიროდა დარდისაგან, მამაც გულგატეხილი ჩანდა. როდესაც გაწვევის ბარათი მომივიდა, არც მე აღვფრთოვანებულვარ, მაგრამ სახელოვანი სიკვდილის იმედი მქონდა და რაც არის, არის-მეთქი, გავიფიქრე. თუმცა ისე მოხდა, რომ ქარხნიდან გამოყოლილმა ვირუსმა გზაზე, ორთქლმავალში იჩინა თავი. მშობლიურ მხარეში, სადაც ბაბუაჩემის გაკოტრების შემდეგ 1 ცუბო მიწაც კი აღარ გვქონდა, ახლობლის სახლს რომ მივალწიე, უკვე ისეთი მაღალი სიცხე მქონდა, ფეხზე ვერ ვიდექი. ამ ოჯახის მზრუნველობამ და დიდი რაოდენობით სიცხის დამწვევმა საშუალებებმა შედეგი გამოიღო და ყაზარმისკენ მხნედ გავემართე.

წამლებით დაწეულმა სიცხემ ისევ ამიწია. ყაზარმაში სამედიცინო შემოწმებაზე მხეცივით შიშველი, აფორიაქებული ვიდექი და რამდენჯერმე დავაცემინე კიდეც. ახალგაზრდა ექიმს ბრონქული ქოშინი ფილტვების ხიხინში აერია და არასწორი დიაგნოზი ავადმყოფობის შესახებ ჩემმა სულელურმა განცხადებებმაც გაუმყარა. სისხლის ანალიზი გამიკეთეს. მაღალი სიცხის გამო სისხლში ერთ-ერთი მაჩვენებელი მაღალი გამოჩნდა. მწვავე ტუბერკულოზის დიაგნოზი დამისვეს და სასწრაფოდ შინ დაბრუნება მიბრძანეს.

ყაზარმის კარს რომ გავცდი, გავიქეცი. გორაკიდან დავეშვი, რომლიდანაც ზამთრის ცივი პეიზაჟი მოჩანდა. როგორც იმ საავიაციო ქარხანაში, ჩემმი ფეხები იქით გაიქცნენ, საითაც „სიკვდილი“ არ იყო.

თავს ღამის მატარებლის ფანჯრის ღრიჭოდან შემოსული ქარისაგან ვიცავდი, თან სიცხისაგან მაჟრიალებდა და თავის ტკივილი მტანჯავდა. „სად ვბრუნდები?“ - საკუთარ თავს ვეკითხებოდი. მამაჩემის ჩვეული მერყეობის წყალობით, მთელი



ოჯახი ტოკიოს სახლში დარჩენილიყო და ახლა ყველანი შიშით კანკალებდნენ. ნუთუიმ დიდი ქალაქის სახლში ვბრუნდებოდი, რომელიც სავსე იყო შავბნელი შფოთვით? იმ ბრბოში, სადაც ყველანი ერთმანეთს საქონელივით დიდი თვალებით შეჰყურებდნენ და წამდაუწუმ სურდათ, ეკითხათ: „ყველაფერი კარგადაა? ყველაფერი კარგადაა?“ თუ იმ ქარხნის საერთო საცხოვრებელში ვბრუნდებოდი, რომელიც სავსე იყო პროტესტის გრძნობისგან დაცლილი, გულგრილი, ჭლექიანი სტუდენტებით?

საზურგეს მიყრდნობილი, მატარებელთან ერთად ვირჩეოდი. წარმოვიდგინე, რომ როცა სახლში ვიქნებოდი, ზუსტად მაშინ დაიწყებოდა საჰაერო იერიში და მთელი ჩემი ოჯახი დაილუპებოდა. ამ ფანტაზიის გამო ენითაუწერელი ზიზღი ვიგრძენი. ყოველდღიური ცხოვრებისა და სიკვდილის კავშირზე უფრო საზიზღარი რამ ჩემთვის არ არსებობდა. კატაც კი, როდესაც სიკვდილის მოახლოებას იგრძნობს, ადამიანმა რომ არ ნახოს, იმალება, არა? მხოლოდ იმის წარმოდგენაზეც კი მაზიდებდა, რომ შეიძლებოდა საკუთარი თვალთ მენახა ჩემი ოჯახის სასტიკი სიკვდილი, ან მათ ენახათ ჩემი სიკვდილი. ის, რომ ყველანი ერთნაირ პირობებში დავიხოცებოდით, რომ მშობლები და მათი ქალ-ვაჟი სიკვდილის წინ ერთმანეთს თანაგრძნობით შეხედავდნენ, ამას ოჯახური სიხარულის, საერთო ბედნიერების ვულგარული სცენად აღვიქვამდი. უცხო ხალხში, სინათლეში სიკვდილი მეწადა. ოღონდ ეს სურვილი სრულიად განსხვავდებოდა ბერძენი აიაქსის სურვილისაგან - ღია ცის ქვეშ მომკვდარიყო. უფრო ბუნებრივი თვითმკვლელობის მსგავსი რამ მსურდა. მინდოდა, იმ უეშმაკო, გამოუცდელი მელიასავით მოვმკვდარიყავი, მთის ძირას უდარდელად მოსიარულეს მონადირე რომ მოუღლებს ბოლოს.

და ამისათვის ჯარში წასვლა ხომ იდეალური იყო? ჯარში ხომ აუცილებლად მოგკვდებოდი? რატომ მოვატყუე სამხედრო ექიმს?

რატომ ვუთხარი, რომ უკვე ნახევარი წელია, დაბალი სიცხე მაქვს, მხრები მიშემდება და არაფერი მშველის; რომ სისხლიანი ნახველი მაქვს და წინა ღამეს ოფლში გავიწურე (ეს კი მართალი იყო: ასპირინი მქონდა დალეული)? რატომ იყო, რომ როდესაც შინ დაბრუნება მიბრძანეს, კინაღამ ყბების ძვლები ვიტკინე ღიმის დამალვისას? რატომ გამოვიქეცი თავქუდმოგლეჯილი ყაზარმის ჭიშკრიდან? ასე ხომ საკუთარ სურვილებს ვდალატობდი? რატომ არ მოვლასლასებდი თავჩაქინდრული, ფეხებში ძალაგამოცლილი?

მე ხომ მესმოდა, რომ ომში სიკვდილისგან გაქცევას ჩემი დარჩენილი სიცოცხლე ვერ გაამართლებდა, ჰოდა, რამ მაიძულა, ასე გამოვქცეულიყავი ყაზარმის ჭიშკრიდან? ნუთუ მაინც სიცოცხლე მწყუროდა? ნუთუ ეს იყო იმის გაუცნობიერებელი მიზეზიც, რომ სუნთქვაშეკრული გავრბოდი თავშესაფარში დაბომბვის დროს?

უცებ ჩემმა მეორე ხმამ მითხრა, რომ სინამდვილეში ერთხელაც კი არ მნდომებია სიკვდილი. სირცხვილით ვიწვოდი. ამის აღიარება ძალიან რთული იყო. გავაცნობიერე, რომ ვიტყუებოდი, როდესაც ვამბობდი, ჯარში წასვლა იმისთვის მინდა, რომ მოვკვდე-მეთქი. ჯარში წასვლა სექსუალური მოლოდინის გამო მინდოდა. ამ მოლოდინს ზურგს უმაგრებდა რწმენა, რომელიც ყველა სულიერის თანდაყოლილი ძალაა - რწმენა იმისა, რომ ჩემ გარდა ყველა შეიძლებოდა მომკვდარიყო.

მსიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ მე ვიქნებოდი ის ერთადერთი, ვინც „სიკვდილს“ დაავიწყდებოდა. სიკვდილის მსურველი, რომელიც სიკვდილმა საშინელ ტკივილებში მიატოვა - იმ ქირურგივით, რომელიც ოპერაციის დროს მხოლოდ თავის საქმეზეა კონცენტრირებული და სხვა არაფერი ადარდებს. ამგვარი სიამოვნება, ცოტა არ იყოს, ამორალურადაც კი მოჩანდა.

უნივერსიტეტი და საავიაციო ქარხანა რაღაც საკითხზე მწვავედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რის გამოც თებერვალში ყველა სტუდენტი უკან გამოგვიწვიეს. მარტში ერთი თვით ლექციები დაიგეგმა, ხოლო აპრილის დასაწყისიდან სხვა ქარხანაში გაგვამწესეს. თებერვლის ბოლოს ათასობით პატარა თვითმფრინავი დაგვესხა თავს. მარტის ლექციები უკვე სათუო გახდა.

ასე გვიბოძეს ყველას გაგანია ომში სრულიად გამოუსადეგარი ერთთვიანი არდადეგები. ფეიერვერკის ნესტიანი შუშხუნებივით იყო. თუმცა ეს სველი შუშხუნები უფრო გამიხარდა, ვიდრე, ვთქვათ, ორცხობილებით სავსე პატარა ტომარა გამახარებდა. სხვათა შორის, უნივერსიტეტისგან ასეთი საჩუქარი უფრო მოსალოდნელი იყო. არდადეგები იმ დროისათვის სრულიად გამოუყენებელი, მაგრამ მაინც ძვირფასი საჩუქარი გახლდათ.

გამოჯანმრთელებიდან რამდენიმე დღეში კუსანოს დედამ დამირეკა. ერთ-ერთი ქალაქის მახლობლად მდგარ ჯარში კუსანოს პირველად 10 მარტს აძლევდნენ პაემანის უფლებას. დედამისმა მკითხა, ჩვენთან ერთად ხომ არ წამოხვალო.

დავთანხმდი და მალევე ვესტუმრე კიდეც. მაშინ ყველაზე უსაფრთხოდ შებინდებიდან 8 საათამდე დრო ითვლებოდა. ვახშამი ახალი დამთავრებული ჰქონდათ, რომ მივედი. კუსანოს დედა ქვრივი იყო. თავის სამ ქალიშვილთან ერთად კოტაცუსთან(დაბალი ხის მაგიდა, რომლის გარშემოც ოჯახი თავს იყრის და ჩაის სვამს.) მიმიპატიჟა. ის გოგო გამაცნო, ფორტეპიანოზე რომ უკრავდა. სონოკო ერქვა. ერთ ცნობილ ვირტუოზსაც ზუსტად ასე ერქვა და, ცოტა არ იყოს, ცინიკურად ვიხუმრე ამის თაობაზე. თვრამეტი წლის სონოკო გაწითლდა. არ ვიცი, იქნებ სულაც სუსტი განათების გამო

გამოჩნდა ასე. თუმცა ხმა არ ამოუღია. იმ საღამოს წითელი ტყავის ქურთუკი ეცვა.

9 მარტის დილას, კუსანოს სახლთან ახლოს, ბაქანზე ამ ოჯახს ველოდებოდი. ჩანდა, როგორ ანგრევდნენ გზაზე ჩამწკრივებულ მაღაზიებს რაღაც სტრატეგიული მიზნით. ეს ჭახაჭუხი ადრეული გაზაფხულის სუფთა, გამჭვირვალე ჰაერში იჭრებოდა. ზოგიერთი დანგრეული შენობიდან დამაბრმავებლად ახალი ხის დაფები მოჩანდა.

ჯერ კიდევ დილის სუსხი იდგა. რამდენიმე დღე იყო, რაც განგაშის სიგნალი არ გაგვეგონა. ამასობაში ჰაერი სულ უფრო და უფრო გამჭვირვალე გახდა და ისე გადაიჭიმა, თითქოს ცოტაც და გასკდებო. კარგად დაჭიმულ სიმს მოჰგავდა. ატმოსფერო იმ ცარიელი სიჩუმით ავსებულებო, მუსიკის დაწყებამდე რამდენიმე წამით ადრე რომ ჩამოდგება ხოლმე. უკაცრიელ გაყინულ ბაქანზე დაცემული მზის სხივიც კი მუსიკის ჰანგების წინათგრძნობით კრთოდა.

კიბეზე გოგონები გამოჩნდნენ. ლურჯლაბადიანს პატარა დაიკოს ხელი ეჭირა და მასთან ერთად თითო-თითო საფეხურზე ფრთხილად აბიჯებდა. შედარებით უფროსს, 14-15 წლისას, როგორც ჩანს, არ მოსწონდა ეს ნელი სვლა, წინ უსწრებდა დებს და ზიგზაგებით ჩამოდოდა ცარიელ კიბეზე.

სონოკომ თავიდან ვერ შემაძჩნია. მე კი კარგად ვხედავდი. ქალის სილამაზეს ასე არასოდეს შეუძრავს ჩემი სული. გული ამიფანცქალდა და უმანკო გრძნობით ავივსე. ამას რომ ვწერ, აქამდე მოსულ მკითხველს ალბათ არც სჯერა. ნუკადას დის მიმართ გაჩენილი ხელოვნური სიყვარული და ეს გულის ფანცქალი რით განსხვავდება, ფიქრობს. იმ შემთხვევის ანალიზი რატომაა

უარყოფილი? არ მინდა, ნაწერი გაცვეთილი აზრებით ავაგსო. რასაც ვწერ, იმიტომ არ ვწერ, რომ უბრალოდ ასე მომინდა, დამეწერა. გგონიათ, თანმიმდევრულად წერა მინდა, ან ის, რომ ყველაფერი რიგზე იყოს? თუმცა ჩემი მოგონებები მართლაც განსხვავდება ერთი თვალსაზრისით: სინანულით, რომელსაც ამ მეორე შემთხვევაში ვგრძნობდი.

სონოკომ მაშინლა შემამჩნია, ორი-სამი საფეხური რომ ჰქონდა დარჩენილი. სიცივისგან აწითლებულ ნორჩ ღაწვებზე ღიმილი გადაეფინა. ძილმორეული, მძიმე ქუთუთოებიდან მისმა შავმა თვალებმა ისე შემომანათა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებენო. სონოკომ პატარა დაიკოს ხელი მეორე დას ჩააბარა და ჩემკენ მზის სხივივით გრაციოზულად გამოემართა.

ვუყურებდი, როგორ მიახლოვდებოდა განთიადივით მშვენიერი. ყმაწვილობაში ძალით წარმოდგენილ ვნებისაღმძვრელ ქალებს არ ჰგავდა. და თუ მაინც იყო ასეთი, ამას იმედებით არ უნდა შევხვედროდი. გული სულ სხვანაირად ამიძგერდა. სონოკოს ღირსი არ ვარ-მეთქი, - აი, ასეთმა ღრმა თავმდაბლობამ მომიცვა, თუმცა ამის გამო თავი არასრულფასოვნად არ ჩამითვლია. ვუყურებდი, როგორ მიახლოვდებოდა და სევდა და მოუსვენრობა ერთნაირად მიტევდა. ასეთი რამ არასდროს განმეცადა. სევდა ფეხქვეშ მიწას მაცლიდა. აქამდე ქალებს მხოლოდ ბავშვური ცნობისმოყვარეობით ვუყურებდი, ან თავს ვიტყუებდი და ვნებას ვიგონებდი. პირველივე შეხედვისას ასეთი ღრმა, ამოუხსნელი, უცხო სევდა არასდროს მეგრძნო. ის ჩემი ერთ-ერთი ნიღბისაც კი არ იყო. მივხვდი: ეს სინანული გახლდათ. თუმცა რაიმე ჩავიდინე, რასაც ვნანობდი? ნუთუ არსებობს ისეთი სინანული, დანაშაულის ჩადენას რომ წინ უსწრებს? საკუთარ არსებობას ვნანობდი? სონოკოს სილუეტი ამას მეუბნებოდა? თუ ეს მართლაც დანაშაულის წინათგრძნობით გამოწვეული სინანული იყო?

მალე სონოკო ჩემ წინ იდგა. დაბნეული შევყურებდი და თავი მეორედაც დამიკრა.

- გალოდინეთ? დედაჩემი და ქალბატონი ბებია... (უჩვეულო სიტყვათშეხამების გამოყენებისას გაწითლდა) ჯერ კიდევ ემზადებიან და დააგვიანდებათ. კიდევ ცოტა ხანს რომ... თუ არ შეწუხდებით, კიდევ ცოტა ხანს დაველოდოთ და თუ მალე არ მოვლენ, მაშინ სადგურში ერთად წავიდეთ.

ძლივს ამოთქვა ეს სიტყვები და ამოისუნთქა. მაღალი გოგო იყო, შუბლამდე მწვდებოდა. დახვეწილი აღნაგობა და ლამაზი ფეხები ჰქონდა. ბავშვურ, მრგვალ სახეზე არაფერი ესვა - უმანკო სულის ანარეკლი ეტყობოდა. ტუჩები ცოტა დახეთქოდა და ამის გამო უფრო წითლად მოუჩანდა.

ორიოდე სიტყვით, უხერხულად გავესაუბრეთ ერთმანეთს. მთელი ძალით ვცდილობდი, მხიარული და ენამახვილი ყმაწვილი გამოვჩენილიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი საკუთარი თავი მძულდა.

მატარებლები ჩვენ გვერდით ჩერდებოდნენ და მერე გრუხუნ-გრუხუნით გადიოდნენ სადგურიდან. აქ გამალებული ჩასხდომა-გადმოსხდომა არ იყო. მატარებლის ყოველი ჩამოდგომა მზის სხივებს გვართმევდა, რომელთა სითბოშიც თითქოს ვლივლივებდით. თუმცა, როდესაც ვაგონები სვლას იწყებდნენ, დაწვებზე ხელახლა გამოჩენილი ჩუმი სხივები ერთიანად მათროლოლებდა. ცუდ ნიშნად ჩავთვალე ის, რომ მზის უხვი სხივებით გარშემორტყმულს, გული რაღაც ისეთით მევსებოდა, რაზეც ადრე არც მეოცნება. მაგალითად, ვფიქრობდი, თითქოს ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ რამდენიმე წუთში დაბომბვა

დაიწყებოდა და ყველანი დავიხოცებოდით. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს უმცირესი ბედნიერებისთვისაც კი ძვირი უნდა გადამეხადა. ამის მეორე მხარე კი ის იყო, რომ უმცირეს ბედნიერებასაც წყალობად ვთვლიდი. სწორედ ამას განვიცდიდი სონოკოს წინ უხმოდ დგომისას. ალბათ, ისიც ამავეს გრძნობდა.

სონოკოს დედა და ბებია არა და არ ჩანდნენ. ამიტომ ერთ-ერთ მატარებელში ჩავსხედით და სადგურისაკენ გავემართეთ.

სადგურზე, ყყლეტაში, ბატონმა ობამ დაგვიძახა, რომლის ვაჟიც კუსანოსთან ერთად მსახურობდა. ისიც შვილთან შესახვედრად მიდიოდა. შუა ხნის ბანკირს თავზე ფეტრის ქუდი ჩამოემხო და ხაკისფერი პიჯაკი ჩაეცვა, თან ქალიშვილი ახლდა, რომელსაც მეც და სონოკოც შორიდან ვიცნობდით. რატომღაც გამიხარდა, რომ ის გოგო სილამაზით სონოკოს ვერც კი შეედრებოდა. ნეტავ რას ნიშნავდა ეს გრძნობა? სონოკო და ის გოგო მეგობრულად ჩაკიდულ ხელებს აქანავებდნენ. ასეთ უმანკო სიხარულს რომ ვუყურებდი, უფრო კარგად ვხვდებოდი, როგორი სიმშვიდე და სულგრძელობა იყო სონოკოს აღმატებულ სილამაზეში. მაშინ აღმოვაჩინე, რომ მასზე ბევრად უფროსებსაც კი სწორედ ამიტომ ეჩვენებოდათ უფრო დიდად.

მატარებელი ცარიელი იყო. ვითომ შემთხვევით, მე და სონოკო ფანჯარასთან ერთმანეთის პირისპირ დავსხედით. ბატონი ობას მხრიდან სულ სამნი იყვნენ, მოახლის ჩათვლით. ბოლოს და ბოლოს, ჩვენც შევგროვდით - ექვსი ადამიანი. ცხრა კაცი ერთ რიგში ვერ დავეტეოდით. თავადაც ვერ მივხვდი, ისე სწრაფად გამოვთვალე ყველაფერი. ნეტავ სონოკომაც გამოთვალა? როდესაც მძიმედ დავეშვით სკამებზე, ეშმაკურად გავუღიმეთ ერთმანეთს.

ცალკე კუნძულად ჩვენი გამოყოფა დანარჩენებმა მღუმარედ

მიიღეს. ეტიკეტის მიხედვით, სონოკოს ბებია და დედა ბატონ ობასა და მის შვილს წინ უნდა დასხდომოდნენ. სონოკოს პატარა დაიკომ მაშინვე ისეთი ადგილი აირჩია, საიდანაც დედამისის სახესაც დაინახავდა და პეიზაჟსაც. მეორე უმცროსი დაც ასე მოიქცა. ამიტომაც ის ადგილი სათამაშო მოედანს დაემსგავსა. ობას მოახლე ორ გათამამებულ ბავშვს მიუჯდა. მე და სონოკოს ამ შვიდი ადამიანისაგან ფერგადასული სკამები გვაშორებდა.

მატარებელი დაძრული არ იყო, რომ ბატონმა ობამ საუბარი წამოიწყო. დაბალი, ქალური ხმით გაუჩერებლად ლაპარაკობდა და სხვებს მხოლოდ თავის დაქნევის საშუალებას აძლევდა. კუსანოს ბებიაც კი, რომელიც ცნობილი მოლაპარაკე იყო, ჩუმად იჯდა და ხმას ვერ იღებდა. ბებიაც და დედაც მხოლოდ „აა“-ს ამბობდნენ და დროდადრო სიცილსაც მიაშველებდნენ ხოლმე. ობას ქალიშვილის პირიდან ერთი სიტყვაც კი არ გაგვიგონია. ბოლოს და ბოლოს, მატარებელმა სიჩქარე აკრიფა. ჭუჭყიანი ფანჯრიდან შემოსული მზის სხივები ჯერ ფანჯრის რაფაზე, შემდეგ კი სონოკოს ლაბადაში გამოკვეთილ მუხლზე ეცემოდა. ორივენი ჩუმად ვისხედით და სხვების საუბარს ყურს ვუგდებდით. ხანდახან სონოკო იღიმებოდა და ეს ღიმილი მაშინვე გადმომეღებოდა ხოლმე. ამ დროს ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდებოდნენ. მე რე თვალებაც იმციმებოდა სონოკო საუბარს ისევ ყურს მიუგდებდა ხოლმე. ჩემს მზერას ეშმაკურად გაურბოდა.

- აი, ამ ფორმაში ვაპირებ სიკვდილს. სამოქალაქო ფორმაში ან რაღაც სახვევებში სიკვდილი რა საკადრისია? შარვალს ჩემს ქალიშვილსაც არ ვაცმევ. განა მშობლის ვალი არაა, რომ მისი ქალიშვილი ქალურად ჩაცმული მოკვდეს, თუ სიკვდილია?



- სხვათა შორის, ბარგის ევაკუაცია თუ დაგჭირდათ, მე მომმართეთ. უკაცოდ დარჩენილი ოჯახები ძალიან უმწეოები არიან. რაც უნდა იყოს, მე მომმართეთ, არ მოგერიდოთ.

- თქვენი შეწუხება არ გვინდა, დიდი მადლობა.

- ერთ-ერთ ცხელ წყაროსთან საწყობი ვიყიდეთ და ჩვენი ბანკის თანამშრომლები იქ აწყობენ ბარგსა და ნივთებს. გარწმუნებთ, სრულიად უსაფრთხო ადგილია. შეგიძლიათ, რაც გინდათ, ყველაფერი შეინახოთ, ფორტეპიანოც კი.

- თქვენი შეწუხება არ გვინდა, დიდი მადლობა.

- სხვათა შორის, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ თქვენი ვაჟის რაზმის მეთაური კარგი ადამიანია. ჩემი ბიჭის მეთაური პაემანზე მიტანილი საკვების ნაწილს საკომისიოსავით იტოვებს. აი, სადამდე მივიდა საქმე ზღვის აქეთა მხარეს! პაემანების მეორე დღეს თურმე ჩემი ვაჟის მეთაურს კუჭი ყოველთვის აშლილი აქვს!

- უი, ჰაჰაჰა!

სონოკოს ტუჩის კუთხეებში ღიმილი უკრთოდა, მაგრამ მაინც აღელვებული მოჩანდა. ხელჩანთიდან ჯიბის წიგნი ამოიღო. ცოტა არ იყოს, უკმაყოფილო დავრჩი. თუმცა წიგნის სათაური კი მაინტერესებდა.

- რა წიგნია?

გადაშლილი წიგნი სახეზე მარაოსავით აიფარა, თან იცინოდა. ყდაზე „წყლის ასულის ჩანაწერები“ ეწერა, ქვეშ კი - გერმანული სათაური: „უნდინე“. მივხვდი, რომ უკანა სკამიდან ვილაც წამოდგა.

სონოკოს დედა აღმოჩნდა. აწრიალებული უმცროსი ქალიშვილის დაწყნარებაც უნდოდა და, როგორც ჩანს, ბატონი ობას საუბრისგან გაქცევაც. თუმცა მხოლოდ ეს არ იყო მიზეზი. პატარა, ხმაურიან გოგოსა და მეორეს, ნაადრევად დაქალებულს, ხელი ჩაჰკიდა და ჩვენკენ წამოიყვანა.

- აი, ეს ხმაურიანი გოგონები თქვენთან იყვნენ, თუ შეიძლება, - გვითხრა.

სონოკოს დედა ლამაზი, მომხიბვლელი ქალი იყო. მის სასიამოვნო საუბარში გამკრთალი ღიმილი ხანდახან ძალიან ნაღვლიანად მოჩანდა. აი, ამ დროსაც შევნიშნე მის ღიმილში სევდა და აღელვება. როდესაც წავიდა, მე და სონოკომ ერთმანეთს გადავხედეთ. გულის ჯიბიდან პატარა ბლოკნოტი ამოვიღე, ფურცელი ამოვხიე და ფანქრით დავუწერე: „დედათქვენი ყურადღებას არ ადუნებს“.

- ეს რა არის? - სონოკო ჩემკენ გადმოიხარა. მისი თმის ბავშვური სურნელი ვიგრძენი. რომ წაიკითხა, კეფამდე განითლდა.

- ასე არაა?

- მე... არა მგონია...

ჩემი და მისი მზერა ისევ გადაიკვეთა. ერთმანეთს გავუგეთ. ვიგრძენი, რომ მეც მეწვოდა ლაწვები.

- დაიკო, ეს რა არის? - პატარა დამ ხელი გამოიწვდინა. სონოკომ ფურცელი მაშინვე დამალა. შუათანა დას, მიუხედავად იმისა, რომ დიდი არ ეთქმოდა, საქმის ვითარება კარგად ესმოდა. გაბუტულივით, ცივად შემოგვხედა, უმცროს დას კი ასეთი

შეკითხვის დასმისთვის მომეტებულიად გაუბრაზდა.

ამის შემდეგ მე და სონოკო უფრო თავისუფლად ავლაპარაკდით. რაზე აღარ მიყვებოდა: სკოლაზე, წაკითხულ წიგნებზე, უფროს ძმაზე. მე საუბრის განზოგადებას ვცდილობდი. ეს მოხიბვლის ხელოვნებაში გადადგმული პირველი ნაბიჯები იყო. საუბარში ისე გავერთეთ, რომ სონოკოს დებს ყურადღებას აღარ ვაქცევდით. მათაც ისარგებლეს ამით და ძველ ადგილს დაუბრუნდნენ. დედამ კი, ისევ შეწუხებული ღიმილით, ეს ორი გამოუსადეგარი ჯაშუში უმაღვე დაგვიბრუნა.

კუსანოს სამხედრო დანაყოფთან ახლოს მდებარე ქალაქში გვიან ღამით ჩავალწიეთ. ძილის დროს გვარიანად გადაცილებული იყო. მე და ბატონ ობას ერთი ოთახი გვერგო.

როდესაც ოთახში მარტო დავრჩით, ბანკირმა დაუფარავად დაიწყო საუბარი იმაზე, როგორ არ უნდოდა ამ ომის გაგრძელება. შოვას მეოცე წლის(1945 წ.) გაზაფხულზე ასეთ თემებზე იმდენი ჩურჩულებდა, უკვე მობეზრებულიც კი მქონდა. ობა არ ჩერდებოდა და დაბალი ხმით ჰყვებოდა კერამიკული ნაწარმის კომპანიაზე, სადაც დიდძალი კაპიტალი ჩაედო. ომით მიყენებული ზარალის ანაზღაურების საბაბით და იმ იმედით, რომ მშვიდობა დამყარდებოდა, დიდი ოდენობით საოჯახო ფაიფურის წარმოებას აპირებდნენ. ჰყვებოდა საბჭოთა კავშირისთვის დაზავების თხოვნასა და ასეთ რამეებზეც. მე კი მერჩია, მარტო ვყოფილიყავი და მეფიქრა. უსათვალო სახე, რომელიც შეშუპებული მოჩანდა, სანათის ჩაქრობის შემდეგ სიბნელემ შთანთქა. ბატონმა ობამ ერთი-ორჯერ უდრტვინველად ამოხვნემა, ფუტონში გაეხვა და, როგორც იქნა, ფშვინვა ამოუშვა. ფიქრებში ჩავიძირე. ახლად გადაკრული ბალიშისპირი - უხეში პირსახოცი, რომელიც ბალიშისთვის შემოეხვიათ - აალებულ ღაწვებს მწიწკნიდა.

ყოველთვის, როდესაც მარტო ვრჩებოდი, შემაწუხებელი მელანქოლია მეუფლებოდა. დილით სონოკოს დანახვისას გაჩენილი სევდა, რომელმაც ფეხქვეშ მიწა გამომაცალა, ახლა გაცილებით ნათლად ვიგრძენი. ადვილად გამოვუტყდი თავს, რომ დღეს ნათქვამი ყოველი ფრაზა თუ სიტყვა ტყუილი იყო. ასე სჯობდა, ვიდრე იმის გამოცნობით გავტანჯულიყავი, რა იყო ტყუილი და რა - არა. საკუთარ თავთან გამოტყდომა კარგა ხანია, ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავი გამხდარიყო. ასეთ დროს მოუთოკავ შფოთვას ადამიანის უმთავრეს არსთან და გულის უტყუარ დასკვნებთან, უსასრულო თვითანალიზთან მივყავდი. ნეტავ სხვა ბიყები რას გრძნობდნენ? ნეტავ ჩვეულებრივი რომ ვყოფილიყვი, რას ვიგრძნობდი? აკვიატებული აზრები მაწამებდა და ძლივს მოპოვებულ ბედნიერებას ერთი ხელის მოსმით მიცამტვერებდა.

თამაში, როლის შესრულება თანდათან ჩემი არსების ნაწილი გახდა. ეს უკვე თამაშიც აღარ იყო. ჩვეულებრიობის გათამაშებამ ჩემი ნამდვილი, ალალი ნაწილი მთლიანად შეიწირა - თითქოს ისიც არაფერი იყო, თამაშის გარდა. მეორე მხრიდან თუ შევხედავთ, ისეთ ადამიანად ვიქეცი, რომელსაც მხოლოდ სიყალბის სწამდა. და თუ ასე იყო, მაშინ სონოკოს მიმართ გაჩენილი გრძნობა თავიდანვე ყალბი უნდა ყოფილიყო. თუ ეს მართლაც სიყვარულის მოთხოვნილება იყო, ოღონდ შენიღბული? ნუთუ ისეთ ადამიანად ვიქეცი, ვისაც საკუთარი თავის წინააღმდეგ წასვლა არ შეეძლო?

ამ ფიქრებში ძლივს ჩამთვლიდა, რომ ღამის ჰაერი ავისმომსწავებელმა, ყურისწამლებმა ხმამ გაარღვია.

- განგაშია?

ბანკირის ასე სწრაფად გამოფხიზლებამ გამაოცა.

- ჰო, - ჩავიბურტყუნე. განგაშის სიგნალის სუსტი გამოძახილი კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

პაემანი ადრიანად იყო დანიშნული. ამიტომ ყველამ ექვს საათზე გავიღვიძეთ.

სონოკოს სააბაზანოში შევხვდი.

- გუშინ განგაში იყო, არა? - ვკითხე.

- არა, - სერიოზული სახით მომიგო.

საერთო ოთახში რომ შევედით, ეს კარგ სახუმარო თემად იქცა მისი უმცროსი დებისათვის.

- არაფერი რომ არ იცის, ისეთი ქალბატონი უფროსი დაიკო. ჰაჰაჰა, რა სასაცილოა!

- ეგრევე გავახილე თვალები. ჰოდა, უფროსი დაიკოს ხვრინვა არ შემომესმა?!

- კი, კი, ასე იყო. მეც გავიგონე. ისე ხმამაღლა ხვრინავდა, რომ განგაშის სიგნალი კარგად არც მესმოდა.

- იტყვით ხოლმე რა! დამიმტკიცეთ, აბა! - სონოკო აჭარხლებული იდგა, რადგან ეს ყველაფერი ჩემ წინაშე ხდებოდა. - არ გეშინიათ, ასე საშინლად რომ იტყუებით?

ერთადერთი უმცროსი და მყავდა და ამიტომ ბავშვობიდან

ვგიჟდებოდი ისეთ ოჯახებზე, სადაც ბევრი და ცხოვრობდა. ჩემს თვალში დების მხიარული კინკლაობა ამქვეყნიური ბედნიერების ყველაზე ზუსტი და ნათელი გამოვლინება იყო. ამის ყურებამ კიდევ უფრო დამასევდიანა.

საუზმის დროს მხოლოდ წინა ღამის განგაშზე ვსაუბრობდით, რომელიც მარტის თვეში პირველად გაისმა. თავს ყველა იმით იმშვიდებდა, რომ ეს გამაფრთხილებელი სიგნალი იყო და არა დაბომბვის მაუწყებელი ხმა. ჩემთვის კი სულერთი იყო. გულახდილად ვიტყვი, დიდად არც მანაღვლებდა, როცა შინ არ ვიქნებოდი, სახლი თუ გადაიწვებოდა და მთელი ოჯახი ამოწყდებოდა. ეს ფანტაზია არც გაუგონარ სიმხეცედ მიმაჩნდა. თუ რაიმეს წარმოდგენის უნარი მქონდა, ყველაფერი შეიძლებოდა ნებისმიერ წუთს ყოველდღიურობის ნაწილად ქცეულიყო. სინამდვილე თითქოს ჩვენგან სესხულობდა ფანტაზიებს. უფრო ადვილი წარმოსადგენი იყო, რომ ვიღაცის მთელი ოჯახი ამოწყვეტილიყო, ვიდრე ის, რომ გინძის მაღაზიებში დასავლური ალკოჰოლიანი სასმელები დაგენახა ან გინძის ღამის ცაში ნეონის ნათება არეკლილიყო. ჩვენს დამყოლ წარმოსახვას, რაც უნდა სასტიკი და უგულო გამოჩენილიყო, გულცივობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ის ზარმაცი, მოდუნებული გონების ნაყოფი გახლდათ.

წინა ღამით ტრაგიკული როლი კი მოვირგე, მაგრამ სახლიდან გასვლისას უკვე თავქარიან რაინდად ვიქეცი, რომელსაც სონოკოს ჩანთის ტარება სურდა. ესეც ერთგვარი ფანდი იყო ყველას თვალწინ ეფექტის მოსახდენად. უარს თუ მეტყოდა, ეს ჩემთვის ნათქვამი უარი სულაც არ იქნებოდა - ბებიისა და დედის შერცხვებოდა. ჰოდა, უნებურად მოატყუებდა ერთსაც და მეორესაც. მოგვიანებით, იმის გამო, რომ მისი ჩანთა მე მომქონდა,

იძულებული გახდა, გვერდიდან არ მომშორებოდა. დროდადრო უცნაურად ვუყურებდი სონოკოს - მართალია, იქვე მისი ასაკის ქალიშვილი იყო, ის მაინც მხოლოდ მე მესაუბრებოდა. მისი უმანკო და ტკბილი ხმა გაზაფხულის მტვრიან ქარში იფანტებოდა და მანაღვლიანებდა. მხრები ავიჩიქე და მისი ჩანთის სიმძიმე შევამოწმე. წონა ვერაფრით ამართლებდა ჩემი გულის სიღრმეში დაბუდებულ განცდას - იმ კაცის სინდისის ქენჯნას, რომელსაც მართლმსაჯულება ეძებს. ქალაქიდან გასულები არ ვიყავით, რომ ბებიამ წუწუნი დაიწყო. ბანკირი სადგურზე დაბრუნდა და, თავისი მოხერხებულობის წყალობით, მალევე ორი ტაქსით გამოგვეცხადა.

- რამდენი ხანია, არ მინახიხარ! - კუსანოს ხელი ჩამოვართვი. ისეთი შეგრძნება დამრჩა, თითქოს ასთაკვს შევხებოდი.

- რა გჭირს ხელზე?

- რა გიკვირს? - ჩაიცინა.

კუსანოს უკვე ბოლომდე გაეთავისებინა ახალწვეულის საწყალობელი მდგომარეობა. ხელები მაჩვენა. დახეთქილი, მოყინული, ჭუჭყიანი, გაქონილი, ხამანჭკის ჯავშანივით ხელები. ყველაფერთან ერთად, ისინი ცივი და ოფლიანიც იყო.

ისე შემეშინდა მისი ხელების, როგორც აწმყოსი. უცებ მათ მიმართ კიდევ უფრო შემზარავი შიში ვიგრძენი. ეს უმოწყალო ხელები ხომ ბრალს მდებდნენ და მასამართლებდნენ. მათ წინაშე ვერ მოვიტყუებდი. როდესაც ამას ვფიქრობდი, სონოკოს არსებობამ კიდევ ერთი მნიშვნელობა შეიძინა: ამ ხელებთან წინააღმდეგობის გაწევისას ის უნდა ყოფილიყო ფარი და ჯავშანი ჩემი სუსტი სინდისისათვის. ვიგრძენი, რომ შემეძლო თუ არა, უნდა მყვარებოდა. ეს გრძნობა უფრო ღრმად აღმოჩნდა გულში, ვიდრე

ჩემი ცოდვები.

კუსანომ, რომელიც ვერაფერს ხვდებოდა, გულუბრყვილოდ მითხრა:

– თუ ბანაობისას ამ ხელით გაიხეხავ, სახეხი აღარ დაგჭირდება!

დედამისს ჩუმი ოხვრა აღმოხდა. მრცხვენოდა, რადგან თავს ზედმეტად ვგრძნობდი. სონოკომ შემომხედა. თავი ჩავქინდრე. სისულელეა, მაგრამ რატომღაც ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მისთვის რაღაცის გამო ბოდიში უნდა მომეხადა.

– გარეთ გავიდეთ! - თქვა კუსანომ და დედას და ბებიას, ცოტა არ იყოს, უხეშად უბიძგა. ყაზარმის ეზოს გამხმარ ბალახზე წრიულად დამსხდარი ოჯახები ახალწვეულებს ნუგბარით უმასპინძლდებოდნენ. როგორც უნდა შემეხედა, ეს ყველაფერი სულაც არ მეჩვენებოდა მომხიბვლელად.

ბოლოს კუსანოც წრეში ჩავსვით და პირი დასავლური ტკბილეულით გამოვუვსეთ. პირგამოტენილი, თვალებს აცეცებდა და ტოკიოს მხარეს, ცაზე გვანიშნებდა. ამ შემადლებული ადგილიდან გადამხმარი მდელოები და ქალაქის დაბლობი მოჩანდა, იმის იქით კი, დაბალი ქედების ნაპრალებში, ტოკიოს ცა უნდა ყოფილიყო. ადრეული გაზაფხულის ცივი თოვლი აქაურობას სიფრიფანა ჩრდილივით ეფინებოდა.

- გუშინ იქაურობა სულ წითლად მოჩანდა. საშინელება იყო. გაიგე, შენი ოჯახი გადარჩა თუ არა. ეგეთი წითელი ცა დაბომბვების დროს არასდროს ყოფილა.

მარტო კუსანო ლაპარაკობდა. წუწუნებდა, რომ თუ დედა და



ბებია ტოკიოდან იმ დღესვე არ წავიდოდნენ, ღამე ვერაფრით დაიძინებდა.

- კარგი, კარგი... რაც შეიძლება, მალე წავალთ. გპირდები, - მტკიცედ უთხრა ბებიამ, მერე ობიდან პატარა ბლოკნოტი და კბილის საჩიჩქნისხელა ფანჯარი ამოიღო და რაღაცის წერას მონდომებით შეუდგა.

უკან დაბრუნებისას მატარებელში სევდა გამეფებულიყო. ხმას ბატონი ობაც კი არ იღებდა, რომელიც სადგურში შემოგვიერთდა. აღარავინ მალავდა იმ გრძნობას, რომელსაც საკუთარი სისხლისა და ხორცის სიყვარული ჰქვია და რომელიც, ჩვეულებრივ, სხვებისაგან დაფარულია ხოლმე. შვილები, შვილიშვილები, უფროსი და უმცროსი ძმები ენახათ, სული გაეშიშვლებინათ და მათთვის ეჩვენებინათ, ახლა კი მიმხვდარიყვნენ, რომ ამაოდ გამოეტანათ სააშკარაოზე სისხლმდენი გულები. მე კი ისევ იმ საწყალობელი ხელების ზმანება არ მანებებდა თავს. მატარებელი მოსადამოებულზე ჩავიდა სადგურში, სადაც ელექტრომატარებელში უნდა გადავმსხდარიყავით.

აი, აქ პირველად შევეჩხეთ წინა ღამის დაბომბვის აშკარა კვალს. ხიდი გადავსებული იყო დაზარალებულებით. შალის პლედებში გახვეულები, უაზრო მზერით, გამტერებული თვალებით იყურებოდნენ. დავინახე დედა, რომელიც ჩვილს ისე ისტერიულად არწევდა, იფიქრებდით, ხელს აღარასოდეს გაუშვებსო. ერთი გოგონა დაწულ კალათს მიყრდნობოდა და ისე დაეძინა. მის თმაში ჩამაგრებული ხელოვნური ყვავილები სანახევროდ დამწვარიყო.

ჩვენ საყვედურიან მზერასაც კი არ გგაყოლებდნენ. ყურადღებას არც გვაქცევდნენ. რადგან მათი დანაკარგი ვერ გავიზიარეთ, ჩვენი

არსებობის მიზეზიც აღარ არსებობდა და მხოლოდ აჩრდილებად აღგვიქვამდნენ.

თითქოს რაღაც ააღდა ჩემში. უბედურთა ამ რიგებმა სიმამაცე შემმატა. ისეთი აღტყინება დამეუფლა, რევოლუციის დროს რომ ეუფლებათ ხოლმე. ისინი უყურებდნენ, როგორ ეხვეოდა ცეცხლის ალში ყველაფერი, რაც გააჩნდათ. ადამიანური ურთიერთობები, სიყვარული და სიძულვილი, კეთილგონიერება, პირადი ქონება - მათ თვალწინ ყველაფერი ცეცხლში დაინთქა. და ისინი ამ დროს ცეცხლს კი არ ებრძოდნენ, არამედ ადამიანურ ურთიერთობებს, სიყვარულსა და სიძულვილს, კეთილგონიერებასა და პირად ქონებას. ჩაძირული გემის ეკიპაჟის წევრებივით, ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, სადაც ერთის გადასარჩენად მეორის მოკვლა დასაშვებია. კაცი, რომელიც შეყვარებულის გადარჩენისას დაიღუპა, ცეცხლმა კი არ მოკლა, არამედ შეყვარებულმა. დედა, რომელიც შვილის გადარჩენას ცდილობდა, სწორედ შვილმა გამოასალმა სიცოცხლეს. კაცობრიობის ისტორიაში ეს ყველაზე არსებითი, უნივერსალური ბრძოლა იყო. წესებიც თავისი ჰქონდა.

ამ ბრწყინვალე ტრაგედიებს ადამიანთა სახეებზე გადაღლილობის კვალი დაეტოვებინა. უცებ სრული თავდაჯერება ვიგრძენი. მართალია, სულ რამდენიმე წამით, მაგრამ ადამიანის უმთავრეს ბრძოლასთან დაკავშირებული ჩემი შფოთვა მაინც უკვალოდ გაქრა. ხმამაღლა ყვირილი მომინდა.

თვითანალიზის ძალა რომ ცოტა მომმატებოდა, ან სულ ცოტა სიბრძნე მაინც მქონოდა, ალბათ ამ ბრძოლაში ჩავებმებოდი და თავსაც შევიცნობდი. მაგრამ ამ დროს, როგორი სასაცილოც უნდა იყოს, რაღაც ოცნებამ თუ გატაცებამ პირველად მომახვევინა ხელი სონოკოს წელზე. შეიძლება ზუსტად ამ მოძრაობამ მიმახვედრა, რომ ჩემთვის „სიყვარული“ არც არაფერი იყო.

ამ ნაღვლიან ხიდზე ცოტათი გავუსწართ დანარჩენებს და სწრაფი ნაბიჯით გავეცალეთ იქაურობას. ხელი ისევ სონოკოს წელზე მქონდა მოხვეული. მას არაფერი უთქვამს.

თუმცა, როდესაც ელექტრომატარებლის კარგად განათებულ ვაგონში ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით, სონოკოს შავ, თბილ თვალებში მუდარა შევამჩნიე.

წრიულ ტრამვაიში რომ გადავსხედით, მგზავრების 90%-ს უკვე დაზარალებულები შეადგენდნენ. აქ უფრო მეტად იგრძნობოდა დამწვრის სუნი. ხალხი ხმამაღლა, სიამაყით ჰყვებოდა იმ საფრთხის შესახებ, რომლისთვისაც ცოტა ხნის წინ დაეღწია თავი. რევოლუციონერთა ბრბოს ჰგავდნენ - უკიდურესი უკმაყოფილებით, გამარჯვების ჟინითა და ამაღლებული განწყობით აღსავსე ბრბოს.

სადგურში დანარჩენებს დავემშვიდობე და სონოკოს ჩანთა დავუბრუნე. როდესაც უკუნ სიბნელეში სახლისკენ მივდიოდი, მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, რომ ჩანთა აღარ მეძირა. მაშინ მივხვდი, რამხელა როლი ითამაშა იმ ჩანთამ. ის ჩემი მძიმე ტვირთი იყო. მე ხომ ყოველთვის მჭირდებოდა რაიმე სიმძიმე, რაც ჩემს სინდისს თავის წამოწევის საშუალებას არ მისცემდა.

სახლში ისეთ გამომეტყველებით დამხვდნენ, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო. ტოკიო მაინც ძალიან დიდი ქალაქია.

ორი-სამი დღის შემდეგ სონოკოსთვის შეპირებული წიგნები მოვაგროვე და კუსანოს ოჯახს ვესტუმრე. ალბათ სათაურების ჩამოთვლის გარეშეც მიხვდებით, რა წიგნებს შეარჩევდა ასეთ შემთხვევაში ოცი წლის ԿԻԻ-თვრამეტი წლის გოგოსათვის. მიხაროდა, რომ ძალიან ჩვეულებრივ რამეს ვაკეთებდი, თუმცა

ჩემთვის ეს განსაკუთრებული იყო. სონოკო მეზობელთან გასულიყო და მალე უნდა დაბრუნებულიყო. სასტუმრო ოთახში დაველოდე.

ამასობაში გაზაფხულის ცა მოიღრუბლა და გაწვიმდა. სონოკო წვიმაში მოყოლილიყო - თავიდან ფეხებამდე სველი შემოვიდა ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში. თმებიდან წურწურით ჩამოსდიოდა წვეთები. მხრებაწურული, ტახტის კუთხეში ჩამოჯდა. ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებდა. მკრთალ შუქში წითელ ჟაკეტზე ორი ბორცვი იკვეთებოდა.

მორცხვად, სიტყვაძუნწად ვსაუბრობდით. პირველად იყო, რომ მარტო ვიყავით. გასაგები გახდა, რომ იმ პატარა მოგზაურობის დროს მხიარული საუბრები ჩვენთან მყოფი მისი უმცროსი დებისა და გვერდზე გაჩაღებული საუბრების დამსახურება იყო. ახლა იმ სიმამაცის ნატამალიც აღარ შემრჩენოდა, რომელმაც მაშინ ერთწინადადებიანი სასიყვარულო წერილი დამაწერინა და მისთვის გადამაცემინა. უწინდელზე გაცილებით მორიდებული ვიყავი. ცხადია, შემეძლო გულწრფელი ვყოფილიყავი, მაგრამ სონოკოს წინაშე ამის მეშინოდა. ნუთუ თამაში დამვიწყებოდა? ნუთუ აღარ მახსოვდა, რომ გადაწყვეტილი მქონდა, შეყვარებული კაცის როლი მეთამაშა? ასე იყო თუ ისე, გული მიგრძნობდა, რომ ამ ქორფა ქალიშვილის შეყვარება არ მეწერა. თუმცა კი თავს მასთან ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი.

თავსხმა წვიმამ გადაიღო. ოთახში ჩამავალი მზის სხივები შემოიჭრა და სონოკოს თვალები და ტუჩები გაუნათა. მისმა სილამაზემ დამთრგუნა, საკუთარი უმწეობა გამახსენა. ამ მტანჯველმა გრძნობამ სონოკოს არსება უფრო ეფემერული გახადა.

- არც კი ვიცით, როდემდე ვიცოცხლებთ, - ვთქვი უცებ. - შეიძლება ამწუთას განგაშის სიგნალი გაისმას და

თვითმფრინავებმა პირდაპირ ჩვენ გვესროლონ ბომბები.

- რა კარგი იქნებოდა! - სონოკო შოტლანდიური ქვედაბოლოს ნაკეცებს აწვალებდა, კეცავდა და ერთმანეთზე აწყობდა. ეს რომ თქვა, თავი ასწია და ლაწვებზე ძლივს შესამჩნევი ღინღლი გაუნათდა. - ნეტავ თვითმფრინავი უხმოდ მოფრინდეს და აი, აქ, ასე რომ ვსხედვართ... ამ დროს დაგვაყაროს ბომბები! ასე არ ფიქრობთ?

ეს სიტყვები სონოკოს მხრიდან გაუცნობიერებელი სიყვარულის აღიარება იყო.

- კი, მეც ასე ვფიქრობ, - ალაღად ვუპასუხე. სონოკომ არც კი იცოდა, რომ ეს პასუხი ჩემი ყველაზე დიდი ოცნებიდან გამომდინარეობდა. თუმცა, ახლა რომ ვუფიქრდები, მაშინდელი საუბარი საკმაოდ სასაცილო მეჩვენება. მშვიდობიან დროში ასე მხოლოდ ისინი ისაუბრებდნენ, ვისაც ერთმანეთი ღრმად შეჰყვარებოდა.

- სიკვდილის გამო განშორება, სიცოცხლის გამო განშორება... უკვე ყელშია ეს ყველაფერი, - უხერხულობის დასაფარავად, ცინიკური ტონით ვთქვი. - არ გგონია, რომ ამ ეპოქაში განშორება უფრო ჩვეულებრივი მოვლენაა, ვიდრე შეხვედრა, რომელიც უკვე თითქმის სასწაულია? და თუ დავუფიქრდებით, ის ფაქტი, რომ უკვე ათ წუთზე მეტია, ვლაპარაკობთ, ალბათ, კიდევ უფრო დიდი სასწაულია...

- ჰო, მეც... - რაღაცის თქმას აპირებდა და შეეყოყმანდა. მერე დასერიოზულდა და მშვიდად, სასიამოვნო ხმით მითხრა: - კი შევხვდით, მაგრამ ძალიან მალე ჩვენი განშორების დრო დადგება. ბებია აქედან წასვლას ძალიან ჩქარობს. გუშინწინ, როგორც კი

დავბრუნდით, სოფელში, დეიდასთან ტელეგრამა გაგზავნა, სადაც ეწერა: „სახლი ეძებე“. დეიდამ კი შეგვატყობინა, რომ სახლები არ არის, თუმცა თავისთან დაგვპატიჟა. ასე ჩვენი სახლი უფრო გამოცოცხლდება და მიხარიაო. ბებიამაც უთხრა, ორ-სამ დღეში ჩამოვალთო. აი, ასე სწრაფად გადაწყდა.

თავი ოდნავაც კი ვერ დავუქნიე. ჩემთვისაც გასაოცარი იყო ის, თუ როგორი დარტყმა მივიღე. ილუზია, რომ ყველაფერი ისე დარჩებოდა, როგორც იყო და ერთმანეთის გარეშე დღეების გატარებას ვერ შევძლებდით, წამში დაიმსხვრა. რაღაც აზრით, ეს ორმაგი ილუზია გამოდგა ჩემთვის. განშორების შესახებ ნათქვამი მისი სიტყვები ახლანდელი შეხვედრის საცოდაობაზე მიუთითებდა, ახლანდელ სიხარულს ძველის ყალბ ანარეკლად აქცევდა და იმის ილუზიას აცამტვერებდა, რომ ეს ყველაფერი სამუდამოდ გაგრძელდებოდა. ასევე მივხვდი: განშორებაზე სულაც რომ არაფერი ეთქვა, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ყველაფრის ისე დატოვება, როგორც არის, შეუძლებელია. გულზე სიმძიმე ვიგრძენი. რატომ არ შეიძლებოდა, ასე დარჩენილიყო ყველაფერი? ყმაწვილობაში უამრავჯერ დასმული შეკითხვები ისევ ენაზე მომადგა. რატომ ვართ ვალდებულნი, შევცვალოთ და გავანადგუროთ ყველაფერი? ეს უსიამოვნო ვალდებულებაა „ცხოვრება?“ თუ მხოლოდ ჩემთვისაა ეს ვალდებულება? ფაქტია, რომ მხოლოდ მე ვგრძნობდი მის სიმძიმეს.

– ესე იგი, მიდიხარ... ისე, რომც რჩებოდე, მე მაინც შორს წასასვლელი ვარ... ასე რომ...

– სად მიდიხართ?

– მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში რომელიღაც ქარხანაში მიწევს წასვლა.

- ალბათ საშიშია, არა? საჰაერო შეტევებისას...

- კი, საშიშია, - სასოწარკვეთილმა ვუპასუხე.

მალევე წამოვედი იქიდან.

მომდევნო დღეს თავს მშვიდად ვგრძნობდი, რადგან უკვე გავთავისუფლებულიყავი სონოკოს შეყვარების ვალდებულებისაგან. გამოვცოცხლდი, ხმამაღლა ვმღეროდი, მერე ავდექი და საძულველი კანონთა კრებული სადღაც მოვისროლე.

ეს უცნაურად ოპტიმისტური განწყობა მთელი დღე გამყვა. ღამით ღრმა, ბავშვური ძილი მეწვია, რომელიც მოულოდნელად სირენების ხმამ დაარღვია. მთელი ოჯახი სულ ბუზღუნ-ბუზღუნით ჩავედით თავშესაფარში, მაგრამ განგაში ცრუ აღმოჩნდა. თავშესაფარში ისევ ჩამთვლიმა. ბოლოს მაინც გამოვფხიზლდი, რკინის ჩაფხუტსა და წყლის ბოთლს ხელი წამოვავლე და სამალავიდან ბოლო ამოვედი.

1945 წლის ზამთარი უტეხი გამოდგა. გაზაფხული ავაზასავით ჩუმად მოიპარებოდა, ზამთარი კი გალიასავით წინ ელობებოდა, მოღუმული და გვარიანად გამაგრებული. ვარსკვლავთა შუქში ყინული ჯერ კიდევ ციალებდა. არშიამოვლებულ მარადმწვანე ხეებს შორის ჩემმა ახლად გაღვიძებულმა თვალებმა რამდენიმე მოკიაფე ვარსკვლავი შენიშნეს. ჩემი სუნთქვა ღამის სუსხიან ჰაერს შეერია. მოულოდნელად ვიგრძენი, როგორ ამავესო იმ აზრმა, რომ სონოკო მიყვარდა და ისეთ სამყაროს, სადაც მასთან ერთად ვერ ვიცხოვრებდი, ფასი არ ჰქონდა ჩემთვის. თუმცა შინაგანი ხმა მეუბნებოდა, თუ მისი დავიწყება შეგიძლია, დაივიწყეო. ისევ ფეხქვეშ მიწის გამომცლელმა სევდამ შემიპყრო, როგორც მაშინ,

ბაქანზე, სონოკოს სილუეტი რომ შევნიშნე. ერთ ადგილას ვეღარ ვჩერდებოდი, ბოლთას ვცემდი. კიდევ ერთ დღეს მოვითმინე.

მესამე დღეს, საღამოს, სონოკოს ვესტუმრე. შემოსასვლელში მუშები ბარგს ამზადებდნენ. გრძელ, შეფუთულ ყუთებს ჩალის ბაწრებით კრავდნენ. ეს რომ დავინახე, ავწერვიულდი.

ამ დროს შემოსასვლელში ბებია გამოჩნდა. მის უკან ბარგის ჩალაგება დაესრულებინათ და გადასაზიდად გამზადებული ყუთები ერთმანეთზე შემოეწყობოთ. იქაურობა სავსე იყო ჩალის ნარჩენებით. ბებიას დაბნეული გამომეტყველებით მივხვდი, რომ სონოკოს ვერ ვნახავდი და მაშინვე გაბრუნება გადავწყვიტე.

- ეს წიგნები სონოკოს გადაეცით, თუ შეიძლება, - წიგნების გამყიდველი ბიჭივით მივაწოდე ორი-სამი ტკბილი რომანი.

- დიდი მადლობა! - მითხრა ბებია. ჩანდა, რომ შვილიშვილის დაძახებას არც აპირებდა. - გადავწყვიტეთ, სოფელში ხვალ საღამოს გავემგზავროთ. ყველაფერი შეუფერხებლად გადავიტანეთ და რაც შეიძლება სწრაფად გვინდა წასვლა. ეს სახლი ბატონ თ-ისგან გვქონდა ნაქირავები და ახლა მისი კომპანიის საერთო საცხოვრებელი გახდება. ნამდვილად გული გვწყდება, რომ გემშვიდობებით. ჩემი შვილიშვილები ისე მოგეჩვივნენ და ისე უხაროდათ თქვენთან ყოფნა. თუ სოფელში გვესტუმრებით, ძალიან გაგვახარებთ. ცოტა რომ ჩაწყნარდება ყველაფერი, წერილს გამოგიგზავნით და აუცილებლად გვეწვიეთ.

ამ ენაწყლიანი ბებოს თავაზიანი საუბრის მოსმენა სულაც არ იყო უსიამოვნო, მაგრამ ეს სიტყვები ისეთივე ხელოვნური იყო, როგორც მისი ახლად ჩასმული პროთეზი.



– აბა, ბედნიერად! - მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე. სონოკოს სახელი ვერ წარმოვთქვი. ამ დროს, თითქოს ჩემმა მერყეობამ გამოიწვიაო, კიბის თავში სონოკო გამოჩნდა. ცალ ხელში ქუდისთვის განკუთვნილი მუყაოს დიდი ყუთი ეჭირა, მეორეში კი - ხუთი-ექვსი წიგნი. მაღალი ფანჯრიდან შემოსული მზის სხივები თმაზე ეფინებოდა. თვალი რომ მომკრა, გაოცებულმა წამოიძახა:

– ცოტა ხანს დამელოდეთ!

შემდეგ მსუბუქი ნაბიჯებით, სწრაფად აირბინა ისევ მეორე სართულზე. გაოცებული ბებიის ყურებით ძალიან კმაყოფილი ვიყავი. მთელ სახლში ბარგი აწყვია, არეულები ვართ და სტუმრის მისაღები ადგილი არ გვაქვსო, მომიბოდიშა იმან და სახლის სიღრმეში გაუჩინარდა.

სახეაწითლებული სონოკო მალევე ჩამოვიდა ქვემოთ. შემოსასვლელის კუთხეში აწურული ვიდექი. ფეხზე ჩაიცვა და გაგაცილებთო, მითხრა. ერთგვარმა მბრძანებლურმა ტონმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქუდს მიამიტურად ვაწვალე და მის მოძრაობებს ვაკვირდებოდი. გულის სიღრმეში ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ყველაფერი შეჩერებულიყო. ერთმანეთს მივუახლოვდით და კარიდან ერთად გავედით. ჭიშკრამდე ბილიკი უხმოდ გავიარეთ. უცებ სონოკო დაიხარა და ფეხსაცმლის თასმები შეიკრა. უცნაურად დიდი დრო დასჭირდა. მე ჭიშკართან ვიდექი და თან ქუჩას გავყურებდი. თვრამეტი წლის საყვარელ გოგონას კეკლუცობას ვერ მივუხვდი. უნდოდა, ცოტა წინ წავსულიყავი და მერე დავლოდებოდი.

სონოკო მკერდით უნებურად მომეჯახა უნიფორმიან მარჯვენა მკლავზე. ავარიასავით მოულოდნელი, დამარეტიანებელი შეჯახება იყო.

- ისა... აი, ეს... - ხელში დასავლური კონვერტი ჩამიდო.

კონვერტს ისე მოვუჭირე ხელი, თითქოს პატარა ჩიტს ვგუდავდი. ვერც მის სიმძიმეს ვიჯერებდი. მოსწავლე გოგონებში პოპულარულ კონვერტს დავხედე, რომელიც ხელში მეჭირა.

- სახლში რომ დაბრუნდებით, მაშინ ნახეთ, - მოგუდული ხმით წაიჩურჩულა.

- პასუხი სად გამოგიგზავნო?

- აქ წერია... შიგნით... სოფლის მისამართი და იქ გამომიგზავნეთ.

უცნაურია, მაგრამ რატომღაც ძალიან მომეწონა ეს განშორება. ძალიან ჰგავდა იმ სახალისო მომენტს, დახუჭობანას თამაშის დროს, სანამ ჭინკა ითვლის, დანარჩენები აქეთ-იქით რომ იფანტებიან. აი, ასეთი უცნაური ხასიათი მაქვს - არაფრის გამო მხიარულება შემიძლია. ამ არცთუ საამაყო ხასიათის წყალობით, ჩემი ლაჩრობა ხშირად ვაჟკაცობად ეჩვენებოდათ (ჩემს თვალშიც კი ასე ჩანდა ხოლმე). ეს ხასიათი ალბათ იმ ადამიანის ტკბილი ჯილდოა, რომელსაც ცხოვრება ასარჩევად არაფერს სთავაზობს.

სადგურის შესასვლელთან ერთმანეთს ხელის ჩამორთმევის გარეშე დავემშვიდობეთ.

ჩემს ცხოვრებაში პირველი სასიყვარულო წერილი მეჭირა და მეცხრე ცაზე ვიყავი. სახლამდე როგორ მოვითმენდი - მატარებელში ჩავჯექი თუ არა, კონვერტი მაშინვე გავხსენი. სულ არ მანადვლებდა, რას იფიქრებდნენ ირგვლივმყოფები. კონვერტიდან უამრავი ისეთი ბარათი გადმოცვივდა, რომლებზეც სილუეტები

ეხატა და აგრეთვე, და მისიონერთა სკოლის მოსწავლეების საყვარელი უცხოური ღია ბარათები. შიგნით იდო ორად გაკეცილი ლურჯი საფოსტო ქაღალდიც, დისნეის „წითელქუდას“ ნახატებით გაფორმებული. სურნელოვანი წერილი კი ლამაზად გამოყვანილი იეროგლიფებით დაეწერათ.

„დიდი მადლობა წიგნების თხოვებისთვის. დიდი ინტერესით წავიკითხე. გულით ვილოცებ, რომ საჰაერო შეტევებისას არაფერი დაგემართოთ. ისევ მოგწერთ წერილს, როდესაც ყველაფერი ჩაწყნარდება. ჩვენი მისამართია --- პრეფექტურა, --- სოფელი, სახლი ნომერი ---. მადლობის ნიშნად მიიღეთ ეს უბრალო ღია ბარათები“.

ეს იყო ძვირფასი სასიყვარულო ბარათი? მეცხრე ციდან ხელად დავეშვი, გავწითლდი და უცებ სიცილი წამსკდა. ამაზე რა უნდა მეპასუხა? მზა სამადლობელ წერილზე პასუხის გაცემასავით იქნებოდა.

მაგრამ შინ დაბრუნებულს, ნახევარ საათში ჯერ პასუხის გაცემის სურვილი გამიჩნდა, შემდეგ კი მეცხრე ცაზე ყოფნის გამამართლებელი არგუმენტებიც მოვძებნე. წარმოვიდგინე, რომ სონოკოს ოჯახში სასიყვარულო ბარათების წერას არავის ასწავლიდნენ. ნამდვილად პირველად სწერდა მამაკაცს წერილს და არეული აზრებისაგან ალბათ კალამიც კი უთრთოდა. ეს უშინაარსო წერილი კი არა, სონოკოს ყოველი ნაბიჯი და მოქმედება ააშკარავებდა მის გრძნობებს.

უცებ სულ სხვა მხრიდან წამოსულმა რისხვამ შემიპყრო. გაცოფებულმა, კანონთა კრებული კედელს მივანარცხე. საკუთარი თავი უუნარობაში დავადანაშაულე: „გინდოდა, რომ თვრამეტი წლის გოგონა თავად მოსულიყო და ეთქვა, რომ უყვარდი? და შენ

რატომ არ აღიარე მის წინაშე? მივხვდი, ორჭოფობის მიზეზი მხოლოდ უცნაური შფოთვაა. და თუ ასეა, მაშინ რატომღა ნახე კიდევ ერთხელ? იქნებ უკან მოგებე და გაგეხსენებინა: თოთხმეტი წლისა ასაკის შესაფერის ცხოვრებას ეწეოდი. თექვსმეტი წლისაც სხვების მხარდამხარ მიდიოდი. ახლა რაღა გემართება, ოცი წლისას? ოცი წლის ასაკში არც მეგობრის ნაწინასწარმეტყველები სიკვდილი აგიხდა, არც ომში სიკვდილის სურვილი შემოგჩა. ძლივს ისეთი წელი დაგიდგა, რომ თვრამეტი წლის უმანკო ქალიშვილს შეუყვარდი და შენ რა დღეში ხარ?! რა დიდებული გარდასახვაა! ოცი წლისა პირველად აპირებ სასიყვარულო მიმოწერის გაბმას... ნეტავ ასაკის გამოთვლა ხომ არ გეშლება? შენ ის არა ხარ, ვისაც არავისთვის უკოცნია? ჰო, ერთი უიღბლო ტიპი ხარ!“

ახლა მეორე ჯიუტმა ხმამ დამიწყო დაცინვა. ამ ხმაში უფრო მხურვალე გულწრფელობა იგრძნობოდა, ჩემთვის უცხო ადამიანურობით სავსე. უცებ მომყარა: „სიყვარული? კარგია! მაგრამ შენ ხომ ქალისადმი ლტოლვას არ გრძნობ?! განა თავს არ იტყუებ, როცა ამბობ, მხოლოდ სონოკოს მიმართ არ ვგრძნობ „უხამს ლტოლვასო“? ხომ არ დაგავიწყდა, რომ არც ერთი ქალის მიმართ არ გიგრძნია ეს „უხამსი ლტოლვა“? ვინ მოგცა უფლება, სიტყვა „უხამსი“ გამოიყენო? საერთოდ, შიშველი ქალის ნახვის სურვილი თუ გაგჩენია? ერთხელ მაინც თუ წარმოგიდგენია სონოკო შიშველი? გოგოს რომ შეხედავენ, შენხელა ბიჭებს არ შეუძლიათ, შიშველი არ წარმოიდგინონ. ამაზე ალბათ რაღაც წარმოდგენა შენც გაქვს, ანალოგიებში გაწაფულობის წყალობით. გულში ჩაიხედე და შენს თავს ჰკითხე, ამას რატომ გეუბნები. მიდი, გამოიყენე ანალოგიები, ოღონდ ერთი დეტალი ოდნავ შეცვალე და მიხვდები... გუშინ ღამით ზუსტად ძილის წინ არ მიმართე იმ შენს ჩვევას? შენთვის ეს ალბათ ლოცვასავითაა. პატარა მკრეხელური რიტუალია, რომელსაც გგონია, ყველა ასრულებს. ჰო, როდესაც

მიეჩვევი, შემცვლელიც არ არის ცუდი. თანაც ეს ჩვევა უძილობას საკმაოდ ეფექტურად ებრძვის. მაგრამ იმ დროს გონებაში რაც გიტვიტოვებდა, ნამდვილად არ იყო სონოკოს გამოსახულება! შენმა უცხო, არაბუნებრივმა ფანტაზიამ მეც კი შემაშფოთა, ყოველდღიურად შენი შემყურე.

დღისით, როდესაც ქუჩაში მიაბიჯებდი, მხოლოდ ახალგაზრდა ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს უყურებდი, თვალებით ჭამდი. შენი საყვარელი ასაკის, მზით გარუჯული, ინტელექტისგან საკმაოდ შორს მყოფი, ჯერაც გაურყვნელი ახალგაზრდები იყვნენ! ასეთებს დაინახავ თუ არა, მაშინვე თვალთ წელის გაზომვას უწყებ. ეტყობა, მკერავობას აპირებ უნივერსიტეტის დასრულებისთანავე. ოცი წლის მომხიბვლელი, უცოდველი, ლომის ბოკვერით ყმაწვილები მოგწონს, არა? გუშინ ღამით წარმოსახვაში რამდენი ასეთი ახალგაზრდა გააშიშვლე? ჰერბარიუმის ყუთივით გაქვს გონებაში მომზადებული რაღაც სივრცე, სადაც ასეთ ეფებებს შიშვლად აგროვებ, შემდეგ კი, მკრეხელური რიტუალის დროს, მსხვერპლს იქიდან ირჩევ. ყველაზე მეტად რომელიც მოგეწონება, პირველს იმას აირჩევ. ოჰ, ამის შემდეგ რაც ხდება, მართლაც შემაცბუნებელია. მსხვერპლს უცნაური ექვსკუთხა პრიზმისკენ მიუძღვები. შიშველ ყმაწვილს თოკით ხელებს უკან უბამ. ცოტა შეწინააღმდეგებაც და ცოტა ყვირილიც საჭიროა. შემდეგ, უცნაური და უმანკო ღიმილით, მას მოახლოებული სიკვდილის ნიშანს მისცემ. ჯიბიდან ბასრ დანას ამოიღებ. მსხვერპლს უახლოვდები და დაჭიმულ ფერდებზე დანის წვერით უღიტინებ, მსუბუქად ეფერები. მას სასოწარკვეთილი ყვირილი აღმოხდება, დანის ასარიდებლად დაიგრიხება... შეშინებული, ძლივს სუნთქავს, შიშველი ფეხები ისე უკანკალებს, რომ მუხლებს ერთმანეთს ურტყამს. მძიმედ არჭობ დანას ფერდში. რა თქმა უნდა, მკვლელი ხარ! მსხვერპლი იგრიხება, საცოდავად ყვირის, დაჭრილი მუცლის კუნთები უცახცახებს. ისე მშვიდად არჭობ ხორცში დანას, თითქოს ქარქაშში

აგებდე. აქაფებული სისხლი გლუვი თემბობისკენ მიედინება...

იმ წუთებში შენი სიხარული სავსებით ადამიანურია. ზუსტად იმ წუთებში „ნორმალური“ ხარ - ეს ხომ შენი აკვიატებული აზრია. ვინც უნდა იყოს ობიექტი, მთავარია, რომ შენი სხეული ბოლომდე აღიგზნო და ეს არაფრით განსხვავდება სხვა ნორმალური მამაკაცების აგზნებისაგან. შენს გულში პირველყოფილი ადამიანის ღრმა სიხარული იღვიძებს. თვალები გიბრწყინავს, მთელ სხეულში სისხლი გიდუოს, ცდუნება ძალას იკრებს... ეაკულაციის შემდეგაც კი ველური ტომების სახოტბო სიმღერის სითბოს გრძნობ და არა ქალისა და მამაკაცის სქესობრივი აქტის შემდგომ სევდას. პირდაპირ ანათებ, ასეთი გარყვნილი და მარტოსული. ცოტა ხანს მეხსიერების დიდ მდინარეში დალივლივებ. ალბათ ველურების სასიცოცხლო ძალას გემო გაუსინჯე და ეს შთაბეჭდილებები რაღაცნაირად ზემოქმედებს შენს სქესობრივ ფუნქციებსა და სიამოვნებებზე. შენ ხომ სულ იმას ფიქრობ, როგორ მოიტყუო! ვერ ვიგებ, რისთვის გჭირდება სიყვარულსა და სულიერებაზე საუბარი, მაშინ როდესაც ადამიანური არსებობის უმაღლეს სიამოვნებებს მიაღწიე.

და ამაზე რას იტყვი? აბა, ერთი სონოკოს შენი ექსცენტრული დისერტაცია გააცანი. ასეთი ამაღლებული თემა: „ეფებების ტორსის ამობურცულობებისა და გამოშვებული სისხლის მოცულობის ფუნქციური კავშირი“. საკვლევად არჩეული ტორსი გლუვი, ნაზი და სრულყოფილი უნდა იყოს, სისხლი კი ძალიან უცნაურად, მრუდე ნაკადად უნდა გამოდიოდეს. სისხლის ტბაში ლამაზი მოხაზულობები უნდა მოჩანდეს, შუა მინდორში უდარდელად მოჩუხჩუხე ნაკადულივითა თუ გადაჭრილი ბებერი ხის წრეებივით. ასეთი ტორსები მოგწონს, არა? ხომ არ ვცდები?“

მართლაც ასე იყო.

ჩემს თვითანალიზს, როგორც ქაღალდის გრძელი და წვრილი ზოლის გადაგრეხითა და ბოლოების ერთმანეთთან მიტანით შექმნილ რკალს, თავი და ბოლო აღარ ჰქონდა. წაღმა გეგონებოდა და ამ დროს უკუღმა აღმოჩნდებოდა. უკუღმა გეგონებოდა და, პირიქით, წაღმა გამოდგებოდა. ბოლო წლებში ეს ყველაფერი საკმაოდ შენედა, ოცი წლისა კი უკვე ბრმად ვტრიალებდი ჩემი გრძნობების ორბიტაზე. ომის დასასრულს ამ ბრუნვას, საყოველთაო ფაციფუცის გამოისობით, თვალსაც ვერ შეავლებდით. მიზეზებიც, შედეგებიც, წინალობებიც, წინააღმდეგობებიც ერთმანეთში აირია და მათი გამორჩევის დრო აღარ მქონდა. და მაინც, წინალობები წინალობებად რჩებოდნენ და წარმოუდგენელი სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

ერთსაათიანი ფიქრის შემდეგ მხოლოდ ის მოვიფიქრე, რომ სონოკოსთვის ხეირიანი წერილი უნდა მიმეწერა.

ამასობაში საკურაც აყვავდა. ჰანამისათვის(საკურის ყვავილობით ტკბობის რიტუალი.) არავის ეცალა. ტოკიოში აყვავებული საკურის ნახვას მხოლოდ ჩემი უნივერსიტეტის, ჩემი ფაკულტეტის სტუდენტები თუ შეძლებდნენ. უნივერსიტეტიდან შინ მიმავალი მარტო ან ორ-სამ მეგობართან ერთად დავეხეტებოდი ხოლმე ტბის მიდამოებში.

ყვავილები საოცრად მომნუსხველად მოჩანდნენ. უნებურად გაიფიქრებდი, რომ შიშველ ხეებს უყურებდი, რადგან არსად იყო ყვავილების სამოსად ქცეული თეთრ-წითელი ტენტები, გადაჭედული კაფეები, ჰანამის სანახავად მოსული ხალხი და ბუშტებისა თუ სათამაშოების გამყიდველები. მარადმწვანე ბუჩქებში მხოლოდ აყვავებული საკურის ხეები მოჩანდა. ბუნების ხელგაშლილობასა თუ ამაო კოპწიაობას ამ გაზაფხულზე ასე

საოცრად და ლამაზად სხვა ვერაფერი გამოხატავდა. უსიამოვნო ეჭვი გამიჩნდა, რომ ბუნებამ დედამიწა ხელახლა დაიპყრო და დაიმორჩილა. ასე უბრალოდ არ იქნებოდა გაზაფხული ასეთი ბრწყინვალე. თალგამურების სიყვითლე და ქორფა ბალახის სიმწვანე, საკურის ხეების ტანის სიშავე და ყვავილების სიმძიმით დახრილი კენწეროები - ეს ყველაფერი, რატომღაც, ჩემს თვალში ავისმომასწავებელ მშვენიერებად მოჩანდა, შეიძლება ითქვას - ფერთა ხანძრად.

ერთ დღესაც სტუდენტები ტბასა და საკურის ხეებს შორის, ქორფა ბალახზე მივაბიჯებდით და სამართლის უაზრო საკითხებზე ვმსჯელობდით. იმ დროს საერთაშორისო სამართლის პროფესორის ირონიულობა მომწონდა. საჰაერო შეტევის დროს ის მედგრად აგრძელებდა ლექციას გაერთიანებული ერების შესახებ. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მაჯონგის ან ჭადრაკის გაკვეთილზე ვიყავი. მშვიდობა! მშვიდობა! არ მეგონა, თუ ოდესმე ამ სიტყვებს გავიგონებდი. შორეული ზარის ხმასავით ჩამესმოდა.

- ეს ხომ მემკვიდრეობის მიღების უფლების საკითხია! - ამბობდა სოფლიდან ჩამოსული, ფილტვების უკმარისობის გამო ჯარისკაცობისთვის დაწუნებული ერთი შავგვრემანი ბიძი.

- გვეყოფა უინტერესო რაღაცები! - შეაწყვეტინა მეორე ფერმკრთალმა ბიყმა, რომელსაც ერთი შეხედვითაც კი ეტყობოდა, რომ ტუბერკულოზი სჭირდა.

- ცაში მტერი, მიწაზე სამართალი... ტფუ! - მწარედ გავიციანე. - როგორ ამბობენ... ზეცაში დიდება, დედამიწაზე კი მშვიდობაო, არა?

ჯანმრთელი ფილტვები მხოლოდ მე მქონდა. ვიტყუებოდი, ვითომ



გულით ავადმყოფი ვიყავი. ისეთი დრო იყო, ან მედლები უნდა გქონოდა, ან ავადმყოფობა.

უცებ გავიგონეთ, როგორ დააბიჯებდა ვიღაც ბალახზე, საკურის ხეების ქვეშ. ისიც გააოცა ჩვენმა დანახვამ. ახალგაზრდა კაცი იყო, დასვრილ სამუშაო ფორმასა და გეტაში(იაპონური ხის ქოშები.). სამხედრო კეპიდან გამოჩრილი, მოკლედ შეკრეჭილი თმის ფერით თუ მიხვდებოდი, რომ ახალგაზრდა იყო. ტალახისფერი სახე, გაუპარსავი მეჩხერი წვერი, გაზეპილი ხელ-ფეხი და ჭუჭყიანი ყელი მხოლოდ დარდსა და გამოფიტულობაზე მეტყველებდა. უკან ახალგაზრდა ქალი ედგა, გაბუტულივით. თმა კეფაზე შეეკრა, ხაკისფერი ბლუზა და, როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ახალთახალი სამუშაო შარვალი ეცვა. ნამდვილად ერთი ქარხნის მუშები იყვნენ. როგორც ჩანს, სამუშაო დღე გააცდინეს და აქ ჰანამიზე მოვიდნენ. ჩვენი კი იმიტომ შეეშინდათ, რომ სამხედრო პოლიცია ვეგონეთ.

შეყვარებულებმა აღმაცერად შემოგვხედეს და გზა გააგრძელეს. ლაპარაკის ხალისი დაგვარგეთ.

სანამ საკურა ყვავილობდა, სამართლის ფაკულტეტი დაიხურა და ყველა სტუდენტი ყურიდან რამდენიმე რიში(მანძილის საზომი ერთეული, 3927 კმ.), სამხედრო-საზღვაო ქარხანაში გაგვიშვეს. ამავე პერიოდში დედაჩემი და ჩემი და-ძმა ბიძაჩემთან, გარეუბნის პატარა ფერმაში გადავიდნენ საცხოვრებლად. ტოკიოს სახლში მამაჩემის მოსავლელად ერთი მსახური ბიჭი დარჩა, რომელიც ჯერ ისევ საშუალო სკოლაში დადიოდა, ოღონდ ნაადრევად დაბრძენებულს კი ჰგავდა. როდესაც ბრინჯი აღარ ჰქონდათ, მოხარშულ სოიოს ნაყავდა და რაღაც ნარყწევისნაირ ფაფას ამზადებდა. მამასაც აჭმევდა და თვითონაც ძამდა. ამ მსახურმა ბიჭმა, მამაჩემის შინ არყოფნისას, მწნილების ისედაც მცირე მარაგი სულ გაგვინადგურა.

სამხედრო-საზღვაო ქარხანაში უდარდელად ვცხოვრობდი ხან ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, ხან ტაივანელ მუშებთან ერთად ვთხრიდი უზარმაზარ მიწისქვეშა საცავს ნაწილების ქარხნის ევაკუაციისათვის. ეს თერთმეტი-თორმეტი წლის ჭინკები ჩემი საუკეთესო მეგობრები გახდნენ. ისინი ტაივანურ ენას მასწავლიდნენ, მე კი ზღაპრებს ვუყვებოდი. დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი ღმერთი დაბომბვების დროს დაიცავდა და ერთ დღესაც უვნებლად დააბრუნებდა სამშობლოში. უზნეოდ ბევრს ყამდნენ. ერთმა, სამზარეულოს მეთვალყურის თვალწინ, მოხერხებულად აწაპნა ბრინჯი და ბოსტნეული და ბლომად მანქანის ზეთში შეწვა. რა მექნა, უარი ვუთხარი მანქანის ზეთის გემოიან სადილზე.

ბოლო თვეში სონოკოსთან მიმოწერამ განსაკუთრებული სახე მიიღო. წერილებში ძალიან თამამი მოგჩანდი. ერთ დილას განგაშის გაუქმების ხმა გაისმა. ქარხანაში რომ შევბრუნდით, მაგიდაზე სონოკოს წერილი დამხვდა, რომლის კითხვისასაც ხელები ამიკანკალდა. მსუბუქმა თრობამ ამიტანა. ერთი სიტყვა ჩუმად, მხოლოდ ტუჩებით, რამდენჯერმე წავიკითხე.

„მენატრებით...“

მისი არყოფნა სიმამაცეს მმატებდა. ჩვენ შორს არსებული მანძილი „ნორმალურს“ მხდიდა. ეს დროებითი „ნორმალურობა“ მეტ-ნაკლებად გავითავისე. დროსა და სივრცეში დაშორება ადამიანის არსებობას აბსტრაქტულ სახეს აძლევს. ალბათ ამიტომაც, სონოკოთი აღფრთოვანება და მასთან სრულიად დაუკავშირებელი ხორციელი ვნებები იოლად შეერწყა ერთმანეთს და რაღაც ისეთად იქცა, რაც ჩემს არსებაში სულ უფრო და უფრო მყარდებოდა. თავისუფალი ვიყავი. ჩემი ყოველდღიური ცხოვრება

ენითაუწერლად სახალისო გახდა. ჭორები დაირბა, ყურეში მტრის ჯარი გადმოსხდება და მალე აქაურობას მიწასთან გაასწორებენო. სიკვდილი ისე ახლოს იყო, როგორც არასდროს და ძლიერ მწყუროდა იგი. უკვე ნამდვილად შემედლო მეთქვა, რომ „ცხოვრების მიზანი“ მქონდა.

აპრილის შუა რიცხვებში, შაბათ დღეს, როგორც იქნა, ნება დამრთეს და ტოკიოს სახლში დავბრუნდი. ვაპირებდი, წიგნების თაროდან ქარხანაში წასაკითხად რამდენიმე წიგნი ამელო და მერე დედასთან, გარეუბნის ფერმაში წავსულიყავი. იქვე დავრჩებოდი. გზაზე განგაშის სიგნალი ჩაირთო და მატარებელი გაჩერდა. უცებ კანკალმა ამიტანა. თავბრუ მეხვეოდა, სიცხისგან მთლიანად მოვითენთე... გამოცდილებით მივხვდი, რომ ტონზილიტი უნდა ყოფილიყო. შინ მისვლისთანავე მსახურ ბიჭს ლოგინი გავაშლევინე და ჩავწექი.

ცოტა ხანში ქვედა სართულიდან ქალის ხმა შემომესმა - პირდაპირ სიცხიან შუბლში მირტყამდა. გავიგონე, როგორ ამოვიდა კიბეზე ვიღაც და დერეფანს გამოუყვა. თვალები ნახევრად გავახილე. კიმონოს კალთების მსხვილ-მსხვილ ფიგურებს მოვკარი თვალი.

– რა მოგივიდა, შე უქნარავ?

– რა ხდება? ჩაკო, შენ ხარ?

– ხუთი წელია, არ მინახიხარ და ასე უნდა შემხვდე?

ჩვენი შორეული ნათესავი იყო. ნამდვილი სახელი, ჩიეკო შევუმოკლეთ და შინაურები ჩაკოს ვეძახდით. ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო. ბოლოს თავის ქორწილში ვნახე. ქმარი ომში დაეღუპა

და მას შემდეგ რა აღარ მესმოდა მის თავქარიანობაზე. ახლაც, ასეთს რომ ვხედავდი, მწუხარების გამოსათქმელად პირის გაღება ვერ შევძელი. გავჩუმდი. სჯობდა, თმაში ის დიდი თეთრი ხელოვნური ყვავილი არ გაერჭო.

– ტა-ჩანთან საქმე მქონდა და გამოვუარე, - მამაჩემი ტაცუო ასე მოიხსენია, - ბარგის გადატანა მინდოდა, მეთხოვა. ამასწინათ ტა-ჩანი მამაჩემს შეხვედრია და უთქვამს, კარგი ადგილი ვიციო.

– მამა დღეს ცოტა გვიან მოვა, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს... - მისი პომადა ძალიან წითელი მეჩვენა და ცოტა ავლელდი. ალბათ სიცხის ბრალი იყო, თვალებს მიბურღავდა მისი სიწითლე და თავს კიდევ უფრო მატკივებდა. - ისე, ამ დროს ასეთი მაკიაჟით რომ დადიხარ, არაფერს გეუბნებიან?

– უკვე იმ ასაკის ხარ, ქალის მაკიაჟს რომ ამჩნევ? ასე რომ წევხარ საწოლში, იფიქრებ, სულ ახლახანს მოაშორეს დედის რძესო.

- მაწუხებ რა! გადი იქით!

ჩიეკო, პირიქით, მომიახლოვდა. არ მიყვარს, პიჟამიანს რომ მხედავენ და ამიტომ ლოგინში ყელამდე ჩავძვერი. უცებ ხელისგულით შუბლზე შემეხო. მკვეთრი სიცივე ვიგრძენი. გამცრა.

– ცხელი ხარ! სიცხე გაიზომე?

– 39-ია ზუსტად.

– ყინული გჭირდება.

– ყინული არ გვაქვს!

– რამეს მოგიხერხებ.

კომონოს სახელოების ფართხუნით ადგა და მხიარულად დაეშვა ქვედა სართულზე. მერე ისევ ამოვიდა და მშვიდად დაჯდა.

– ბიჭი გავუშვი ყინულის მოსატანად.

– გმადლობ.

ჭერში ვიყურებოდი. ჩემი სასთუმლიდან წიგნი აიღო და ამ დროს აბრეშუმის ცივი სახელო ლოყაზე მომედო. უცებ ძალიან მესიამოვნა ეს ცივი სახელო. მინდოდა, მეთხოვა, სახელოები შუბლზე დამადე-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. ოთახში ჩამობნელდა.

– იგვიანებს ის მსახური!

სიცხიანი დროს ავადმყოფურად ზუსტად აღიქვამს. მომეჩვენა, რომ ჩიეკოს საყვედური ცოტა ნაადრევი იყო. ორი-სამი წუთის შემდეგ ისევ გაიმეორა:

– იგვიანებს! რა ჯანდაბას აკეთებს?

– სულაც არ იგვიანებს! – წამოვიძახე გაღიზიანებულმა.

– გაბრაზდი, შე საბრალოვ? მიდი, თვალები დახუჭე. ეგეთი საშიში მზერით შეიძლება ჭერიც კი გახვრიტო.

თვალებს რომ ვხუჭავდი, ქუთუთოები მიმძიმდებოდა და უფრო ვიტანჯებოდი. უეცრად შუბლზე შეხება ვიგრძენი, რომელსაც სუსტი

სუნთქვაც მოჰყვა. შუბლი გავწიე და უაზროდ ამოვიხვნეშე. უცებ ჩემი ცხელი სუნთქვა სხვისას შეუერთდა და ტუჩებზე მძიმე, ცხიმოვანი რაღაც გადამეფარა. კბილების შეჯახების ხმა გაისმა. თვალების გახელის შემეშინდა. ჩიეკოს ცივ ხელებში ჩემი ლოყები მოექცია.

ბოლოს გამიშვა და მეც ცოტა გამოვფხიზლდი. ვისხედით ბინდში და ერთმანეთს მივშტერებოდით. ჩიეკოს დები გარყვნილები იყვნენ. როგორც ჩანს, ასეთივე სისხლი დულდა მის ძარღვებშიც. ეს დულილი და ჩემი ავადმყოფობის სიმხურვალე რთულად ასახსნელი ნათესაური კავშირით გადაება ერთმანეთს. წამოვიწიე და ვუთხარი, კიდეც ერთხელ-მეთქი. მსახური ბიჭის დაბრუნებამდე შეუჩერებლად ვკოცნიდით ერთმანეთს. ჩიეკო სულ მიმეორებდა:

– მხოლოდ კოცნა! მხოლოდ კოცნა!

არ ვიცი, ამ კოცნამ ვნება გამიღვიძა თუ არა. ნებისმიერი პირველი გამოცდილება ისედაც გარკვეულ ვნებასთან ასოცირდება და ალბათ ეს შემთხვევაც არ იქნებოდა გამონაკლისი. ერთგვარად შემთვრალს ემოციების განცალკევება არ დამიწყია. მთავარი იყო, რომ უკვე „კოცნაშეცნობილი მამაკაცი“ ვიყავი. იმ უფროს ძმას ვგავდი, რომელსაც ტკბილესით უმასპინძლდებიან, მას კი ამ დროს უმცროს დაიკოზე ეფიქრება. ზუსტად ასე ვფიქრობდი სონოკოზე, როდესაც ჩიეკოს ვეხუტებოდი. ამის შემდეგ ფიქრებით სულ სონოკოს კოცნას ვუტრიალებდი. ეს იყო ჩემი პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი არასწორი გათვლა.

სონოკოზე ფიქრმა ეს პირველი გამოცდილება სულ სხვანაირად, ულამაზოდ დამანახა. მეორე დღეს, როდესაც ჩიეკომ დარეკა, მოვატყუე, რომ ქარხანაში ვბრუნდებოდი. პაემანის პირობაც დავარღვიე. ამგვარად, თავი დავირწმუნე: კოცნა რომ არ

მესიამოვნა, ეს ჩემი არაბუნებრივი სიცივის გამო კი არ მოხდა, არამედ იმიტომ, რომ სონოკო მიყვარდა და ამიტომაც მეჩვენებოდა ულამაზოდ ეს ყველაფერი. პირველად იყო, რომ რაღაცის მოსამიზეზებლად სონოკოს სიყვარული გამოვიყენე.

როგორც გოგო-ბიძებს სჩვევიათ პირველი სიყვარულისას, მე და სონოკომაც გავცვალეთ ფოტოსურათები. სონოკომ მომწერა, შენი სურათი მედალიონში ჩავდე და გულზე დავიკიდეო. მისი გამოგზავნილი სურათი კი ისეთი ზომისა იყო, ჩანთაში თუ ჩაეტეოდა. რადგან ჯიბეში ვერ ვიდებდი, ფუროშიკიში გახვეულს ხელით დავატარებდი. ქარხანაში ჩემი არყოფნის დროს შეიძლებოდა ხანძარი გაჩენილიყო, ამიტომ სახლში დაბრუნებისას ყოველთვის თან მომქონდა. ერთხელ, ღამის მატარებლით რომ ვბრუნდებოდი ქარხანაში, განგაშის სიგნალი გაისმა და შუქი ჩააქრეს. ევაკუაცია გამოცხადდა. ხელის ცეცებით მოვძებნე ხელბარგის თარო. იქ შემოდებულ დიდ შეკვრასთან ერთად, ფუროშიკიში გახვეული სურათიც მოეპარათ. ცრურწმენების მჯეროდა. იმ დღის მერე ამეკვიატა აზრი, რომ სონოკო რაც შეიძლება მალე უნდა მენახა.

24 მაისის ღამის საჰაერო თავდასხმა 9 მარტის თავდასხმასავით დამანგრეველი იყო, რამაც საბოლოო გადაწყვეტილებამდე მიმიყვანა. ჩვენი ურთიერთობისათვის ამგვარი კატალიზატორი აუცილებელი აღმოჩნდა. ეს გოგირდის სულფატივით აუცილებელი რამ იყო.

გაშლილ მინდორსა და გორაკს შორის მრავალი სანგარი ამოეთხარათ. თავი სწორედ იქ შევაფარეთ. იქიდან ვუყურებდით ტოკიოს აღისფრად მოელვარე ცას. დროდადრო რაღაც ფეთქდებოდა და ცა შუქს ირეკლავდა, ღრუბლების ნაფლეთებს შორის საოცრად ლურჯი დღის ცა მოჩანდა ხოლმე. წარმოიდგინეთ,

შუალამით შუადღის ლურჯი ზეცა მოჩანდა - სულ ერთი წამით! პროექტორების მოძრავი შუქი თითქოს მტრის თვითმფრინავებს მეგობრულად ეპატიჟებოდა. ხანდახან შუქის სვეტები ამ თვითმფრინავებს ჯვარედინი ნათების ცენტრში მოიმწყვდევდნენ ხოლმე და ერთმანეთს გადასცემდნენ - სულ უფრო და უფრო ახლოს ტოკიოსთან. ანტისაჰაერო შეტევებიც ხშირად იყო. ბ29-ები ლაღად დაფრინავდნენ ტოკიოს ცაზე.

სიმართლე ითქვას, ტოკიოს ცაზე მიმდინარე ბრძოლაში მტრისა და მოყვრის გარჩევა შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ალისფერ ფონზე ჩამოგდებული თვითმფრინავების დანახვისას მაყურებელი ტაშს უკრავდა. განსაკუთრებით ყმაწვილები ხმაურობდნენ. აქ, ყველაფრისგან მოშორებულ სანგრებში, ტაში და შემახილები ისე ისმოდა, როგორც თეატრში. ალბათ ამ სიმორიდან მაყურებელთათვის არსებითი მნიშვნელობა არც ჰქონდა, ჩამოვარდნილი თვითმფრინავი მტრისა იყო თუ მოყვრისა. ომიც ხომ ზუსტად ესაა...

დილით ჯერ კიდევ მხრჩოლავ ხის შპალებზე მივაბიჯებდი, მერე ხიდზე გადავედი - ფეხს ნახევრად დამწვარ ვიწრო ფიცრებზე ვადგამდი - და გადამწვარი რკინიგზის ლიანდაგს გავუყევი. ბოლოს სახლში დავბრუნდი. აღმოვაჩინე, რომ ჩვენი უბანი გადარჩენილიყო. გარშემო ყველაფერი იწვოდა. წინა ღამით დედაჩემი და ჩემი და-ძმაც ჩამოსულიყვნენ და ყველანი გადარჩენილიყვნენ. მხნედ გამოიყურებოდნენ. გადარჩენის აღსანიშნავად, წითელი ლობიოს შემორჩენილ კონსერვებს მიირთმევდნენ.

- მამიკო, ვიღაც ჩაგვარდნია გულში, არა? - მითხრა თხუთმეტი წლის დამ, რომელიც საკმაოდ გათავხედებულიყო.



– ეგ ვინ გითხრა?

– მე თვითონ მივხვდი.

– და რა, არ შეიძლება ვინმე მომწონდეს?

– როგორ არა! ქორწილი როდისაა?

იმ დამნაშავესავით შევკრთი, რომელსაც ჩადენილი დანაშაული უნებურად შეახსენეს.

– ქორწილს არც ვაპირებ.

– რა უზნეობაა! გიყვარს და დაქორწინება არც კი გინდა? როგორ ვერ ვიტან! რა ბოროტები ხართ კაცები!

– თუ დროზე არ გახვალ, სამელნეს გესვრი!

მარტო რომ დავრჩი, საკუთარ თავს ვუთხარი: ვაჰ, ამქვეყნად ხომ ქორწინებაც არსებობს, მერე შვილებიც - ეს რანაირად დამავიწყდა-მეთქი? ან რატომ მოვიკატუნე თავი, რომ თითქოს დამავიწყდა? ქორწინებისნაირ „წვრილმან“ ბედნიერებას ამ გაცხოველებულ ომში სრულ ილუზიად აღვიქვამდი. არადა, ალბათ ქორწინება ჩემთვის „საშინლად დიდი ბედნიერება“ იქნებოდა. თავზარდამცემად დიდი! ამ აზრებმა მიმიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ სონოკო სასწრაფოდ უნდა მენახა. ნუთუ ეს სიყვარული იყო? თუ ის უცნაური გრძნობა იყო, მოსვენებას რომ არ გვაძლევს და, ცნობისმოყვარეობისგან ანთებული, უსიამოვნებებისკენ გვიბიძგებს?

სონოკოსგან, მისი დედისა და ბებუისაგანაც რამდენჯერმე

მომივიდა სტუმრად მიპატიჟების წერილი. დეიდამისთან დარჩენა მემძიმებოდა და ამიტომ სონოკოს მივწერე, რომ სასტუმრო მოეძებნა. ახლომახლო სოფლებში ეძებდა. ყველგან დროებითი სახელმწიფო დაწესებულებები გაეხსნათ ან გერმანელების თავშესაფრად ექციათ. ამიტომაც ვერ იპოვა.

სასტუმრო... ოცნებებში წავედი. ყმაწვილობის დროინდელი ოცნება ამიხდებოდა. აი, ბავშვობაში გატაცებით ნაკითხი რომანების მავნე გავლენაც. ჩემს ისტორიაში იყო რაღაც დონკიხოტური. იმ ეპოქაშიც ხომ ბევრნი იყვნენ, ვისაც რაინდების ამბების კითხვა იტაცებდათ? მაგრამ მხოლოდ ერთი მოიწამლა ამ ისტორიებით. ჩემი შემთხვევაც ზუსტად ასეთი გახლდათ.

სასტუმრო... საიდუმლო ოთახი... გასაღები... ფანჯრებზე ფარდები... სუსტი წინააღმდეგობა... უხმო თანხმობა ბრძოლის დასაწყებად... აი, ზუსტად ამ დროს უნდა შევძლო. ამ დროს, ზეციური შთაგონებასავით, „ნორმალურობამ“ უნდა გაიღვიძოს ჩემში. ხელახლა დავიბადები სხვა ადამიანად, წესიერ კაცად. ამ დროს უნდა შევძლო, სონოკოს გაბედულად მოვხვიო ხელი, მთელი ძალით ჩავიკრა გულში და შევიყვარო. ყველა შფოთვა, ყველა ვალდებულება უნდა მოვიშორო და ვუთხრა: „მე შენ მიყვარხარ!“ აი, ამ დღიდან საჰაერო შეტევებისას ქუჩაში თავისუფლად ვივლი და მთელ ხმაზე ვიყვირებ: „აი, შეხედეთ! ესაა ჩემი შეყვარებული!“

რომანტიკულობას მსუბუქი ინტელექტუალური უნდობლობაც ახლავს ხოლმე, რასაც ხშირად ამორალურ ქმედებამდე - ოცნებამდე მივყავართ. ოცნება სულაც არ არის აზროვნების პროცესი. პირიქით, აზროვნებიდან გაქცევაა.

თავიდანვე ვიცოდი, რომ სასტუმროს ოცნება არ ამიხდებოდა. როდესაც სონოკომ ვერც ერთ სასტუმროში ადგილი ვერ მიპოვა,

მომწერა, ჩვენთან დარჩიო. თანხმობის წერილი მივწერე და შვებაც ვიგრძენი, რომელიც მეტად გადაღლილი კაცისას ჰგავდა. რამდენი ვეცადე, მაგრამ მაინც ვერ გავეჩეცი იმ ფაქტს, რომ ეს, უბრალოდ, დანებება იყო.

12 ივნისს გავემგზავრე. ფლოტში უკვე ყველაფერი ნებაზე იყო მიშვებული. ქარხნიდან გათავისუფლებაც ნებისმიერი მიზეზით შეგეძლო.

მატარებელი ბინძური და ცარიელი იყო. მოგონებები ომის დროინდელ მატარებელზე (ერთი სასიამოვნო მოგონების გამოკლებით), რატომღაც, სულ ასეთი უბადრუკია. ამჭერადაც ბავშვივით ვიტანჯებოდი აკვიატებული აზრებით. ვფიქრობდი, ალბათ ისე დავბრუნდები სოფლიდან, სონოკოს ვერც კი ვაკოცებ-მეთქი. თუმცა ჩემი გადაწყვეტილება - სონოკოსთვის მეკოცნა - არაფრით ჰგავდა იმ ადამიანის ბრძოლას, სურვილის ახდენისთვის საკუთარ სიამაყესაც რომ ებრძვის. თითქოს რაღაცის მოსაპარად მივდიოდი. თითქოს ბანდის მეთაური ძარცვაზე წასვლას მაიძულებდა, მე კიდევ ძალიან მეშინოდა. ჩემს სინდისს ბოლოს უღებდა სიყვარულისგან განცდილი ბედნიერება. ალბათ ის, რასაც ვითხოვდი, უფრო სრული უბედურება იყო, ვიდრე ბედნიერება.

სონოკომ დეიდამისი გამაცნო. რაც შემეძლო ვცდილობდი, ჩემზე კარგი წარმოდგენა შექმნოდათ. სანამ ჩუმად იყვნენ, ალბათ ყველა ფიქრობდა: „რატომ შეუყვარდა სონოკოს ეს ბიჭი? რა უფერული სტუდენტია! ნეტავ რა მოსწონს ასეთ ბიჭში?“

ისე აღარ ვიქცეოდი, როგორც მაშინ - მატარებელში. ძალიან მინდოდა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მომეხდინა ყველაზე. სონოკოს უმცროს დებს ინგლისურის მეცადინეობაში ვეხმარებოდი, ბერლინის შესახებ ბებიაშის ისტორიებს ყურადღებით ვისმენდი.

უცნაურია, მაგრამ ასე უფრო ვგრძნობდი სონოკოსთან სიახლოვეს. ხშირად ბებიისა და დედის თანდასწრებით ერთმანეთს თვალსაც კი ვუკრავდით. ჭამის დროს მაგიდის ქვეშ ერთმანეთს ფეხებით ვეხებოდით. სონოკო თანდათან ძალიან გაიტაცა ამ თამაშებმა. როდესაც ბებიამისის ამბები ძალიან მოსაწყენი ხდებოდა და აღარ მთავრდებოდა, სონოკო ფანჯარას მიეყრდნობოდა ხოლმე, საიდანაც წვიმიანი სეზონის ღრუბლიან ამინდში ფოთლები ხასხასა მწვანედ მოჩანდა. ისე, რომ მარტო მე დამენახა, გულზე დაკიდულ მედალიონს ხელში ათამაშებდა.

მისი მკერდი თეთრად ანათებდა ნახევარმთვარისებური საყელოდან. მაბრმავებდა მისი სითეთრე! ასეთ დროს მისი ღიმილი იმ „გარყვნილ სისხლს“ მახსენებდა, რომელსაც ჯულეტას ღაწვები შეეფაკლა. არსებობს მხოლოდ ქალიშვილებისთვის დამახასიათებელი ავხორცობა, რომელიც მომწიფებული ქალების ავხორცობისაგან განსხვავდება. იგი სიოსავით გათრობს. უგემოვნო რამაა, მაგრამ მაინც თავშესაქცევი - პატარა ბავშვის ღიტინის სურვილივით.

ასეთ წუთებში ჩემი გული ბედნიერებისგან თვრებოდა. აკრძალულ ხილს, „ბედნიერებას“ ვუახლოვდებოდი, რომელიც ძალიან მაცდუნებლად მოჩანდა თავისი მელანქოლიური სიჯიუტით. სონოკოს უფსკრულად აღვიქვამდი.

სამხედრო-საზღვაო ქარხანაში დაბრუნებამდე ორი დღეა რჩებოდა. საკუთარი თავისთვის მიცემული პირობა ჯერ კიდევ არ შემესრულებინა: სონოკოსთვის არ მეკოცნა.

წვიმიანი სეზონის წვრილმა წვიმამ მთიანი რეგიონი ერთიანად დააღბო. ველოსიპედი ვითხოვე და ფოსტაში წერილის გასაგზავნად წავედი. მე და სონოკო შევთანხმდით, რომ

ნაშუადღევს ფოსტასთან შევხვდებოდით. სონოკო ცოტა ხნით დაეთხოვებოდა საჯარო დაწესებულების იმ დეპარტამენტიდან, სადაც სამუშაო ვალდებულებას იხდიდა. ნისლსა და წვიმაში, სველი, დაჟანგებული ღობის იქით, მიტოვებული კორტები სევდიანად გამოიყურებოდა. ვიღაც გერმანელმა ყმაწვილმა ველოსიპედით ჩამიქროლა. ოქროსფერი თმა დასველებოდა, ქათქათა ხელები უბრწყინავდა.

სანამ ძველებურ ფოსტაში სონოკოს ველოდებოდი, ცა ცოტათი განათდა. წვიმას გადაეღო. დროებითი გამოდარება იყო. ღრუბლები არ გადაყრილა, უბრალოდ, პლატინისფერი გახდა.

სონოკოს ველოსიპედი შუშის კართან გაჩერდა. გული ასჩქარებოდა, ხშირი სუნთქვისას სველი მხრები უთრთოდა. აწითლებულ სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. „აი, ახლათ დრო! ხელიდან არ გაუშვა!“ სანადიროდ გაყვანილ მონადირე ძაღლად ვიგრძენი თავი! თითქოს ვალდებულ ვიყავი, ეშმაკის ბრძანებები შემესრულებინა. ველოსიპედზე დავჯექი და სონოკოსთან ერთად მთავარ ქუჩას გავუყევი. ნაძვების, ნეკერჩხლებისა და არყის ხეების ქვეშ მივსეირნობდით. ხეებს ბრჭყვიალა წვეთები სცვიოდათ. სონოკოს აფრიალებული თმა ულამაზესი იყო. ჯანმრთელი ფეხებით პედლებს კობტად ატრიალებდა. როგორც სიცოცხლის განსახიერებას, ისე ვუყურებდი. მიტოვებული გოლფის მოედნის შესასვლელს რომ გავცდით, ველოსიპედებიდან ჩამოვხტით და სველ მოედანს ფეხით გავუყევი.

ახალწვეულივით დაძაბული ვიყავი. იქ ხეივანია. ხეების ჩრდილში ზუსტად შესაფერისი ადგილია. ორმოცდაათი ნაბიჯი იქნება იქამდე. მეოცე ნაბიჯზე რამეს ვეტყვი. აუცილებელია, რომ დაძაბულობამ გამიაროს. სჯობს, დარჩენილი ოცდაათი ნაბიჯი რაიმე ნეიტრალურზე საუბარში გავლიოთ. ორმოცდაათი ნაბიჯი.

მერე ველოსიპედებს დავაყენებთ და მთების პეიზაჟს გავხედავთ. აი, მანდ მხრებზე მოვხვევ ხელს და დაბალი ხმით ვეტყვი: „ეს ყველაფერი სიზმარს ჰგავს“. ის ბავშვურად მიპასუხებს რამეს. მერე მთელი ძალით მოვიზიდავ და ჩემ წინ დავაყენებ. კოცნით კი ისევე ვაკოცებ, როგორც ჩიეკოს.

მე ხომ ერთგულება თამაშისთვის მქონდა შეფიცული. არც სიყვარულისთვის, არც ვნებისთვის.

სონოკო უკვე ჩემს მკლავებში იყო. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, სახეზე ალმური მოსდებოდა, თვალები მაგრად დაეხუჭა. მისი ტუჩები ქორფა და ლამაზი იყო, მაგრამ ვნებას არ აღმიძრავდა. მაინც მქონდა იმედი. იმედი იმისა, რომ კოცნისას ჩემი „ნორმალურობა“, ჩემი ნამდვილი სიყვარული გამოჩნდებოდა. მექანიზმი უკვე ჩართულიყო. მისი შეჩერება აღარავის შეეძლო.

მისი ტუჩები ჩემს ტუჩებში მოვაქციე. ერთი წამი გავიდა. არანაირი სიამოვნება არ მიგრძნია. ორი წამი გავიდა. ისევ არაფერი. სამი წამი გავიდა. ჩემთვის ყველაფერი გასაგები გახდა.

გავიწიე და სონოკოს ნაღვლიანი თვალებით შევხედე. იმ წამს ჩემს თვალებში რომ ჩაეხედა, მიხვდებოდა, როგორი უცნაური სიყვარულითაც მიყვარდა. ვერავინ იტყოდა, საერთოდ შესაძლებელი იყო თუ არა ასეთი სიყვარული. მაგრამ სონოკოს, სირცხვილისა და უმანკო კმაყოფილებისაგან, ის თავისი თოჯინასავით თვალები დაეხუჭა.

ხმაც არ ამომიღია. როგორც სნეულს, ისე მოვკიდე ხელი და ველოსიპედებისკენ წავიყვანე.

უნდა გავქცეულიყავი. რაც შეიძლება მალე უნდა გავქცეულიყავი.

პანიკაში ჩავვარდი. იმისათვის, რომ სახეზე არ დამტყობოდა, ჩვეულებრივზე უფრო მხიარული ნიღაბი მოვირგე. ვახშმობისას ჩემი ასეთი ბედნიერება და სონოკოს თვალშისაცემი გაფანტულობა ძალიან საეჭვოდ გამოიყურებოდა. საბოლოოდ, ეს ყველაფერი კარგს არაფერს მომიტანდა.

სონოკო ახლა უფრო ქორფად გამოიყურებოდა. ძველი თქმულებების გმირს ჰგავდა. ყოველთვის ვამსგავსებდი ძველი ზღაპრების შეყვარებულ ასულებს. ასეთს რომ ვხედავდი ჩემ თვალწინ, როგორი მხიარული ნიღაბიც უნდა მომერგო, საუბრისას სულ ენა მებმოდა და ვხვდებოდი, რომ მისი ჩახუტების ღირსი არ ვიყავი. ამას დედამისიც ამჩნევდა და ერთხელ სიტყვაც კი გადამიკრა ჩემს ჯანმრთელობაზე. საყვარელმა სონოკომ სასწრაფოდ გადაწყვიტა, რომ ის ყველაფერს ხვდებოდა და გასამხნევებლად მედალიონი დამიქნია. ამით ნიშანი მომცა - არ იღელვო. უნებლიეთ გამეღიმა.

უფროსები ამ თავხედურმა ღიმილმა თან გააოცა და თან შეაწუხა. თავზარი დამეცა, როდესაც მივხვდი, რომ ისინი ჩვენს მომავალს ხატავდნენ ფიქრებში.

მეორე დღეს ისევ მივედით გოლფის მოედანზე. წინა დღის დანატოვარს, გადათელილ ყვითელ ყვავილებს შევხედეთ. უკვე გამხმარიყო.

ჩვევა საშიში რამაა. ჩემთვის ასეთი მტანჯველი კოცნა ისევ გავიმეორეთ. მაგრამ ამჯერად, როგორც უმცროს დას, ისე ვაკოცე. ამიტომაც, ეს კოცნა უფრო ამორალური იყო.

- ნეტავ კიდევ როდის შევხვდებით? - აღმოხდა სონოკოს.

- თუ ამერიკელები არ შემოვიდნენ ყურეში, მაშინ ერთ თვეში შევხვდებით, - ვუპასუხე. იმედი მქონდა - არა, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ თვეში ამერიკის ჯარი ყურეში გადმოსხდებოდა, სტუდენტებს ერთიანად გაგვიწვევდნენ და ომში დავიხოცებოდით; ან არნახული სიმძლავრის, ვეებერთელა ბომბი ჩამოვარდებოდა და ადგილზევე მომკლავდა. როგორც ჩანს, ატომური ბომბი მიწინასწარმეტყველებია.

მზის შუქში გახვეულ დაღმათოს ჩავუყევით. ორი არყის ხე გამოჩნდა - საყვარელი დებივით იდგნენ და იქაურობას ჩრდილს ჰფენდნენ.

სონოკო თავდახრილი მოდიოდა. უცებ მკითხა:

- შემდეგ ჯერზე რომ შევხვდებით, რას მაჩუქებ?

- რასაც შევძლებ იმ დროისათვის... - ვუპასუხე სასოწარკვეთილმა, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილოდ, - წუნთან თვითმფრინავს ან ტალახიან ნიჩაბს... რაღაც ასეთს.

- ხელშესახები ნივთები არ მიგულისხმია...

- ჰმ, აბა, რა იგულისხმე? - რაც უფრო გულუბრყვილო ვჩანდი, მით უფრო ადვილად მიმწყვდევდნენ კუთხეში. - რთული საკითხია! მატარებელში ვიფიქრებ ამაზე.

- ჰო, ასე ქენი, - უცნაურად მიპასუხა. მის ხმაში სიმშვიდეც იგრძნობოდა და ღირსებაც. - დამპირდი, რომ რაღაცას აუცილებლად მაჩუქებ.



სიტყვა „დამპირდი“ სონოკომ განსაკუთრებულად გამოკვეთა. ყალბი ხალისიანობით უნდა დამეცვა თავი, სხვა გზა არ იყო.

- კარგი, მაშინ თითები გადავაჯვარედინოთ, - ომახიანად ვუთხარი.

თითები ბავშვურად გადავაჯვარედინეთ და ჩვენში სწორედ ბავშვობისას განცდილმა შიშმა გაიღვიძა - რომ თუ დანაპირებს არ შეასრულებ, თითი დაგილპება. სონოკოს „საჩუქარი“, რა თქმა უნდა, „ქორწინების შეთავაზება“ უნდა ყოფილიყო. შიშის მიზეზი ნამდვილად მქონდა. ისე მეშინოდა, როგორც პატარა ბავშვს - ღამით ტუალეტში გასვლის.

იმ ღამით, სანამ დავიძინებდი, სონოკომ ჩემს საძინებელში შემოიხედა და, ცოტა არ იყოს, ნაწყენმა მკითხა, კიდევ ერთ დღეს ხომ არ დარჩებიო. გაოცებული ვუყურებდი ლოგინიდან. ყველაფერი იმთავითვე არასწორად გამეთვალა და ახლა ვერ ვიგებდი, რა უნდა მეგრძნო.

- აუცილებლად უნდა დაბრუნდე?

- კი, აუცილებლად, - სიხარულით ვუპასუხე. ისევ ამუშავდა თავის მოტყუების მექანიზმი. ეს სიხარული საშიშროებისაგან თავის დაღწევისა იყო, მე კი დავიჯერე, რომ სონოკოს წვალება და უპირატესობის მოპოვება მიხაროდა.

თავის მოტყუება ჩემი უკანასკნელი ხელჩასაჭიდი იყო. დაჭრილი არ ითხოვს, რომ სახვევი აუცილებლად სუფთა იყოს. მეც ასე შევიხვიე სისხლმდენი ძრილობა ჩვეული ტყუილებით და საავადმყოფოში გაქცევა დავაპირე. უქნარების ქარხანა მკაცრ ყაზარმად დავხატე. ხვალ დილით თუ არ დავბრუნდი, ყაზარმის

საპყრობილე არ ამცდება-მეთქი.

გამგზავრების დილაც დადგა. სონოკოს იმ ტურისტით მივშტერებოდი, უკანასკნელად რომ უყურებს პეიზაჟს.

მართალია, გარშემომყოფები თვლიდნენ, რომ ყველაფერი ახლა იწყებოდა და მეც თითქოს ისევ მინდოდა თავის მოტყუება და დანებება, მაგრამ კარგად ვხვდებოდი: ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ დამთავრებულიყო.

თუმცა სონოკოს სიმშვიდემ მაინც ამაღელვა. ბარგის ჩალაგებაში მეხმარებოდა და ოთახში მიდი-მოდიოდა, რამე არ დაგრჩესო. მერე ფანჯარასთან დადგა და გარეთ იყურებოდა. ღრუბლიანი დღე იყო. ფანჯრიდან ქორფა ბალახი მოჩანდა. უჩინარი ციყვები ხეების ტოტებზე დახტოდნენ. სონოკოს სილუეტი სიმშვიდითა და ბავშვური მოლოდინით იყო სავსე. მისი ასე დატოვება და ოთახიდან გასვლა იმას დაემსგავსებოდა, ჭურჭლის კარადის კარი გამოღებული რომ დამეტოვებინა. ჩემნაირი აკურატული ადამიანისათვის ეს ნამდვილად გაუსაძლისი იქნებოდა. ნაბიჯი გადავდგი და ზურგიდან ნაზად ჩავეხუტე.

– კიდევ ჩამოდი აუცილებლად, - სასიამოვნო ხმით მითხრა, სრული თავდაჯერებით. თითქოს მე იმდენად არ მენდობოდა, რამდენადაც რაღაცას ჩემ მიღმა - რაღაც ღრმასა და ამოუცნობს. მხრები არ უთრთოდა, მაგრამ სუნთქვისას თასმები კი ადი-ჩაუდიოდა მკერდზე.

– კი, ალბათ. თუ ცოცხალი ვიქნები... - ვთქვი და საკუთარ თავზე გული ამერია. როგორ მინდოდა, ჩემი ასაკის შესაფერისი სიტყვები მეთქვა: „აუცილებლად მოვალ! ათას დაბრკოლებას გადავლახავ და მოვალ! მშვიდად იყავი და დამელოდე. შენ ხომ ჩემი ცოლი

უნდა გახდე!“

ხანდახან გრძნობებსა თუ ფიქრებში უცნაურ წინააღმდეგობას ვაწყდებოდი ხოლმე. ჩემი ამგვარი გაურკვეველი პოზიცია („კი, ალბათ“) ხასიათის ბრალი კი არ იყო, არამედ რაღაცის, რაც თითქოს ხასიათს მიღმა არსებობდა. ფაქტია, რომ კომიკურობამდე ვცდილობდი, რაც „ჩემი ბრალი იყო“, „ჩემი ბრალი არ ყოფილიყო“. ბავშვობიდანვე ვწვრთნიდი საკუთარ თავს, რომ მერყევი და არამამაკაცი არ ვყოფილიყავი - ისეთი ვინმე, ვისაც გამოკვეთილი სიმპათიები და ანტიპათიები არ აქვს; ვისაც მხოლოდ ის სურს, რომ უყვარდეთ, თავად კი სიყვარული არ შეუძლია. ეს მოთხოვნები ჩემი ხასიათის იმ ნაწილს მიემართებოდა, რომელზეც პასუხისმგებელი ვიყავი, მაგრამ სხვა ნაწილებიც ხომ იყო, რომლებზეც პასუხს ვერ ვაგებდი, ჰოდა, მათთვის თავიდანვე შეუძლებლად ჩანდა ამ მოთხოვნების შესრულება. ახლა, სამსონის ძალაც რომ მქონოდა, ისიც კი ვერ მაიძულებდა, რომ სონოკოს კაცურად მოვქცეოდი.

სონოკოს თვალში მე მერყევი, არამტკიცე ხასიათის მამაკაცი ვიყავი. ამ ხატებამ ჩემში ზიზღი გამოიწვია, მთელ ჩემს არსებობას ფასი დაუკარგა და თვითშეფასება გამიცამტვერა. უკვე აღარც საკუთარი ნების მწამდა და აღარც ხასიათის. ყოველ შემთხვევაში, უკვე აღარ მჯეროდა, რომ ჩემი ნება ყალბი არ იყო. ნება-სურვილისთვის ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიძება მეტისმეტი გაზვიადების შედეგი იყო. ჩვეულებრივ ადამიანსაც კი არ შეუძლია მხოლოდ ნება-სურვილით მოქმედება. დავუშვათ, მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი - არც ამ შემთხვევაში იყო აუცილებელი, რომ ჩემი და სონოკოს ოჯახური ცხოვრება ბედნიერი ყოფილიყო. სრულიად შესაძლებელია, „ჩვეულებრივ“ მესაც „კი, ალბათ“ ეპასუხა. ასეთ მარტივ ჰიპოთეზებზეც კი თვალს ვხუჭავდი ხოლმე. თითქოს საკუთარი თავის დასატანჯად ერთ შანსსაც კი არ

ვუშვებდი ხელიდან. ამ ბანალურ ხერხს ხშირად მიმართავენ ისინი, ვისაც გასაქცევი აღარსად აქვთ და ისღა დარჩენიათ უიღბლო ცხოვრებაში, თავი ტრაგედიის გმირებად წარმოიდგინონ...

სონოკომ წყნარად მიპასუხა:

– არ ინერვიულო. ერთ ჭრილობასაც კი არ მიიღებ. ყოველ ღამე იესოს შევთხოვ ამას! ჩემს ლოცვებს აქამდე ყოველთვის ისმენდა!

– როგორი მორწმუნე ხარ! ალბათ ამის გამო გამოიყურები ასე მშვიდად. ცოტა შემეშინდა კიდევ.

– რატომ? - ჭკვიანი შავი თვალებით შემომხედა. მათში ეჭვის ნასახიც კი არ იყო. ამ უმანკო თვალებში რომ ჩავხედე, გული ამიჩქარდა და პასუხი ვერ გავეცი. აქამდე მინდოდა, რომ სონოკოს მშვიდი სამყარო ერთიანად შემეძრა, მაგრამ პირიქით მოხდა: მისმა თვალებმა ჩემში ღრმად მიძინებული რაღაც შეძრა.

ამ დროს სკოლაში მიმავალი მისი უმცროსი დები დასამშვიდობებლად შემოვიდნენ. პატარა დაიკომ ხელის ჩამორთმევა მომთხოვა. წამით ხელისგულზე მომიღიტიანა და გარეთ გავარდა. ვხედავდი, როგორ იქნევდა მაღლა-მაღლა წითელ ბენტოს, რომლის ოქროსფერ ბალთაზეც ფოთლებში გამოღწეული მზის სხივები ირეკლებოდა.

ჩემს გასაცილებლად სადგურზე სონოკოს დედა და ბებიაც წამოვიდნენ და ამიტომ ჩვენი განშორება ბანალური და უცოდველი იყო. ერთი-ორჯერ გავიხუმრეთ. ისე ვიქცეოდით, თითქოს არც არაფერი ხდებოდა. ბოლოს და ბოლოს, მატარებელიც მოვიდა. ადგილი ფანჯარასთან დავიკავე. მხოლოდ ერთ რამეზე ვოცნებობდი: მატარებელი დროზე დაძრულიყო.

უცებ წკრიალა ხმამ დამიძახა. სონოკო იყო. ყურშეჩვეული ხმა სრულიად ახლებურად გაისმა. შორიდან დამახილმა გამაოცა. სონოკოს ხმამ გული ისე გამითბო, როგორც დილის მზის სხივმა. იქით გავიხედე, საიდანაც ხმა ისმოდა. სონოკოს სადგურის მეთვალყურეების ბარიერი გამოერღვია და ბაქანზე ხის მესერს ჩაბლაუჭებული იდგა. კუბოკრული ბლუზის თასმები ქარში უფრიალებდა. ცოცხალი თვალებით მომჩერებოდა. ვაგონები დაიძრა. სონოკოს სქელი ტუჩები თითქოს რაღაცას ბუტბუტებდნენ. მერე კი გაქრა...

სონოკო! სონოკო! ვაგონის ყოველ შერხევაზე გულში მის სახელს ვიმეორებდი. შელოცვასავით იყო. სონოკო! სონოკო! ყოველ გამეორებაზე გული მეწურებოდა, საშინელი დაღლილობა სასჯელივით გამიათმაგდა. ასეთი ტანჯვა აუხსნელი, შეუდარებელი და რთულად აღსაქმელი იყო; ადამიანურ გრძნობებს საკმაოდ დაშორებოდა და იმის აღქმაც კი მიჭირდა, რომ საერთოდ ტკივილი იყო. წარმოიდგინეთ ნათელ შუადღეს იარაღის გასროლის მომლოდინე ადამიანი. დრო გადის, მაგრამ გასროლის ხმა არ ისმის. გაჩუმებული, ლურჯ ზეცაში იყურება და იტანჯება. საშინელი ეჭვები იპყრობს. ამქვეყნად მხოლოდ მან იცის, რომ შუადღით იარაღს არ გაუსვრია.

დამთავრდა. დამთავრდა. ჩემთვის ვბურტყუნებდი. გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტისვით ვიტანჯებოდი. ჩავიჭერი. ყველაფერი დამთავრდა! არასწორად დავწერე. თავიდანვე სწორად რომ გამომეთვალა, ასე არ დამემართებოდა. სჯობდა, ცხოვრების მათემატიკასაც ჩემებურად კი არა, სხვებივით, დედუქციის მეთოდით მივდგომოდი. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ნახევრად ჭკვიანი ვიყავი. მარტო მე შევცდი და მხოლოდ მე გამოვიყენე ინდუქციის მეთოდი.

ისეთი შეძრწუნებული სახე მქონდა, რომ ჩემ წინ მჯდომი მგზავრები, წითელჯვრიან ლურჯ უნიფორმაში გამოწყობილი მედდა და, სავარაუდოდ, დედამისი - ღარიბი გლეხის ქალი, შეშფოთებულები მიყურებდნენ. მათი მზერა რომ შევამჩნიე, მედდას - ლოყებლაჟღაჟა ქალიშვილს პირდაპირ თვალებში შევხედე. გაწითლდა და უხერხულობის დასაფარავად წუწუნი დაიწყო.

– აუ, მომშივდა!

– ჯერ ძალიან ადრეა!

– მერე რა?! მშია და! მიდი რა!

– რა შეუგნებელი ხარ!

ბოლოს დედა დანებდა და ბენტო ამოიღო. შიგთავსი იმაზე ბევრად ღარიბული იყო, ჩვენ რომ ქარხანაში გვაჭმევდნენ: ორი ნაჭერი თალგამის მარინადი, ტკბილი კარტოფილი და ბრინჯი. ქალიშვილი მადიანად შეუდგა ჭამას. ადამიანის მიერ საჭმლის მიღების ჩვევა ასე უაზროდ არასდროს მომჩვენებია. თვალები მოვისრისე. მივხვდი, რომ ამგვარი დამოკიდებულება ცხოვრების წყურვილის მთლიანად დაკარგვის ბრალი იყო.

სალამოს, როდესაც გარეუბნის სახლში მივედი, მშვიდად დავიწყე ფიქრი თავის მოკვლაზე. ვფიქრობდი, ვფიქრობდი და ბოლოს ამ იდეამ მეტისმეტად შემაწუხა, თან, ცოტა არ იყოს, კომიკურადაც მომეჩვენა. გადავიფიქრე. მარცხისადმი ინტერესი დაბადებიდანვე მაკლდა. გარდა ამისა, სიკვდილი ისედაც ყველგან იყო: ზოგი დაბომბვისას კვდებოდა, ზოგი - სამხედრო პოსტზე, ზოგი -

ეპიდემიით, ზოგი - ბრძოლაში, ზოგი - ბორბლებქვეშ... ჩემი სახელი, ალბათ, რომელიმე სიაში უკვე ეწერა. სიკვდილმისჯილები კი თავს არ იკლავენ. თვითმკვლელობისთვის აშკარად შეუფერებელი დრო იყო. სჯობდა, იმას დავლოდებოდი, რაც მომკლავდა. სხვათა შორის, ამავენაირად ველოდი იმასაც, რაც გადამარჩენდა.

ქარხანაში დაბრუნებიდან ორ დღეში სონოკოსგან მწველი სიყვარულით სავსე წერილი მივიღე. ეს ნამდვილი სიყვარული იყო. შემშურდა. ასეთ აუტანელ შურს ხელოვნური მარგალიტი თუ იგრძნობდა ბუნებრივი მარგალიტის მიმართ. ნეტავ ამ სამყაროში არსებობს ისეთი მამაკაცი, რომელსაც იმ სიყვარულის შურს, რომლითაც ქალს თავად ეს მამაკაცი უყვარს?

სონოკო ჩემთან განშორების შემდეგ ველოსიპედით წასულა სამსახურში. უხალისოდ ყოფილა და თანამშრომლებს უკითხავთ, ცუდად ხომ არ ხარო. საბუთებშიც შეცდომები დაუშვია. შუადღით დასანაყრებლად სახლში შეუვლია და მერე ისევ სამსახურში დაბრუნებულა. გზად გოლფის მოედნისკენ გაუვლია და ველოსიპედი გაუჩერებია. ყვითელი ყვავილები ისევ გადათელილი დახვედრია. თურმე ნისლი იფანტებოდა და ვულკანის ფერდები მოყავისფროდ იფერებოდა. უყურებდა, როგორ ამოდიოდა ხეობებიდან მუქი ნისლი და როგორი მსუბუქი წინათგრძნობით თრთოდნენ იმ ორი არყის ხის ფოთლები, დებივით რომ იდგნენ გვერდიგვერდ.

და ეს ყველაფერი ზუსტად იმ დროს ხდებოდა, როდესაც მატარებელში ვიჯექი და იმ სიყვარულიდან თავის დაღწევის გეგმებს ვაწყობდი, რომელიც თავად ჩავუნერგე სონოკოს! თუმცა იყო წუთები, როდესაც თავს ვიმშვიდებდი და საწყლად ვიმართლებდი კიდევ: რომ გიყვარს, სწორედ ამიტომ უნდა გაიქცე მისგან-მეთქი!

მეც ვწერდი სონოკოს. ვცდილობდი, ცივი არ ვყოფილიყავი და თან არც გასაქანი მიმეცა გრძნობებისთვის. ერთი თვე არ იყო გასული, რომ სონოკომ მომწერა, ჩემი ძმა ტოკიოს გარეუბანში გადმოიყვანეს და მისი მონახულების უფლებაც მოგვცესო. მთელი ოჯახი აპირებდა წამოსვლას. აი, აქ მძლია სისუსტემ. როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, მთელი ძალით კი ვცდილობდი სონოკოსგან გაქცევას, მაგრამ მის კიდევ ერთხელ ნახვაზე უარი ვერ ვთქვი. როდესაც შევხვდი, დავინახე, რომ ოდნავაც არ შეცვლილიყო, მე კი, პირიქით, სრულიად გარდავქმნილიყავი. ერთი ხუმრობაც კი არ მითქვამს. ჩემი ცვლილება სონოკომაც შეამჩნია, მისმა ძმამაც, ბებიამაც და დედამაც კი, მაგრამ ყველანი ამაში ჩემი გრძნობების სერიოზულობას ხედავდნენ. კუსანოს თბილი მზერით ნათქვამმა ერთმა ფრაზამ კი საერთოდ შემატორტმანა.

- ამ დღეებში მნიშვნელოვან წერილს გამოგიგზავნი.  
მოუთმენლად ელოდები, არა?

ერთი კვირის შემდეგ, დედასთან რომ ჩავედი, ამ წერილმაც მოაღწია. კუსანოს მოუქნელ ნაწერში სიყალბე არსად ჩანდა, მხოლოდ მეგობრული კეთილგანწყობა იკითხებოდა.

„...-სონოკოს რაც შეეხება, ოჯახში ყველა სერიოზულადაა განწყობილი. ამ საკითხის მოსაგვარებლად, სრულუფლებიან ელჩად დამნიშნეს. მინდა, უბრალოდ გკითხო შენი გრძნობების შესახებ.

ყველა გენდობა, ყველაზე მეტად კი - სონოკო. დედა უკვე იმაზე ფიქრობს, როდის სჯობს ცერემონიის გამართვა. ქორწილი ალბათ ჯერ ადრეა, მაგრამ ვფიქრობ, ნიშნობის თარიღის დანიშვნა არ იქნებოდა ურიგო.



რა თქმა უნდა, ეს სულ ჩვენი ვარაუდებია. ამიტომაც, მინდა, შენს გრძნობებზე გკითხო. ჩვენები ამბობენ, ჯერ პასუხი გავიგოთ და მის ოჯახს მერე მოველაპარაკოთო. არ გეგონოს, რომ შენი ნების გარეშე გიპირებდეთ დაქორწინებას. როდესაც სიმართლეს მეტყვი, დავმშვიდდები. უარიც რომ იყოს, არ მეწყინება, არ გავბრაზდები და არც ჩვენს მეგობრობას დაემუქრება საფრთხე. თანხმობის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დიდად გავიხარებ, მაგრამ უარის შემთხვევაში, შენზე ნამდვილად არ გავნაწყენდები. მინდა, რომ თავისუფლად და გულახდილად მიპასუხო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: თავს ნურაფერს დააძალებ, თავისუფლად მიპასუხე. როგორც შენი უახლოესი მეგობარი, ველი პასუხს“.

დავიზაფრე. გავიხედ-გამოვიხედე, ვინმემ ხომ არ დაინახა, ამ წერილს რომ ვკითხულობდი-მეთქი. ასეთი რამ წარმოუდგენელი მეგონა. როგორც ჩანს, იმთავითვე სწორად ვერ გავთვალე, რომ სონოკოს ოჯახს ჩემგან განსხვავებული დამოკიდებულება ექნებოდა ომის მიმართ. ოცი წლის სტუდენტი ვიყავი, საავიაციო ქარხანაში ვმუშაობდი, ომების დროს გავიზარდე და რაღაც რომანტიკული წარმოდგენა მქონდა ომის ძალაზე. ასეთი სასტიკი და დამანგრეველი ომის მიუხედავად კი, ადამიანების ქცევის მაგნიტური ისარი მაინც ერთადერთ მხარეს იყო მიმართული - იქით, საითაც ყოველთვის. აი, მეც ხომ სიყვარულზე ვოცნებობდი აქამდე? რატომ აღარ მახსოვდა? მსუბუქმა ღიმილმა გადამირბინა სახეზე და წერილი ხელახლა გადავიკითხე.

უცებ უპირატესობის გრძნობით ავივსე. გავიმარჯვე! ბედნიერი ვიყავი და ამაში ვერავინ დამადანაშაულებდა. თუმცა იმის უფლებაც მქონდა, რომ ეს ბედნიერება შემზიზღებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ გული დარდით მქონდა სავსე,

ცინიკურად ჩავიღიმე. ერთ პატარა ორმოსაც გადავახტები და ეგაა-მეთქი. უმჯობესი იქნებოდა, ბოლო რამდენიმე თვე აბსურდად ჩამეთვალა. უპირველეს ყოვლისა, უნდა მეფიქრა, რომ სონოკო, ის პატარა გოგო, საერთოდ არ მიყვარებია. უნდა მეფიქრა, რომ უბრალოდ ვნებას ავყევი და მერე მოვატყუე. უარიც რაზე უნდა მეთქვა? ერთადერთი კოცნით ვალდებულება არ გეკისრება!

„მე სონოკო არ მიყვარს!“ - ამ დასკვნამ მეცხრე ცაზე ამიყვანა.

მშვენიერია. ქალიშვილი შევაცდინე, რომელიც არც არასდროს მიყვარებია. მისი სიყვარული რომ ვიგრძენი, ავდექი და მივაგდე. აი, ამ ტიპის მამაკაცად ვიქეცი. ღირსეულმა, მაღალზნეობრივმა, საუკეთესო სტუდენტმა როგორ შეტოპა ასე შორს? ისე, ერთი რამ კი უნდა მცოდნოდა: ლოველასი საბოლოო მიზნის მიღწევამდე ქალს არ მიაგდებს. თავს ვიბრმავებდი. ისე ვიქცეოდი, შუა ხნის ჯიუტ ქალებს რომ სჩვევიათ: რისი მოსმენაც არ უნდათ, არც ესმით.

ახლა მთავარი იყო, ამ ქორწილისთვის წინალობები შემექმნა. თითქოს მეტოქეს ვუშლიდი ქორწილს.

ფანჯარა გამოვალე და დედაჩემს დავუძახე.

ბოსტანს ზაფხულის მზე დანათოდა. პომიდვრისა და ბადრიჯნის ნარგავებს გამომშრალი ფოთლები კამკაშა შუქისთვის შეეშვირათ. მათ ძლიერ, დაძარღვულ ფოთლებს მზე უხვად ჰფენდა სხივებს. დანარჩენი მცენარეების ბნელი სიცოცხლე განათებული ბოსტნის მიღმა იკრებდა ძალას. შინტოისტური ტაძრის ტყე პირქუშად გვიყურებდა. იმის იქით დაბლობი იყო, რომელიც დროდადრო მსუბუქად ირყეოდა ელექტრომატარებლის გავლისას. ეს დაბლობი აქედან არ მოჩანდა. ყოველ ჯერზე ელექტროგადამცემი ხაზები მზის შუქზე წყნარად ირხეოდნენ, ცაზე კი ზაფხულის მძიმე ღრუბლები მიცურავდნენ.

შუა ბოსტნიდან ლურჯბაფთიანი დიდი ჩალის ქუდი ამოიწვერა. დედაჩემი იყო. ბიძაჩემის, მისი უფროსი ძმის, ჩალის ქუდი მოცელილი მზესუმზირასავით გაშეშდა.

მას შემდეგ, რაც ასეთი ცხოვრება დაიწყო, დედა ცოტა გარუჯულიყო. შორიდანვე თვალში გეცემოდათ მისი თეთრი კბილები. იქამდე მოვიდა, საიდანაც ხმას გამაგონებდა და ბავშვური, წკრიალა ხმით დამიძახა:

– რა არის? თუ გჭირდება, მოდი აქ!

– მნიშვნელოვანი საქმე მაქვს! ცოტა ხნით აქეთ მოდი!

ნელა, წუწუნით მომიახლოვდა. კალათაში მწიფე პომიდვრები ეწყო. აბა, რა ხდებოდა და პომიდვრებიანი კალათა ფანჯრის რაფაზე შემოდო.

წერილი არ ვაჩვენე. მოკლედ მოვუყევი შინაარსი. როცა ვყვებოდი, დედას რატომ დავუძახე, უკვე გაუგებარი გახდა. იმიტომ ხომ არა, რომ საკუთარი თავი დამერწმუნებინა, მამაჩემის მკაცრი ხასიათის გამო, სახლში მასთან ერთად ყოფნა ჩემი ცოლისთვის აუტანლად მძიმე იქნება-მეთქი? ჰოო, დედამ. ასეთ დროს ცალკე სახლის ქონა ხომ წარმოუდგენელია-მეთქი. ჩვენი ძველმოდური და სონოკოს ნათელი, გახსნილი ოჯახებიც ერთმანეთს ვერ შეეწყობიან და საერთოდ, ჩემთვის ჯერ ძალიან ადრეა ცოლის მოყვანა-მეთქი. ეს და სხვა დანარჩენიც მშვიდად ჩამოვაყალიბე. მინდოდა, ისიც ჩემსავით წინააღმდეგი ყოფილიყო. მაგრამ დედა მშვიდი და დიდებული ადამიანი გახლდათ.

– რა უცნაური ამბავია! - დიდად არც უფიქრია, ისე წამოიძახა. -

და შენ სინამდვილეში რას გრძნობ? გიყვარს თუ გბუღს?

- რა ვიცი აბა... - ენა დამება. - სერიოზულად არც მიფიქრია. მხოლოდ გართობას ვაპირებდი. იმან კიდევ სერიოზულად მიიღო და ეს ყველაფერი პრობლემად მექცა.

- თუ ასეა, პრობლემა სულაც არ ყოფილა. ორივესთვის აჯობებს, რაც შეიძლება სწრაფად უთხრა სიმართლე. წერილშიც ხომ სიმართლის თქმას გთხოვენ! შენც მოკლე და პირდაპირი პასუხი მისწერე. მოვრჩით ხომ უკვე? წავალ მე, კარგი?

- კარგი, - ამოვიოხრე. დედა იმ ადგილამდე მივიდა, სადაც სიმინდი იზრდებოდა და მერე ისევ ჩემს ფანჯარასთან დაბრუნდა. სახეზე გამომეტყველება შეცვლოდა.

- მისმინე, წელან რომ ვლაპარაკობდით... - ისე შემომხედა, თითქოს სრულიად უცხო ვიყავი. - იმ სონოკოსთან... თქვენ რა, უკვე...?

- რა სისულელეა, დედა! - გამეცინა. ასე მწარედ ცხოვრებაში არ გამეცინებია. - შენი აზრით, ეგეთ სისულელეს ჩავიდენდი? არ მენდობი?

- ჰო, კარგი, კარგი! გასაგებია. ყოველი შემთხვევისთვის გკითხე, - ისევ გაუნათდა სახე და უხერხულობაც გაუქრა. - დედების საქმე ხომ ესაა, რომ ასეთ რაღაცებზე ინერვიულონ! ყველაფერი რიგზეა. გენდობი.

იმ საღამოსვე ძალიან არაბუნებრივი წერილი დავწერე - მიკიბულ-მოკიბულად ვთქვი უარი. არ ვჩქარობ და ცხოვრების ამ ეტაპზე ჩემი გრძნობები არც ისე შორს არის წასული-მეთქი. მეორე

დილით, როდესაც ქარხანაში ვბრუნდებოდი, გზად ფოსტაში შევიარე წერილის გასაგზავნად. ფოსტის თანამშრომელი ქალი ჩემს აკანკალებულ ხელებს ეჭვის თვალით უყურებდა. დავინახე, როგორ დაარტყა ბეჭედი კონვერტს თავისი უხეში, ჭუჭყიანი ხელებით. გამართო იმის ყურებამ, როგორ ოფიციალურად ეპყრობოდნენ ჩემს უბედურებას.

ახლა უფრო პატარა და საშუალო ქალაქებს ბომბავდნენ. თითქოს ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. სტუდენტებში მოდური გახდა კაპიტულაციაზე საუბრები. ერთი ახალგაზრდა ასისტენტ-პროფესორი ამ თემაზე მინიშნებებით სტუდენტებში პოპულარობის მოპოვებას ცდილობდა. როდესაც ვუყურებდი, როგორ იბზუებდა ცხვირს სკეპტიკური შეხედულებების გამოთქმისას, ვფიქრობდი, მე ვერ გამაცურებ-მეთქი. მეორე მხრივ, მაოცებდნენ ის ფანატიკოსები, რომლებსაც გამარჯვების სწამდათ. ჩემთვის სულერთი იყო, ომს მოვიგებდით თუ წაგვავდით. მე მხოლოდ ხელახლა დაბადება მსურდა.

დაუდგენელი მიზეზით, მაღალი სიცხე მომცა და გარეუბნის სახლში დავბრუნდი. სიცხისგან დასუსტებული, ჭერს ვუყურებდი და სონოკოს სახელს ლოცვასავით ვბურტყუნებდი. ბოლოს, როგორც იქნა, საწოლიდან წამოდგომა შევძელი და ჰიროშიმის მიწასთან გასწორების ამბავიც გავიგე.

უკანასკნელ დღეებს ვითვლიდით. ხმები დადიოდა, რომ შემდეგი ტოკიო იქნებოდა. თეთრ პერანგსა და თეთრ შორტებში გამოწყობილმა, ტოკიოს ქუჩებში გავისეირნე. სასოწარკვეთის ზღვრამდე მისული ადამიანები ნათელი სახეებით დადიოდნენ. დრო გადიოდა და არაფერი ხდებოდა. სამყარო იმ გაბერილ ბუმტს ჰგავდა, რომელიც სადაცაა, გასკდება. ასე გავიდა ათ დღეზე მეტი. ჭკუიდან შეშლის გარდა აღარაფერი დაგვრჩენოდა.

ერთ დღესაც ელეგანტურმა თვითმფრინავებმა ზაფხულის ციდან პროპაგანდისტული ბროშურები გადმოყარეს. კაპიტულაციაზე დაეწერათ. იმ საღამოს კომპანიიდან დაბრუნებული მამა მაშინვე ჩვენთან, გარეუბნის სახლში მოვიდა.

- მისმინეთ, იმ ბროშურებში სიმართლე ეწერა! - ბალიდან შემოვიდა, ბალახზე ჩამოჯდა და მაშინვე ეს გვითხრა. თან სარწმუნო წყაროდან მოპოვებული, ინგლისურ ენაზე დაწერილი ორიგინალი მაჩვენა.

გამოვართვი. თვალი გადავაკვლე თუ არა, მივხვდი, რომ სიმართლე იყო! ომში წაგება კი არა - ის, რაც მხოლოდ მე მეხებოდა! ის, თუ რა საშინელი დღეები მელოდა წინ! ამის გაფიქრებაზეც კი კანკალი მიტანდა. თავს კი ვიტყუებდი, რომ ეს დღე არასდროს დადგებოდა, მაგრამ ახლა დამდგარიყო! მინდოდა-არ მინდოდა, ხვალიდან „ყოველდღიური ცხოვრება“ იწყებოდა.

## მეოთხე თავი

ჩემდა გასაკვირად, შიშის მომგვრელი ყოველდღიური ცხოვრების დასაწყისი ჰორიზონტზეც კი არ მოჩანდა. თითქოს ქვეყანაში შიდა არეულობა ყოფილიყო, ხალხი ხვალინდელ დღეზე საერთოდ არ ფიქრობდა, უფრო მეტადაც კი, ვიდრე ომის დროს.

ის ბიჭი, რომელმაც უნივერსიტეტის ფორმა მათხოვა, ჯარიდან დაბრუნდა და ფორმაც დავუბრუნე. ცოტა ხნით ილუზიამ გამიტაცა - დავიჯერე, თითქოს მოგონებებისა და წარსულისგან გავთავისუფლდი.

უმცროსი და მომიკვდა. როდესაც დავინახე, რომ ჯერ კიდევ ის ადამიანი ვიყავი, რომელსაც ტირილი შეეძლო, ცოტათი დავმშვიდდი. სონოკო ერთ კაცს ხვდებოდა და დაინიშნა კიდევ. ჩემი დის გარდაცვალების შემდეგ მალევე გათხოვდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მხრებიდან ტვირთი ჩამომხსნეს. ვითომ მისი გათხოვება მამხიარულებდა კიდევ. თავს ვირწმუნებდი, რომ ეს ბუნებრივი იყო, რადგან სონოკომ კი არ მიმატოვა, პირიქით, მე მივატოვე.

დიდი ხნის განმავლობაში მჯეროდა, რომ ის, რაც ბედისწერის ძალით ხდებოდა ჩემს თავს, ჩემივე გამარჯვება იყო. ახლა კი ამ მავნე ჩვევამ გიჟურ ამპარტავნებამდე მიაღწია. რასაც გონებას ვეძახდი, მის დამახასიათებელ თავისებურებებში იყო რაღაც ისეთი, ტახტზე ასულ თვითმარქვიას რომ აქვს. ეს გაუთლელი უზურპატორი ხომ ვერ ხვდება, რა შედეგი, რა სახის შურისძიება

მოწყება მის ბრიყვულ დესპოტიზმს.

მომდევნო წელი ბუნდოვან ოპტიმიზმში გავატარე. სამართალს ზედაპირულად ვსწავლობდი, უნივერსიტეტში მექანიკურად დავდიოდი და იქიდან შინ ვბრუნდებოდი. ყურადღებას არაფერს ვაქცევდი და არც მე მაქცევდნენ ყურადღებას. ყოვლისმცოდნე ახალგაზრდა ბერივით გაღიმება ვისწავლე. იმასაც კი ვერ ვგრძნობდი, ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი. სრულად დამვიწყებოდა თვითმკვლელობისა თუ ომში სიკვდილის ნატვრა, უკვალოდ გამქრალიყო.

ჭეშმარიტი ტანჯვა ნელ-ნელა მოდის. ფილტვების ტუბერკულოზით, ავადმყოფი ჩივილს რომ დაიწყებს, მდგომარეობა უკვე ძალიან გართულებულია ხოლმე.

ერთ დღეს წიგნების მაღაზიაში ახალი გამოცემების თაროსთან გავჩერდი. მაგარყდიანი თარგმანი ავიღე - ფრანგი მწერლის სიტყვამრავალი ესეების კრებული. ერთ-ერთ გვერდზე ერთმა ხაზმა თვალეზი ამიწვა - უსიამოვნოდ ამაღელვა. წიგნი დავხურე და თაროზე დავაბრუნე. მეორე დილით უცებ გადავწყვიტე და უნივერსიტეტისკენ მიმავალმა იმ მაღაზიაში შევიაღე, ის წიგნი ვიყიდე. სამოქალაქო სამართლის ლექცია რომ დაიწყო, ჩუმად ამოვიღე და გადაშლილ რვეულში ჩავდე. წინა დღით ნანახი ხაზის ძებნა დავიწყე. როდესაც მივაგენი, უფრო მეტად ავლელდი.

„ქალის ძალა მხოლოდ იმით იზომება, თუ როგორი სატანჯველით შეუძლია თავისი სატრფოს დასჯა...“

უნივერსიტეტში ახალი მეგობარი გავიჩინე - ტკბილეულის მაღაზიის მეპატრონის ვაჟი. ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეული, ბეჯითი სტუდენტი იყო. მომწონდა მისი აგდებული



დამოკიდებულება ადამიანებისა და ცხოვრების მიმართ და თანაც ორივეს ერთნაირად სუსტი აღნაგობა გვქონდა. ჩემი ცინიზმი თავდაცვისა და სხვებზე შთაბეჭდილების დატოვების სურვილიდან მოდიოდა, მის ცინიზმში კი უკიდურესი თავდაჯერება მოჩანდა. სულ ვფიქრობდი, საიდან აქვს საკუთარი თავის ასეთი რწმენა-მეთქი? ცოტა ხანში შემატყო, რომ ვაჟიშვილი ვიყავი და საგრძნობი უპირატესობის გრძნობით გამიმხილა, რომ ბორდელებში დადიოდა.

– თუ წასვლა მოგინდა, დამირეკე. ყოველთვის გამოგყვები.

– კარგი. თუ წასვლა მომინდა... ალბათ უკვე მალე. მალე გადავწყვეტ წასვლას.

უცნაურად შემომხედა, გამარჯვებულვით. კარგად ესმოდა ჩემი მდგომარეობა, რადგან ამ მდგომარეობაში მყოფი საკუთარი თავი და მაშინდელი სირცხვილიც ახსოვდა. ეს სახეზე ეწერა. საკმაოდ ავლელდი. მინდოდა, სინამდვილეშიც ისეთი ვყოფილიყავი, როგორადაც მის თვალში მოვჩანდი; ის გრძნობები მქონოდა, რომლებიც მისი წარმოდგენით მქონდა.

ზიზღიანობა ეგოიზმის ერთგვარი ფორმაა, რომელსაც ადამიანის მიდრეკილებების ძალა ასულდგმულებს. ჩემი ნამდვილი მიდრეკილებები კი იმდენად იდუმალი იყო, რომ ამ ეგოიზმსაც ვერ ვიჩენდი. ჩემს წარმოსახვით ვნებაში - ქალის მიმართ აბსტრაქტულ ცნობისმოყვარეობაში - წარმოუდგენლად გულგრილი და თავისუფალი ვიყავი. ცნობისმოყვარეობას ხომ ზნეობა არ გააჩნია. ალბათ, ადამიანის სურვილებსა და გრძნობებში ცნობისმოყვარეობა ყველაზე ამორალურია.

რაღაც საცოდავი საიდუმლო სავარჯიშო წამოვიწყე. შიშველი ქალის სურათს ვაშტერდებოდი და საკუთარ სურვილებს გამოცდას

ვუწყობდი. ცხადია, ვერც ვერაფერს ვგრძნობდი. „მავნე ჩვევასაც“ მივმართე. პირველ რიგში, ჩვეული ფანტაზიებისგან ვთავისუფლდებოდი, შემდეგ კი ქალს უხამს პოზაში წარმოვიდგენდი. დროთა განმავლობაში თითქოს წარმატებული აღმოჩნდა ეს მეთოდი. მაგრამ ეს წარმატება გულს მეტისმეტად მიწურავდა.

ბოლოს გადავწყვიტე, რომ ან უნდა მეცურა, ან ჩავძირულიყავი. ჩემს მეგობარს დავურეკე, კვირას, ხუთ საათზე კაფეში დამელოდე-მეთქი. ომის დამთავრებიდან ორი წელი გასულიყო, იანვრის შუა რიცხვები იდგა.

– ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტე, არა? – ტელეფონში გადაიხარხარა. – კარგია, წავიდეთ! აუცილებლად გამოგყვები. იცოდე, უფლებას არ გაძლევ, უკან დაიხიო!

მისი სიცილი ყურებში ჩამრჩა. პასუხად მხოლოდ საცოდავად გაღიმება შევძელი. თუმცა მაინც მქონდა მცირე იმედი, უფრო სწორად, ერთგვარი ცრურწმენა. და საკმაოდ სახიფათო ცრურწმენაც. ასე მხოლოდ პატივმოყვარეობა თუ გაგარისკინებს. ოცდაორი წლისა ისევ ვაჟიშვილი ვიყავი და მრცხვენოდა. ახლა, რომ ვუფიქრდები, ეს გადაწყვეტილება ზუსტად ჩემს დაბადების დღეზე მომწიფდა.

ერთმანეთს გამომცდელად ვათვალიერებდით. ისიც ხვდებოდა, რომ ასეთ დროს სერიოზულობაც და მხიარულებაც ერთნაირად კომიკური იქნებოდა. ამიტომ, დადუმებული, პირიდან მხოლოდ სიგარეტს ბოლს უშვებდა. მერე ერთი-ორი სიტყვა მაღაზიის ტკბილეულის გაუსაღებლობაზეც თქვა. წესიერად არც ვუსმენდი.

– ალბათ მზად ხარ, არა? ხომ გაგიგია, ასეთ საქმეზე პირველად

ვინც გამოგყვება, მთელი ცხოვრება ან შენი მეგობარი იქნება, ან მტერიო. ნეტა მე ვინ გავხდები?

-ნუ მაშინებ რა! ხომ ხედავ, რომ მშიშარა ვარ! მთელი ცხოვრება მტრის როლში ყოფნა არ გამომივა.

- თუ ასე კარგად იცნობ საკუთარ თავს... აღფრთოვანებული ვარ!

- კი, ნამდვილად ასეა, - ქედმაღლურად ვუპასუხე.

უცებ ყრილობის თავმჯდომარის სახე მიიღო და მითხრა:

-სადმე წავიდეთ, დავლიოთ. ფხიზლად ყოფნა პირველი ჯერისთვის ნამეტანია!

- არა, დალევა საერთოდ არ მინდა, - ვიგრძენი, როგორ გამეყინა ლოყები. - არავითარ შემთხვევაში არ დავლევ. მაგდენი გამბედაობა კი მაქვს.

ბნელ რკინიგზაზე აღმოვჩნდით. ბნელ მატარებელში ჩავსხედით. უცნობ სადგურთან, უცნობ ქუჩაზე, დარიბული ქობმახების მწკრივის ბოლოში წითელი და იისფერი შუქით განათებულ ქალებს გადავაწყდით. სველ, ყინულდამდნარ ქუჩაზე კლიენტები გვერდს უხმოდ უქცევდნენ ერთმანეთს. სინამდვილეში არაფერიც არ მინდოდა. მოუსვენრობას შევეპყარი, იმ პატარა ბავშვივით, შუადღით წახემსება რომ ეჩქარება.

- ნებისმიერში შევიდეთ. ნებისმიერი მაწყობს.

- ერთი წუთით, ერთი წუთით.... - დამიძახა ვიღაც ქალმა. მომინდა, რაც შეიძლება შორს გავქცეულიყავი მისი არაბუნებრივი

ხმისგან.

- მანდ საშიში გოგოები არიან. ეგ მოგწონს? ეგეთი სახით? აი, აქ კი შედარებით უსაფრთხოა...

-სახეს მნიშვნელობა არა აქვს, სულერთია.

-შედარებით ლამაზის არჩევა მინდა. მერე არ ინანო!

როგორც კი მივუახლოვდით, ორი ქალი შეპყრობილივით წამოხტა. ისეთი პატარა სახლი იყო, ფეხზე რომ დგებოდი, თავით ჭერს წვდებოდი. ოქროსკბილებიანმა, ღრძილებგადმოყრილმა, ჩრდოლოეთ ტოპოკუს კილოზე მოსაუბრე ქალმა სიცილით შემიპატიჟა პატარა ოთახში.

თავი ვალდებულად ვიგრძენი და ხელი მოვხვიე. მოვიზიდე და კოცნა დავუპირე. სიცილისგან მხრები აუთამაშდა.

-ეგრე არ ივარგებს! პომადა წაგესმევა! აი, ასე უნდა გააკეთო, - ქალმა პომადიანი, ოქროსკბილებიანი, დიდი პირი გააღო და იქიდან ჯობივით გრძელი ენა გამოყო. მეც მივბაძე და ენა გამოვყავი. ენის წვერები ერთმანეთს შეეხო. ალბათ ძნელი ასახსნელი იქნება: ზოგჯერ ისე შეშდები, თითქოს საშინელ ტკივილს გრძნობდე. ვიგრძენი, როგორ დამიბუჟდა მთელი სხეული. ტკივილი იმდენად საშინელი იყო, რომ ვერც კი ვგრძნობდი. თავი ბალიშზე დავდე. ათი წუთის შემდეგ უკვე დადასტურდა, რომ არაფერიც არ შემეძლო. სირცხვილისგან მუხლები მიკანკალებდა.

თავი დავიჯერე, ჩემი მეგობარი ვერაფერს მიხვდა-მეთქი. რამდენიმე დღე ისეთი განცდით დავდიოდი, თითქოს გამოვჯანმრთელდი. უკურნებელი სენის შიშით შეპყრობილი

ადამიანივით ვიყავი, რომელიც ბოლოს და ბოლოს გაიგებს დაავადების სახელს და დროებით დამშვიდდება. ძალიან კარგად იცის, რომ ეს სიმშვიდე დროებითია, მაგრამ სხვა გზა არა აქვს - მისი სასოწარკვეთა სხვა თავშესაფარს ვერ ჰპოვებს, მას კი ხანგრძლივი სიმშვიდე სწყურია... თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ჩემი გულიც საბოლოო დარტყმასა თუ საბოლოო სიმშვიდეს ელტვოდა.

ამის შემდეგ ჩემს მეგობარს უნივერსიტეტში რამდენჯერმე შევხვდი. ორივე ვდუმდით იმ ამბავზე. ერთი თვის თავზე ერთ საერთო ნაცნობთან ერთად მეწვია, რომელსაც ასევე უყვარდა ქალები. სიცოცხლით სავსე ყმაწვილი იყო და სულ იმას ტრაბახობდა, რომ ქალებს თხუთმეტ წუთში აბამდა. საუბარი, რა თქმა უნდა, იმაზე ჩამოვარდა, რაზეც უნდა ჩამოვარდნილიყო.

-თავი უნდა დავანებო! საკუთარი თავის კონტროლი აღარ შემიძლია! - ამბობდა ეს მექალთანე და თან თვალს არ მაშორებდა. - მეგობრებში ვინმე იმპოტენტი რომ მყოლოდა, ნამდვილად შემშურდებოდა მისი! შემშურდებოდა კი არა, თაყვანს ვცემდი!

მეგობარმა დაინახა, რომ წამოვწითლდი და სასწრაფოდ შეცვალა საუბრის თემა.

- მარსელ პრუსტის წიგნს შენ არ დამპირდი? როგორ მაინტერესებს.

- კი, საინტერესოა. პრუსტი თურმე სოდომისტი ყოფილა. ლაქიებთან ჰქონდა ურთიერთობაო.

- სოდომისტი რას ნიშნავს? - ვითომ არ ვიცოდი, ამ პატარა შეკითხვას ჩავეჭიდე, რომ ჩემი სირცხვილი არ შეემჩნიათ. მთელი

ძალით ვცდილობდი მინიშნების მოძებნას იმაში დასარწმუნებლად, რომ ჩემში ეყვი არ შეჰპარვიათ.

- სოდომისტი სოდომისტია, როგორ არ იცი?! ჰომოსექსუალი რა.

- პირველად მესმის, რომ პრუსტი ასეთი იყო, - ვიგრძენი, რომ ხმა მიკანკალებდა. ჩემი გაბრაზება აშკარა მტკიცებულება იქნებოდა. ყველაზე მეტად კი იმის მრცხვენოდა, რომ მეტად გაწონასწორებული ადამიანის როლს ვთამაშობდი. ჩემი მეგობარი აშკარად ყველაფერს მიხვდა. მომეჩვენა, რომ თვალს ვერ მისწორებდა.

ღამის 11 საათისთვის წავიდნენ საზიზღარი სტუმრები. ჩემს ოთახში შევიკეტე და მთელი ღამე გავათენე. ვქვითინებდი. ბოლოს ჩვეული სისხლიანი ფანტაზია მეწვია და დავწყნარდი. ყველაზე კარგად ნაცნობ, ყველაზე არაადამიანურ ფანტაზიებს ავყევი.

გართობა მჭირდებოდა. ჩემს ერთ ძველ მეგობართან წვეულებებზე დავდიოდი, მიუხედავად იმისა, რომ ცარიელი საუბრებიდან არაფერი მრჩებოდა. უნივერსიტეტის მეგობრებისგან განსხვავებით, აქ შეკრებილ საზოგადოებასთან ურთიერთობა ბევრად იოლი ჩანდა. მათ შორის იყვნენ: მოდას აყოლილი, გადაპრანჭული ქალები, ოპერის მომღერალი ქალი, დამწყები პიანისტი ქალი და ახლად გათხოვილი ახალგაზრდა ქალები. ვცეკვავდით, ცოტას ვსვამდით, სულელური თამაშებით ვერთობოდით, ხანდახან ეროტიკულ დაჭერობანასაც ვთამაშობდით და ღამეებს ვათენებდით.

გამთენიისას ხშირად გვერეოდა ძილი. რომ არ ჩაგვძინებოდა, ასეთი რამე მოვიგონეთ: რამდენიმე ბალიშს ძირს ვდებდით და მათ გარშემო ვცეკვავდით. როდესაც მუსიკა მოულოდნელად

შეწყდებოდა, ქალისა და მამაკაცის წყვილს ერთ ბალიშზე დაჯდომა უნდა მოესწრო. ვინც ვერ მოასწრებდა დაჯდომას, რაიმე ნომერი უნდა შეესრულებინა. წამოდგომისას ყოველთვის დიდი ალიაქოთი იყო, რადგან ბოლოს ბალიშებზე გადახლართულები ვიწექით ხოლმე. ამის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ ქალებს უკვე აღარ ანაღვლებდათ, როგორ გამოიყურებოდნენ. ერთხელ ყველაზე ლამაზი გოგო ზურგზე დაეცა და ქვედაბოლო წელამდე აეწია. ცოტა ნასვამი იყო და ყურადღება არც მიუქცევია. იცინოდა, მისი ბარძაყები კი თეთრად ანათებდა.

ჩემი უწინდელი მე სხვა ყმაწვილებივით მოიქცეოდა: ვითომ სირცხვილით შებრუნდებოდა და გოგოს თვალს აარიდებდა. მაგრამ მე უკვე სულ სხვა ვიყავი, იმ დღის შემდეგ შევიცვალე. სირცხვილი საერთოდ არ მიგრძნია - იმისაც არ შემრცხვენია, რომ ასეთი უსირცხვილო ვიყავი. ამ თეთრ ბარძაყებს, როგორც რაიმე ნივთს, ისე მივშტერებოდი. უეცრად გულისწამლები ტკივილი მეწვია - თითქოს რაღაცას მეტისმეტად დიდხანს ვაკვირდებოდი. ეს ტკივილი ჩამჩურჩულებდა: „შენ ხომ ადამიანი არა ხარ! ადამიანებთან ურთიერთობა არ შეგიძლია! უცნაური და საცოდავი არსება ხარ, რომელიც ვერასდროს გახდება ადამიანი!“

საბედნიეროდ, სახელმწიფო გამოცდებისთვის მომზადება დავიწყე. მთელ დროს მოსაწყენ, უინტერესო მეცადინეობას ვუთმობდი. მტკივნეული თემებისგან ფიზიკურად თუ გონებრივად შორს ვიყავი. თუმცა ეს - მხოლოდ თავიდან. იმ ღამის შემდეგ მარცხის, უმწეობის განცდამ ჩემი ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულში დაისადგურა. დეპრესიული და უიღბლო დღეები ერთმანეთს მისდევდა. უფრო და უფრო მიძლიერდებოდა სურვილი, საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ რაღაც მაინც შემეძლო. ვთვლიდი, რომ ამის გარეშე ვეღარ ვიცოცხლებდი, მაგრამ ვერსად ვუპოვე გამოხატვის საშუალება ჩემს გარყვნილებას. ჩემს

არანორმალურ სურვილებს, თუნდაც ყველაზე მსუბუქი ფორმით, ამ ქვეყანაში ასრულების უმცირესი შანსიც კი არ ჰქონდათ.

გაზაფხული მოვიდა. გაწონასწორებული ადამიანის ნილაბქვეშ გამაგიჟებელი იმედგაცრუება დამგროვებოდა. თავად სეზონიც, მტრულად განწყობილივით, ძლიერი ქვიშიანი ქარიშხლით შემეგება. სადმე მანქანას რომ გავეკაწრე, გულში ვიღრიალებდი: „რატომ არ გამიტან საერთოდ?“

მომწონდა იძულებითი მეცადინეობაც და ცხოვრების მკაცრი წესებიც. შესვენების დროს ქუჩაში სასეირნოდ თუ გავიდოდი, ჩემს ჩასისხლიანებულ თვალებს უნდობლად უყურებდნენ. სხვების თვალში ალბათ პატიოსან ცხოვრებას ვეწეოდი, მაგრამ სინამდვილეში დაღლილობა გულს მიხრავდა, სიზარმაცესა და გარყვნილებას ვერ ვუმკლავდებოდი და ასეთ ცხოვრებას მომავალი არ ჰქონდა.

გაზაფხულის მიწურულის ერთ სადამოს მატარებელში ვიჯექი და უეცრად სუნთქვა შემეკრა, პულსი ამიჩქარდა.

ფეხზე მდგომ მგზავრებს შორის გავიხედე და მოპირდაპირე მხარეს ჩამომჯდარ სონოკოს მოვკარი თვალი. ბავშვური წარბების ქვემოთ კეთილი, მორცხვი, უსასრულოდ ღრმა თვალები მოუჩანდა. უკვე წამოდგომას ვაპირებდი, რომ ფეხზე მდგომმა ერთმა მგზავრმა რგოლს ხელი გაუშვა და გასასვლელისკენ გაემართა. ამ დროს ქალიშვილის სახე კარგად დავინახე. ის სონოკო არ აღმოჩნდა.

გული ჯერ კიდევ მიფრიალებდა. ადვილი იყო იმის ახსნა, ეს რისი ბრალი იყო: გაოცებისა თუ სინდისის ქენჯნის. თუმცა ვერც ახსნა გაფანტავდა ამ წამიერი შთაბეჭდილებით გამოწვეულ მღელვარებას. 9 მარტის დილას ბაქანზე სონოკოს დანახვისას



მიღებული შთაბეჭდილება გამახსენდა. ორივე ერთნაირი იყო, საერთოდ არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. გულისწამლები სევდით ჰგავდნენ ერთმანეთს.

ეს უმნიშვნელო შემთხვევა ძნელად დასავიწყებელი აღმოჩნდა. მომდევნო დღეები უფრო აღელვებულმა გავატარე. ვფიქრობდი, შეუძლებელია, ისევ სონოკო ვერ მეყვარება, საერთოდ, ქალის სიყვარული არ უნდა შემეძლოს-მეთქი. ასეთი ფიქრები ადრე ჩემი ერთგული, მორჩილი მოკავშირეები იყვნენ, ახლა კი თითქოს ჯიბრში ჩამდგომოდნენ.

მოულოდნელად, ჩემმა მოგონებებმა დაკარგული ძალაუფლება დაიბრუნეს. ასეთი შემობრუნება მეტად მტკივნეული აღმოჩნდა. ორი წლის წინ მეხსიერებიდან საგულდაგულოდ განდევნილი მოგონებები ჩემ თვალწინ არანორმალურად გაიზარდნენ და უკანონო შვილივით გამომეცხადნენ. ეს არც ოდინდელ გამოგონილ „სიტკბობებს“ უკავშირდებოდა და არც იმ საქმიან იერს, რომლითაც მოგვიანებით ყველაფრის მოწესრიგება ვცადე. მოგონებების ყოველი კუთხე-კუნჭული ტკივილიანი სიცხადით იყო სავსე. სინანული რომ ყოფილიყო, იმ ბილიკს გავყვებოდი, რომლითაც ჩემამდე უამრავ ადამიანს ევლო. მაგრამ ეს ტკივილი სინანულისა არ იყო. უფრო ნათელი ტანჯვა ეთქმოდა - თითქოს ფანჯრიდან მწველი მზის სხივს ვუყურებდი, რომელიც ქუჩას ორად ყოფდა.

წვიმიან სეზონზე, ერთ ღრუბლიან საღამოს, ამაბუს რაიონში, უცხო ქუჩაზე მოვხვდი. უეცრად უკნიდან ჩემი სახელი შემომესმა. სონოკო იყო. როდესაც შევბრუნდი და დავინახე, ისე არ გავოცებულვარ, როგორც მაშინ, მატარებელში, სხვა ქალში რომ ამერია. თითქოს ამ მოულოდნელი შეხვედრის წინათგრძნობა მქონდა. თითქოს ამ წუთების შესახებ დიდი ხანია, ყველაფერი ვიცოდი.

სონოკოს ისეთი ყვავილებიანი კაბა ეცვა, მოდური შპალერის ნახატებს რომ გაგახსენებდა. მკერდზე თასმებით შეეკრა - სხვა მოსართავი არაფერი ჰქონდა. სულაც არ გამოიყურებოდა ცოლივით. როგორც ჩანს, საკვების გამანაწილებელი პუნქტიდან მოდიოდა. ხელში კალათი ეჭირა და მოხუც ქალს მოჰყვებოდა, რომელსაც ასევე კალათი მოჰქონდა. მოხუცი წინ გაატარა და გზა ჩემთან ლაპარაკ-ლაპარაკით გააგრძელა.

- ცოტა გამხდარხარ.

- ჰო, გამოცდების დამსახურებით.

- გასაგებია. სჯობს, თავს გაუფრთხილდე.

ცოტა ხანს გავჩუმდით. ხანძარს გადარჩენილი კერძო სახლები მზის მკრთალმა შუქმა გაანათა. ერთი სახლის ეზოდან სველი იხვი გამობაჯბაჯდა და ყიყინით გაემართა გუბურისაკენ. უცებ თავი ბედნიერად ვიგრძენი.

- ახლა რომელ წიგნს კითხულობ? - ვკითხე სონოკოს.

- რომანს? ტანიძაკის „ზოგს ჭინჭარი ურჩევნია“ წავიკითხე და მერე...

- ის არ წავიკითხავს..? - ერთი მოდური წიგნის სახელწოდება დავუსახელე.

- აჰ, ის შიშველქალიანი წიგნი?

- რა? - გაოცებულმა ვკითხე.

- ყდაზე დაახატეს, საზიზღრობაა.

ორი წლის წინ სონოკო ის ადამიანი არ იყო, რომელიც სახეში შემოგხედავდა და „შიშველ ქალს“ ან რაიმე მგავსს იტყოდა. ამ უმნიშვნელო სიტყვების გამოყენებამ იმ მტკივნეულ აზრთან მიმიყვანა, რომ სონოკო უკვე აღარ იყო უმანკო.

როდესაც კუთხემდე მივედი, შეჩერდა.

- უნდა შევუხვიო. ჩემი სახლი ქუჩის ბოლოშია.

განშორება მეძნელებოდა და თვალი ავარიდე. ჩემი მზერა კალათზე შეჩერდა. მზის სხივები პირდაპირ ეცემოდა კონიაკუს ჟელეს, რომელიც გარუჯული ქალის კანივით მოჩანდა.

- ასეთ მზეზე კონიაკუ გაფუჭდება.

- რამხელა პასუხისმგებლობა მაკისრია, ხედავ? - ხუმრობით მიპასუხა.

- მშვიდობით!

- მშვიდობით! - მითხრა სონოკომ და ზურგი შემაქცია. ჩემს დაძახილზე, სოფელში ხომ არ გაქვს რაიმე საქმე-მეთქი, კი, ამ შაბათს ვაპირებ წასვლასო, მომაცხა.

როცა დავშორდით, რაღაც ისეთი შევამჩნიე, რისთვისაც აქამდე ყურადღება არ მიმიქცევია. სონოკო ისე გამოიყურებოდა, თითქოს ჩემთვის ყველაფერი ეპატიებინა. რატომ მაპატია? ნეტავ დიდსულოვნებაზე უფრო მეტი შეურაცხყოფა თუ არსებობს?

ვფიქრობდი, თუ კიდევ ერთხელ მომაცენებს შეურაცხყოფას, იქნებ ტკივილი ცოტათი მაინც შემიმსუბუქდეს-მეთქი.

შაბათს მოუთმენლად ველოდი. ბედად, კიოტოს უნივერსიტეტიდან კუსანოც დაბრუნებულიყო.

შაბათ საღამოს, როდესაც უკვე კუსანოს ვესაუბრებოდი, ყურებს არ დავუჯერე. ფორტეპიანოს ხმა შემომესმა. ეს ის მოუმწიფებელი ჰანგები აღარ იყო. სწრაფად, სრულყოფილად, ბრწყინვალედ უკრავდნენ!

– ვინ არის?

– სონოკო გვესტუმრა, - მიპასუხა კუსანომ, რომელიც ვერაფერს ხვდებოდა. მტკივნეული მოგონებები ამომიტივტივდა. მაშინდელი არაპირდაპირი უარის შესახებ კუსანოს სიტყვაც კი არ დასცდენოდა და მისი გულკეთილობა მამძიმებდა. მინდოდა, იმის დამამტკიცებელი საბუთი მქონოდა, რომ მაშინ, თუნდაც სულ ცოტათი, სონოკოც იტანჯებოდა. ჩემს უბედურებებში მისი წილის დანახვაც მინდოდა. მაგრამ „დრო“ ჩემს, კუსანოს და სონოკოს შორის სარეველა ბალახივით ამოსულიყო. ნებისმიერი რამის გამოხატვა, თავმოყვარეობის, ზედაპირულობისა და მორიდებულობის გარდა, შეუძლებელი გამხდარიყო.

ფორტეპიანოს ხმა შეწყდა.

– ხომ არ შემოვიყვანო? - იკითხა კუსანომ. ცოტა ხანში უფროს ძმასთან ერთად სონოკო ოთახში შემოვიდა. ვისხედით და სამივენი უაზროდ ვიცინოდით სონოკოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მომუშავე ქმრის ნაცნობების მონაყქორზე. კუსანოს დედამ დაუძახა და გავიდა. როგორც ორი წლის წინ, მე და სონოკო მარტო

დავრჩით.

ბავშვურად ტრაბახობდა, რომ მისი ქმრის ძალისხმევით, ამ ოჯახს კონფისკაციის საფრთხე არ შეეხო. ადრეც მიყვარდა მისი ტრაბახის მოსმენა. არც ზედმეტად თავმდაბალი ქალი ვარგა და არც - ზედმეტად ტრაბახა, აი, სონოკოს გულუბრყვილო ბაქიბუქი კი მართლაც კარგი მოსასმენი იყო.

- მისმინე, - ჩუმიად დაიწყო სონოკომ, - დიდი ხანია, ვაპირებ, გკითხო და ვერა და ვერ გკითხე. რატომ ვერ დავქორწინდით მაშინ? როდესაც ჩემმა ძმამ შენი პასუხი გადმომცა, სამყარო ჩემთვის სრულიად გაუგებარი გახდა. ვფიქრობდი, ვფიქრობდი, მაგრამ მაინც ვერ ვხვდებოდი. ახლაც კი არ მესმის, მაშინ რატომ არ დავქორწინდით? - ბრაზისაგან ლაწვებშეფაკლული მომიბრუნდა და თავდახრილმა მკითხა: - გძულდი?

შეკითხვა საქმიანი და პირდაპირი იყო. რაღაც ბოროტული სიხარული ვიგრძენი. თუმცა მალევე ეს სიხარული ტკივილად გადაიქცა, ძლივს შესამჩნევ ტკივილად. გარდა ამისა, თავმოყვარეობაც შემელახა - ორი წლის წინანდელი „უმნიშვნელო“ ამბების გახსენებით გული რომ ასე მტკიოდა. მინდოდა, თავისუფალი ვყოფილიყვნი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ძალა არ მყოფნიდა.

- შენ ჯერ ამ სამყაროსი არაფერი გაგეგება. შენი დადებითი მხარეც ეგაა, მაგრამ... ამ სამყაროში შეყვარებულები ყოველთვის ვერ ქორწინდებიან. შენს ძმასაც ზუსტად ეს მივწერე მაშინ, თანაც...

ვიგრძენი, რომ ქალურად ვიწყებდი ლაპარაკს. მინდოდა, გავჩუმებულიყავი, მაგრამ ვერ გავჩერდი.

- თანაც იმ წერილში არ დამიწერია, რომ დაქორწინება არ შემეძლო. ჯერ ოცი წლის ვარ, სტუდენტი, და ამიტომ არ ვჩქარობ-მეთქი. სანამ ვყოყმანობდი, ფეხს ვითრევდი, შენ ამასობაში გათხოვდი.

- რაც შემეხება მე, სინანულის უფლება არ მაქვს. ქმარს ვუყვარვარ და მეც მიყვარს. მართლა ბედნიერი ვარ. ამაზე მეტი რა უნდა ვინატრო? თუმცა ხანდახან... როგორ ვთქვა? შეიძლება ცუდად ვიქცევი, მაგრამ მაინც, ჩემი მეორე მე წარმოიდგენს ხოლმე, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება, სხვანაირად რომ წარმართულიყო. მაშინ ყველაფერი ირევა და ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს ცოტაც და რაიმე ისეთს ვიტყვი, რაც არ უნდა ვთქვა... მეშინია, როდესაც ისეთ რამეებზე ვფიქრობ, რაზე ფიქრიც არაფრით არ შეიძლება. ასეთ დროს ჩემი ქმარი ჩემი საყრდენი ხდება. ყოველთვის ისე მექცევა, როგორც საყვარელ ბავშვს.

- შეიძლება საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მაქვს, მაგრამ მითხარი: მაგ დროს გძულვარ ხოლმე? ძალიან გძულვარ?

სონოკომ „სიძულვილის“ მნიშვნელობა წესიერად არც კი იცოდა. ძალიან სერიოზულად ჩაილაპარაკა:

- როგორც გინდა, ისე იფიქრე.

- მხოლოდ ჩვენ ორნი კიდევ ერთხელ ვერ შევხვდებით? - თითქოს რაღაც მაჩქარებდა, ისე შევევედრე. - ამაში არაფერი სასირცხვილო არ იქნება. მხოლოდ შენი სახე რომ ვნახო, მაგაზეც თანახმა ვარ. თუ გინდა, ხმას არ ამოვიღებ საერთოდ. ნახევარი საათით მაინც შევხვდეთ.

- და რომ შევხვდები, მერე? ერთხელ რომ შევხვდები, კიდევ

შემხვედით, არ მთხოვ? ჩემს ქმარს მკაცრი დედა ჰყავს, ყველაფერი უნდა იცოდეს - სად მივდივარ და როდის მოვალ. ასეთი უსიამოვნო გრძნობით შეხვედრაც, რა ვიცი, აბა... თუმცა თუ... - უცებ ენა დაება, - თუმცა, ადამიანის გულს რა ამოძრავებს, ვინ იტყვის.

- მართალია, ვერავინ იტყვის. შენ ისევ ისეთი მის სერიოზულობა ყოფილხარ. არ შეგიძლია, უფრო მხიარულად და მსუბუქად შეხედო ამ ყველაფერს?

ოჰ, როგორ საშინლად ვტყუოდი.

- კაცებისთვის შეიძლება, მაგრამ გათხოვილი ქალებისთვის ასეთი მარტივი არაა. ცოლი რომ გეყოლება, მერე გაიგებ. კარგად უნდა დავფიქრდე. ასეთ რამეს სერიოზულად უნდა მივუდგე.

- ზუსტად უფროსი დასავით ამბობ!

ამ დროს ოთახში კუსანო შემოვიდა და საუბარი შევწყვიტეთ.

ამ საუბრის დროსაც კი ეჭვები მღრღნიდა. სონოკოსთან შეხვედრა, ღმერთია მოწმე, ნამდვილად მინდოდა. თუმცა ამ სურვილში ვნების ნასახიც რომ არ ერია, ესეც ცხადი იყო. მაშ, საიდან მოდოდა შეხვედრის სურვილი? თავს ხომ არ ვიტყუებდი, ვნებაა-მეთქი? საერთოდ, შესაძლებელია კი სიყვარული ხორციელი ლტოლვის გარეშე? ეს ხომ აშკარად აბსურდია!

კიდევ ერთ რამეზე ვფიქრობდი: თუ დავუშვებთ, რომ ადამიანის ვნებას ყველანაირ აბსურდზე მაღლა დადგომის ძალა შესწევს, მაშინ საკუთარ აბსურდულობაზე მაღლა დადგომაც ხომ შეუძლია-მეთქი?

იმ საბედისწერო ღამის შემდეგ ქალებს თავს ვარიდებდი. ქალის ტუჩებს აღარ შევხებივარ. ჩემში ნამდვილი ვნების გამღვიძებელი ეფებების ტუჩებს კი როგორ შევხებოდი. მაშინაც კი ასე ვიქცეოდი, როცა კოცნაზე უარის თქმა უზრდელობად მეთვლებოდა.

ამასობაში გაზაფხული გავიდა და ჩემს მარტოსულობაში ზაფხული შემოიყრა, რომელიც ჩემს ვნებებს, როგორც გაჭენებულ ცხენებს, ისე ურტყამდა მათრახს. თითქოს ხორცი მეწვოდა. სხეულის გადასარჩენად ხანდახან დღეში ხუთჯერაც კი მივმართავდი „მავნე ჩვევას“.

ჰირშფელდის თეორიამ თვალები ამიხილა - გარყვნილება მარტივ ბიოლოგიურ მოვლენად დამანახა. ის გადამწყვეტი ღამეც ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა, სამარცხვინო არც არაფერი იყო. ეფებებით ჩემი გატაცება, რომელიც არასდროს გადაზრდილა პედერასტიაში, მკვლევართა აზრით, თითქმის ასეთივე რამ უნდა ყოფილიყო - გერმანელებში მსგავსი იმპულსები არც თუ იშვიათად ხვდებოდათ. ამის თვალსაჩინო მაგალითი გრაფ პლატენის დღიური იყო. ვინკელმანიც ასეთივე ყოფილა. იტალიური რენესანსის დროს მიქელანჯელო თურმე ზუსტად ჩემნაირ იმპულსებს გრძნობდა.

თუმცა ამ ყველაფრის მეცნიერული ახსნა არ ნიშნავდა იმას, რომ ჩემი პირადი ცხოვრება დალაგდებოდა. რადგან გარყვნილი ჩანაფიქრების განხორციელება რთული იყო, ჩემს შემთხვევაში, ეს იმპულსები, უბრალოდ, კვნესა-ოხვრად იქცეოდა. მიმზიდველი ეფებების მიმართ ჩემი გრძნობებიც შორს ვერ მიდიოდა - ფიზიკურ ლტოლვად რჩებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი სული ჯერ კიდევ სონოკოს ეკუთვნოდა. სულისა და ხორცის ქიშპობის შუასაუკუნოვანი სქემის სულაც არ მჯერა, მაგრამ უკეთ ასახსნელად ასე ვიტყვოდი: ჩემში ამ ორის ცალ-ცალკე არსებობა აშკარა იყო. სონოკო „ნორმალურობისადმი“, სულიერებისა და



მარადისობისადმი ჩემი სიყვარულის განსახიერება გახლდათ.

არა, ასე მარტივად ვერაფერიც ვერ აიხსნება. გრძნობებს დადგენილი წესრიგი არ უყვართ. უფრო უმცირესი ნაწილაკებივით ნარნარი, ფარფატი და თრთოლა მოსწონთ.

სანამ მე და სონოკომ გამოვიღვიძეთ, ერთი წელი გავიდა. სახელმწიფო გამოცდები ჩავაბარე, უნივერსიტეტი დავამთავრე და ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში საჯარო მოხელედ დავიწყე მუშაობა. ამ ერთ წელიწადში მე და სონოკო რამდენჯერმე შევხვდით - ხან ვითომ შემთხვევით, ხან ვითომ უმნიშვნელო საქმეზე... ორ-სამ თვეში ერთხელ, შუადღით, ერთი-ორი საათით ვსაუბრობდით. ეს იყო და ეს. ვინმეს რომც დავენახეთ, ისე ვიქცეოდით, არაფერი იყო სასირცხვილო. სონოკო მხოლოდ ძველ ამბებს იხსენებდა, ახლანდელ ურთიერთობაზე კი ხუმრობდა ხოლმე. ამ ყველაფერს რომანს ნამდვილად ვერ უწოდებდი. როგორც კი ვხვდებოდით, უკვე იმაზე ფიქრს ვიწყებდით, როგორ დავშორებოდით ერთმანეთს ლამაზად.

ამითაც კმაყოფილი ვიყავი. მომწონდა ამ ურთიერთობის იდუმალი სისავსე და მადლიერების განცდა მეუფლებოდა. დღე არ იყო, სონოკოზე არ მეფიქრა. ყოველ შეხვედრაზე ჩუმ ბედნიერებას განვიცდიდი. თითქოს ამ შეხვედრების მსუბუქი დაძაბულობა და წმინდა წონასწორობა ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულს მოედო, უკიდურესი სინაზე და ფაქიზი წესრიგი შემოიტანა ჩემს ყოველდღიურობაში.

თუმცა გავიდა ერთი წელი და ჩვენც გამოვიღვიძეთ. საბავშვო ოთახში აღარ ვიყავით, უფროსების ოთახში გადავსულიყავით. იქ კი კარს, რომელიც სანახევროდ იღება, მაშინვე შეაკეთებენ ხოლმე. ჩვენი ურთიერთობაც ასეთ კარს ჰგავდა და სასწრაფოდ შეკეთებას

საჭიროებდა. თანაც უფროსები, ბავშვებისგან განსხვავებით, მონოტონურ თამაშებს ვერ იტანენ. ჩვენი პაემანები ზუსტად ერთნაირი იყო, ერთმანეთზე დაწყობილი, ერთი და იმავე ზომისა და სისქის ბანქოს ქალაქლებივით.

ასეთ ურთიერთობაში მე უფრო მეტ ამორალურ სიამოვნებას ვიღებდი, რასაც სხვა ვერავინ გაიგებს. ეს ჩვეულებრივზე უფრო ამორალური რამ იყო, დახვეწილი საწამლავი. ჩემი რაობა, ჩემი პირველი შინაგანი კანონი ხომ უზნეობაა. ამიტომაც ვტკბებოდი ფარული ცოდვის საშინელი გემოთი, როდესაც ღირსეული ადამიანის ნიღბით ქალთან ურთიერთობას - იდუმალ გარყვნილებას - შეუბღალავ და გამჭირვალე ურთიერთობად განვიხილავდი.

ერთმანეთს ხელს ვუწვდიდით და რაღაცას ვებღაუჭებოდით, მაგრამ რას? რაღაც აირისებურს: თუ ვიწამებდით, რომ არსებობდა - იქნებოდა, თუ არა და - გაქრებოდა. ეს, ერთი შეხედვით, გულუბრყვილობა იყო, მაგრამ სინამდვილეში გამოთვლისა და შეჯამების დახვეწილ უნარს მოითხოვდა. ჩემი ხელოვნური „ნორმალურობა“ ამ სივრცეში შემოვუშვი და სონოკოც შემოვიპატიყე სახიფათო თამაშში, სადაც მთლიანად გამოგონილ „სიყვარულს“ უნდა ჩავბღაუჭებოდით. სონოკო, ისე რომ თავადაც ვერ ხვდებოდა, შეთქმულების მონაწილე გახდა. რადგანაც არაფერი ესმოდა, ხელსაც ამიტომ მიწყობდა მონდომებით.

მაგრამ დრო გადიოდა და ისიც ბუნდოვნად გრძნობდა რთულად აღსაწერი საფრთხის მიმზიდველ ძალას. ეს საფრთხე ხომ ძალიან განსხვავდებოდა ყოველდღიურობის უხეში საშიშროებებისაგან.

ზაფხულის ერთ საღამოს მთის კურორტიდან დაბრუნებულ სონოკოს რესტორან „ოქროს მამალში“ შევხვდი. მაშინვე მოვახსენე,

სამსახურიდან წამოვედი-მეთქი.

– ახლა რა უნდა ენა?

– მოვლენების განვითარებას დავაკვირდები.

– რა უცნაურია...

სხვა აღარაფერი უთქვამს. ასეთი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. კურორტზე გარუჯულიყო, ყელი და მხრები აღარ უქათქათებდა. მის ბეჭედზე მოზრდილი მარგალიტიც ჩამუქებულიყო. მაღალი ხმა, რომელსაც ტრაგიკულობაც ეტყობოდა ხოლმე და გამოფიტულობაც, ახლა ზუსტად სეზონის შესაფერისი ჰქონდა.

ცოტა ხანს უაზროდ ვტკეპნიდით ერთსა და იმავეს. სერიოზულ თემებს არ ვეხებოდით. არ ვიცი, შეიძლება სულაც სიცხის ბრალი იყო. თითქოს უცხო ადამიანების დიალოგს ვუსმენდი. ისეთი გრძნობა მქონდა, სასიამოვნო სიზმარს რომ ხედავ და, გამოღვიძებული, ძილის შებრუნებას ცდილობ, მაგრამ რაც უფრო მეტად ცდილობ, მით უფრო რომ არ გამოგდის. გამოღვიძებით გამოწვეული შფოთვა და ცოტა ხნის წინ ნანახი სიზმრის ამაო სიხარული ჩვენს გულებს ავბედითი ვირუსივით მოსდებოდა. დაავადება, წინასწარ შეთანხმებულივით, ორივეს ერთდროულად გვეწვია და თითქოს გამოგვაცოცხლა კიდევ. ერთმანეთს სიტყვაზე ვეკიდებოდით და გაუთავებლად ვხუმრობდით.

სონოკოს თმა ელეგანტურად აეწია. გარუჯული კანი თითქოს დიდად არ უხდებოდა, მაგრამ ბავშვური წარბების ქვეშ მისი ნაზი, ნოტიო თვალები და მძიმე ტუჩები მაინც ჩვეულ სიმშვიდეს აფრქვევდნენ. როდესაც ქალები ჩვენს მაგიდას ჩაუვლიდნენ

ხოლმე, სონოკოს აუცილებლად ამჩნევდნენ. მიმტანმა გამოიარა, რომელსაც ვერცხლისფერ ლანგარზე დიდი გედის ფორმის ყინული ედო. სონოკო, ხელზე ბეჭდით, ჩანთის შესაკრავს ათამაშებდა.

- უკვე მოგაბეზრე თავი? - ვკითხე.

- რას ამბობ... არა!

მის ხმაში უცნაური აპათია შევნიშნე. შემეძლო, მეთქვა, „მომხიბვლელი“ აპათია-მეთქი. მზერა ფანჯარაზე გადაიტანა, საიდანაც ზაფხულის ქუჩა მოჩანდა და ნელა წარმოთქვა:

- უბრალოდ, ჩემთვის გაუგებარია, ეს შეხვედრები რას ემსახურება? და მაინც ვხვდებით ერთმანეთს...

- სხვა თუ არაფერი, უაზრო მინუსი მაინც არა აქვს ამ შეხვედრებს. აშკარად უაზრო პლუსია.

- მე ქმარი მყავს, თუ გახსოვს... და დავუშვათ, ეს უაზრო პლუსია. არც ამ პლუსის ადგილი უნდა იყოს!

- ოჰ, ეს მოსაწყენი მათემატიკა!

მივხვდი, რომ სონოკო, ბოლოს და ბოლოს, ეჭვის კარს მიადგა. უკვე ხვდებოდა, რომ ნახევრად ღია კარის დატოვება არ შეიძლებოდა. თუ ასე იყო, ალბათ ჩვენი გრძნობების დიდ ნაწილს უფრო ზუსტად და სწორად აღვიქვამდით. მეც აღარ ვიყავი იმ ასაკში, როდესაც ყველაფრის ისე დატოვება გირჩევნია, როგორც არის.

ჩემი ენით აღუწერელი შიში სონოკოსაც შეუმჩნევლად გადაედო.

აღბათ ამ შიშის ნიშნები ორივეს თანაბრად დაგვეტყო. ამას სონოკოც აღარ მალავდა. ვცდილობდი, არ მომესმინა, მაგრამ ჩემი ტუჩები თავად პასუხობდნენ.

– ასე თუ გავაგრძელებთ, სადამდე მივალთ, არ გიფიქრია? არ გიფიქრია, რომ იმ კუთხეში ვიმწყვდევთ თავს, საიდანაც ველარ გამოვალთ?

– მე შენ დიდ პატივს გცემ და ვფიქრობ, სასირცხვილოს არაფერს ჩავდივართ. მეგობრები რომ ერთმანეთს შეხვდნენ, რა დაშავდება?

– აქამდე მართლაც ისე იყო, როგორც შენ ამბობ. მართლაც ღირსეული ადამიანი ხარ! მაგრამ მერე რა იქნება, გაურკვეველია. მიუხედავად იმისა, რომ სასირცხვილო არაფერი ჩავვიდენია, მაინც საშინელ სიზმრებს ვხედავ. ასე მგონია, ღმერთი მომავალი ცოდვებისთვის მსჯის.

სიტყვა „მომავლის“ გაგონებისას გამაჟრიალა.

– თუ ასე გავაგრძელებთ, ერთ დღესაც ერთმანეთს გულს ვატკენტ. გულს რომ ვატკენტ, მერე ხომ გვიანი იქნება? ამიტომაც ჰგავს ჩვენი საქციელი ცეცხლთან თამაშს.

– ცეცხლთან თამაშში რას გულისხმობ?

– ბევრ რამეს.

– მაგრამ ეს არაა ცეცხლთან თამაში! ეს უფრო წყალთან თამაშს ჰგავს!

არ გასცინებია. როდესაც ჩუმდებოდა, ტუჩებს მაგრად კუმავდა

ხოლმე.

– ბოლო დროს ჩემს თავზე, როგორ საშინელ ქალზე, ისე დავიწყე ფიქრი. მგონია, რომ ბინძური და საშინელი ქალი ვარ. ქმარი მყავს, სხვა მამაკაცზე არ უნდა ვოცნებობდე. გადავწყვიტე, ამ შემოდგომაზე მოვინათლო!

სონოკოს ეიფორიული აღსარება, როგორც ქალებს სჩვევიათ ხოლმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაზებით იყო სავსე. სხვა რამის თქმა უნდოდა და სხვა რამეს ამბობდა. მას ვერც გავახარებდი და ვერც დავადარდიანებდი. მის ქმარზე ოდნავაც კი არ ვეჭვიანობდი. რა უფლება მქონდა, რაიმე მომეთხოვა ან რაიმეზე უარი განმეცხადებინა? ამიტომაც ვდუმდი. შუა ზაფხულში საკუთარი თეთრი ხელების დანახვამ სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო.

– და ახლა რა იქნება?

– ახლა? - თვალი ამარიდა.

– ამწუთას ვისზე ფიქრობ?

- ქმარზე.

– ისე, ნათლობა არ არის აუცილებელი.

– არის. ძალიან მეშინია. საშინლად ვკანკალებ, ისე მეშინია.

– და ახლა რა მოხდება?

– ახლა? - სონოკომ რიტორიკულად იკითხა და ძალიან

სერიოზულად შემომხედა. იშვიათი იყო ასეთი ლამაზი თვალები - ღრმა, მეტყველი... გრძნობები შადრევანივით იფრქვეოდა ამ თვალებიდან, რომლებსაც თითქოს არც კი ახამხამებდა.

ყოველთვის, როდესაც მათ ვუყურებდი, სიტყვებს ვეღარ ვპოულობდი. მოკიდებული სიგარეტი შორს მდგომ საფერფლეში ჩავსრისე. უეცრად ყვავილების ლარნაკს გამოვედე, გადმოვაყირავე და წყალი მაგიდაზე დავაქციე.

მიმტანმა მაგიდა მოამშრალა. ცუდ ხასიათზე დაგვაყენა იმის ყურებამ, როგორ წმენდდა ტილოთი სველ გადასაფარებელს. ამის გამო რესტორნიდან უფრო მალე გავედით. ზაფხულის ქუჩებში ხალხი გამაღიზიანებლად ირეოდა. მკლავგაყრილი შეყვარებული წყვილები ზედმეტად ბევრნი იყვნენ. რატომღაც, ყველასგან ზიზღი ვიგრძენი, რომელიც ზაფხულის მცხუნვარე მზესავით მწვავდა.

ნახევარი საათიც და ჩვენი განშორების დრო დადგებოდა. განშორების სიმძიმისა თუ ვნებანარევი მოუთმენლობის გამო, მომინდა, ამ ნახევარ საათზე ზეთის საღებავები სქლად გადამესვა. საცეკვაო დარბაზის წინ გავჩერდით. ხმის გამაძლიერებლიდან რუმბის ჭკუიდან შემშლელი რიტმები მთელ ქუჩას ეფინებოდა. უცებ ერთი ლექსი გამახსენდა:

„თუმცა, ყველაფრის მიუხედავად,

ეს იყო უსასრულო ცეკვა“.

მეტი აღარ მახსოვს. მგონი, ანდრე სალმონისაა. სონოკო დამთანხმდა და ნახევარი საათით საცეკვაოდ გამომყვა. დარბაზი გადავსებული იყო ხალხით, რომლებიც შესვენებას თვითნებურად იხანგრძლივებდნენ. ჩახუთული ჰაერი მაშინვე სახეში გვეცა. გარდა იმისა, რომ იქაურობა კარგად არ ნიავედებოდა, გარედან შუქი რომ

არ შემოსულიყო, სქელი ფარდები ჩამოეფარებინათ. დარბაზში სულის შემხუთველი სიხცე იდგა. შუქზე მტვრის ნაწილაკები დარიალებდნენ. ოფლის, იაფი სუნამოსა და პომადის სუნი ერთმანეთში არეულიყო და სრულ წარმოდგენას გაძლევდა მათზე, აულეღვებლად რომ ცეკვავდნენ. ვინანე, რომ სონოკო ასეთ ადგილას მოვიყვანე, მაგრამ უკან გაბრუნება გვიანი იყო. მოცეკვავე ბრბოში გზას მივიკვლევდით. აქეთ-იქიდან ვენტिलाტორები ჰაერის სუსტ ნაკადს უშვებდნენ. გოგონები და ჭრელპერანგიანი ბიჭები გაოფლილ შუბლებს ერთმანეთს ადებდნენ და ისე ცეკვავდნენ. გოგონებს ცხვირები გამუქებოდათ და ოფლნარევი პუდრიც გამონაყარივით მოუჩანდათ. მათი კაბების ზურგები იმ მაგიდის გადასაფარებელივით ქუჩქიანი და სველი იყო. ცეკვავდი თუ არა, ოფლი მაინც გამოგდიოდა. სონოკოს სუნთქვა გაუხშირდა.

ხელოვნური ყვავილების თაღში გამოვიარეთ და ჰაერის ჩასაყლაპად შიდა ეზოში გამოვედით. სკამზე ჩამოვსხედით. აქ ჰაერი ნამდვილად იყო, მაგრამ გახურებული ბეტონის ფილებიდან სიციხე ჩრდილიან სკამამდეც აღწევდა. „კოკა-კოლას“ სიტკბო პირში დამრჩენოდა. მომეჩვენა, რომ ზიზღს, რომელსაც ყველასგან ვგრძნობდი, სონოკომდეც მოელწია და დაედუმებინა. ამ დუმილს ვედარ ვუძლებდი. გარშემომყოფებს თვალი მოვაველე.

მსუქანი გოგონა ცხვირსახოციტ მკერდს ინიავებდა და, დაღლილი, კედელს მიყრდნობოდა. სვინგბენდი ქვიქსტეპს შთამბეჭდავად უკრავდა. ქოთნებში ჩარგული სოდები ცალ მხარეს გადახრილიყვენ, მათ ქვეშ კი მინა ერთიანად დახეთქილიყო. ჩრდილიანი სკამები უკვე დაეკავებინათ. მზიან მხარეს, რა თქმა უნდა, ყველა ერიდებოდა.

თუმცა ერთი ჯგუფი მზით განათებულ სკამთანაც შეკრებილიყო. თითქოს მარტონი ყოფილიყვნენ, ხმამაღლა საუბრობდნენ. ორი



გოგონა და ორი ბიჭი. ერთი გოგონა სიგარეტს მოუხერხებლად იდებდა პირში და მოწვევისას ყოველ ჯერზე ახველებდა. ორივეს საზაფხულო კიბონოსაგან შეკერილი უმკლავო კაბა ეცვა. მეთევზის ქალიშვილებივით, გაწითლებულ ხელებზე მწერების ნაკბენები ემჩნეოდათ. ბიჭების უხამს ხუმრობებზე ერთმანეთს გადახედავდნენ და იცინოდნენ ხოლმე. არც თმებზე დაცემული მწველი მზის სხივები ადარდებდათ და არც სხვა რამ. ერთ-ერთ ბიჭს ჭრელი პერანგი ეცვა, ფერმკრთალი, ეშმაკური სახე და ძლიერი მკლავები ჰქონდა. უხამსი ღიმილი განუწყვეტლივ ქრებოდა და ჩნდებოდა მის ტუჩებზე. გოგონებს მკერდზე თითის ტაკებით აცინებდა.

ჩემი ყურადღება მეორე ბიჭმა მიიქცია. ასე, ოცდაერთი-ოცდაორი წლის, შავგვრემანი ყმაწვილი იყო. უხეშნაკვთებიანი, თუმცა მწყობრი პირისახე ჰქონდა. ოფლისგან დასველებული ღია ნაცრისფერი პერანგი გაეხადა და წელზე ქამარივით იხვევდა. ნახევრად შიშველი, განუწყვეტლივ ერთვებოდა მეგობრების საუბარში და იცინოდა, თან თითქოს განზრახ ნელ-ნელა იხვევდა ქამარს. დაცვარულ გულმკერდზე სრულყოფილად დაჭიმული კუნთები ამობურცოდა, მკერდიდან მუცლამდე ორმა ნაპრალი მიუყვებოდა. მყესები მსხვილი თოკებივით ეყიმებოდა. ამ გლუვ, ცხელ ტორსს ოდნავ დასვრილი ქამარი უფრო და უფრო მჭიდროდ ეხვეოდა. გარუჯული, შიშველი მხრები ზეთწასმულივით უპრიალებდა. ილღიების შავი თმა მზის სხივებში ოქროსფრად ანათებდა.

მის დაკუნთულ მკერდზე იორდასალმის ტატუც რომ შევნიშნე, ვნებამ ერთიანად დამრია ხელი. ადელვებული ვუყურებდი ამ უხეშ, ველურ, მაგრამ იშვიათი სილამაზის სხეულს. მზის ქვეშ იდგა და იცინოდა. თავის უკან გადაწვევისას ყელი ებურცებოდა. გულისცემა უჩვეულოდ ამიჩქარდა. თვალს ვედარ ვაშორებდი მის სხეულს.

სონოკოს არსებობა საერთოდ გადამავიწყდა. მარტო ერთ რამეზე ვფიქრობდი: როგორ მიდის ზაფხულში ნახევრად შიშველი ბიჭი ქუჩაში და როგორ ეჩხუბება თავის მეტოქეს; როგორ ერჭობა ბასრი დანა მის სახვევიან ტორსს და როგორ ლამაზად იღებდა სისხლით ეს სახვევი; როგორ მოაქვთ მერე აქ სახელდახელოდ შეკრულ საკაცეზე დასვენებული, სისხლით დასვრილი გვამი...

– ხუთი წუთილა დაგვრჩა.

სონოკოს წვრიალა ხმამ მოულოდნელად გამომაღვიძა. აი, ამ დროს ჩემში, სასტიკი ძალით, რაღაც შუაზე გაიხლიჩა - ზუსტად ისე, მეხის დაცემისას ხე რომ გაიპობა ხოლმე. ვიგრძენი, როგორ დაიმსხვრა ის ნაგებობა, რომელსაც აქამდე სულითა და გულით ვაშენებდი. თითქოს ის წამიც დავინახე, როდესაც ჩემი არსებობა საშინელი „არარსებობით“ შეიცვალა. თვალები დავხუჭე და ვალდებულების ყინულივით ცივ გრძნობას ჩავეჭიდე.

– ხუთი წუთი? ბოდიში, ასეთ ადგილას რომ მოგიყვანე. ხომ არ მიბრაზდები? ასეთი ვულგარული წრის, ვულგარული შესახედაობის ხალხის ნახვა შენისთანებისთვის არ შეიძლება. სადღაც მოვკარი ყური, რომ ამ დარბაზში ვიღაც თავაშვებულები ისე შემოდიან, საერთოდ არაფერს იხდიან. უარს ყურადღებასაც არ აქცევენ.

ისინი მხოლოდ მე შევამჩნიე. სონოკოს არავინ შეუნიშნავს. ისე იყო აღზრდილი, რომ რაც დასანახი არ იყო, ვერ ხედავდა. იჯდა და დაბნეული უყურებდა ვიღაცების ოფლიან ზურგებს.

მერე თითქოს აქაურმა ჰაერმა, თვალსა და ხელს შუა, სონოკოს გულიც შეცვალა - გარკვეული სახის ქიმიური პროცესი დაიწყო. მის მორცხვ ტუჩებზე, თითქოს რაღაცის თქმას აპირებსო, ღიმილის

ნიშანი გამოისახა.

– შეიძლება გაგეცინოს, მაგრამ რაღაც უნდა გკითხო: შენ უკვე გქონდა „ის“? ხომ ხვდები, რაზეც გეკითხები?

ძალა გამომეცალა, მაგრამ გულში ჯერ კიდევ შემომრჩენოდა რაღაც ზამბარიანი მექანიზმი, რომელიც პასუხის დაუყოვნებლივ გაცემაში მეხმარებოდა.

– კი, ვხვდები. ბოდიში, მაგრამ მართლაც მქონდა.

- როდის?

– შარშან, გაზაფხულზე.

– ვისთან?

ამ კითხვის გულუბრყვილობამ გამოაცა. სონოკოს ეგონა, რომ მხოლოდ იმ ქალებთან მექნებოდა საქმე, ვისაც თვითონაც იცნობდა.

- სახელს ვერ გეტყვი.

– ვინ არის?

– ნუ მეკითხები.

ჩემი პასუხი ვედრებასავით გაისმა და გაოცებული სონოკო მაშინვე გაჩუმდა. თავს ძალას ვატანდი, რომ არ შემტყობოდა, როგორ ამივარდა სისხლი თავში. სადაც იყო, განშორების დრო დადგებოდა. ვულგარული ბლუზიც დროულად დაიწყო. ხმის

გამაძლიერებლიდან გადმოღვრილი მუსიკის ფონზე გაუნძრევლად ვიდექით.

საათებს ერთდროულად დავხედეთ.

განშორების დრო იყო. ადგომისას კიდეც ერთხელ გავაპარე თვალი იმ სკამისკენ, მზის გულზე რომ იდგა. ის ჯგუფი საცეკვაოდ წასულიყო. ცარიელი სკამი მზის სხივებში გახვეული დაეტოვებინათ. მაგიდაზე სასმელიც დაეღვარათ, რომელიც დამაბრმავებლად ბრწყინავდა.